ოთარ ჭილაძე

ქუთაისი ქალაქი ხალხის ხიდი

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1973

002 (C 41) (09)
094 (47.922)
ქ 336

ნაშრომში განხილულია ქართული სტამბების დაარსების, მათი პოლიგრაფიული აღჭურვილობის, ძველი ნაბეჭდი წიგნების რედაქტირებისა და მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების საკითხები; აღწერილია მესტამბე-გამომცემელთა ცხოვრება-მოღვაწეობა.

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1973

0610—097
К ——————— 103—73
М 601 (08) — 73

წინათქმა

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა. ცალკეული საკითხები მონოგრაფიულადაც არის გამოკვლეული, მაგრამ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი მაინც საჭიროებს შემდგომ კვლევა-ძიებას.

პირველად ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესწავლას ყურადღება თ. ჟორდანიამ მიაქცია. 1884 წელს მან ჟურნალ „ივერიაში" გამოაქვეყნა გამოკვლევა „მთავარეპისკოპოზი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე XVIII საუკუნეში", რომელშიაც ძირითადად აღწერილია მოსკოვის ახლოს, დაბა ვსესვიატსკოეში მოქმედი ქართული სტამბის ისტორია და მისი ერთ-ერთი დამაარსებლის იოსებ თამაზის ძე ქვაბულიძის, შემდეგში სამებელად წოდებულის, ბიოგრაფიული მომენტები. გარდა იმისა, რომ ნაშრომი ფაქტიურად დასახელებულ სტამბას ეხება და მასში არაფერია ნათქვამი თვით წიგნებზე, იგი ამავე დროს დაზღვეული არ არის მცდარი მოსაზრებებისა და დასკვნებისაგან.

ქართული წიგნის ბეჭდვის საკითხების შესწავლას გარკვეული ამაგი დასდო ზ. ჭიჭინაძემ. 1900 წელს მან გამოსცა გამოკვლევა „ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ VI-ე". თ. ჟორდანიას მსგავსად ზ. ჭიჭინაძეც მარტო სტამბაზე ამახვილებს ყურადღებას და წიგნების განხილვას რატომღაც გვერდს უვლის.

ასეთივე ნაკლოვანებით ხასიათდება ზ. ჭიჭინაძის სხვა ნაშრომებიც: „ისტორია ქართული სტამბისა", „ქართული სტამბები 1627—1916 წწ.", „ნიკოლოზ ღოღობერიძე და ქართული სტამბები".

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 30-იან წლებამდე ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის ისტორია თ. ჟორდანიასა და ზ. ჭიჭინაძის გარდა სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. მაგრამ ეს

იმას არ ნიშნავს, რომ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხები მოგვწყებული იყო. ძირითად საკვლევ თემასთან მიმართებაში სტამბებისა და წიგნის ბეჭდვის საკითხებზე გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმული არქიმანდრიტ ევგენის ნაშრომში „საქართველოს ისტორიული ასახვა“, პროფ. ალ. ცაგარლის წიგნში „საქართველოს სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე“, ეპისკოპოს კირიონის გამოკვლევაში „ქართული ეკლესიისა და ეგზარხატის მოკლე ხარკვევი XIX საუკუნეში“, პროფ. ალ. ხახანაშვილის „Очерки по исторiи грузинской словестности“, ევგ. ნიკოლაძის „საქართველოს ეკლესიის ისტორიაში“ და სხვ. სამწუხაროდ, რაიმე ახალს ვერც ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ვხვდებით. პირიქით, ზოგიერთ მათგანში წიგნმცოდნეობასთან დაკავშირებული საკითხები ზეპირი, ყურმოკრული ამბების შეპირისპირებითაა განხილული და გამეორებულია ძოძველებული, მცდარი შეხედულებები.

ქართული წიგნის ბეჭდვის საკითხების ნამდვილი მეცნიერული შესწავლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იწყება. ქვეყნდება სპეციალური გამოკვლევები, მონოგრაფიები, სტატიები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დ. კარიჭაშვილის ნაშრომი „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“. მასში მანამდე უცნობ საარქივო მასალებსა და კულტურის მატერიალურ ძეგლებზე დაყრდნობით განხილულია ქართული სტამბების ისტორია და გამოთქმულია მრავალი საგულისხმო მოსაზრება. რაც მთავარია, ამ ნაშრომის ღირსებას ის წარმოადგენს, რომ აქ სტამბებთან ერთად განხილულია წიგნების ბეჭდვის საკითხები, მოცემულია ცნობები ზოგიერთი მესტამბე-გამომცემლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ დ. კარიჭაშვილის ნაშრომში დაშვებულია შეცდომებიც. ცალკეული წიგნის გამოცემის თარიღები ზუსტად არ არის განსაზღვრული, ცალმხრივადაა გაანალიზებული ამა თუ იმ მესტამბის ბიოგრაფია და ა. შ. აღნიშნულის მიუხედავად, დასახელებული ნაშრომი დღესაც ინარჩუნებს კომპეტენტურობას.

დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული წიგნის ისტორიის შესწავლის საქმეში პროფ. პ. გუგუშვილს. მან ჯერ კიდევ 1929 წელს გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი „ქართული წიგნი“, რომელშიც სისტემაშია მოყვანილი და მთლიანობაშია განხილულ-გაანალიზებუ-

ლი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია დასაბამიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ასეთი მასშტაბით აღნიშნულ საკითხს ჯერ არავინ შეხებია. ნაშრომში ღრმამეცნიერული დასაბუთებითაა უარყოფილი ძველი მცდარი ტრადიციული შეხედულებანი და თახაძის-დეერობითაა გაშუქებული მანამდე ხელუხლებელი ანდა ნაკლებად შესწავლილი მთელი რიგი საკითხები.

1935 წელს თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა ორი შესანიშნავი გამოკვლევა: აკად. კ. კეკელიძის „ნიკიფორე ირბაქი—ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში“ და აკად. აკ. შანიძის „ქართული სტამბის ისტორიისათვის“. მართალია, პირველ ნაშრომში წამოყენებული მოსაზრება არამცთუ რომში, არამედ საერთოდ იტალიაში ქართული სტამბის ოდესმე არსებობის შესახებ სადავოდ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ეს ნაკლი ოდნავადაც ვერ უკარგავს ღირსებას წიგნს. მასში დიდი მეცნიერული ალღოთია გაშუქებული ქართული წიგნის ბეჭდვის საკითხი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ და ნიკიფორე ირბაქის ცხოვრება-მოღვაწეობა. რაც შეეხება აკად. აკ. შანიძის ნაშრომს, მასში ზედმიწევნითი სიზუსტითაა აღწერილი თბილისში ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული სტამბის ისტორია.

ქართული წიგნმცოდნეობის ისტორიის საკითხების შესწავლამ 1950 წლიდან ინტენსიური ხასიათი მიიღო. ცალკე მონოგრაფიებად გამოიცა ბ. გორდეზიანის „ქართული მხედრული შრიფტი“, შ. კვასხვაძის „ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება (ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი)“, ქრ. შარაშიძის „პირველი სტამბა საქართველოში (1700 — 1722)“; შ. კურდღელაშვილის „ქართული სტამბის ისტორიიდან“, ე. ლორთქიფანიძის „ვახტანგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი“, ა. აბრამიშვილის „ქართული წიგნის საქართველოს ფარგლებს გარეთ ბეჭდვის ისტორიიდან“; პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა ისეთი საყურადღებო ნაშრომები, როგორიცაა აკად. გ. ლეონიძის „ქართული ეროვნული სტამბისათვის“, რუსინელი მკვლევარის ვინჯილი მოლინის „ქართული სტამბის ისტორიიდან“ და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქრ. შარაშიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „პირველი სტამბა საქართველოში (1700—1722)“, რომელიც ვახტანგ VI-ისეული თბილისის სტამბის დაარსებას

ეხება. მკვლევარი ბრმად არ მიჰყვება ერთხელ გატკეპნილ გზას, კრიტიკულად განიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებებს და ფაქტობრივი მასალის მოშველიებით ნათელს ფენს მთელ რიგ გადაუწყვეტელ საკითხებს. ამავე დროს ნაშრომში დეტალური სიზუსტითაა აღწერილ-დახასიათებული აღნიშნულ სტამბაში გამოცემული წიგნები და დადგენილია მათი დაბეჭდვის თარიღები.

მაღალ შეფასებას იმსახურებს აგრეთვე შ. კვასხვაძის ნაშრომი „ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება". მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარის ზოგიერთი მოსაზრება, კერძოდ, ვახტანგისეულ წიგნებში დაბეჭდილი ესტამპ-გრავიურებისა და ცალკეულ კაზმულობათა სტილისტური თავისებურებები და ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის საგამომცემლო მნიშვნელობა ერთობ სუბიექტურადაა ახსნილ-განმარტებული, ამით ნაშრომის ღირსება მაინც არ იბღალება. სხვა რომ არა იყოს რა, იგი ძველი ნაბეჭდი წიგნების მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების, ანუ საერთოდ ქართული გრაფიკული ხელოვნების შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

ვახტანგ VI-ის სტამბის ისტორიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას ეძღვნება შ. კურდღელაშვილის, ბ. გორდეზიანისა და ე. ლორთქიფანიძის ზემოდასახელებული ნაშრომებიც. მათში ბევრი რამ ახლებურადაა დანახულ-გაანალიზებული. საგულისხმოა, კერძოდ, ბ. გორდეზიანის მოსაზრება ვახტანგისეული სტამბის შრიფტის მაღალაძის კალიგრაფიის მიხედვით ჩამოსხმის შესახებ, შ. კურდღელაშვილის მიერ თბილისისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სტამბების შედარება-დაპირისპირებიდან გამოტანილი დასკვნები და ე. ლორთქიფანიძის ვარაუდი საქართველოში სასტამბო მოწყობილობათა ჩამოტანის თაობაზე.

მეცნიერული კვლევის სიღრმით გამოირჩევა ა. აბრამიშვილის ნაშრომიც „ქართული წიგნის საქართველოს ფარგლებს გარეთ ბეჭდვის ისტორიიდან". ავტორის მიერ რუსეთის არქივებსა და ძველ გამოცემებში მიკვლეული მასალების განზოგადებით საფუძვლიანადაა შესწავლილი რომსა და მოსკოვში ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. განსაკუთრებით საყურადღებოა მკვლევარის მოსაზრება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ქართული შრიფტის ჩამოსხმის შესახებ. ანგარიშგასაწევია აგრეთვე მისი ვარაუდი თბილისში ვახტანგ VI-მდე სტამბის არსებობაზე.

ქართული წიგნმცოდნეობის შენაძენს წარმოადგენს აკად. გ. ლეონიძისა და ვ. მოლინის გამოკვლევები. მათ მიერ რუმინეთში მოძიებული უცნობი წყაროების შესწავლა-გაანალიზების შედეგად წაძოყენებულ დებულებებს გარკვეული სიცხადე შეაქვთ ცალკეული ბუხდოვანი საკითხების გარკვევაში.

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ და არ მოვიხსენიოთ აკად. ალ. ბარამიძის ნაშრომი „ქართული სტამბის ისტორიიდან (მცირე შენიშვნა ვირჯილ მოლინის წერილის გამო)“ და პროფ. დ. გვრიტიშვილის გამოკვლევა „თბილისის სტამბის ისტორიიდან“, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესწავლის საქმეში. პირველში სრულიად სამართლიანადაა გაკრიტიკებული რუმინელი მკვლევარის ვ. მოლინის დებულება არჩილის მიერ ამსტერდამიდან ქართული შრიფტის ჩამოტანისა და თბილისში 1701 წელს პირველი ქართული სტამბის დაარსების შესახებ, ხოლო მეორეში ასევე კრიტიკულადაა მიმოხილული წიგნმცოდნეობის საკითხებზე დაგროვილი ლიტერატურა და გამოთქმულია მეტ-ნაკლებად საყურადღებო შენიშვნები.

ამრიგად, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. აქედან გამომდინარე, თითქოს საყვედური არ გვეთქმის ჩვენი კულტურის ამ მდიდარი დარგის შეუსწავლელობის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ლიტერატურის აბსოლუტურ უმრავლესობას წითელ ზოლივით გასდევს თ. ჟორდანიასა და ზ. ჭიჭინაძის ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ნაკლი — მარტოოდენ ვახტანგ VI-ის სტამბის ისტორიით შემოფარგვლა, სხვა დანარჩენი კი, როგორიცაა ვესესვიატსკოეს, მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის, ერეკლე II-ის, მოზდოკის, ქუთაისის, წესისა და საწერეთლოს სტამბები, ყურადღების მიღმაა დარჩენილი. კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი ამ სტამბებში გამოცემული წიგნებისა და მესტამბე-გამომცემელთა ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის მხრივ. დაუდგენელია ზოგიერთი ძველი ქართული წიგნის გამოცემის თარიღები და სხვა საკითხები. აღნიშნულმა გარემოებამ გვიკარნახა დაგვეწერა წინამდებარე წიგნი, რათა მცირეოდენი წვლილი მაინც შეგვეტანა ამ დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმის წინ წამოწევაში.

ჩვენი გამოკვლევა ფეოდალური ხანის ქართული წიგნის ბეჭდვის

ისტორიის შესწავლას ისახავს მიზნად. დროის ამ მონაკვეთში მრავალი წიგნი გამოიცა როგორც იტალიაში, ისე რუსეთსა და ჩვენში, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში იმდროისათვის მოქმედი ქართული სტამბების ისტორიას ვეხებით, მხოლოდ მათ გამოცემებს მიმოვიხილავთ, რაც შეეხება უცხოეთში დაბეჭდილ წიგნებსა და იქ მოღვაწე ქართველ მესტამბე-გამომცემელთა ცხოვრება-მოღვაწეობას, ხელუხლებლად ვტოვებთ. ამგვარი არჩევანი იმ მდიდარმა სამეცნიერო ლიტერატურამ განაპირობა, რომელიც აღნიშნული საკითხის ირგვლივ დღეისათვის არსებობს.

მართალია, წინამდებარე გამოკვლევა ფეოდალური ხანის ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას ეხება, მაგრამ ქრონოლოგიური ჩარჩო შეგნებულად დავარღვიეთ. თბილისის, მოზდოკის, ქუთაისისა და სხვა ქალაქებში არსებულ „ქართულ წიგნთა საბეჭდავთა“ გარდა, ვეხებით საჩხერის ანუ საწერეთლოს სტამბის ისტორიასაც. რომლის არსებობაც 1815 წლიდან იწყება. ამგვარი ნაბიჯი შემდეგმა ვითარებამ გადაგვადგმევინა: საკვლევ თემაზე მუშაობისას დავრწმუნდით, რომ საჩხერის სტამბა წარმოადგენდა უშუალო გამგრძელებელს დანარჩენი ძველი ქართული სტამბების ტრადიციისა. მასში დაბეჭდილი წიგნები როგორც თემატურად, ისე მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით ანალოგიურია სხვა გამოცემებისა. ამიტომაც იყო, რომ იგი საკვლევი პერიოდის ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვაქციეთ.

დაბოლოს, კიდევ ერთი გარემოების შესახებ. წიგნის ერთ-ერთი ძირითადი თავია „მესტამბე-გამომცემლები“. მასში შესწავლილი გვაქვს მხოლოდ იმ პირთა ცხოვრება-მოღვაწეობა, რომლებიც ძველი ნაბეჭდი წიგნების საგამომცემლო მონაცემებში იხსენიებიან. მაგრამ ამ პრინციპიდანაც გადავუხვიეთ. სახელდობრ, იმ დიდი დამსახურების მიუხედავად, რომელიც არჩილ II-ს, ვახტანგ VI-ს, ბაქარს, ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ს ქართული საგამომცემლო საქმიანობის წინწაწევა-განვითარებაში მიუძღვით, მათი ცხოვრება აქ სპეციალური ძიების საგნად არ გაგვიხდია, რადგანაც ეს საკითხი სხვა მკვლევართაგან საფუძვლიანადაა შესწავლილი. რაც შეეხება ძველი წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეში მათ მიერ გაღებულ წვლილს, ცალკეული თავების სათანადო ადგილებში დეტალურად გვაქვს აღნუსხული.

აი ყოველივე ის, რაც გვინდოდა მკითხველისათვის წინასწარ გვეთქვა.

I

ქართული სტამბები

პირველი ქართული სტამბა

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი ქართული სტამბის დაარსების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ერთი ნაწილი ირწმუნება, თითქოს „უძველესი საბეჭდავი ქართულთა წიგნთა“ თეიმურაზ I-ის მიერ 1626 — 1629 წლებში რომის პაპ ურბან VIII-სთან ელჩად გაგზავნილ, კახეთის სამეფო კარ თან დაახლოებულ სასულიერო პირს ნიკიფორეს ანუ ერისკაცობაში ნიკოლოზად სახელდებულ ირუბაქიძე (ირბაქი)-ჩოლოყაშვილს დაეარსებინოს იტალიაში. ამ მოსაზრებას იზიარებენ, მაგალითად, პროფესორები დ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, აკად. კ. კეკელიძე, მკვლევარები თ. ჟორდანია, დ. კარიჭაშვილი, ა. აბრამიშვილი და სხვები.

მტკიცება რომში ანდა იტალიის სხვა რომელიმე ქალაქში არამცთუ XVII საუკუნის 30-იან წლებში, არამედ საერთოდ ქართული სტამბის არსებობის შესახებ მცდარი და მიუღებელია. ჩვენს ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია, ძველად გამოცემულ ყველა ქართულ წიგნს დართული აქვს ცნობები, სად და როდის დაიბეჭდა იგი, ვინ იყო სტამბის დამაარსებელი და ა. შ. საგამომცემლო მონაცემების ბეჭდვის ეს წესი გავრცელებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპასა და რუსეთში.

არა გვგონია თეიმურაზ I-ის ელჩს ნიკიფორე ირბაქს — ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილს რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა დაეარსებინოს და იქ გამოცემული წიგნის წინა თუ ბოლოსიტყვაო-

ბაში აძის შესახებ არათუ ხაზგასმით, მინიშნებით მაინც არა ეთქვას რა.

ერთი მხრივ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნ. ირბაქმა მართლაც დაარსა რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა, რომელშიც 1629 წელს დაბეჭდილი წიგნის საგამომცემლო მონაცემებში თავმდაბლობა-მოკრძალების გამო არ მოიხსენია თავისი ღვაწლი ამ დიდ ეროვნულ საქმეში და ამ მხრივ მისი დამსახურების სამზეუროზე გამოტანა შემდგომი თაობის ჟამთააღმწერელთ მიანდო, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანისათვის ოდნავ სარწმუნო საფუძველიც კი არ გაგვაჩნია. ამას მოწმობს ასეთი ფაქტიც:

1629 წელს რომში გამოცემული „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ თავფურცელზე ვკითხულობთ: „ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლინისაგან, ქართველის წმ. ბასილის ბერის ნიკიფორე ირბახის დახმარებით. სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების მისიონერთათვის. რომში“[1].

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ მისიონერ სტეფანე პაოლინის შეუდგენია ნიკიფორე ირბაქის დახმარებით. თუკი ვატიკანის კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახურებმა ლექსიკონის შედგენაში გაღებული წვლილი არ დაუკარგეს ნიკიფორე ირბაქს, ყოვლად წარმოუდგენლად მიგვაჩნია დუმილით აეცილოთ გვერდი მისი ღვაწლისათვის ისეთ დიდ საქმეში, როგორიც სტამბის დაარსებაა.

მაშასადამე, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ნიკიფორე ირბაქის დროს და არც მის შემდეგ იტალიაში ქართული სტამბა არ არსებობდა. მართალია, 1629 წელს სტეფანე პაოლინის მიერ ნიკიფორე ირბაქის დახმარებით გამოცემული „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, 1641 წელს დაბეჭდილი დ. ტულუკაშვილის „საქრისტიანო მოძღვრება“, 1643 წელს მაჯიო ფრანცისკო-მარის მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“, 1797—1800 წლებში გ. ბაგინაშვილის მიერ გამოქვეყნებული „ქრისტიანობის დოქტრინა“ დაბეჭდილია რომში, მაგრამ არა ქართულ, არამედ იტალიურ სტამბაში, სადაც ნიკიფორე ირბაქის შეწევნით დაუმზადებიათ ქართული შრიფტი. ამას ადასტურებს ზემოდასახელებული წიგნების თავფურცლები, რომლებშიც ნათქვამია: და-

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 1.

ბეჭდა „რომში, სარწმუნოების გამავრცელებელ სასულიერო საზოგადოების სტამბაში... უფროსთა ნებართვით“ [1].

ასევე მცდარ, მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებულ აზრს ავითარებს ზოგიერთი მკვლევარი XVIII საუკუნის დამდეგისათვის რუსეთში ქართული სტამბის არსებობის შესახებ. მათი გადმოცემით, იმერეთის ძნელბედობის პერიოდში სამშობლოდან რუსეთში ლტოლვილ არჩილ II-ს 1703 — 1705 წლებში თითქოს მოსკოვში დამოუკიდებელი ქართული სტამბა დაუარსებია. ეს მოსაზრება ყველაზე რელიეფურად მკვლევარ ა. აბრამიშვილს აქვს გამოთქმული. იგი თავის ნაშრომში «Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии» ამბობს: «Основателем первой грузинской типографии в Москве, был грузинский царь Арчил»[2].

ა. აბრამიშვილს არამცთუ საეჭვოდ არ მიაჩნია აღნიშნულ პერიოდში მოსკოვში ქართული სტამბის არსებობა, არამედ მკითხველს არჩილის მიერ მისი საძირკვლის ჩაყრის „ზუსტ“ თარიღსაც კი სთავაზობს. იგი აცხადებს: «Арчиловская типография была открыта в Москве не в 1705, а в 1703 — 1704 гг., иначе она не смогла бы напечатать к 19 марта 1705 г. Псалтырь объемом в 268 страниц» [3].

ქართული წიგნის ბეჭდვის საქმემ რომ იტალიიდან რუსეთში, კერძოდ მოსკოვში, გადმოინაცვლა, ჩვენ ეს საეჭვოდ არ მიგვაჩნია. ისიც სწორია, რომ 1705 წელს არჩილ II-ის ინიციატივით დაიბეჭდა „დავითნი“, მაგრამ რაც შეეხება მოსაზრებას აღნიშნულ პერიოდში მოსკოვში ქართული სტამბის არსებობის შესახებ, რასაც ესოდენ დაბეჯითებით იცავს ა. აბრამიშვილი, სადავოდ უნდა ჩაითვალოს.

მოსკოვში არჩილ II-ის მიერ 1703 — 1705 წლებში ქართული დამოუკიდებელი სტამბის დაარსების გასამართლებლად ა. აბრამიშვილი ვერც ერთ სარწმუნო წყაროს ვერ ასახელებს. თავის მოსაზრებას იგი ძირითადად 1703 წლის 2 ივლისს არჩილ II-ის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ თ. გოლოვინისადმი გაგზავნილ ცნობილ წერილზე აგებს, რომელიც, ვფიქრობთ, ამჯერად საიმედო არგუმენტად ვერ გამოდგება და აი რატომ:

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 1.

[2] Книга, исследования и материалы, сборник III, 1960, М., стр. 268.

[3] იქვე, გვ. 274.

არჩილი დასახელებულ წერილში თ. გოლოვინს სთხოვს: „При сем вашей милости доношу прошение мое... донесп державнейшему, добы повелел в своей царской типографии на нашем языке несколько книг церковных напечатать»[1].

ჩვენი აზრით, არჩილ II-ის ეს წერილი კი არ ამაგრებს ა. აბრამიშვილის პოზიციას 1703 — 1705 წლებში მოსკოვში ქართული სტამბის არსებობაზე, არამედ პირიქით, ეწინააღმდეგება და ჩიხში აყენებს მკვლევარს. ამ წერილით არჩილი თ. გოლოვინს სთხოვს უშუამდგომლოს იმპერატორის წინაშე, რათა ნება დართონ სახაზინო სტამბაში რამდენიმე წიგნის დაბეჭდვისა და არა დამოუკიდებელი ქართული სტამბის დაარსებისა. როგორც ა. აბრამიშვილი თვითონვე აღნიშნავს, არჩილის თხოვნა შეუწყნარებიათ და ნება დაურთავთ მისთვის 1705 წლის 19 მარტს სახაზინო სტამბაში „დავითნი" დაებეჭდათ.

მოსკოვში არჩილის მიერ სტამბის დაარსებაზე ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოთქმული ისტორიკოს დ. კარიჭაშვილს. იგი განმარტავს: „არჩილი, იმერეთის მეფე, პოეტი და მწიგნობრობის დიდი მოტრფიალე, იყო ერთი იმ პირთაგანი, რომელნიც მონდომებულნი იყვნენ ქართული სტამბის გამართვას. მაგრამ მისმა წამდაუწუმ სამეფო ტახტზე ასვლამ და წამდაუწუმვე ტახტითგან ჩამოგდებამ, ხელი არ შეუწყო მას თავის გულითადი სურვილი გაეხორციელებინა. მხოლოდ როდესაც სრულებით თავი დაახება სამეფო ტახტს და საქართველოდგან რუსეთს გადასახლდა, პოლიტიკურს დავიდარაბას მოშორებული, შეუდგა თავის დიდიხნის სურვილის განხორციელებას მოსკოვში. აქ მან გააკეთებინა ხუცური ასოები, გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან ნებართვა და 1705 წელს სახელმწიფო სტამბაში დააბეჭდვინა დავითნი" [2].

იქვე დ. კარიჭაშვილი დასძენს: „არჩილის ხელთნაწერები, შრიფტი და სტამბის იარაღი დარჩა მის ქალს დარეჯანს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. მეოცდაათე წლებამდე არჩილის დატოვებული სტამბის მოწყობილობა ხელუხლებელი დარჩა, ვიდრე არ გაჩნდნენ მოსკოვში საქართველოდგან გადმოხვეწილი სტამბის საქმის მცოდნე პირები, როგორც მაგალითად, მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი და არქიმანდრიტი გერმანე. ესენი დაუახლოვდნენ დარე-

---

[1] Книга, исследования и материалы, сборник III, 1960, стр. 270.

[2] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 45.

ჯანს და ჩააგონეს. მის მამის დანატოვარს სტამბაში წიგნები დაებეჭდვინებინა“ [1].

ამ ორი ამონაწერის შედარებისას თვალში გვხვდება აშკარა შეუსაბამობა. პირველში მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არჩილ II-ს მოსკოვში საკუთარი სტამბა არ ჰქონია. ამას მოწმობს მისივე სიტყვები: მან (არჩილმა) „გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან ნებართვა და 1705 წელს სახელმწიფო სტამბაში დააბეჭდვინა დავითნი“, მეორეში კი სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას გაძოთქვამს. ამაზე მიგვანიშნებს მკვლევარის ცნობა არჩილისეული სტამბის აღდგენის შესახებ.

იბადება კითხვა: თუ არჩილს ვსესვიატსკოეში საკუთარი სტამბა ჰქონდა, როგორც ამას დ. კარიჭაშვილი ირწმუნება, მაშინ რატომღა დაბეჭდა, მისივე განცხადებით, „დავითნი“ სახელმწიფო ანუ სახაზინო სტამბაში და არა თავისაში? ეს მოწმობს, რომ 1703 — 1705 წლებში მოსკოვში არავითარი არჩილისეული სტამბა არ არსებობდა.

სამეცნიერო წრეებში გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს მოსკოვზე ადრე სტამბა თვით საქართველოში, კერძოდ თბილისში, ყოფილა მოწყობილი. მკვლევართა საკმაოდ დიდი ნაწილი მის დაძაარსებლად ისევ არჩილ II-ს თვლის. ა. პლიუშარი თავის „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ წერს: «Первая типография заведена была в Тифлисе во второй половине XVII столетия при царе Арчиле: в ней напечатано было несколько книг церковных. Потом, при Вахтанге VI, были изданы многия духовныя книги церковными литерами, некоторые и гражданскими, как например так называемая эпопея «Барсовая кожа», роман в роде турецкого Гамзе-наме и сказки Мигр-у-Маг»[2].

ეს ცნობა ა. პლიუშარისათვის დ. ერისთავს მიუწოდებია. რომელი წყაროთი ისარგებლა მან ცნობის შედგენისას, გაურკვეველია, მაგრამ სანდო რომ არ უნდა ყოფილიყო იგი, ეს კი ცხადია, რადგანაც „ვეფხისტყაოსანი“ მასში გამზე-ნამეს თურქულ რომანთანაა გატოლებული, ხოლო იქვე მოხსენიებულ, ქართულ ენაზე დაბეჭდილ ვინმე მიგრ-უ-მაგის ზღაპრებს არ იცნობს სამეცნიერო ლიტერატურა.

---

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 48.

[2] Энциклопедический лексикон А. Плюшара, посвященный его величеству государю императору Николаю, т. 15, 1838, стр. 424.

მოსაზრებას თბილისში არჩილის მიერ სტამბის დაარსების შესახებ მტკიცედ იცავს რუმინელი მკვლევარი ვ. მოლინი. იგი აცხადებს: „ვახტანგი ფლობდა სტამბას, რომელიც მან მემკვიდრეობით მეფე არჩილისაგან, თავისი ბიძისაგან მიიღო. ეს სტამბა ჩამოტანილი იყო ჰოლანდიიდან (ამსტერდამიდან). ეს არის ჩვენი დასკვნა საქართველოში წიგნის ბეჭდვის საქმის დაფუძნების ისტორიის შესახებ“ [1]. თავის მოსაზრებას ვ. მოლინი კიდევ უფრო აღრმავებს შემდეგი ნათქვამით: „1686 წლიდან საქართველოს მართავს მეფე არჩილი (ვახტანგის ბიძა), „სახალხო პოეტად“ წოდებული. მას სურს დაბეჭდოს თავისი შრომები, დააკმაყოფილოს მოთხოვნილება წიგნზე. ამისთვის იგი მიმართავს ამსტერდამს, რომელიც ამ მხრივ წინ უსწრებდა ლაიფციგს“ [2].

როგორც ირკვევა, ვ. მოლინის მოსაზრება არჩილ II-ის ძიერ თბილისში სტამბის დაარსების შესახებ აგებულია დასავლეთის ზოგიერთი მეცნიერის დაუსაბუთებელ ცნობებზე. იგი წერს: ცალკეულ მკვლევართა დასკვნით, ქართული წიგნების ბეჭდვა „დაახლოებით 1700 წლებიდან ივარაუდება. ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი ისტორიოგრაფი ბეჭდვის დარგში კარლ ფაულმანი გამოთქვამდა აზრს, რომ 1701 წელს საქართველოში დაიბეჭდა დავითნი... ასეთივე აზრისა იყო დიდი რუმინელი ისტორიოგრაფი ჯორჯე იონესკუ, რომელიც ბეჭდვის წარსულს. იგი წერდა: „1701 წელს თბილისში დაბეჭდილი დავითნი მიუთითებს, რომ სასტამბო ხელოვნება ამ მხარეში არსებობდა XVII საუკუნეში“ [3]. ამის შემდეგ ვ. მოლინი ასკვნის: „თუ ეს სწორია, იგი უსათუოდ არჩილის მიერ ჰოლანდიიდან ჩამოტანილი იქნებოდა“ [4].

რუმინელი მკვლევარი კიდევ უფრო შორს მიდის. იგი არა მარტო იცავს თბილისში არჩილისეული სტამბის არსებობას, არამედ ჰიპოთეზასაც კი გვთავაზობს, თითქოს ცნობილ მწიგნობარს, ძირმდგომობით ქართველ ანთიმოს ივერიელს ბეჭდვის ხელოვნება ამ სტამბაში შეესწავლოს [5].

---

[1] ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 9.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ამრიგად, ვ. მოლინი თავის ნაშრომში „ქართული სტამბის ისტორიიდან“ მთელ რიგ საკვანძო საკითხებს ეხება. აქედან ჩვენ მხოლოდ სამ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას: 1. არსებობდა თუ არა ნამდვილად თბილისში არჩილისეული სტამბა; 2. საიდან იყო იგი ჩამოტანილი და 3. შეეძლო თუ არა ანთიმოსს ამ სტამბაში ცოდნის მიღება.

რა შეიძლება ითქვას პირველი საკითხის ირგვლივ?

პროფ. დ. გვრიტიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „რუსინელმა მკვლევარმა საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციები არ იცის... თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მაშინ საქართველო ერთიან სამეფოს არ წარმოადგენდა, არჩილი, იმერეთის მეფე, საშობლოში აღარ იმყოფებოდა, იგი გადახვეწილი იყო რუსეთში“ [1]. აქედან გამომდინარე, მტკიცება 1690 — 1691 წლებში არჩილის მიერ სტამბის თბილისში დაარსების შესახებ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

ვერც ვ. მოლინის მეორე მოსაზრება — ჰოლანდიიდან თბილისში სტამბის ჩამოტანა უძლებს კრიტიკას. არჩილ II რომ რუსეთში საბოლოოდ დასახლებამდე დაინტერესებული ყოფილა სტამბის დაარსებითა და ქართული წიგნების ბეჭდვით, ეს ეჭვს გარეშეა. იგი ჯერ კიდევ 1686 წელს მოსკოვში ყოფნისას გასცნობია თავისი დროისათვის დიდად განათლებულ შვედ იოჰან გაბრიელის ძე შპანგერფელდს, რომლის დახმარებითაც ამსტერდამში ნ. კისისათვის რამდენიმე სახეობის ქართული შრიფტი შეუკვეთია. დღემდე შემონახულ ი. შპანგერფელდის ცნობაში ვკითხულობთ: «В мое время в Имерети, части Гуржистана царствовала фамилия Багратионов, и царя Арчила, который был изгнан и бывал преследуем как Турцией, так и Персией, знал я в Москве. Перед отъездом он подарил мне халат, я же взамен заказал для него грузинский шрифт в Амстердаме Кису [2]».

მკვლევარი ა. აბრამიშვილი ირწმუნება, რომ ი. შპანგერფელდი იცნობდა აგრეთვე არჩილ II-ის ვაჟს, იმპერატორ პეტრე I-ის ყრმობის მეგობარსა და რუსეთის არმიის პირველ ფელცეხმაისტერს ალექსანდრეს. მისი განცხადებით, შვედების მიერ ტყვედ ჩაგდე-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, 1968, გვ. 255.

[2] Книга, исследования и материалы, сборник II, 1960, стр. 272.

ბული ალექსანდრე 1703 წელს მამამისს სტოკჰოლმიდან სწერდა: «Типы на нашем языке уже с давних пор готовы, но отсылать не смею, боюсь не пропали бы»[1]. ყოველივე ამის შემდეგ ა. აბრამიშვილი ასკვნის: «Спешно изготовленные в 1686 — 1687 гг. грузинские литеры не были своевременно получены. Заказывая эти шрифты, Арчил имел ввиду открыть типографию не в Москве, а в Грузии. Но в 1699 г. он навсегда переехал в Москву и возобновил прежде начатое дело»[2].

თუ 1703 წლამდე სტოკჰოლმიდან ქართული შრიფტი გამოგზავნილი არ იყო, მაშინ როგორ შეგვიძლია «Полагать, что Арчил еще до приезда в Россию имел небольшую типографию в самой Грузии», როგორც ამას ა. აბრამიშვილი წერს[3]. არჩილ II-ს არც თბილისსა და არც მოსკოვში საკუთარი სტამბა არ დაუარსებია. გამორიცხული არ არის, რომ მას ამის განზრახვა ჰქონდა, რასაც მის მიერ ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების შეკვეთა მოწმობს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ წადილის აღსრულების საშუალება არ მისცა.

თავისთავად ცხადია, რაკი არ არსებობდა თბილისში არჩილისეული სტამბა, მესამე საკითხი — ვ. მოლინის ვარაუდი ანთიმოს ივერიელის მასში დაოსტატების შესახებ უნდა მოიხსნას.

ახლა გავარკვიოთ, რა ბედი ეწია ამსტერდამში ნ. კისის მიერ დამზადებულ შრიფტს.

სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულია 33×21 სმ. ზომის ქაღალდზე ამოღებული სასინჯი შრიფტების ანაბეჭდი. ხომ არ წარმოადგენს ეს დოკუმენტი არჩილის დაკვეთით ნ. კისის მიერ ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტების ნიმუშს? მკვლევართა უმეტესი ნაწილი ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა. რაკი ცნობილია, რომ ნ. კისის ხშირი მიმოწერა ჰქონდა მოსკოვში ი. შპანვერფელდთან და არჩილ II-ესთან შრიფტების დამზადების თაობაზე, ამასთან ისიც ვიცით, რომ 1687 წ. ი. შპანვერფელდი ტოვებს მოსკოვს და სტოკჰოლმს მიემგზავრება, 1688 წ. არჩილიც საქართველოში ჩამოდის იმერეთის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად, ხოლო 1689 წ. ნ. კისი ამსტერდამიდან სამშობლოში — რუმინეთში გადადის საცხოვრებლად, ისინი ფიქრობენ, რომ ეს უკანასკნელი ახლა შვეციაში დაბრუნებულ

[1] Книга, исследования и материалы, Сборник III, 1960, стр. 273.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 270.

ი. შპანვერფელდთან ამყარებს წერილობით კავშირს, რის შედეგადაც უნდა მოხვედრილიყო სტოკჰოლმში ქართული სასინჯი შრიფტების ანაბეჭდი.

ეს ვერსია სწორი არ არის. როცა ნ. კისი ი. შპანვერფელდს ანაბეჭდებს მოსკოვში უგზავნიდა, ამას თავისი გამართლებაც ჰქონდა. არჩილს მასში სათანადო შესწორებები შეჰქონდა, რის მიხედვითაც რუმინელი ოსტატი თანდათან ხვეწდა და სრულყოფდა დასამზადებელ შრიფტს. ი. შპანვერფელდს ამ მხრივ არჩილის მაგივრობის გაწევა არ შეეძლო. ამიტომ მისთვის სტოკჰოლმში ანაბეჭდების გაგზავნას არავითარი აზრი არ ჰქონდა. თუკი გაგზავნა იყო, ნ. კისი არჩილისაგან გასამრჯელოს მიუღებლობის შემთხვევაშიც კი ი. შპანვერფელდს უპირველეს ყოვლისა თავად შრიფტს გაუგზავნიდა, რადგანაც სამშობლოში წასვლას აპირებდა. ეს კი 1989 წლამდე — ნ. კისის მიერ ამსტერდამის დატოვებამდე უნდა მომხდარიყო. ბუნებრივია, რომ თავის მხრივ ი. შპანვერფელდი ამ შრიფტს მოსკოვში გააგზავნიდა. სინამდვილეში ყველაფერი რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არჩილ II 1705 წლის „დავითნზე" ადრე სხვა რომელიმე წიგნს დაბეჭდავდა. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნ. კისის სტოკჰოლმში ი. შპანვერფელდისათვის არც შრიფტი გაუგზავნია და არც ანაბეჭდი.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი. ნ. კისის ი. შპანვერფელდისათვის ანაბეჭდი რომ მართლა გაეგზავნა, იგი სამეფო ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდებოდა დაცული, რადგანაც მას არავითარი ოფიციალური დოკუმენტის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამასთანავე, სტოკჰოლმში შემონახულ ანაბეჭდ ფურცელზე ალფავიტის მიხედვით განლაგებული დიდი და პატარა ზომის ასომთავრული სახათაურო შრიფტების ქვეშ მოთავსებულია წვრილი ნუსხურით აწყობილი ორი ნაწყვეტი „სახარებიდან"—„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა" და „ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ". ეს ტექსტები იმდენად დაზღვეულია შეცდომებისაგან, რომ დაუჯერებელია ისინი ნ. კისის ეკუთვნოდეს. ეჭვს გარეშეა, მათ აწყობაში ქართველი კაცის ხელი ურევია.

ზემოაღნიშნული მოტივები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულ ანაბეჭდს ნ. კისის მიერ ამსტერდამში დამზადებულ შრიფტთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ახლა კონკრეტულად გავცეთ პასუხი კითხვას, თუ რა ბედი ეწია

ამსტერდამულ ქართულ შრიფტს. ამისათვის გავიხსენოთ 1687 წ. 17 იანვარს ნ. კისის მიერ მოსკოვში გაგზავნილი წერილი. მასში იგი ი. შპანვერფელდსა და არჩილს ატყობინებს, რომ წვრილი ზომის ნუსხური შრიფტი მხოლოდ ნახევარი აქვს დამზადებული. ჩანს, ისე გაემგზავრა სამშობლოში, რომ წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვეღარ მოასწრო და შრიფტის ის ნაწილი, რომელიც მზად ჰქონდა, ამსტერდამში დარჩა.

რაღა შეიძლება ითქვას სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში შემონახულ ანაბეჭდზე? იგი იმ ქართველი კაცის შემწეობით ადგილზევე დამზადებული სრულიად ახალი შრიფტის ნიმუშია, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ზემოხსენებული „სახარების“ ტექსტების აწყობა-ჩასწორებაში. ეს კაცი კი 1700 წ. შვედების მიერ ტყვედ ჩაგდებული არჩილის უფროსი ვაჟი ალექსანდრეა. ამას მოწმობს ერთი დოკუმენტი— კანცელარიის კოლეგიუმის 1703 წ. 29 ოქტომბრის სხდომის ოქმი, რომელშიაც ნათქვამია: „თარჯიმანმა ლინდმა წარუდგინა კოლეგიუმს ერთი შეკვრა ტიპები, რომელიც ტყვე პრინცმა, მილეთელმა, ქართული ენის ზოგიერთი ასოსთვის დაამზადებინა. წარმოდგენილია აგრეთვე მათი გადმონაბეჭდი — მოსკოვში გადაგზავნის ნებართვის მიღების სურვილით“ [1]. აი სწორედ ეს „გადმონაბეჭდია“ დაცული სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში „ქართული სასინჯი შრიფტების“ ანაბეჭდის სახელწოდებით. ამავე დოკუმენტით ნათელი ხდება აგრეთვე, თუ საიდან, როგორ და რატომ მოხვდა ანაბეჭდი სამეფო ბიბლიოთეკაში.

კოლეგიუმს ალექსანდრეს მიერ აღძრული საკითხი ვერ გადაუწყვეტია და იგი ზემდგომი ორგანოსათვის — უმაღლესი საბჭოსათვის გადაუცია განსახილველად. დართეს თუ არა ალექსანდრეს შრიფტის მოსკოვში გაგზავნის ნებართვა, დოკუმენტურად არ დასტურდება, ის კი ეჭვმიუტანლად ირკვევა, რომ 1705 წლის „დავითნი“ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ანაბეჭდისეული შრიფტით აწყობილი არ არის. ეს აზრი უფრო ადრე პირადი დაკვირვების შედეგად ქრ. შარაშიძემ გამოთქვა [2]. მისი მოსაზრების სისწორე ცხადყო ჩვენი თხოვნით იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ს. ხარაზიშვილის მიერ

[1] კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის შრომები, წ. III, 1937.

[2] იქვე, გვ. 21.

სპეციალურად ჩატარებულმა კრიმინალურ-ლაბორატორიულმა გამოკვლევამ. აღსანიშნავია, რომ იგივე დაგვიდასტურა აკად. აკ. შანიძემ.

ისე რომ 1705 წლის „დავითნის“ შრიფტის დამზადების საკითხი ჯერჯერობით დაუდგენელი რჩება.

ამჯერად ისევ თბილისის სტამბის შესახებ.

XVIII საუკუნის დამდეგისათვის თბილისში სტამბის არსებობაზე საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული მრავალი შრომის ავტორს პ. კარბელაშვილს. იგი თავის გამოუქვეყნებელ „ქართლ-კახეთის ქრონიკებში“ აღნიშნავს: „1705 წ.... კათალიკოზმა დომენტიმ თბილისში გამართა სტამბა, დაბეჭდა ოდიკი, დავითნი“ [1]. მკვლევარი მარტო ამ ცნობის ფიქსირებით როდი კმაყოფილდება. იგი შემდეგში უფრო ვრცლად ეხება აღნიშნულ საკითხს და განმარტავს: დომენტი III კათალიკოსი „ძე ლევანისა და ძმა ვახტანგ VI სჯულის მდებლისა... პატარაობიდანვე სუსტი აგებულებისა იყო; 1689 წელს იერუსალიმში ჯვარის ქართველთა მონასტერში მყოფი (პატრიარქ დოსითეოსს გაჰყვა) ახალგაზრდა დომენტი პატრიარქმა დოსითეოზმა იეროდიაკონად აკურთხა, გახდა აქ ავათ და მხოლოდ მონასტრის ძმათა თავგამოდებულმა მოვლამა და ყურისგდებამ გადაარჩინა სიკვდილსა. აქ დომენტი დაუმეგობრდა სტამბის გამგეებს, შეისწავლა წიგნის ბეჭდვის საქმე და თან წამოიღო ზოგიერთი რამ საჭირო მოწყობილობა სტამბისა; ნატრობდა დღე და ღამ როდის ეღირსებოდა თავის სამშობლოში სტამბის გახსნასა, რომ ხელნაწერ წიგნთა მაგიერ დაბეჭდილი წიგნები ეხმარათ... მოვიდა სამშობლოში გახარებული, ძაგრამ შინაურ და გარეულ მტერთა მძლავრებამ ახლა რუსეთისაკენ გაამგზავრა არჩილთან ერთად. ამიტომ მხოლოდ 1704 წელს მოახერხა ეზრუნა რამე სტამბაზედ. თავი მოუყარა მწერალ-მწიგნობართა, შეჰკრიბა მრავალნი წიგნნი, გახსნა ყრმათა სასწავლო სკოლა და სხვა. 1705 წ. არჩეულ იქნა კათალიკოზად და შეუდგა სტამბის გამართვას. ამ სასიქადულო საქმეში წინ გაუძღვა დომენტის გონება გაბრწყინვებული მეფე ვახტანგ VI და მეორე წელსვე სტამბა მზად იყო“ [2].

---

[1] საქართველოს ცენტრალური არქივი, პ. კარბელაშვილის არქივი, „ქართლ-კახეთის ქრონიკები“, გვ. 3. ეს ნაშრომი მანქანაზე გადაბეჭდილი გასაცნობად გადმოგვცა პროფ. ა. იოსელიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[2] პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1904, გვ. 131.

პ. კარბელაშვილი თავის ნაშრომში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ კვლავ დაბეჯითებით იმეორებს დომენტი კათალიკოსის მიერ თბილისში სტამბის დაარსების შესახებ ნათქვამს და იმისათვის, რომ იგი უფრო სარწმუნო გახადოს, სათანადო საბუთსაც იშველიებს. ეს არის, მისი განცხადებით, ამავე სტამბაში 1707 წელს დაბეჭდილი „ოდიკის“ „ხუცური ასომთავრული ჩართულით“ შესრულებული შემდეგი წარწერა: „შესაწირავი საღმთო და სამღვდელო შეწირული... სანატრელისა კათალიკოზის მიერ ქორონიკონსა ტჟე (1707). ჩვენ ძირმოდგმით ღვთივ გვირგვინოსანმან, მეფეთაგან აღმოცენებულმან ძის ძემან მეფის ვახტანგისამან და ძემან ლევანისამან, ბატონის შვილმან ვახტანგ მოვიხვენ ბეჭედი ესე ოდიკისა წ-ისა ქალაქისა იჰერუსალიმისა სანატრელისა პატრიარქის დოსეთეოსის მიერ შესანდობლად ცოდვათა ჩემთა“ [1].

სანამ პ. კარბელაშვილის მიერ მოტანილ წარწერაზე რაიმეს ვიტყოდეთ, გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს თავად „ოდიკი“. კათალიკოს კ. ცინცაძის განმარტებით, იგი „არის აბრეშუმის ან ტილოს ოთხკუთხედი, რომელზედაც გამოხატულია შუა ადგილას იესო ქრისტეს საფლავად დადება, ხოლო კუთხეებში მახარებლები, და იმექონება წარწერა, თუ როდის არის იგი დამზადებულ-ნაკურთხი...

ოდიკის წარმოშობის ისტორია ასეთია: პირველ (1 — 3) საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანები წარმართთა შიშისა გამო ღვთისმსახურებისათვის იკრიბებოდნენ მაღაროებსა და გვირაბებში, სადაც დაკრძალული იყო სარწმუნოებისათვის წამებულნი, მათ საფლავების ფიცარზე ასრულებდნენ საღმრთო ლიტურღიას (წირვას). ქრისტიანობის ნებადართულ სარწმუნოებად გამოცხადების (312 წ.) შემდეგ, მორწმუნეებმა იწყეს ტაძრების შენება, რომლებშიაც გადმოასვენებდნენ ხოლმე მოწამეთა ნაწილებს (ხანდისხან მთლიან გვამსაც) და ათავსებდნენ ტრაპეზის (მაგიდა, სტოლი) ქვეშ. საჭიროებამ მოითხოვა, რომ წირვა შესრულებული ყოფილიყო მოძრავ ტაძრებში, მაგალითად, ომიანობის დროს კარავში, ხომალდის ანძაზე, ღია ადგილას და ა. შ. ამისთანა შემთხვევაში უძრავ ტაძრების მაგივრად ხმარობდნენ ოდიკს (მოძრავ ტრაპეზს)“ [2], მაშასადამე, „ოდიკი“ წარმოადგენს

---

[1] პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1904, გვ. 133.

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის არქივი, № 119, ფ. 1 — 2.

ნივთს, რომლის გარეშეც ქრისტიანული საეკლესიო წესის თანახმად ლიტურგიის შესრულება აკრძალულია.

დღეისათვის ორი სახის „ოდიკია“ ცნობილი — ხელით ნაკეთები და სტამბურად დამზადებული. ვახტანგ VI-ისეული „ოდიკი“ მეორე სახისას მიეკუთვნება. პ. კარბელაშვილის გარდა, იგი აღწერილი აქვს 1914 წელს ისტორიკოს მ. ჯანაშვილს [1], ხოლო უფრო მოგვიანებით — კათალიკოს კ. ცინცაძეს [2]. ამ უკანასკნელს მისი დაბეჭდვის შესახებ ბუნდოვანი მოსაზრება აქვს გამოთქმული. იგი ყურადღებას ამახვილებს პ. კარბელაშვილის მიერ დამოწმებულ წარწერაში ნათქვამ შემდეგ სიტყვებზე: მე „ბატონისშვილმან ვახტანგ მოვიხვენ ბეჭედი ესე ოდიკისა წმიდისა ქალაქისა იჰერუსალიმისა სანატრელისა პატრიარქისა დოსითეოსის მიერ“ და დასძენს: „ამ წარწერიდან არ ჩანს გარკვევით: ოდიკის „ბეჭედია“ შეძენილი (მოვიხვენ) 1707 წელში, თუ ოდიკის წარწერაა გაკეთებული აღნიშნულ დროს. თუ დაუჯერებთ დ. კარიჭაშვილს (ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, 68) სტეფანე უნგროელახელი ჩამოვიდა საქართველოში 1706 წელში, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ოდიკი დაბეჭდილია 1707 წელს და იგი პირმშოა ვახტანგის სტამბისა და არა სახარება... ხოლო თუ სტეფახე ეწვია ჩვენს ქვეყანას არა უადრეს 1708 წლისა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ 1707 წელს ვახტანგმა მიიღო „ბეჭედი“ ოდიკისა. პირველ დასკვნას მხარს უჭერს წერტილის დასმა „ქორონიკონსა ტჳე“ შემდეგ, მაგრამ თუ წერტილს დავსვამთ ამ სიტყვების წინ, მივალთ მეორე დასკვნამდე... დოსეთეოს პატრიარქს (1669 — 1707) კლიშე დაუმზადებია საქართველოსათვის“[3].

რატომ ხდის კ. ცინცაძე სადავოდ, „ოდიკის „ბეჭედია“ შეძენილი... 1707 წელში, თუ ოდიკის წარწერაა გაკეთებული აღნიშნულ დროს“? ვახტანგ VI-სეულ წარწერაში ხომ გარკვევითაა ნათქვამი: „ქორონიკონსა ტჳე... ჩვენ ბატონისშვილმან ვახტანგ მოვიხვენ ბეჭედი ესე ოდიკისა“. ეს ნიშნავს, რომ „ოდიკის“ კლიშე ვახტანგს მიუღია (მოვიხ-

---

[1] Каталог предметов церковного музея грузинского духовенства, 1914, стр. 37.

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის არქივი, № 120, ფ. 1.

[3] იქვე, № 119, ფ. 5, 6.

ვენ = მიღებას, შეძენას) 1707 წელს. გასარკვევი იყო არა ის, „ოდიკის“ ბეჭედია შეძენილი 1707 წელს, თუ ვახტანგის წარწერაა გაკეთებული აღნიშნულ დროს, არამედ მთავარი საკითხი — არსებობდა თუ არა 1709 წლამდე თბილისში დომენტი კათალიკოსისეული სტამბა? ამ კითხვაზე კ. ცინცაძე უარყოფით პასუხს იძლევა, რადგანაც „ოდიკის“ დაბეჭდვას იგი უნგროვლახელი მესტამბის საქართველო'ში ჩამოსვლას უკავშირებს.

ამგვარი მოსაზრება ალოგიკურია. თუ 1707 წლისათვის თბილის'ში სტამბა არ არსებობდა, მაშინ, ბუნებრივია, ვახტანგ VI დოსეთეოსს უკვე დაბეჭდილ „ოდიკს“ სთხოვდა და არა კლიშეს. თავის მხრივ არც იერუსალიმის პატრიარქი გამოგზავნიდა საკუთარი ინიციატივით ძარტო „ბეჭედს“, რადგანაც ეცოდინებოდა, რომ სტამბის უქონლობის გამო ქართლის მეფე მას ვერ გამოიყენებდა.

შეიძლება დაისვას მეორე საკითხი: ვახტანგმა „ოდიკის“ კლიშეს დამზადება დოსეთეოსს მართლაც მ. იშტვანოვიჩის საქართველო'ში ჩამოსვლის შემდეგ სთხოვა, რადგანაც საკუთარი სტამბის გამართვის იმედი ჰქონდა ახლო მომავალში. მაგრამ არც ასეთი დასკვნის გაკეთება იქნება სწორი, ვინაიდან უნგროვლახელ ოსტატს, ჯერ ერთი, თავად შეეძლო მისი დამზადება, მეორეც, ეს ხომ შეურაცხყოფდა ვახტანგის მხრივ სტუმარს.

პ. კარბელაშვილისავე განცხადებით, დომენტი კათალიკოსისეულ სტამბაში „ოდიკის“ გარდა დაბეჭდილა აგრეთვე „დავითნიც“. იგი წერს: „იმავე სტამბაში დაიბეჭდა ჯერ დავითნი 1707 წელს, მერე ჟამნი“ [1]. აქ გვინდა ერთი საგულისხმო ამბავი გავიხსენოთ.

დღეისათვის ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს შორის „სახარების“ შემდეგ ქრონოლოგიურად მეორე გამოცემად „დავითნია“ მიჩნეული. კარგა ხანს ამ გამოცემის არსებობა სპეციალისტებისათვისაც კი უცნობი იყო. 1939 წელს მას პირველად მიაკვლია ქრ. შარაშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის საეკლესიო მუზეუმისეულ ფონდში. იგი საკმაოდ დეფექტურია: არ გააჩნია თავფურცელი, აკლია წინა 16 გვერდი, შიდა და ბოლო ფურცლები, რის გამოც, ბუნებრივია, მისი გამოცემის თარიღის დადგენა და მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე სრულ-

---

[1] პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1904, გვ. 133.

ყოფილი წარმოდგენის შექმნა ძნელია. ამის მიუხედავად, ქრ. შარაშიძე მის მიერ მიკვლეული „დავითნის“ დაბეჭდვას 1709 წლით ათარიღებს. 1941 წელს გამოცემული „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში ამ მოსაზრებას იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: „რომ ეს წიგნი ვახტანგის სტამბის 1709 წლის დავითნია, ამას შოწმობს: 1. შედარება 1709 წლის სახარებასა და სამოციქულოსთან და ამ სამი გამოცემის შრიფტისა და შემკულობის სრული იგივეობის დადგენა 2. შედარება ვახტანგის სტამბისავე დავითნის მეორე, მესამე და მეოთხე გამოცემებთან და მათ შორის განსხვავების დადგენა. 1711 წლის დავითნი დაბეჭდილია არა ნ. ხუცურით, არამედ მხედრული შრიფტით. 1712-სა და 1716 წწ. გამოცემები — საშუალო და წვრილი ნ. ხუცურით.

როგორც ჩანს, ახლად მოწყობილ სტამბას 1709 წელს მხოლოდ მსხვილი ნ. ხუცური შრიფტი ჰქონია მზად და ამ შრიფტით დაუბეჭდიათ როგორც დიდი ტანის სახარება და სამოციქულო, აგრეთვე პატარა (13×9) დავითნიც“ [1].

თითქმის იგივეს იმეორებს მკვლევარი 1955 წელს გამოცემულ თავის წიგნში „პირველი სტამბა საქართველოში“. „მეორე წიგნი, რომელიც ვახტანგის სტამბამ 1709 წელს გამოსცა, არის დავითნი“ [2]. თუ პირველი დებულების პირველ პუნქტს „დავითნის“ დაბეჭდვის შესახებ „სახარებისა“ და „სამოციქულოს“ შრიფტებთან შედარების საფუძველზე მკვლევარი ერთგვარად სარწმუნოს ხდის, ამავე დებულების მეორე პუნქტს — „სახარების“, „სამოციქულოსა“ და „დავითნის“ შემკულობათა ანუ მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებათა „სრულ იგივეობას“ ვერაფრით ვერ ასაბუთებს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ამ უკანასკნელმა დეფექტური სახით მოაღწია ჩვენამდე. საერთოდ ძველ ნაბეჭდ წიგნებში თავფურცლები და ბოლო გვერდები მხატვრულად უფრო ჭარბადაა გაფორმებული. უნივერსიტეტში დაცულ „დავითნის“ ერთადერთ ცალს კი სწორედ ესენი აკლია. ამიტომ, სანამ მიკვლეული არ იქნება სრულყოფილი ცალი, ამ გამოცემის მხატვრულ-ტექნიკურ ღირსება-ნაკლოვანებებზე რაიმე აზრის დაბეჯითებით გამოთქმა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, შედარების მეთოდი,

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 12.

[2] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 57.

რომელსაც ქრ. შარაშიძე იყენებს „დავითნის“ მხატვრულ-ტექნიკური დონის განსაზღვრისათვის, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს.

ასევე ითქმის მკვლევარის მეორე დებულების შესახებ. დღეისათვის ვახტანგის სტამბის 1709 წლის სამი გამოცემაა ცნობილი: „სახარება“, „სამოციქულო“ და „დავითნი“. აღსანიშნავია, რომ საძიებო მათგანი თითქმის ერთნაირი შრიფტით — მსხვილი ნუსხურითაა აწყობილი. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „დავითნი“ აშ სტამბაში დაბეჭდლი რიგით პირველი ან მესამე წიგნია და არა მაინცდამაინც მეორე?

„დავითნი“ „სახარებასთან“ და „სამოციქულოსთან“ შედარებით მცირე ფორმატის წიგნია. იგი მთლიანი ფურცლის $1^{1}/_{16}$ უდრის. მისი ანაწყობის ზომაა 5×8 კვადრატი. წიგნში გამოყენებულია ორი სახის შრიფტი — მთავრული და ნუსხური. ჩვეულებრივი გვერდების თავსართად ვხვდებით ოთხკუთხა და ყვავილოვან ჰორიზონტალურ ორნამენტულ ხაზებს. ტექსტის დასაწყისის პირველი ორი სტრიქონი შეკრილია და თავისუფალ ადგილას ჩაბეჭდილია თავი ასო. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ „დავითნი“ იმ სახით, როგორითაც ჩვენ დღეს იგი ხელთა გვაქვს, „სახარებასთან“ და „სამოციქულოსთან“ შედარებით გაფორმების მხრივ გაცილებით დაბლა დგას. უპირველეს ყოვლისა ამას მოწმობს წიგნის ფორმატისა და ძირითადი ტექსტის შრიფტის შეუსაბამობა. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ „დავითნი“ ერთ-ერთი უველაზე ადრე დაბეჭდილი წიგნია. მკვლევარი შ. კვასხვაძე წერს: „ჩვენის აზრით, „დავითნი“ ვახტანგის სტამბიდან გამოსული ერთი იმ წიგნთაგანია, რომელიც პირველ ნაბეჭდ (ვახტანგის სტამბაში) წიგნებს უნდა მიეკუთვნოს და, ვფიქრობთ, მისი თარიღის ქვედა საზღვარი არა 1709 წლით უნდა განისაზღვროს, არამედ უფრო ადრეული დროით.“ [1]

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შ. კვასხვაძე ცდება და ქრ. შარაშიძის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიკვლეული „დავითნი“ პ. კარბელაშვილის მიერ მოხსენიებულ დომენტი კათალიკოსის სტამბაში 1705 წელს დაბეჭდილი „დავითნია“? იგი რომ ვახტანგის გამოცემული არ უნდა იყოს, ამას მოწმობს

[1] შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1955, გვ. 94.

მისი უძალვე თვალში მოსახვედრი ტექნიკური ნაკლი — წიგნის ფორმატისა და შრიფტის ზომის შეუსაბამობა. ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ისეთ გამოცდილ მესტამბეს, როგორიც ვახტანგის მიერ რუმინეთიდან მოწვეული მ. იშტვანოვიჩ-უნგროვლახელი იყო, ასეთი უცოდინარობა გამოეჩინა.

თბილისში დომენტი კათალიკოსის სტამბის არსებობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე კიდევ ერთი საბუთი. ეს არის არჩილ II-ის მიერ ო. გოლოვინისადმი გაგზავნილი ზევით დასახელებული წერილი, რომელშიც ნათქვამია: გთხოვთ მიშუამდგომლოთ «У государя повеления напечатать в типографии несколько церковных книг на грузинском языке для всеобщего употребления в его отечестве. В Грузии же печатание ограничено по недостатку литер и людей»[1]. ჩანს სტამბა მართლაც არსებულა, თორემ არჩილი არ იტყოდა: «В Грузии же печатание ограничено по недостатку литер и людей». ვინ იცის, იქნებ დომენტი კათალიკოსის სტამბა ჰქონდა მხედველობაში არჩილს, როცა ამ სიტყვებს წერდა?

დაბოლოს, საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ უდავოდ საყურადღებო მინაგნებზე. ეს არის 1954 წელს შ. კვასხვაძის მიერ ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გრაფიკული ხელოვნების შესწავლის დროს მარკოზის გრავიურაზე ამოკითხული თარიღი, რის შედეგადაც მკვლევარმა დაამტკიცა, რომ იგი დამზადებული ყოფილა 1708 წელს. ეს კიდევ უფრო ეჭვმიუტანელსა ხდის რუმინელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩ-უნგროვლახელის საქართველოში ჩამოსვლამდე თბილისში სტამბის არსებობას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მოსაზრებას ერთგვარად აბათილებს ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი ზოგიერთი წიგნის საგამომცემლო მონაცემები. მაგალითად, 1709 წლის „სამოციქულოს“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, ღვთის მოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულის მოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელი აროდეს ყოფილიყო საქართველოში“ [2].

იგივე აზრია გამოთქმული ვახტანგის სტამბაში გამოცემული პირ–

---

[1] Книга, исследования и материалы, т. III, 1960, стр. 269.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 13.

ველი წიგნის „სახარების“ წინასიტყვაობაში: „ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ. პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა“ [1].

რითი უნდა აიხსნას დასახელებული წიგნების საგამომცემლო მონაცემებში დომენტი კათალიკოსის სტამბის არსებობის უარყოფა? ქართველებს ჯაბანი კაცის შესახებ ერთი კარგი თქმა გვაქვს: „გინდა ყოფილა და გინდა არაო“. ჩანს, დომენტი კათალიკოსის სტამბა იმდენად მოუწყობელი და მცირე წარმადობის ყოფილა, რომ მისი არსებობა არარაობად ჩაუთვლიათ ძველ მესტამბე-გამომცემლებს.

ამრიგად, არსებული მასალების შესწავლა-გაანალიზებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ პირველი ქართული სტამბის დაარსების თარიღი 1707 — 1709 წლებიდან 2 — 4 წლით წინ უნდა გადაიწიოს.

ვახტანგ VI სტამბა

XVII საუკუნის მიწურულიდან ქართლის მეფე გიორგი XI — ძმა არჩილ II-სა, ირანში იმყოფებოდა. იგი იქ ავღანელებთან ბრძოლებში შაჰის ჯარებს სარდლობდა და როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი ირანის გავლენიან მმართველ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ დროს ქართლს მისი ძმისწული, ჯანიშინად დაწინაურებული ვახტანგ VI განაგებდა.

ქვეყნის სათავეში ჩადგომისთანავე ვახტანგ VI-მ, სახელმწიფოებრივ-ეკონომიური საკითხების მოგვარებისაგან მოუცლელობის მიუხედავად, მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა ღვთის ანაბარად მიტოვებული კულტურული ცხოვრების ასაღორძინებლად. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მისი ქართლის ნომინალურ მეფედ აღზევების შემდეგ.

ქვეყნის კულტურული დაწინაურების მიზნით ვახტანგის მიერ ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ძლიერი წარმადობის, ევროპულად მოწყობილ-გამართული სტამბის დაარსებისათვის ზრუნვა წარმოადგენდა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან იერუსალიმის პატრიარქის ხრისანთეს შეწევნით რუმინეთიდან მოიწვია ანთიმოს ივერი-

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 9.

ელის ნამოწაფარი, უნგროვლახელი ოსტატი მ. იშტვანოვიჩი და მტკვრის მარცხენა ნაპირას, თავის სასახლის მახლობლად სპეციალურად აგებულ შენობაში სტამბა გაამართვინა. ეს „გახდა ქვაკუთხედად ქართული კულტურული რენესანსისა, რომელიც XVII საუკუნიდან იწყება“[1].

ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობა-გამართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი სადავოდაა გამხდარი. რატომ მოიწვია რუმინეთიდან ქართლის გამგებელმა უნგროვლახელი მესტამბე, ვინ არის იგი, მარტო ჩამოვიდა თბილისში თუ სხვა დამხმარენიც ახლდნენ, სად ჩამოისხა ის შრიფტი, რომლითაც დაიბეჭდა პირველი წიგნები ამ სტამბაში. აი ეს, და კიდევ სხვა საკითხები, რომლებიც დღეს ერთგვარ გარკვევა-დაზუსტებას საჭიროებენ.

პროფ. ალ. ცაგარელი რუმინელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩ-სტეფანეშვილის თბილისში მოწვევას საქართველოსა და უნგროვლახეთის გეოგრაფიული სიახლოვითა ხსნის. იგი წერს: „ჩვენ ვიცით, რომ წიგნთ საბეჭდავი მანქანები კონსტანტინოპოლსა და საბერძნეთში ჯერ არ იყო, მოსკოვი შორს იყო, სხვა არჩევანი არ იყო, ვლახეთიდან უნდა მოეტანათ“[2].

ინგლისელი მკვლევარი მ. გასტერი სრულიად სამართლიანად არ იზიარებს პროფ. ალ. ცაგარელის ამ ე. წ. „გეოგრაფიული სიახლოვის“ თეორიას და თბილისში ახალი სტამბის მოწყობას ცნობილი რუმინელი მოღვაწის, გვარტომობით ქართველი კაცის ანთიმოს ივერიელის სახელს უკავშირებს[3]. უფრო მეტიც, მ. გასტერის განცხადებით, ანთიმოს ივერიელს რუმინეთშიც კი დაუბეჭდავს ქართული წიგნები[4].

მ. გასტერის მოსაზრებას უსიტყვოდ იზიარებს ზ. ჭიჭინაძე[5]. სამწუხაროდ, ვერც ერთი და ვერც მეორე მკვლევარი თავის მოსაზრებას რაიმე ოფიციალური წყაროთი ვერ ადასტურებს.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 78.

[2] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქ. ისტორიიდან, ტ. III, 1968, გვ. 230.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 231.

ანთიმოს ივერიელის ღვაწლსა და დამსახურებას ვახტანგ VI-ის სტამბის გამართვის საქმეში მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე აკად. გ. ლეონიძე. 1951 წელს სლავურ ქვეყნებში მოგზაურობისას რუმინელ კოლეგებს მისთვის უთქვამთ: „ანთიმმა სტამბა მოგვიწყო მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნის დასაწყისში. ხუთი სტამბის ორგანიზატორია იგი რუმინეთში. მთელ საქრისტიანო წინა აზიას მაშინ ჩვენი სტამბით ვკვებავდით. ამ სტამბაში ანთიმი ბეჭდავდა რუმინულ, სლავურ, ბერძნულ და არაბულ წიგნებს. აქვე დაბეჭდა მან ქართული წიგნი და ქართველებს საჩუქრად გამოუგზავნა“ [1].

რუმინელთა ცნობებზე დაყრდნობით გ. ლეონიძე ასკვნის: „მართლაც, შესაძლოა, საქართველოზე მეოცნებეს და ფიქრმღელვარე ანთიმს დაებეჭდა ქართული წიგნი, მაშინ როცა იგი ბეჭდავდა რუმინულ, სლავურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე. განა იგი არ ეცდებოდა ბეჭდვის საქმის ორგანიზაციას მშობლიურ ენაზე?“ [2].

გ. ლეონიძის ცნობით, ის ქართული წიგნი, რომელიც ანთიმოს ივერიელს რუმინეთში დაუსტამბავს და შემდეგ სამშობლოში გამოუგზავნია, „კონდაკი“ ყოფილა. სამწუხაროდ, ამ წიგნის არსებობის შესახებ დღეისათვის ქართული წარმომავლობის არავითარი წყარო არ მოიპოვება. ამაოდ უცდია თავად პოეტსაც დასახელებული წიგნის რაიმე კვალისათვის მიეგნო რუმინეთში. იგი წერს: „დიდის გულის ფანცქალით ვეძებდი ბუქარესტში ანთიმის მიერ სნაგოვში დაბეჭდილ ქართულ წიგნს, მაგრამ იმ მცირე დროში ვერ მივაგენი“ [3].

რუმინეთში ყოფნისას გ. ლეონიძემ მიაკვლია 1709 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი „სახარების“ ეგზემპლარს, რომელშიც ჩაკრული ყოფილა უნგროვლახეთის მთავრის ბრანკოვიანუსა და პატრიარქ ხრისანთეს სამადლობელოდ ქართულ ენაზე შეთხზული ქების ლექსი. იგი ასე იკითხება:

3. პატრიარქსა წიგნი ჰკადრა, საქებელი, არ უწესო:
„უმჯობესო მოციქულო, ქრისტიანეთ მამა, მწყემსო,
მისო მსგავსო, ქრისტეს ძალით ვინც რომ ცეცხლი ვერ დასწვესო,
ერთსა სტამბის ხელოვანსა გთხოვთ, აქ მინდა დავაწესო“.

---

[1] ჟურნ. „დროშა“, 1951 წ., № 2.

[2] იქვე, გვ. 239.

[3] იქვე.

4. თქვა პატრიარქმა ხრისანთემ: „თურმე უცნია მეხია,
ქრისტეს მცნება და დიდება მის გულსა დანათესია,
სწადიან მოციქულობა, ნინოსგან უკეთესია, —
ელახეთს გაგზავნა ჩაფარი, როგორც რიგი და წესია.
5. ელახთა მეფეს შეუთვალა: მაღალო და კარგად ზრდილო,
ქრისტეს სჯულის დამჭირველო, სულიერო ჩემო შვილო,
თქვენცა ნახეთ წიგნი ესე, მართალი და უსაცილო,
სჯულისათვის შესამატი, გინა საქმე სათაკილო?
6. ვახტანგ უხმია მესტამბე, მეფეა ქართლის მპყრობელი,
ქრისტეს ქადაგი მორწმუნე, მტერთაგან შეუპყრობელი,
მიბოძე ერთი ოსტატი, ჰკვიანი მისანდობელი,
გავგზავნო, საქმე შევმატო ქვეყნისა შესამკობელი.
7. მან მეფემან წიგნი ნახა, ყველა ტკბილად გაიგონა,
კაცი იხმო ხელოვანი, თავი არას დაიღონა,
რაც პატრიარქს ქება უთქვამს, ისრე ღირსი არ მეგონა, —
სწრაფად წადი, ემსახურე, თქვა, მეცა ვარ ქრისტეს მონა“.
8. უბრძანა ერთსა ოსტატსა, მუნ ჰყვანდა თანამზრახველად,
გონიერი და ჰკვიანი, მიხაილ ერქვა სახელად:
„წადი, პატრიარქს ეახელ, თვით კარგად გიცნობს ელახელად,
გზასა ნუ შეუზარდები, მამაცად იყავ და ხელად“.
9. პატრიარქმა გამოგზავნა აქ მიხაილ კარგად ზრდილი,
კარგად სტამბის გამომღები, ჰკვიანი და გამოცდილი,
რა მოვიდა, მეფემ ნახა, შეიყვარა ვითა შვილი,
თქვა: „შემიმკობს ქვეყანასა, გაანათლებს, ვითა ცვილი“.
10. რა მიხაილ მეფე ნახა, ჰკადრა: „დიდად გავიხარე,
ვიცი გფარავს ძალა ღმრთისა, მისთვის ნათობ, ვითა მთვარე,
რასაც ბრძანებ, ყველა ძალ-მიც, მე ვარ თქვენი მოსახმარე,
გავამრავლებ საღმრთოს წიგნსა, აივსების ყოველი არე“.
11. „მე ოსტატი რა აქ მოველ და ხელმწიფე ვახტანგ ვნახე,
რაცა ბრძანა, აგრეცა ვქენ, არ ვისევდე, არც იახე,
ქრისტეს დიდი სასწაული ყველა ბეჭდით გამოვსახე,
ჩემი აქეთ გამოგზავნა არც ელახთ მეფეს დაუძრახე.
12. სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი წესები,
ნება მიეცა ქართველთა სულთაგან უამესები,
რიგი შეიქმნა სჯულისა, მეორედ დანათესები,
სხვაც გარდაცელილან მეფენი, რომ ვერ უქნიათ ესები“.
13. მეფეს ტკბილად გაეცინა, რა მიხაილ ესე ჰკადრა,
„საქართველოს შესამატი ამისთანა ვპოვე სად რა?
საქმე ძნელად საშოვნელი ღმერთმან ასრე გამიადრა,
მისი ტკბილი მოწყალება საფარველად გამიჩადრა“.

ვინ არის ამ ლექსის ავტორი, როდის ან სად არის იგი დაწერილი, რა სახით მოაღწია მან ჩვენამდე, გ. ლეონიძე ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ იმისათვის, რომ წინ წამოსწიოს ანთიმოს ივერიელის ღვაწლი ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობა-გამართვის საქმეში,- დასძენს: „ამ პოემიდან მშვენივრად ირკვევა ანთიმის როლი. ვახტახგი სთხოვს სტამბის ხელოვან კაცს სწორედ ანთიმის აღმზრდელს. თავის მხრივ პატრიარქი სწორედ ვლახეთში აგზავნის კაცს, რადგან იქ თავისი აღზრდილი ანთიმი ეგულება, ხოლო საქართველოში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გაიგზავნება თვით ანთიმის მოწაფე მიხაილი“ [1].

გ. ლეონიძე აშკარა მიკერძოებას იჩენს ანთიმოს ივერიელისადმი. იგი თითქოს ერთგვარად ამცირებს მ. იშტვანოვიჩის როლს თბილისის სტამბის განახლების საქმეში, რადგანაც ყოველივე იმას, რაც მისი ხელით გაკეთდა, ანთიმოს ივერიელს მიაწერს. „ირკვევა, რომ ქართული ეროვნული სტამბის დაარსება თბილისში, — აცხადებს გ. ლეონიძე, — ქართველი კაცის ამაგი ყოფილა და არა ვლახი ოსტატისა“[2]. კი, სწორია, სხვა რომ არა იყოს რა ანთიმოს ივერიელის დამსახურებაზე ისიც საკმარისია ითქვას, რომ ვახტანგის სტამბის მომწყობ-გამმართავი მისი ნამოწაფარი მ. იშტვანოვიჩი იყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ლექსში ანთიმოსის შესახებ არამცთუ ხაზგასმით, არამედ მინიშნებითაც კი არაფერია ნათქვამი, მისი სახელიც კი არ არის მოხსენიებული. ამიტომ გ. ლეონიძის ზემოგამოთქმული მოსაზრება ანთიმოს ივერიელის შესახებ ლექსის შინაარსიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მკვლევარის აბსტრაქტულ-სუბიექტური განჭვრეტის ნაყოფია. ამის ნათელსაყოფად მივმართოთ ფაქტებს.

გ. ლეონიძის განმარტება, თითქოს ლექსიდან ჩანდეს, რომ „თავის მხრივ პატრიარქი სწორედ ვლახეთში გზავნის კაცს, რადგან იქ თავისი აღზრდილი ანთიმი ეგულება“, სწორი არ არის. სინამდვილეში იერუსალიმის პატრიარქი ხრისანთე ჩაფარს ვლახეთში იმისათვის აგზავნის, რომ იქ იმყოფებოდა მთავრის რეზიდენცია და იჩქაროდა ვახტანგ VI-ის თხოვნა-წერილი დროულად გადასცემოდა ქვეყნის გამგებელს. ლექსის მე-4 სტროფის ბოლო სტრიქონი შემდეგნაირად

---

[1] ჟურნ. „დროშა“, 1951, № 2.

[2] იქვე.

იკითხება: „ვლახეთს გაგზავნა ჩაფარი (პატრიარქმა.—ო. კ.) როგორც რიგი და წესია“, ხოლო მე-5 სტროფში ნათქვამია:

„ვლახთა მეფეს შეუთვალა (ისევ პატრიარქმა. — ო. კ.)
მაღალო და კარგად ზრდილო.
ქრისტეს სჯულის დამკვირველო, სულიერო ჩემო შვილო,
თქვენცა ნახეთ წიგნი ესე (ვახტანგის წერილი. — ო. კ.)
მართალი და უსაცილო,
სჯულისათვის შესამატი, გინა საქმე სათაკილო?“

როგორც ლექსის მომდევნო სტროფებიდან ჩანს, ვლახეთის მთავარს, ბრანკოვიანუს, წაუკითხავს ვახტანგ VI-ის მიერ იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთესათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი დახმარებას სთხოვდა თბილისში სტამბის მოსაწყობად. ბრანკოვიანუს, „ვითარცა დიდმორწმუნე ქრისტიანს“, ყურად უღია ქართლის მეფის მუდარა და მ. იშტვანოვიჩი შეურჩევია მისი თხოვნის აღსასრულებლად. ბრანკოვიანუს ვლახელი ოსტატი ხრისანთესთან გაუგზავნია სათანადო რჩევა-დარიგების მისაღებად, ხოლო ამ უკანასკნელს იგი თბილისში გაუწვესებია სტამბის გასამართავად.

ლექსიდან ნამდვილად არ ჩანს, თუ რა როლი შეასრულა ანთიმოს ივერიელმა ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობაში. მ. იშტვანოვიჩის თბილისში გამოგზავნაც კი მის გარეშე მომხდარა. ამით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ანთიმოს ივერიელის დიდქართველობის საკითხი, მაგრამ არც მისი ღვაწლის სუბიექტური დამფასებელი გვინდა ვიყოთ, რამდენადაც ამას იგი არ საჭიროებს.

თავისებურ შეფასებას აძლევს ანთიმოს ივერიელის დამსახურებას თბილისის სტამბის გამართვის საქმეში ფრანგი მკვლევარი ე. პიკოც. იგი წერს: „ანთიმოსი არ კმაყოფილდება თავის გარშემო სათნოებისა და კეთილი საქმეების მაგალითის მიცემას. მან ყურადღება მიაქცია თავის თანამემამულეებს. მოისურვა მათთვისაც სტამბის მიცემა. აირჩია ერთი ტრანსილვანელი, რომელსაც უწოდებენ მიხეილ სტეფანოვიჩს, და გაგზავნა კავკასიაში“ [1].

თითქმის ასეთსავე აზრს გამოთქვამს ქრ. შარაშიძე. იგი აცხადებს: „ანთიმოს ქართველი ყოველ თავის გამოცემაში იხსენიებს თავს რო-

[1] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, 1968, გვ. 233.

გორც „ძირით. ქართველს"; მაშასადამე, მას თავისი წარმოშობა დაეწყებული არა აქვს. ყოველივე ამის გამო შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ უნგროვლახეთიდან საქართველოში მესტამბის გამოგზავნა ანთიმოსის მხურვალე მონაწილეობის გარეშე განხორციელებულიყოს" [1]. ბოლოს ქრ. შარაშიძე იშველიებს მ. იშტვანოვიჩის საქართველოდან წამოსვლისა და დანიშნულების ადგილას მშვიდობიანად ჩასვლის შესახებ 1713 წლის 6 აპრილს ანთიმოსის მიერ პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილს და ამჯერად უკვე დამაჯერებელი ტოხით დასძენს: „ამ წერილსაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ანთიმოსს უშუალო მონაწილეობა მიუღია მესტამბის გამოგზავნაში, რომ ანთიმოსის მოწაფე მიხაილ მესტამბე საქართველოში გაგზავნილი ყოფილა არა ვლახთა მეფის არჩევანით, როგორც ეს „ქების ლექსის" სტროფებშია წარმოდგენილი, არამედ ანთიმოსის რეკომენდაციით" [2].

სამწუხაროდ, ვერც ფრანგი მკვლევარი ე. პიკო და ვერც ქრ. შარაშიძე თავიანთ მოსაზრებათა განსამტკიცებლად რაიმე სარწმუნო წყაროს ვერ ასახელებენ. ფაქტიურად წერილში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი, თუ ვისი რეკომენდაციით გაიგზავნა მ. იშტვანოვიჩი საქართველოში სტამბის გასამართავად. ამ საკითხზე პასუხი გაცემულია მხოლოდ „ქების ლექსში".

ანთიმოს ივერიელის დამსახურება თბილისის სტამბის მოწყობის საქმეში შემდეგნაირად გვესახება:

როგორც ცნობილია, XVII — XVIII საუკუნეებში თურქეთ-ირანის ექსპანსიისაგან ქრისტიანული ერების შევიწროების შედეგად ახლო ურთიერთობა მყარდება ქართველ მეფეებსა და იერუსალიმის საპატრიარქოს მღვდელმთავრებს შორის. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი კავშირი ჰქონდათ ვახტანგ VI-სა და იერუსალიმის საპატრიარქოს წინამძღვარ ხრისანთეს. მათ შორის საერთო ენის გამონახვაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ბერძნული და ქართული ენების მცოდნე ანთიმოს ივერიელს. სწორედ ამ ახლო ურთიერთობამ გააბედვინა ალბათ ვახტანგ VI-ს შემწეობა ეთხოვა ხრისანთესათვის თბილისში სტამბის გასამართავად.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ გ. ლეონიძის მიერ რუში-

---

[1] ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 89.

[2] იქვე, გვ. 90.

ნეთში მიკვლეული ზემოდასახელებული ლექსის ერთ ადგილზე, კერძოდ, მე-6 სტროფის პირველ ორ სტრიქონზე:

„ვახტანგს უხმია მესტამბე, მეფეა ქართლის მპყრობელი,
ქრისტეს ქადაგი, მორწმუნე, მტერთაგან შეუპყრობელი".

აქ იერუსალიმის პატრიარქი ხრისანთე ვლახეთის მთავარს ბრანკოვიანუს ვახტანგ VI-ს უხასიათებს, ერთი მხრივ, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულ დამცველს, ლექსის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქრისტეს ქადაგს, მორწმუნეს", ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც ქართველი ერის დიდ წინამძღოლს, „მტერთაგან შეუპყრობელს", სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ დაუმორჩილებელ სარდალს. ადვილი შესაძლებელია ეს ცნობები ვახტანგის პიროვნების შესახებ ანთიმოს ივერიელს მიეწოდებინოს ხრისანთესათვის. სავარაუდოა აგრეთვე, რომ თბილისში სტამბის მოწყობის თაობაზე ვახტანგ VI-ის თხოვნის წერილი იერუსალიმის პატრიარქმა უნგროვლახეთის მთავარ ბრანკოვიანუსთან გაგზავნამდე გააცნო ანთიმოს ივერიელს, როგორც გვარტომობით ქართველს. ვახტანგ VI-ის განზრახვით აღტაცებული თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი ანთიმოსიც ენამზეობრივი მშვერმეტყველებით დაუხასიათებდა მას ქართლის მეფის წადილის — თბილისში სტამბის გამართვის მხიშვნელობას ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების პოზიციებიდან. ერთი სიტყვით, თავის მხრივ ცდას არ დააკლებდა, რათა ხრისანთეს ეშუამდგომლა უნგროვლახეთის მთავრის ბრანკოვიანუს წინაშე ვახტანგის თხოვნის დასაკმაყოფილებლად. კიდევ ერთი გარემოება. მართალია, ლექსში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ არა გვგონია ისე წამოსულიყო მ. იშტვანოვიჩი თბილისში, რომ თავისი მასწავლებელი ანთიმოს ივერიელი არ მოენახულებინა და საჭირო რჩევა-დარიგება არ მიეღო მისგან.

ახლა კვლავ ლექსს დავუბრუნდეთ.

მისი ავტორის ვინაობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევარი შ. კურდღელაშვილი, მაგალითად, ლექსის ავტორად ანთიმოს ივერიელს ასახელებს. იგი წერს: ლექსი „არ არის ახალი დაწერილი და არც დაბეჭდილი საქართველოში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მარტოოდენ რუმინეთში დაცული ქართული „სახარების" ეგზემპლარში კი არ უნდა იყოს ცალკე ფურცელზე დაბეჭდილი და წიგნში ჩაკრული, არამედ ჩაბეჭდილი იქნებოდა 1709 წელს თბილი-

სის სტამბაში დაბეჭდილი „სახარების“ მთელ ტირაჟში; ანდა, ხელნაწერი, ან ზეპირი გადმოცემის სახით იქნებოდა ცნობილი ჩვენში“[1]. იქვე შ. კურდღელაშვილი დასძენს: „თბილისში გამოგზავნილ ელასელ მიხაელს ანთიმოზმა არა მარტო სტამბის მოწყობილობანი, არამედ მის მიერ ჩამოსხმული ნუსხა-ხუცური შრიფტიც გაძოატახა, სწორედ ის შრიფტი, რომლითაც, ერთის მხრივ, თბილისის ახლად დაარსებულ სტამბაში 1709 წელს სამი წიგნი „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“ დაბეჭდა; ხოლო მეორეს მხრივ, თბილისის სტამბის პირველი პროდუქციის მიღებით გახარებულმა ანთიმოზმა ამავე შრიფტით ააწყო ზემოთ მოტანილი საკუთარი ლექსი, ცალკე ფურცელზე დასტამბა და მისთვის გადაგზავნილ ქართული „სახარების“ ეგზემპლარში ჩააკერა“[2]. ბოლოს შ. კურდღელაშვილი ასკვნის: „თბილისში გამოგზავნილი პუნსონებით ადრევე რუმინეთში დამზადებული შრიფტკასით (ლიტერები) ანთიმოზ ივერიელს თვითონვე უბეჭდია რუმინეთში და როდესაც მას ვახტანგის სტამბიდან 1709 წელს გამოსული პირველი წიგნი „სახარება“ მიუღია, სწორედ ამ შრიფტით აუწყვია, ცალკე ფურცელზე დაუბეჭდია თავისი „ქების ლექსი“, ჩაუკრავს იგი „სახარების“ აღნიშნულ ცალში და უნგროვლახეთის განმგებლისათვის მიურთმევია“[3].

შ. კურდღელაშვილის მოსაზრებას ლექსის ავტორად ანთიმოს ივერიელის მიჩნევის შესახებ რეალური საფუძველი არ გააჩნია. იგი მხოლოდ მკვლევარის ვარაუდს წარმოადგენს, რაც, პროფ. დ. გვრიტიშვილის თქმისა არ იყოს, ნაკლებ დამაჯერებელ სარწმუნო წყაროდ უნდა ჩაითვალოს[4].

იმისათვის, რომ ცხადვყოთ შ. კურდღელაშვილის სავარაუდო მოსაზრების უსაფუძვლობა ზემოდასახელებული ე. წ. „ქების ლექსის“ ავტორად ანთიმოს ივერიელის გამოცხადების შესახებ, ერთხელ კიდევ მივმართოთ ფაქტებს.

აკად. გ. ლეონიძის მიერ ბუქარესტის სახელმწიფო მეზეუმში მიკვლეული 1709 წელს თბილისის ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭ-

---

[1] შ. კ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 65.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, 1968, გვ. 251.

დილი „სახარების“ ერთადერთ ეგზემპლარში „ქების ლექსის“ გარდა ჩაკრული ყოფილა აგრეთვე ანთიმოს ივერიელის ხელით რუმინულ ენაზე დაწერილი სპეციალური მიმართვის ტექსტი უნგროვლახეთის მთავრის კ. ბრანკოვიანუსადმი. ამ საყურადღებო დოკუმენტში ვკითხულობთ: „ესე წმინდა წიგნი (სახარება) ეძღვნება მაღალს გოსპოდარს. ეს წიგნი ახალი ნაყოფია, რომელიც აღორძინდა ივერიის მიწაზე შენი შეწევნით. და ეს მიწა გამდიდრდა თავისი ბეჭდური სიტყვით, ისევე როგორც გამდიდრდა ბეჭდური სიტყვით არაბეთი, ელადა და უნგროვლახეთი.

როგორც სამოთხიდან გამომდინარეობდნენ მდინარენი ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფრატი, რომლებიც ამდიდრებდნენ მიწას ნაყოფიერებით, მაგრამ ხან ზიანიც მოჰქონდათ, ასევე შენის დახმარებით გაიფურჩქნა სტამბური სიტყვა ამ ოთხს ქვეყანაში, მოჰქონდა რა მხოლოდ სარგებლობა ამ ქვეყნებისათვის. ამისათვის სახელი შენი იცხოვრებს საუკუნეებში“. ტექსტის ქვეშ აღნიშნულია თარიღი: „ბაისი, 8, 1710 წელი“, ხოლო სულ ბოლოს დართულია მინაწერი: „უაღრესად შენი ერთგული და მუდამ შენზე მლოცველი ანთიმ, მიტროპოლიტი უნგროვლახეთისა“ [1].

როგორც აღვნიშნეთ, „ქების ლექსიცა“ და აკად. გ. ლეონიძის მიერ მიკვლეული ეს დოკუმენტიც ბუქარესტის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ „სახარებაშია“ ჩაკრული. იბადება კითხვა — რატომ არის მიმართვის ტექსტი რუმინულად შედგენილი? ცხადია, პასუხი ერთია: იმიტომ, რომ რუმინეთის მთავარ კ. ბრანკოვიანუს შეძლებოდა მისი წაკითხვა. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ „ქების ლექსიც“ რუმინულ ენაზე არ არის დაწერილი, ისიც ხომ, შ. კურდღელაშვილისავე განცხადებით, „ანთიმოს ივერიელს ჩაუკრავს იმავე „სახარების“ ცალში და უნგროვლახეთის განმგებლისათვის მიურთმევია?“ აი სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იგი რუმინული ენის არმცოდნე, კერძოდ, ქართველი კაცის დაწერილია და არა ანთიმოს ივერიელის მიერ, როგორც ამას შ. კურდღელაშვილი ფიქრობს. ეს ლექსი რომ ანთიმოს ივერიელს ეკუთვნოდეს, მაშინ იგი რუმინულ ენაზე იქნებოდა დაწერილი და არა ქართულად, რათა ზემოდასახელებული მიმართვის ტექსტის მსგავსად გასაგები ყოფილიყო კ. ბრახკოვიანუსათვის.

[1] ჟურნალი „დროშა“, 1951, № 2.

ანთიმოს ივერიელის „ქების ლექსის“ ავტორობის წინააღმდეგ მეტყველებს აგრეთვე თვით ამ ლექსის შინაარსი. მასში მ. იშტვანოვიჩის საქართველოში განწესების შესახებ ვკითხულობთ: „პატრიარქმა გამოგზავნა აქ მიხაილ კარგად ზრდილი“; ვახტანგ VI-ისა და რუსთველი ოსტატის შეხვედრაზე ნათქვამია: „რა მოვიდა, მეფემ ნახა, შეიყვარა, ვითა შვილი“ და სხვ. მოყვანილი ადგილები ეჭვმიუტანლად მიგვანიშნებს, რომ დასახელებული ლექსი ქართველი ავტორის მიერ არის დაწერილი. იგი რომ ანთიმოს ივერიელს ეკუთვნოდეს, მაშინ ციტირებული ადგილები შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს: „პატრიარქმა გააგზავნა იქ მიხაილ (და არა „გამოგზავნა აქ მიხაილ“) კარგად ზრდილი“, „რა მივიდა (ნაცვლად „რა მოვიდა“), მეფემ ნახა, შეიყვარა, ვითა შვილი“.

ყოველივე ამის გარდა, შ. კურდღელაშვილის მოსაზრების უმართებულობას მოწმობს აგრეთვე ერთი გარემოებაც: ზემოაღნიშნულ „მიმართვაში“ კ. ბრანკოვიანუ მოხსენიებულია როგორც „მაღალი გოსპოდარი“, ლექსში კი იგი მეფეთაა წარმოდგენილი. კერძოდ, მასში ვკითხულობთ, რომ იერუსალიმის პატრიარქმა „ვლახთა მეფეს შეუთვალა: „მაღალო და კარგად ზრდილო“. აქვე ნათქვამია: „მან მეფემან (კ. ბრანკოვიანუმ) წიგნი ნახა (იგულისხმება პატრიარქის მიერ გაგზავნილი ვახტანგ VI-ის წერილი), ყველა ტკბილად გაიგონა“. ავტორი საქართველოში ჩამოსვლით კმაყოფილ მ. იშტვანოვიჩს ათქმევინებს: „ჩემი აქეთ გამოგზავნა არც ვლახთ მეფეს დავუძრახე“. მართალია, კ. ბრანკოვიანუ მეფის უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ ისტორიულად იგი უნგროვლახეთის მთავარი ანუ „მაღალი გოსპოდარი“ იყო. ლექსის ავტორი რომ ანთიმოს ივერიელი ყოფილიყო, მაშინ ამ შეცდომას, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ დაუშვებდა და მთავარს მეფესთან არ გააიგივებდა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ლექსის ავტორი რუმინეთის იმდროინდელ სახელმწიფოებრივ წყობილებაში ჩაუხედავი ქართველი კაცია.

რაკი უარვყოფთ შ. კურდღელაშვილის მოსაზრებას დასახელებული ლექსის ავტორად ანთიმოს ივერიელის აღიარების შესახებ, ვფიქრობთ, რომ მისი ანონიმი ავტორი ვახტანგ VI-ის სტამბის მოღვაწეთაგან ერთ-ერთი, ან „მეცნიერ კაცთა“ წრის რომელიმე წევრი უნდა იყოს. ასეა თუ ისე, „ქების ლექსში“ თბილისის სტამბის გამართვის ისტორია იმდენად ზუსტადაა გადმოცემული, რომ შეუძლებელია მისი

ავტორი ვახტანგ VI-ის თანამედროვე, თვით ამ სტამბის მოწყობის ერთ-ერთი მონაწილე არ ყოფილიყო. ამიტომაცაა, რომ ლექსი სანდო წყაროდ მიგვაჩნია და გვჯერა, რომ მ. იშტვანოვიჩი საქართველოში გამოგზავნილი ყოფილა არა ანთიმოს ივერიელის ინიციატივით, როგორც ამას ქრ. შარაშიძე შენიშნავს, არამედ უნგროვლახეთის მთავრის კ. ბრანკოვიანუს შერჩევით, როგორც ეს „ქების ლექსშია“ ხაზგასმული.

ჩვენს ამ მოსაზრებას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის 1711 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სიონის ეკლესიის მღვდლის გერმანეს „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ ავტორისეული წინასიტყვაობა. მასში ვკითხულობთ: „ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ. ჟამსა მას, ოდეს მეფობდა ქართველთა ზედა ძირთაგან დავითისათა აღმოცენებული მეფე ქაიხოსრო და მის წილ განაგებდა სამეფოსა მისი ძმა, მისი მამულის სჯულის განმაძლიერებელი და ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ მოტყინარე ბატონი შვილი ვახტანგ, საუკუნოდ ყოს უფალმა ხსენება მისი, ამან მოიხვნა სტამბა ქვეყნით ვლახეთით, რა ჟამს უფლებდა ვლახეთს იოანე კონსტანტინე ბრანკოვანე ბასარაბა, და მომართა ქვეყანასა ქართლისასა, დიდის საფასითა და წარსაგებელითა და აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებულიყო ჟამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯულისაგან“ [1].

ვფიქრობთ, ზემომოტანილი ამონაწერი კომენტარს არ საჭიროებს.

დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე ვახტანგ VI-ის სტამბის შრიფტის დამზადების საკითხი. მკვლევართა ერთი ნაწილი ირწმუნება, თითქოს მ. იშტვანოვიჩი სხვა რუმინელ მესტამბეებთან ერთად ჩამოსულიყოს თბილისში და თან ჩამოეტანოს ანთიმოს ივერიელის მიერ ჩამოსხმული უკვე მზამზარეული შრიფტი თუ მატრიცები. მეორენი ცდილობენ დაასაბუთონ უნგროვლახელი მესტამბის მარტო ჩამოსვლა და შრიფტის ქართველ მწიგნობართა დახმარებით მისივე ხელით აქვე, ადგილზე დამზადება. ისტორიკოს თ. ჟორდანიას მოსაზრებით უნგროვლახეთიდან თბილისის სტამბის მოსაწყობად რამდენიმე ოსტატი ყოფილა ჩამოყვანილი[2]. ამასვე იმეორებს პროფ. ალ. ხახანაშვილი[3], ხოლო

---

[1] გ ე რ მ ა ნ ე, სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა, 1711, გვ. 1.

[2] გაზ. „ივერია“, 1885, № 10.

[3] А. Хаханов, Очерки по истории Грузинской словесности, стр. 368.

ზ. ჭიჭინაძე უფრო შორსაც მიდის და იმასაც კი განსაზღვრავს, თუ რუმინეთიდან ჩამოსულ მესტამბეებს შორის რამდენი იყო ძმენდავი, რამდენი ასოთამწყობი და სხვ. „ქართველ ეპისკოპოზმა,—წერს ზ. ჭიჭინაძე, — ვახტანგის ბრძანება უმალ შეასრულა (ვალაქიაში)... გაძოგზავნა ოსტატები, ოთხი კაცი ხელოსანი, ერთი მბეჭდავი და სამიც ასოთამწყობი, ერთი მათგანი მიხაილი უფროსი ყოფილა“ [1].

რუმინეთიდან საქართველოში სტამბის გასამართავად რამდენიმე ოსტატის ჩამოყვანას ერთხანს ცნობილი ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილიც იზიარებდა, რისთვისაც პროფ. პ. გუგუშვილმა 1929 წელს იგი სამართლიანად გააკრიტიკა. დ. კარიჭაშვილმა შემდეგში თავისი ძოსაზრება უარყო და სრულიად საწინააღმდეგო დებულება წამოაყენა. იგი წერდა: „ალ. ხახანაშვილი, თ. ჟორდანია და ზ. ჭიჭინაძე გადაჭრით წერენ, რომ ვახტანგმა ვლახეთით მოიყვანა მესტამბეები. ეს მტკიცება არაფერზეა დამყარებული და შეადგენს მათი ფანტაზიის ნაყოფს. ნამდვილად ვახტანგმა ვლახეთით მხოლოდ ერთი დახელოვნებული სტამბის მოხელე მოიყვანა და სხვა ვინმე ამ მოხელეს არვინ მოჰყოლია“ [2]. დ. კარიჭაშვილი თავის ამ შეხედულებას შემდეგნაირად ასაბუთებს: „ამას მოწმობენ თვით ვახტანგის მიერ გამოცემული წიგნები და სხვა პირნი, რომელთაც ეს ამბავი უნდა უკეთ სცოდნოდათ, ვიდრე პატივცემულს ჩვენი დროის მკვლევარებს. აი რასა წერს ვახტანგი თავის მიერ პირველად გამოცემულს წიგნზედ დართულს შენიშვნაში.

„მე გამგებელმან ქართლისამან, ბატონიშვილმა ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა“.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ სიტყვა მესტამბე მხოლობითს რიცხვშია და არა მრავლობითში.

თვით ეს მესტამბე, მიხეილ სტეფანიშვილი... უნგროვლახელი, იმავე წიგნზე დართულს მიმართვაში მკითხველისადმი წერს:

„ყოვეთა მკითხველთა გიხაროდენ პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა და ძალითა ღვთისათა უცონელად შემასრულებელი სტამბის ამის სამკვიდრებელსა თქვენსა იქმნა კურთხევით ხსენებული, განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ, ხოლო ყოველნივე საქმენი რაოდენნი იხილვე-

---

[1] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული სტამბები, 1916, გვ. 82.

[2] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 67.

ბიან — ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა დაწყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდო ძონა თქვენი. უწინარეს ყოვლისა დავბეჭდეთ ესე საღმთო და სამღვდელო წმინდა სახარება. სიმდაბლით გევედრები თქვენ ყოველთა დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცთომილი რაიმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ხუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყნისა ამისა და უსმენელი სიტყვათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ აგრეთვე გამოუცდელნი საქმის ამის ჩემისა".

ამ სიტყვებითგან ჩანს, — განაგრძობს დ. კარიჭაშვილი, — რომ მესტამბე ერთად-ერთი ყოფილა და სხვა, სტამბის საქმეში გაწვრთნილი თანამშრომელი არა ჰყოლია.

აგრეთვე მარტო ერთის მესტამბის მოყვანას ვლახეთით მოწმობს ვახტანგის შვილი ბაქარი, რომელიც 1743 წ. მოსკოვში გამოცემული დაბადების წინასიტყვაობაში წერს: „ნეტარხსენებულმან მამამან ჩემმან მეფემან ვახტანგ მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა" [1].

ვფიქრობთ, დ. კარიჭაშვილმა თავის დროზე ჯეროვნად დაასაბუთა ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ზ. ჭიჭინაძისა და სხვათა მოსაზრების უსაფუძვლობა რუმინეთიდან თბილისში სტამბის დასაარსებლად მ. იშტვანოვიჩთან ერთად სხვა ოსტატების ჩამოსვლის შესახებ და ამიტომ ჩვენ აღარაფერს დავუმატებთ.

ბოლოს შრიფტის შესახებ.

როგორც ცნობილია, არსებობს ავტორიტეტული მოსაზრება, თითქოს მ. იშტვანოვიჩს სტამბის სხვადასხვა ხელსაწყოსთან ერთად უნგროვლახეთიდან ანთიმოს ივერიელის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტიც ჩამოეტანოს და იმითი დაებეჭდოს პირველ ხანებში თბილისის სტამბაში გამოცემული წიგნები. ამ მოსაზრებას იცავს როგორც უცხოელ, ისე ქართველ მკვლევართა გარკვეული ხაწილი. ფრანგი ისტორიკოსი პიკო წერს: „თუ დავუჯერებთ ნეიგბაუერის მიერ შეკრებილ გადმოცემას, ქართული წიგნები წინათ ყოფილა დაბეჭდილი სნაგოვის მონასტერში. მართლაც, შესაძლებელია, რომ ანთიმოზმა მონაწილეობა მიიღო მიხეილ სტეფანოვიჩის ხმარებული ასოების მოჭრასა და ჩამოსხმაში" [2].

---

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 67, 68.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935, წ. I, გვ. 171.

ნეიგბაუერსა და პიკოზე უფრო ადრე იგივე მოსაზრება გამოთქვა პროფ. ალ. ხახანაშვილმა. მისი განმარტებით, ანთიმოს ივერიელს „ვალაქიაში დაუბეჭდია ქართული კონდაკიც და სამშობლოში (საქართველოში) გამოუგზავნია. მასვე გამოუგზავნია შრიფტიც და ასოთამწყობიც საქართველოში“ [1].

ამრიგად, მკვლევართა ერთი ნაწილი, რომლებიც იცავენ მ. იშტვანოვიჩის მიერ შრიფტის რუმინეთიდან ჩამოტანის საკითხს, თავიახთ მოსაზრებას აგებენ ჩვენ მიერ უკვე გაბათილებულ ცნობაზე — კერძოდ, ანთიმოსის მიერ ჯერ კიდევ 1692 წელს სნაგოვში დაბეჭდილი ქართული წიგნის შრიფტის ჩამოტანაზე. ეს ის წიგნია, რომლის კვალსაც ვერ მიაგნო გ. ლეონიძემ რუმინეთში.

მ. იშტვანოვიჩის მიერ უნგროვლახეთიდან თბილისში შრიფტის ჩამოტანის მომხრეთა საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს ბ. გორდეზიანი. იმათი მისამართით, რომლებიც ქართული შრიფტის რუმინეთიდან ჩამოტანის ვერსიას იცავენ, იგი სვამს კითხვას: „რას ეწყარებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბუქარესტში დამზადდა ქართული შრიფტი“? და იძლევა პასუხს: „ისინი ემყარებიან იმას, რომ იმ დროს... უნგროვლახეთში ცხოვრობდა საუკეთესო მესტამბე-მხატვარი, მჭევრმეტყველი და სასულიერო წიგნების გამომცემელი ანთიმოზ ივერიელი, რომელსაც შეეძლო ამ საქმის გაკეთებაო.

ჩვენი ფიქრით, — განაგრძობს მკვლევარი, — ივერიელობა, ახუ ქართველობა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ანთიმოზმა ქართული კარგად იცოდა. განა ცოტა იყო ქართველი, რომელთაც უცხოეთში დიდი თანამდებობა ეჭირათ, თავის ქართული წარმოშობით აძაყობდნენ კიდეც, მაგრამ ქართული კი არ იცოდნენ? თუნდაც დავუშვათ, რომ ანთიმოზმა სხვა ენებთან ერთად ქართულიც იცოდა, ამავე დროს დიდი პატრიოტიც იყო თავისი ქვეყნისა. შეეძლო თუ არა მას, ერთს, ქართული სტამბის შექმნა და ქართული წიგნების, ან წიგნის ბეჭდვა სხვა ქართული სტამბის მოღვაწეთა დაუხმარებლად? საკმარისია ოდნავ გავითვალისწინოთ მუშაობის ის პროცესები, რომლებიც წიგნის ბეჭდვასთან არის დაკავშირებული, რომ უყოყმანოდ ვთქვათ: არა“ [2].

იმავეს იმეორებს ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძეც. იმისათვის,

---

[1] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 46.

[2] ბ. გორდეზიანი, ქართული სასტამბო შრიფტები, 1961, გვ. 59.

რომ უარყოს ქართული შრიფტის რუმინეთიდან ჩამოტანის შესაძლებლობა, იგი ცდილობს მთელი სიმძიმე ანთიმოს ივერიელის მიერ ქართული ენის ცოდნა-არცოდნაზე გადაიტანოს და ამით გაამოუთხაროს საძირკველი დაპირისპირებულ მკვლევართა მოსაზრებას [1].

ანთიმოს ივერიელის მიერ ქართული ენის ცოდნის შესახებ გამოთქმული ეჭვი სწორი არ უნდა იყოს შემდეგი მოსაზრების გამო:

ანთიმოს ივერიელი დაბადებულია 1650 წელს. 1666 წელს იგი კონსტანტინოპოლის ბაზარზე იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს უყიდია. 1689 წლამდე ანთიმოსს საპატრიარქოში უმსახურია თარჯიმნად, ე. ი. მთელი 23 წლის მანძილზე აქტიური მონაწილეობა მიუღია იერუსალიმის პატრიარქებსა და ქართველ მეფეებს შორის მიმოწერაში. მაშასადამე, მას ამ ხნის განმავლობაში კავშირი არ გაუწყვეტია მშობლიურ დამწერლობასთან.

1689 წლიდან ანთიმოსს უკვე უნგროვლახეთში ვხედავთ. კერძოდ, 1692 — 1694 წლებში იგი სნაგოვის მონასტერშია. მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით სწორედ ამ დროს ბეჭდავს იგი ქართულ წიგნებსა თუ წიგნს უნგროვლახეთში. თუ მკვლევართა ამ მოსაზრებას ერთი წუთით სარწმუნოდ ჩავთვლით, მაშინ ეჭვი ანთიმოსის მიერ ქართული ენის ცოდნა-არცოდნის შესახებ სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან უბრალო მათემატიკური გამოანგარიშებითაც ცხადი ხდება, რომ მას მხოლოდ სამი თუ ხუთი წლის მანძილზე ჰქონია გაწყვეტილი კავშირი ქართულ ენასთან — 1689 წელს იგი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იმყოფება იერუსალიმის საპატრიარქოს თარჯიმნად, ხოლო 1692 — 1694 წლებში სნაგოვში ჩანს. ცხადია. სამ წელიწადში არამცთუ ისეთი მაღალნიჭიერი კაცი, როგორიც ანთიმოს ივერიელი იყო, არამედ ჩვეულებრივი, უბრალო მოკვდავიც კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაივიწყებს მშობლიურ ენას.

აი ეს გარემოება გვქონდა მხედველობაში, როცა ბ. გორდეზიანისა და შ. კვასხვაძის მიერ გამოთქმული ეჭვი ანთიმოს ივერიელის მხრივ ქართული ენის ცოდნა-არცოდნის შესახებ უსაფუძვლოდ მივიჩნიეთ.

ასევე ვერ გავიზიარებთ ამავე მკვლევართა მოსაზრებას, რომ თითქოს ერთ კაცს (ე. ი. ანთიმოს ივერიელს) არ შეეძლო წიგნებისა თუ

---

[1] შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება, 1952, გვ. 226.

წიგნის დაბეჭდვა ქართული სტამბის სხვა მოღვაწეთა დახმარების გარეშე. თუკი ნიკიფორე ირბაქმა მარტოდმარტომ მოახერხა 1629 წელს რომში პირველი ქართული წიგნის გამოცემა, რატომ არ შეეძლო ანთიმოს ივერიელს იგივე გაეკეთებინა რუმინეთში? ამ მხრივ მას გაცილებით მეტი შესაძლებლობა გააჩნდა, ვიდრე ნიკიფორე ირბაქს. ანთიმოსს, როგორც შესანიშნავ ფილოლოგ-მეცნიერს, თვითოხვე შესწევდა უნარი დედნის თარგმნისა და რედაქტირებისა, როგორც ნიჭიერ მხატვარ-გრაფიკოსს, არც ქართული ასოების ნახაზის შედგენა გაუჭირდებოდა და არც შემდეგ მისი ლითონზე ამოტვიფრა. მას არც შრიფტის ჩამოსხმა და მით უმეტეს ტექსტის აწყობა, დაბეჭდვა და აკვინძვა გაუძნელდებოდა. ყოველივე ამის აღსრულება, რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა ანთიმოს ივერიელისათვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეუძლებელი ამაში, როგორც ბ. გორდეზიანი და შ. კვასხვაძე ფიქრობენ, ჩვენი აზრით, არაფერია.

ამჯერად ისეთი შეხედულება შეიქმნა, თითქოს ჩვენ მხარს ვუჭერდეთ მ. იშტვანოვიჩის მიერ დამზადებული შრიფტის რუმინეთიდან ჩამოტანის ვერსიას. მაგრამ, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, ასეთი მოსაზრებისაგან შორს ვდგავართ და თუ ზემოდასახელებულ მკვლევართა არგუმენტაციას უნდობლად მოვეკიდეთ, ეს იმიტომ, რომ წამოჭრილი საკითხი უფრო საფუძვლიან დასაბუთებას საჭიროებს.

ვახტანგ VI-ის სტამბის შრიფტის თაობაზე საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ქრ. შარაშიძეს. იგი საგულისხმო ფაქტების მოშველიებით იცავს დებულებას მისი თბილისში დამზადების შესახებ. 1709 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილ პირველ ქართულ წიგნს „სახარებას“ წინ უძღვის მ. იშტვანოვიჩის ანდერძი, რომლის ბოლო ნაწილი ასე იკითხება: „ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან — ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინა მძღოლი მე ვარ“ [1]. ამის საფუძველზე ქრ. შარაშიძე ასკვნის: „ამგვარად, სტამბის მთელი მოწყობილობა მიხაილ უნგროვლახელის „მოქმედებით და წინამძღოლობით“ გაკეთებულა: სასტამბო შრიფტი („ასონი“—ლიტერები), სასტამბო იარაღები („ორღანონი“, ე. ი. რკინისა თუ ხის ხელსაწყო. იხ. საბას ლექსიკონი) და სტამბის ყოველგვარი მოწყობილობა... უნგრო-

[1] სახარება, 1909, გვ. 105.

ვლახელის თქმა — მოქმედი და წინამძღოლი ვარო, — გვაფიქრებინებს, რომ ზოგი რამ თვითონ ოსტატს გაუკეთებია საკუთარი ხელით, დანარჩენი კი მისი ხელმძღვანელობით, სხვების ხელით გაკეთებულა“ [1].

ძველად, როცა ჯერ კიდევ სტამბა არ არსებობდა, წიგნები ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ამ დიდსა და საპატიო საქმეს კალიგრაფები ემსახურებოდნენ. საისტორიო წყაროების დამოწმებით ცხადი ხდება, რომ მეფეებს თავიანთი კალიგრაფ-გადამწერები ჰყოლიათ. XVIII საუკუნეში შეუდარებელი კალიგრაფის სახელით ყოფილა ცნობილი, მაგალითად, იესე ოსეს შვილი, რომელსაც ერეკლე II-ის სამეფო კარზე კალიგრაფ-გადამწერთა სპეციალური სკოლაც კი ჰქონია გახსნილი. ცხადია, ასეთი კალიგრაფები ვახტანგ VI-ის დროსაც იქნებოდნენ. ქრ. შარაშიძემ აღნიშნული გარემოების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ვახტანგ VI-ის დროინდელ მხატვარ-კალიგრაფ მაღალაძის ხელნაწერი ასოების მოხაზულობათა თავისებურება დიდად წააგავს 1709 წელს თბილისის სტამბაში პირველად დაბეჭდილი „სახარების“ ტექსტის შრიფტსო. როგორც ბ. გორდეზიანი აღნიშნავს, სპეციალურმა ლაბორატორიულმა შემოწმებამ ცხადყო ქრ. შარაშიძის მოსაზრების საფუძვლიანობა. ვახტანგ VI-ისეული სტამბის შრიფტის დედნად პირველ ხანებში მართლაც გამოყენებული ყოფილა „მხატვარ მაღალაძის ხელნაწერი ასოები, რომლებიც არსებითი ცვლილებების გარეშე ლითონზე გადაუტანია მესტამბე უნგროვლახელს“ [2].

თავისთავად ცხადია, მ. იშტვანოვიჩის მიერ უნგროვლახეთიდან შრიფტის ჩამოტანას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგანაც მას, როგორც სტამბის სპეციალისტს, სათანადო ნახაზის შემთხვევაში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, თავისუფლად შეეძლო ჩამოესხა შრიფტი როგორც თავის სამშობლოში, ისე თბილისში. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა — მაშ რად უნდოდა უნგროვლახეთიდან ზედმეტი ტვირთის (შრიფტის) წამოღება, როცა მისი დამზადება მას თბილისშიაც შეეძლო? პასუხი ერთია — არაფრად.

აქედან გამომდინარე, ეჭვმიუტანლად ვთვლით, რომ ვახტანგ VI-

---

[1] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 92, 93.

[2] ბ. გორდეზიანი, ქართული სასტამბო შრიფტები, 1961, გვ. 69.

ისეულ სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნის „სახარების“ შრიფტი, ქრ. შარაშიძის სამართლიანი შენიშვნით, თვით მ. იშტვანოვიჩის მიერ ანდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთაგან არის დამზადებული. ამას მოწმობს ზევით უკვე არაერთხელ ციტირებული ადგილი 1709 წლის „სახარებაში“ დაბეჭდილი მ. იშტვანოვიჩის ანდერძიდან: „ყოველი საქმენი, რაოდენნი იხილვებიან—ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მომქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდო შონა თქვენი“. ეს ადგილი სიტყვასიტყვით ასე გვესმის: შრიფტისა და სტამბის სხვადასხვა მოწყობილობის დამზადება ძირითადად მ. იშტვანოვიჩს უწარმოებია. ამ საქმეში მას ადგილობრივი ქართველი მოღვაწენიც ჩაუბამს ალბათ სწავლების მიზნით, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით ანუ წინამძღოლობით ასრულებდნენ ამა თუ იმ სამუშაო პროცესს.

მკვლევართა ერთი ნაწილი მ. იშტვანოვიჩის მიერ ქართული შრიფტის ჩამოსხმას ამ ენის ცოდნის საკითხს უკავშირებს. მართლაც საჭიროა გაირკვეს, იცოდა თუ არა მან ქართული? თუ პირადად მას ვერწმუნებით, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. 1709 წელს დაბეჭდილ „სახარებას“ დართული აქვს მ. იშტვანოვიჩის წინასიტყვაობა, რომელშიაც ვკითხულობთ: „სიმდაბლით გევედრები თქვენ ყოველთა დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცდომილი რაიმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყნისა ამისა და უსმენელი სიტყვათა თქვენთა“[1].

აქედან ვგებულობთ, რომ მ. იშტვანოვიჩი პირველად ყოფილა ჩამოსული საქართველოში და მას არამცთუ „ქართული დაწერილობა ასე თუ ისე სცოდნია“, არამედ მანამდე ერთი ქართული სიტყვაც კი არ ჰქონია გაგონილი.

აღნიშნული ციტატა მეორე მხრივაც არის საყურადღებო. მასში წინასიტყვაობის ავტორი ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე „სიტყვის ანუ ასოს“ ცთომილებისათვის, ე. ი. კორექტორული შეცდომების აღმოჩენისათვის. ეს გარემოება აშკარად მიგვანიშნებს, რომ 1709 წელს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნის „სახარების“ ტექსტი თვითონ ი. იშტვანოვიჩს აუწყვია. ასე რომ არ ყოფილიყო,

---

[1] სახარება, 1709, გვ. 1.

მაშინ იგი მკითხველს ბოდიშს არ მოუხდიდა კორექტორული შეცდომების გამო.

ამის შემდეგ იბადება ერთგვარად ორჭოფული კითხვა: თუ ვახტანგ VI-ის მიერ უნგროვლახეთიდან მოწვეულმა მ. იშტვანოვიჩმა არ იცოდა ქართული ენა, მაშ როგორღა ჩამოასხა შრიფტი, როგორ ააწყო „სახარების“ ტექსტი, როგორ დაამყარა კონტაქტი ქართველ მოღვაწეებთან მათთვის პირადი ცოდნის გასაზიარებლად?

სანამ ამ საკითხზე პასუხს გავცემდეთ, უფლებას ვიტოვებთ მოვიტანოთ ამონაწერები თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ზოგიერთი წიგნის საგამომცემლო მონაცემებიდან. 1710 წელს დაბეჭდილი „ლოცვანის“ წინასიტყვაობაში თბილელი მიტროპოლიტი ნ. ორბელიანი წერს: „მე წიგნი და ენა ქართულის მეტი სხვა არავისი ენა ვიცოდი: რომლისაც ბერძულის მცოდნე მეტყოდა, ღმერთმან უწყის მე დიდის ჭირით გაწყობასა და სიმართლესა ვცდილობდი. ჟამნობა და თვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირისძალების ზატიკისა სამგზეფოს ოხითა იბაკო ისევ ჩვენი ძველი გაურიეთ“ [1]. 1713 წელს გამოცემული „კურთხევანის“ თავფურცელში კი სამთავისის ეპისკოპოსი კვიპრიანე ამბობს: „მას ჟამსა, ოდეს განაგებდა საქართველოსა... ბატონის შვილი უფალი სვიმონ. ამათ მიერ მებრძანა მე სამთავნელს კვიპრიანეს ბერძულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებთა შემოწმება. რომელ მცირედისა რაიმე ბერძულთა წიგნთა და ენასა სწავლულ ვიყავ იერუსალიმისა პატრიარქის დოსეთეოს თანა... რაოდენიცა ძალ მედვა თვით ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე სიტყვა თუ ასო მეტნაკლებობა. და რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე“ [2].

როგორც ამ ამონაწერებიდან ჩანს, ვახტანგ VI-ის დროს თბილისში ბერძნული ენის მცოდნენი საკმაოდ ყოფილან. ეს არც გასაკვირია, რადგანაც იგი საერთაშორისო ენად ითვლებოდა მაშინ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში. შეუძლებელია ბერძნული ენა არ სცოდნოდა ისეთ განათლებულსა და განსწავლულ პიროვნებას, როგორიც მ. იშტვანოვიჩი იყო. აი სწორედ ბერძნულის მცოდნე ქართველ თუ თბილისში იმ დროს მცხოვრებ უცხოელ პირთა დახმარებით უნდა შეესრულებინა მთელი სასტამბო სამუშაოები მ. იშტვანოვიჩს.

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 22.

დღეისათვის ისტორიული საბუთებით დადგენილია, რომ ნ. კასის სრულიად მარტოს, სხვების დახმარების გარეშე ჩამოუსხამს ამსტერდამში არჩილ II-ის შეკვეთით ქართული შრიფტი. რატომ არ შეეძლო იგივე გაეკეთებინა მ. იშტვანოვიჩს თბილისში, მით უმეტეს, რომ მას ამ საქმეში მხარს აუბამდნენ მხატვარ-კალიგრაფი მაღალაძე, ცნობილი მწიგნობარ-გამომცემლები: ნ. ორბელიანი, მღვდელმონაზონი გერმანე, სამთავისის ეპისკოპოსი კვიპრიანე და სხვები, რომელთაგან ბევრმა იცოდა ბერძნული ენა?

ვახტანგ VI-ის რუდუნებითა და გარჯით მოწყობილ-გამართულ თბილისის სტამბას დიდხანს არ უარსებია. თურქეთ-ირანის საწინააღმდეგო რუსეთის პოლიტიკურ კომბინაციებში გარეული ვახტანგი მუსულმანთა მოძალების შედეგად 1724 წელს იძულებული ხდება მიატოვოს ქართლი და საკმაოდ დიდი ამალით რუსეთში გადასახლდეს.

ამ ემიგრაციის გამო თბილისის სტამბაც დაიხურა.

ვსესვიატსკოეს სტამბა

XVIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის ქართლის რთული საშინაო პოლიტიკური ვითარების გამო სამშობლოდან გადახვეწილი ვახტანგ VI-ის ამალის წევრებისა და ჯერ კიდევ XVII საუკუნის მიწურულს არჩილ II-სთან ერთად გადასახლებული ემიგრანტებისაგან მოსკოვში ქართველთა საკმაოდ ძლიერი კოლონია შეიქმნა. იგი ძირითადად იმდროინდელი ქართული მეცნიერული აზრისა და მწერლობის რჩეული წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ერთმორწმუნე რუსეთის დახმარების შედეგად სამშობლოში დაბრუნების იმედით აღსავსე უცხო გარემო პირობებში მოხვედრილი ემიგრირებული ქართველები საკუთარი სახლ-კარისა და თვისტომთა დაშორებით გამოწვეულ დარდსა და ნაღველს ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობით იქარვებდნენ: თხზავდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს, ფილოსოფიური თუ ისტორიული ხასიათის ტრაქტატებს, თარგმნიდნენ თეოლოგიურ საეკლესიო-საღვთისმსახურო თუ დიდაქტიკურ-დამრიგებლური შინაარსის წიგნებს, ახდენდნენ ძველი ტექსტების

რუსულთან შედარება-შეჯერებას, რედაქტირებას, აწყობდნენ მეცნიერულ-ლიტერატურულ განხილვებს და სხვა.

ქართველ ემიგრანტთა ამ დიდ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას სათავეში ედგა და ხელმძღვანელობას უწევდა ვახტანგ VI. სამშობლოს უბედობაზე ფიქრით განაწამები, სამეფო ტახტის დაბრუნებაზე იმედგადაწყვეტილი, მაგრამ ბუნებით უტეხ-უჯიათი, ერის კეთილდღეობისათვის მუდამ გულანთებული ყოფილი მეფე ქართლისა მოსკოვში დასახლებისთანავე ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად დაუცხრომლად ზრუნავდა სამშობლოში მიტოვებული საქმის — ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის რუსეთში გაგრძელებისათვის. ამ მიზნით 1730 წლის 9 ივლისს მას თხოვნით მიუმართავს საგარეო საქმეთა კოლეგიის პრეზიდენტ გაბრიელ ივანეს ძე გოლოვკინისათვის. მასში ვახტანგი შეახსენებს გ. გოლოვკინს პეტრე პირველის დახმარებით არჩილ II-ის მიერ სახაზინო სტამბაში დაბეჭდილ გამოცემებს, აღწერს ირანელ დამპყრობთაგან აოხრებული ქართლის იმდროინდელ სავალალო მდგომარეობას და სთხოვს მას უშუამდგომლოს საიმპერატორო კარის წინაშე, რათა ნება დართონ არჩილის მსგავსად სახაზინო სტამბაში დაბეჭდოს ქართული წიგნები. თხოვნაში, კერძოდ, ნათქვამია: „В прошлых годах блажения и вечно достойныя памяти его величество Петр Первый император, по прошению дяди моего блажения же памяти царя Арчила, указано было государства его печатные книги, которые были ветхие, тако же и вновь печатать в России для посылки от него царя Арчила во Иверскую землю. Оставшим тамо от него духовным и прочим чинам, которые в России и печатаны и посылали во оную Иверскую землю. А у меня ныне имеется в Грузинской земли многие духовные и прочие чины, у которых за разорением от непрятелей турок, многие церковные и прочие книги отобраны и сожены, а другие обвелчали о чем многократно из Грузии у меня таких книг требуют. И хотя государство мое и разорено, однакоже оставшие тамо духовные чины в мистрех. А протчие в селах еще обретаются, хотя мало число. Чтоб и тех в конец не разорить и не разогнать, того ради вашего графского сиятельства, всепокорно прошу дабы вашего графского сиятельства предстательством доложить ея императорскому величеству, чтоб указом ея императорского величества и рассмотрением вашего графского сиятельства, повелено было вышепоказанные на грузинском языке книги печатать в России,

как прежде всего печатаны былы, и послать во оную грузинскую землю для церковной службы, за что отныне духовные и прочие чины за ея императорское величество многолетное здравие будут вечные богомольцы» [1].

ჩანს, რუსეთის მმართველი წრეები პრინციპში წინააღმდეგი არ წასულან ქართული წიგნების ბეჭდვისა. ვახტანგ VI-ის თხოვნა საგარეო საქმეთა კოლეგიას მოსკოვის სახაზინო სტამბაში გადაუგზავნია დასკვნისათვის, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნებოდა ტექნიკურად ქართველი მეფის სურვილის დაკმაყოფილება. საგარეო საქმეთა კოლეგიის მდივანი ივანე ავრამოვი 1730 წლის 22 აგვისტოს სტამბის ხელმძღვანელობას ავალებდა: «Колегию иностранных дел из Московской типографии справясь под сиим подписать: в прошлых годах принце Арчиле Вахтанговиче Меретинском на грузинском языке книги печатаны были и ныне к тому печатанию принадлежащие фундамент и литеры в оной типографии имеютца и можно печатать. И в то время те грузинские книги печатали из типографских же служителей или присланными от царя Арчила грузинцами и от куды на оное деньги держаны»[2].

1730 წლის 8 სექტემბერს სტამბის დირექტორ თ. პოლიკარპოვსა და კანცელარიის თანამშრომელ ი. პოლონსკის საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის შემდეგი უცნობებიათ: «В Московской типографии в прошлых годах при царе Арчиле Вахтанговиче Меретинском книги печатаны были, а именно: книги псалтыри учебные и ныне печатаню тех книг фундаментальных материалов имеется пунсонов стосемдесят четыре, матриц стосемдесят пять да одна форма, литер один пуд тридцать два фунта три четверти сосмухою. А можноль ими печатать впред какие книги, о том не известно для того, что еще набора в лицах не имеется. И по качеству тетрадей оной набор типографии несведом, а во время то как оному Меретинскому царю Арчиле Вахтанговичую книги печатались, тогда были типографския мастеровья, такмо становья терезорщики и батьнщики, а наборщики и разборщики были их диалекта присланныя» [3].

მართალია, მოსკოვის სახაზინო სტამბიდან საგარეო საქმეთა კო-

---

[1] АВПР. 9 «Спашения России с Грузией», 1730 г., ანაწერი 110/1, საქმე № 5, 9. 1—3.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ლეგიისათვის გაგზავნილი პასუხი შედარებით გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება, მაგრამ იგი ქართველი ემიგრანტი მეფეების არჩილ II-ისა და ვახტანგ VI-ის რუსეთში სასტამბო-საგამომცემლო მოღვაწეობის შესწავლის მიზნით მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია. კერძოდ, აქედან საბოლოოდ დასტურდება, რომ არჩილ II-ს რუსეთში თავისი საკუთარი სტამბა არ ჰქონია. 1705 წელს გამოცემული „დავითნი“ მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსკოვის სახაზინო სტამბაში დაუბეჭდია, სადაც ასოთამწყობებად და ჩამრჩევებად მასთან ერთად სამშობლოდან ლტოლვილ ქართველ ოსტატ-ხელოსნებს უმუშავიათ.

დართეს თუ არა ვახტანგ VI-ს მოსკოვის სახაზინო სტამბაში ქართული წიგნების დაბეჭდვის ნებართვა, ამის შესახებ რაიმე ოფიციალური საბუთი არ გაგვაჩნია, ის კი ფაქტია, რომ ვახტანგ VI-ს რუსეთში არც ერთი წიგნი არ გამოუცია. როგორც მოსკოვის სახაზინო სტამბის დირექტორის ზემოაღნიშნული პასუხიდან ჩანს, ქართული შრიფტის ნაწილი არჩილის გარდაცვალების შემდეგ დაკარგულა, სტამბაში მომუშავე ქართველი ასოთამწყობებიც სადღაც გაფანტულან, რის გამოც ვახტანგს წამოწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია.

არჩილ II-ისა და ვახტანგ VI-ის შემდეგ მოსკოვში ქართული წიგნების გამოცემის საქმეს ხელს ჰკიდებს ბაქარი. იგი ხდება აგრეთვე ინიციატორი რუსეთში პირველი ქართული დამოუკიდებელი სტამბის დაარსებისა, რასაც შემდეგმა გარემოებამ შეუწყო ხელი.

როგორც ცნობილია, 1725 წლის მიწურულს პეტერბურგში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, ხოლო ორი წლის შემდეგ მასთან ჩამოყალიბდა გამომცემლობა და დაარსდა იმ დროის კვალობაზე მაღალტექნიკურ დონეზე აღჭურვილი სტამბა. რაკი მოსკოვის სახაზინო სტამბაში ტექნიკურად მოუხერხებელი აღმოჩნდა ქართული წიგნების ბეჭდვა, ამიტომ ბაქარს თხოვნით მიუმართავს სინოდისათვის ეკონომიური ხელმოკლეობის გამო უსასყიდლოდ დაებეჭდათ ქართული საეკლესიო წიგნები მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. 1737 წლის 30 სექტემბრით დათარიღებულ თხოვნაში იგი წერდა: «Понеже блаженные памяти родитель мой, царь грузинский Вахтанг Леонович, в жизнь свою в с. Петерберге, промеж разговорами доносил графу Гаврилу Ивановичу Головкину, что де

наше грузинское государство от неприятелей басурман разорено, и не точию чем иным, но и которые для печатания были книг слова, были от меня сделаны, а иные все разорены; на что оный граф родителю моему говорил, что де, конечно, оные книги надобно печатать здесь ради утверждения; но которому родителю моему время не допустило; приказал я грузинскому нашему архиепископу Иосифу оные грузинские слова изготовить, которые и изготовлены, точию и поныне не напечатаны, в чем мы ныне состоим в немалых нуждах, а без благословения святейшего правительствующего Синода оных книг печатать не смеем; того ради святейшего... Синода прошу, дабы указом ее императорского величества повелено было показанные книги с слов, кои имеются в готовности, в Академии наук, с благословения св. правительствующего Синода, напечатать, дабы в Грузии святые божии церкви без служения книг не были и христианский народ без книг не пришел бы в какое неверство» [1].

საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე სინოდმა ბაქარს დამატებით იმ წიგნების სიის წარდგენა მოსთხოვა, რომელთა გამოცემასაც აპირებდა. მან ეს მოთხოვნა უმალ შეასრულა. მის მიერ წარდგენილ სიაში შეტანილი იყო შემდეგი დასახელების წიგნები: «Евангелия», «Апостол», «Псалтыри следованной», «Часовника», «Служебника», «Требника, «Устава», «Пролог, 12 праздников месячных», «Октоих», «Трида постной» [2].

ამის შემდეგ, 1730 წლის 10 ოქტომბერს, სინოდს განუხილავს ბაქარის თხოვნა და მეფის კაბინეტისათვის უცნობებია: „თუ ეს წიგნები იქნებოდა გამოცემული, ქართული ტექსტი გამართულიყო რუსეთში ხმარებაში მიღებული საღვთისმეტყველო წიგნების ძიხედვით, რომლებიც მიღებულია აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა ეკლესიებშიო. სინოდი წინადადებას იძლეოდა, რომ ამ საქმის შესრულება დავალებოდა ბატონიშვილ ბაქარს ანდა მეფის კაბინეტიდან ყოფილიყო გამოძებნილი შესაფერისი პირი“ [3].

---

[1] Описание документов и дел, хранящихся в архиве св. правительствующего Синода за 1737 г., т. 17, № 285/8, стр.488 — 491.

[2] იქვე.

[3] ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, 1956, გვ. 221.

სინოდის მოსაზრებანი ბაქარის მიერ აღძრული საკითხის თაობაზე მეფის კაბინეტს დაუმტკიცებია ერთგვარი შესწორებით. მას უმჯობესად უცვნია, რომ ქართული ტექსტის სლავურთან იდენტურობის გასარკვევად „თვითონ სინოდს ყოლოდა ქართული ენის მცოდნე ისეთი პირები, რომელთაც შეეძლებოდათ აღნიშნული წიგნების შემოწმება. ამავე დროს კაბინეტი ურჩევდა სინოდს, რომ უკანასკნელს შეერჩია სათანადო პირები და მათთვის ესწავლებინათ ქართული და განსაკუთრებით ყალმუხური, რომელთა საშუალებით შემდეგში შესაძლებელი იქნებოდა ამ ენებზე საღვთისმეტყველო წიგნების გამართვა და ბეჭდვა“ [1]. 1730 წლის 7 ნოემბერს სინოდს მეფის კაბინეტის გადაწყვეტილება საერთო კრებაზე მოუსმენია და დაუდგენია, „რომ ქართული ტექსტის რუსულ ტექსტთან შესადარებლად მოწვეული ყოფილიყვნენ პეტერბურგში მყოფი მთავარეპისკოპოსი სრულიად ვლადუკისა (?) და არქიმანდრიტი იურიევის მონასტრისა... იოსებ სამებელი და არქიმანდრიტი ნიკოლოზ ჯაფარიძე. ამ პირებს ეკისრებოდათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა ქართულ-სლაური ტექსტების შედარების საკითხში, ამას გარდა ისინი ვალდებულნი იყვნენ ეცნობებიათ სინოდისათვის, თუ როდის, სად და ვისი მეთვალყურეობით დაიბეჭდებოდა ქართული წიგნები“ [2].

მართალია, სინოდმა ბაქარის თხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ სამაგიეროდ ქართული წიგნების სახელდობრ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდვაზე უარი განუცხადეს: ამ შემთხვევაში სინოდი ხელმძღვანელობდა 1727 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებულებით, რომლის მიხედვითაც საეკლესიო წიგნების ბეჭდვა დასაშვებად ითვლებოდა მხოლოდ მოსკოვში, სინოდისაგან მეთვალყურეობით. ასევე უარი ეთქვა ბაქარს წიგნების უსასყიდლოდ გაცემაზე. ამის შემდეგ ქართველობა თავიანთი საკუთარი სტამბის დაარსებისათვის ზრუნვას შეუდგა.

ამჯერად უკვე მივადექით რუსეთში პირველი ქართული დამოუკიდებელი სტამბის დაარსების საკითხს. აი რას წერს ამის შესახებ ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი: „იოსებ სამებელი დიდად მონდომებული იყო, ქართული წიგნების ბეჭდვა მოეწყო მოსკოვში, მით უფრო, რომ ვახტანგის შემდეგ ტფილისში სტამბის მუშაობა შეწყდა.

[1] ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, 1956, გვ. 221.

[2] იქვე.

ასეთივე სურვილი ჰქონდა ბაქარ მეფესაც, მაგრამ, ეტყობა, სტამბის დაარსებას და წიგნების ბეჭდვას თანხის უქონლობა აბრკოლებდა... იოსებ სამებელმა სამი-ოთხი წლის განმავლობაში სამსახურში ყოფნის დროს მოაგროვა საკმაო თანხა და გადაწყვიტა სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვის დაწყება მოსკოვში. ამ საქმის შესრულება მიანდო თავის კარგ ნაცნობს და სანდო პირს მღვდელ-ძონაზონს ქრისტეფორე გურამიშვილს. ამანაც იოსებ სამებელის ხარჯით შეიძინა დარეჯანის სტამბა, შეავსო იგი მით, რაც აკლდა და 1737 წელს გამართა კარგად მოწყობილი სტამბა“ [1].

ამის შემდეგ დ. კარიჭაშვილი სრულიად მიუღებელ აზრს ავითარებს. იგი წერს: „მართალია, დაბადება დაიბეჭდა იოსებ სამებელის სტამბაში, მაგრამ ეს სტამბა მის დასაბეჭდად დროებით გადატახილ იქნა ბაქარის ბინაზე დაბა ვსესვიატსკში ანუ, როგორც თვით წიგნშია მოხსენებული, დაბასა სვესვენწკასა, მოსკოვის ახლოს... დაბადების დაბეჭდვის შემდეგ სტამბა ვსესვიატსკითგან ისევ მოსკოვს იქნა გადატანილი“ [2]. გაუგებარია, რისთვის იყო საჭირო სტამბის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა და შემდეგ უკანვე დაბრუნება?

დ. კარიჭაშვილი ერთმანეთში ურევს ბაქარისა და დარეჯანის საცხოვრებელთა ტერიტორიულ მდებარეობას. როგორც ცნობილია, ვსესვიატსკოე არჩილ II-ის უფროსი ვაჟიშვილის ალექსანდრეს მოულოდნელად გარდაცვლილ პირველ მეუღლეს ფეოდოსია ივანეს ასულ მილოსლავსკის ეკუთვნოდა. რუსეთის წინაშე განსაკუთრებული სამხედრო დამსახურებისათვის იმპერატორმა პეტრე I-მა სოფელი პახრა, ვსესვიატსკოე და მილოსლავსკებისეული სასახლე მთელი თავისი შეშოგარენით ალექსანდრეს დაუმტკიცა, ხოლო არჩილს ნიჟეგოროდის მაზრაში ტერიუშევსკის, ბელგოროდსკისა და ლისკოვოს „ვოლოსტები“ უბოძა. მამისა და ძმის გარდაცვალების შემდეგ ვსესვიატსკოე — მოსკოველ არაგვის ბაგრატიონთა ეს ნამდვილი საძვლო სამარხი — და ნიჟეგოროდის მამულები მემკვიდრეობით დარეჯანს დარჩა. რაც შეეხება ბაქარს, იგი გარკვეულ დრომდე პრესნაზე, რიაზანის ყოფილი მიტროპოლიტის სტეფანეს სახლებში ცხოვრობდა, რომლებიც 1750 წლის 17 აპრილს ხანძარმა იმსხვერპლა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დ. კარიჭაშვილს ბაქარისა და დარეჯანის ადგილ-საცხო-

---

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 55.

[2] იქვე.

ვრებელთა განსაზღვრაში უნებლიე შეცდომა აქვს დაშვებული, ძაგრამ ეს ასე არ არის. იქვე იგი დარწმუნებით აცხადებს: „ვსესვიატსკში გადატანილ იქნა დაბადების ბეჭდვა, რადგან მის გამოცემაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ბაქარ მეფე და ვახუშტი ბატონიშვილი, რომლებიც ამ დაბაში ცხოვრობდნენ“ [1]. მკვლევარი აქ უკვე მეორე შეცდომას უშვებს — ვახუშტი ბაგრატიონს ვსესვიატსკოეში არასოდეს არ უცხოვრია.

კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულია სტამბურად გამოცემული „მარხვანის“ ცალები, რომელთა თავფურცლების ბოლო სტრიქონები შემდეგნაირად იკითხება: „დაიბეჭდა საღმრთო ესე მარხვანი დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამითგან წელთა ვიდრე აქამომდე... ქრისტეს აქეთ ჩღმა, ქორონიკონსა უკჱ თუჱსა თებერვალსა“. ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ დასახელებული წიგნი დაბეჭდილა მოსკოვში 1741 წელს, რადგანაც „ჩღმა“ აღნიშნულ თარიღს უდრის. ცხადია, თუ 1741 წელს სტამბა „დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს“ მდებარეობდა, 1740 წელს მის ვსესვიატსკოეში გადატანაზე ლაპარაკიც კი გაუმართლებელია.

ამრიგად, ისტორიკოს დ. კარიჭაშვილის განმარტებით პირველი ქართული სტამბა ჯერ მოსკოვში, დარეჯანის სასახლეში ყოფილა მოთავსებული, ხოლო შემდეგ ვსესვიატსკოეში, ბაქარის სასახლეში გადაუტანიათ. ეს მოსაზრება შემდეგ ცნობებზე უნდა იყოს დამყარებული.

თეოფანე პროკოპოვიჩის 1739 წელს გამოცემული წიგნის „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთა“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „პირველი ესე სასწავლო ყრმათათვის, რუსულისაგან ქართულად გადმოითარგმნა ბატონის შვილის დარეჯანის მოლარეთ ხუცის ჩხეიძის გაბრიელისაგან, და ქართულის ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან, და დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს მის დიდებულის ბატონის შვილის დარეჯანას სასახლეში მის და მის პალატის შეწევნითა და ხელის მომართვითა“ [2].

აქედან ვგებულობთ, რომ 1739 წლისათვის იოსებ სამებელის

[1] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 55.
[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 39.

სტამბა მოსკოვში, დარეჯანის სასახლეში ყოფილა მოთავსებული. სრულიად საწინააღმდეგო ცნობას ვხვდებით 1743 წელს დაბეჭდილი „ბიბლიის“ ვახუშტი ბაგრატიონის ბოლოსიტყვაობაში: „ფსალმუნი და წინასწარმეტყველებანი და ახალი აღთქმანი, — ვკითხულობთ მასში, — მის მეფის ვახტანგის ბრძანებით გამართული და დაბეჭდილნი იყვნეს მისსავე მიღებულს საბეჭდავსა შინა ტფილისისასა. ბოლო ჩვენ ესე ვქმენით. და რომელნიცა აკლდენს, მოუმატეთ, ვითა განმართულ იყო რუსთაგან. თავ თავად და მუხლ მუხლად. და სიტყვანი შეცვლილნი, რომელიც ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო, ეგრეთ დაუტევეთ. და ნადირთა, მხეცთა, თევზთა, ხეთა სახელნი. რომელიცა ვერ ვსცანით, ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით. სხვანი ყოველნივე განვმართეთ და შევასრულეთ, ვითა ძალგვედვა. არაუდებ ვიყვენით შრომანი ჩვენნი. და მივეცით საბეჭდავსა შინა, დაბასა სვესვენწკასა წინამძღვარს და მღვდელ მონაზონს გურამიშვილს ქრისტეფორეს და მდივანს კავკასიძეს მელქისედექს, რომელი ზედმდეგ იყო და მუშაკობდა ამას შინა ბეჭვდად სიმართლით შესრულებად“ [1].

იოსებ სამებელის სტამბის ვესვსიატსკოეში ფუნქციონირება კიდევ უფრო დამაჯერებლადაა დამოწმებული 1743 წელს გამოცემულ „ჟამნში“. ამ წიგნის თავფურცელი გვამცნობს: „გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ჟამნი დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, დაბასა სვესვენწკასა, მეფის ბაქარის სასახლეშია“ [2].

მაშასადამე, „ბიბლიის“ ვახუშტისეულ ბოლოსიტყვაობასა და „ჟამნის“ თავფურცელში 1743 წლისათვის სტამბის ადგილსამყოფელად ვესვსიატსკოეა მიჩნეული. რაკი ზემოთ მოტანილ პირველ წყაროში ტერიტორიულად მოსკოვია მითითებული, ხოლო ბოლო ორ ცნობაში — ვესვსიატსკოე, ჩანს, ამან აფიქრებინა ისტორიკოს დ. კარიჭაშვილს მისი ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა. დ. კარიჭაშვილს თავისი მოსაზრება სტამბის მოსკოვიდან ვესვსიატსკოეში გადატანის შესახებ ჩვენ მიერ დასახელებულ მეორე და მესამე წყაროზე აქვს აგებული. ამას მოწმობს მისი შემდეგი სიტყვები: „მართალია, დაბადება დაიბეჭდა იოსებ სამებელის სტამბაში, მაგრამ ეს სტამბა მის დასაბეჭდად დროებით გადატანილ იქნა ბაქარის ბინაზე დაბა ვესვსიატსკში ანუ, როგორც თვით წიგნშია მოხსენებული, დაბასა

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 47.

[2] იქვე.

სვესვენწკასა“. ვსესვიატსკოე „სვესვენწკად“ სწორედ ამ ორ წყაროშია მოხსენიებული.

მოსაზრება ვსესვიატსკოეს სტამბის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის შესახებ რეალურ საფუძველს მოკლებულია. როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, იგი ბაქარის ინიციატივით, იოსებ სამებელის ხარჯით, ქრისტეფორე გურამიშვილის შეწევნითა და დარეჯანის აქტიური ხელშეწყობით არჩილ II-ის უფროსი ვაჟის ალექსანდრეს პირველი ცოლის ფეოდოსია მილოსლავსკის ნამზითევ მამულში — ვსესვიატსკოეში ყოფილა მოთავსებული და მთელი თავისი არსებობის მანძილზე არსად არ გადაუტანიათ.

ამის შემდეგ ისმება კითხვა: მაშ ამავე სტამბაში გამოცემული წიგნების ცნობებში რატომაა დაბეჭდვის ადგილად ხან მოსკოვი და ხან ვსესვიატსკოე მითითებული? ვფიქრობთ, მხოლოდ და მხოლოდ ორივეს ერთი და იმავე ადგილსამყოფელის მნიშვნელობის გამოსახატავად და სხვა ჟრაფრისთვის. ჩვენი ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი გარემოება: ბაქარი „ბიბლიის“ დაბეჭდვის ადგილის შესახებ წინასიტყვაობაში წერს: „აღვბეჭდეთ სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს“, ვახუშტი კი ამავე წიგნის ბოლოსიტყვაობაში ამბობს: „მივეცით საბეჭდავსა შინა, დაბასა სვესვენწკას“. თუ ჩვენს მოსაზრებას სარწმუნოდ არ მივიჩნევთ, მაშინ გამოდის, რომ ბაქარი და ვახუშტი საკვლევი საკითხის ირგვლივ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან. ეს შეუსაბამობა ალბათ დ. კარიჭაშვილმაც შენიშნა და იმისათვის, რომ გამოსავალი ეპოვა, შემდეგი მოსაზრება წამოაყენა: „დაბადების დაბეჭდვის შემდეგ სტამბა ვსესვიატსკიდგან ისევ მოსკოვს იქნა გადმოტანილი“ [1]. რა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ერთი და იმავე წიგნის ბეჭდვის პროცესში სტამბის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა? დავუშვათ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა გამოწვეული იყო რაღაც დიდი, სერიოზული მიზეზით. თუ ეს ასეა, მაშ რიღასთვის გახდა საჭირო მისი ისევ უკანვე გადმოტანა? ამ კითხვაზე დ. კარიჭაშვილი პასუხს არ იძლევა. ეს მიგვანიშნებს, რომ მისი მოსაზრება ამ შემთხვევაში სარწმუნოდ არ შეიძლება ჩაითვალოს. აქვე ჩვენი ღვაწლმოსილი მკვლევარის საწინააღმდეგოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არა გვგონია იმ დროისათვის

[1] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 55.

სტამბის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ადვილი ყოფილიყო. დაუჯერებლად მიგვაჩნია აგრეთვე ისიც, რომ ისეთ გონიერ და წინდახედულ გამომცემლებს, როგორიც ბაქარი და ვახუშტი იყვნენ, ერთ წიგნში შეცდომით ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები გაპარვოდეთ.

მოსაზრებას — ვსესვიატსკოეს მამულების დარეჯანის საკუთრებაში გადასვლის შესახებ, თითქოს უსაფუძვლოს ხდის 1743 წელს გამოცემული „ჟამნის“ თავფურცელში შემონახული ზემოთ დაბეჭდილი ცნობა, რომელშიც ხაზგასმით ნათქვამია: „გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ჟამნი დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, დაბასა სვესვენწკასა, მეფის ბაქარის სასახლეშია“. მოტანილი ადგილი ერთი შეხედვით ამაგრებს და სარწმუნოს ხდის ისტორიკოს დ. კარიჭაშვილის განცხადებას ვსესვიატსკოეს ბაქარისეულობაზე. იმისათვის, რომ ჩვენმა მოსაზრებამ ღირებულება არ დაკარგოს, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი ამ მამულებზე ბაგრატიონების მფლობელობის ისტორიას.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე მილოსლავსკებისეული ვსესვიატსკოეს მამულები დარეჯანზე გადაფორმდებოდა, მათ მფლობელად არჩილ II ითვლებოდა. მის ფაქტიურ გამგებლობაში შედიოდა აგრეთვე მოსკოვის ერთ-ერთი ცნობილი ტაძარი — დონის მონასტერი, რომელშიც დაცული იყო უდიდესი განძი — დონის ღვთისმშობლის ხატი. ამ დროს არჩილის სამი ვაჟიშვილიდან ცოცხალი უკვე აღარც ერთი აღარ იყო. ალექსანდრეს მომდევნო ვაჟი მამუკა 1693 წელს გარდაიცვალა, ხოლო სულ უმცროსი დავითი უფრო ადრე — 1688 წ. დაიღუპა. არჩილმა ვერც ერთი შვილი ვერ დაიტირა, რადგანაც დავითის გარდაცვალებისას იგი საქართველოში იმყოფებოდა და ხმალდახმალ ებრძოდა მტერს ძალით მიტაცებული იმერეთის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად, მამუკას სიკვდილი კი საშობლოდან რუსეთში უკან დაბრუნებისას გზაში შეიტყო. ერთადერთი ასულის — დარეჯანის ანაბარა დარჩენილმა სამი შვილის დამკარგავმა მამამ თავისი ძმისწულის ვახტანგ VI-ის ვაჟი ბაქარი იშვილა და მემკვიდრედ გაიხადა.

სწორედ არჩილ II-ის მიერ ბაქარის მემკვიდრედ დამტკიცება აქვს მხედველობაში ვახუშტი ბაგრატიონს, როცა „ბიბლიის“ ბოლოსიტყვაობაში ამბობს: „პირმშომან ძემან მეფის ვახტანგისამან, მეფემან

ვახტანგ, ინება დაბადებისა ამის მეფის (აქ მეფედ იგულისხმება არჩილი. — ო. კ.) ნამუშაკევისა ბეჭდვად, — ვინათგან იგი იქმნა მეშვიდრე მეფის არჩილისა, — რათა არ უდებ იყოს შრომა მისი"[1].

არჩილის გარდაცვალების შემდეგ ვესვიატსკოე მისი ასულის მფლობელობაში გადავიდა, ხოლო 1740 წლიდან, ანუ დარეჯანის სიკვდილის შემდეგ, ბაქარმა იგი მემკვიდრეობით დაიმტკიცა. აშკარაა, რომ 1743 წელს გამოცემული „ჟამნის" თავფურცელში ვესვიატსკოეს მამულები ბაქარის საკუთრებადაა მოხსენებული. აღნიშნული თარიღისათვის რომ დარეჯანი ნამდვილად ცოცხალი აღარ არის, ეს ჩანს თვით „ბიბლიის" წინასიტყვაობიდანაც. მასში ბაქარი წერს: „აღვბეჭდეთ სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს შენდობითა და კურთხევითა წმინდათა მმართებელთა სინოდისათა... საოხად და სულთა წინა თქმულთა მათ მეფეთა: მეფის არჩილისა და ასულისა მისისა დარეჯანისათვის. მამისა ჩემისა მეფის ვახტანგისა და დედისა ჩემისა დედოფლის რუსუდანის"[2]. ჩვენ ვიცით, რომ არჩილი გარდაიცვალა 1713 წელს, ვახტანგ VI — 1732, ხოლო რუსუდანი — 1739 წელს. დარეჯანი რომ ამ დროს, ანუ 1743 წლისათვის, ცოცხალი ყოფილიყო, ცხადია, ბაქარი მას გარდაცვლილთა შორის არ მოიხსენებდა „საოხად სულისა".

ვესვიატსკოეს მამულები რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში ბაქარის მემკვიდრეობაში გადავიდა, მთელ რიგ სხვა საბუთებთან ერთად მოწმობს აგრეთვე პროფ. თ. ჰუონიას მიერ გორკის ოლქში აღკვლეული ერთ-ერთი ანონიმი ავტორის ხელნაწერი, რომელშიც ნათქვამია: «По смерти царевны Дарьи Арчиловны, 1744 года, Бакар вступил в владение оставшегося после нее имения вместе с братом своим Георгием, а в 1749 году дозволено ему государынею Елизаветой Петровною, пожеланию его, возратиться опять в свое отечество — Грузию со всем своим двором, а недвижимые имения его и предков его, пожалованныя им, обратно взять в казну; но слабость здоровья не дозволила ему исполнить сего желания, в 1750 г. он скончался на возвратном пути, в Астрахане, где и погребен»[3].

ბაქარის გარდაცვალების შემდეგ ვესვიატსკოეში ერთხანს მის

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 46.

[2] იქვე.

[3] ლიტერატურული ძიებანი, 1948, ტ. IV, გვ. 271.

შეუღლეს ანას უცხოვრია თავის შვილებთან — ლევანთან და ალექსანდრესთან ერთად.

ახლა გავარკვიოთ ვსესვიატსკოეს სტამბის დაარსების ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, 1737 წლის 7 ნოემბერს სინოდის ძიერ ბეჭდვის თაობაზე ნებართვის მიცემის შემდეგ ბაქარი და მის ირგვლივ შემოკრებილი ქართველი მოღვაწენი აარსებენ თავიანთ სტამბას, სადაც იმავე წლის 22 დეკემბერს უკვე გამოდის პირველი წიგნი „დავითნი“.

იბადება კითხვა: როგორ მოახერხეს სინოდიდან ნებართვის მიღების შემდეგ პირველი წიგნის დაბეჭდვამდე განვლილ სულ რაღაც 45 დღეში სტამბის მოწყობაცა და „დავითნის“ გამოცემაც?

ამ კითხვაზე მრავალ მკვლევარს აქვს პასუხი გაცემული და უხდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მათგანი აღძრულ საკითხს ისევ მოსკოვში არჩილისეული სტამბის არსებობას უკავშირებს. ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას ავტორობით 1946 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“, მაგალითად, ვკითხულობთ:

რუსეთში „გადახვეწილ ქართველებს მშობელი ხალხისათვის სასარგებლო მუშაობა არ შეუწყვეტიათ: სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო სასწავლო წიგნებს, აღადგინეს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში არჩილ მეფის მიერ გამართული ქართული სტამბა მოსკოვს, ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს“ [1].

მკვლევარი ა. აბრამიშვილი წერს: «Царевич Бакар, сын Вахтанга VI, совместно с архиепископом Иосифом Самебели в 1737 г. открыл, вернее возобновил, в Москве грузинскую типографию, которая действовала до 1744 г.» [2].

ამავე აზრს გამოთქვამს პროფ. ს. ყუბანეიშვილიც. იგი გახმარტავს: „ქართველები მოითხოვდნენ, რომ ქართული წიგნები დაბეჭდილიყო პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, მაგრამ 1727 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებულებით საეკლესიო წიგნების დაბეჭდვა შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვში, სინოდის მეთვალყურეობით. მოსკოვში ქართველებმა მიზანშეწონილად ცნეს აღედგინათ არჩილის

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი 1, 1946, გვ. 373.

[2] Книга, исследования и материалы, сборник III, 1960, стр. 275.

სასახლეში არსებული ქართული სტამბა და იქ განეახლებინათ წიგნების ბეჭდვა. ასეც მოიქცნენ. არჩილის სტამბა განაახლა და საკუთარი ხარჯით ახალი მასალებით შეავსო იოსებ სამებელმა"[1].

კიდევ უფრო შორს მიდის პროფ. გ. პაიჭაძე. იგი არათუ იცავს მოსკოვში არჩილის სტამბის არსებობას, არამედ მის ადგილსამყოფელსაც კი განსაზღვრავს: «Петр I, — წერს იგი, — предоставил в распоряжение Арчила Донской монастырь, куда Арчил привлек образованных грузинских иеромонахов. Здесь в 1737 г. он основал грузинскую типографию»[2].

საბოლოოდ გვინდა ერთხელ კიდევ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება მოსკოვში არჩილ II-ის მიერ სტამბის დაარსების შესახებ. შესაძლებელია „წიგნთ საბეჭდავის" მოწყობის მიზნით არჩილ II-ს შრიფტთან ერთად შეუძენია სტამბის მოწყობილობაც, რომელიც დ. კარიჭაშვილის თქმისა არ იყოს, შემდეგ დარეჯანს დარჩა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამან განაპირობა სტამბის სწრაფად გამართვა და „დავითნის" მოკლე დროში გამოცემა.

ზემოთ წამოყენებულ კითხვაზე დასახელებულ მკვლევართაგან შედარებით განსხვავებულ პასუხს იძლევა აკად. კ. კეკელიძე. მისი განმარტებით, მოსკოვში ქართული სტამბის მოკლე დროში დაარსება განპირობებული ყოფილა იოსებ სამებელის მიერ ნოვგოროდიდან თავისი სტამბის გადმოტანით. იგი აცხადებს: Водворившись в Новгороде, он (Самебели) основал типографию, в которой были отпечатаны Часослов, Триодь постная и цветная, Октоих и Евангеле. Когда проживавшим в России грузинам в лице царевича Бакара отказано было в просьбе напечатать в Академии наук грузинские церковно-богослужебные книги, решено было печатать их самим; с этой целью они задумали воспользоваться Новгородской типографией Иосифа Самебели. По этому царевич Бакар в 1740 г. подает прошение в св. Синод о переводе Иосифа в Москву, о чем последний и сам хлопотал раньше, но безуспешно. Но этот раз Синод уважил просьбу Бакара и перевел Иосифа в Москву. Из Новгорода он забрал с собой и свою типографию, которая была помещена на «Всесвятской»[3].

---

[1] ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, 1956, გვ. 221, 222.

[2] Г. Пайчадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, 1970, стр. 32.

[3] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. XXII—XXIII.

უპირველეს ყოვლისა გავარკვიოთ, არსებობდა თუ არა ნოვგოროდში საერთოდ ქართული სტამბა? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, გვინდა შემდეგი აღვნიშნოთ: მოსაზრება ნოვგოროდში ქართული სტამბის არსებობის შესახებ თავდაპირველად ისტორიკოსმა თ. ჟორდანიამ წამოაყენა [1].

1901 წელს თ. ჟორდანიას მოსაზრება სიტყვა-სიტყვით გაიმეორა პროფ. ალ. ხახანაშვილმა [2], ხოლო 1902 წელს ამავე საკითხს დადებითად გამოეხმაურა აგრეთვე ეპისკოპოსი კირიონი [3]. ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი არ იზიარებს ნოვგოროდში ქართული სტამბის არსებობას და კატეგორიულად უარყოფს თ. ჟორდანიას მიერ წამოყენებულ ვერსიას. „თ. ჟორდანია, — წერს დ. კარიჭაშვილი, — თავის სტატიაში „მთავარ-ეპისკოპოზი იოსებ სამებელი" მოგვითხრობს, ვითომ იოსებ სამებელს ნოვგოროდის კათედრაზე განწესებისთანავე სტამბა გაემართოს ნოვგოროდში (იურის მონასტერში) და დაებეჭდოს წიგნები. ის წიგნები, რომელნიც ჟორდანიას ნოვგოროდში დაბეჭდილებად აქვს მოხსენებული, ყველანი მოსკოვში არიან დაბეჭდილნი სამებელის მიერ დაარსებულ სტამბაში" [4]. იქვე დ. კარიჭაშვილი დასძენს: „იოსებ სამებელმა დააარსა სტამბა მხოლოდ მოსკოვში, ნოვგოროდში კი არც მას და არც სხვას ვისმე ქართული სტამბა არ დაუარსებია" [5].

დ. კარიჭაშვილის საარგუმენტაციო მასალა ეჭვმიუტანელს ხდის ნოვგოროდში ქართული სტამბის არსებობის უარყოფის საკითხს. ის წიგნები, რომლებსაც თ. ჟორდანია, ალ. ხახანაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი და აკად. კ. კეკელიძე ნოვგოროდში გამოცემულად მიიჩნევდნენ, ნამდვილად ვსესვიატსკოეს სტამბაში არის დაბეჭდილი: „ზატიკი" 1738 წელს, „სახარება" 1739 წელს, ხოლო „მარხვანი" 1741 წელს. როგორც ჩანს, თ. ჟორდანია მალე მიმხვდარა თავის შეცდომას. 1885 წელს მან უკვე უარყო პირვანდელი მოსაზრება ზემოდასახელებული წიგნების ნოვგოროდში დაბეჭდვის შესახებ [6], მაგრამ

[1] ჟურნალი „ივერია", 1884, № 2, გვ. 54, 55.

[2] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, 1901, стр. 370.

[3] Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, 1902, стр. 222.

[4] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 60.

[5] იქვე, გვ. 54.

[6] ჟურნალი „ივერია", 1885, № 10.

თვით სტამბის არსებობის საკითხს დუმილით აუარა გვერდი. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ საკითხში იგი ისევ ძველ მოსაზრებაზე იდგა. მაშასადამე, ირკვევა, რომ ნოვგოროდში არც ერთი ქართული წიგნი არ დაბეჭდილა და არც სტამბა არსებულა. ასე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელია ამ სტამბაში გამოცემული წიგნებიდან ერთ-ერთს მაინც არ მოეღწია ჩვენამდე.

ამრიგად, მოსკოვსა და საერთოდ რუსეთში პირველი ქართული სტამბის დამაარსებლად იოსებ სამებელი უნდა ჩაითვალოს. საბუთაროდ, სათანადო სარწმუნო წყაროების ნაკლებობის გამო ამ სტამბის დაარსების ისტორიაზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია და ამიტომ მხოლოდ სავარაუდო მოსაზრების გამოთქმა თუ შეიძლება. იმისათვის, რომ ამგვარი გზით მაინც აღვადგინოთ ვესესვიატსკოეს სტამბის დაარსების ისტორია, საჭიროა ორიოდე სიტყვით მოვხაზოთ ის გარემო პირობები, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება-მოღვაწეობა სამშობლოდან რუსეთში ლტოლვილ ქართველ ემიგრანტებს.

მოსკოვის პირველი მუდმივი მკვიდრი ქართველები 1696 წელს გადასახლებული არჩილ II-ის ოჯახისა და მისი ამალის წევრები იყვნენ. მათ რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა თვით მოსკოვსა და მოსკოვის მახლობლად გამოუყო მიწის ნაკვეთები საცხოვრებლად. მალე წარმოიშვა ქართველთაგან დასახლებული რამდენიმე უბანი. თავდაპირველად სამშობლოდან ლტოლვილთა თავშეყრის ადგილად ნიკოლსკის ქუჩაზე მდებარე ბერძნული მონასტერი ყოფილა მიჩხეული. აქ აწყობდნენ ისინი ლიტერატურულ შეკრებებს, აქ უზიარებდნენ ერთმანეთს საქართველოდან მიღებულ ცნობებს თავიანთი ქვეყნისა და ყოველდღიური ჰირვარამის შესახებ. ამავე ქუჩაზე არსებულა აგრეთვე სტამბა, რომლითაც დიდად დაინტერესებული ყოფილა არჩილი. ვლ. ტატიშვილი გადმოგვცემს: „არჩილი რამდენჯერმე იყო ნიკოლსკის ქუჩაზე, გაეცნო სტამბას, გამოიკითხა, თუ რა დაჯდა დაზგები და ლიტერები, გაეცნო ოსტატებს“ [1].

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ქართველების კოლონია მოსკოვში კიდევ უფრო გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო ვახტანგ VI-სთან ერთად 1200-მდე ქართველის რუსეთში გადასახლებამ. პირველ ხანებში ვახტანგმა ბინა ვესესვიატსკოეში, არჩილისეულ სასახლეში დაიდო, მაგ-

[1] ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, 1947, გვ. 91.

რამ მალე, კერძოდ 1729 წელს, იგი პრესნაზე რიაზანის ყოფილი მიტროპოლიტის სტეფანეს ბინაში გადავიდა საცხოვრებლად, მისი ამალის წევრები კი კოლმენის მონასტერსა და იქვე ახლოს მდებარე მამულებში განაწილდნენ. „რიაზანის მიტროპოლიტის სასახლე ზამთარში გამოუსადეგარი იყო. ამავე დროს იგი საკმარისი არ აღმოჩნდა, რათა იქ ვახტანგ VI-ის ყველა მხლებელი და მსახური დაბინავებულიყო. ამიტომ 1731 წელს ვახტანგს არბატში, ამაღლების მონასტერთან, დამატებით უბოძეს ვასილ ლუკას ძე დოლგორუკოვის ქვით ნაშენი სასახლე“[1].

ეჭვს გარეშეა, რომ ვახტანგ IV-ის ამალის წევრებს, კერძოდ, ბაქარს, კარგად ეცოდინებოდათ ნიკოლსკის ქუჩაზე მდებარე ბერძნული მონასტრისა და ზემოაღნიშნული სტამბის არსებობის შესახებ. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ამ სტამბიდან შეიძინა იოსებ სამებელმა ბაქარის უშუალო ჩარევითა და დარეჯანის აქტიური ხელშეწყობით საბეჭდი აღჭურვილობა ვესესვიატსკოეში ქართული სტამბის მოსაწყობად.

შედარებით უფრო სარწმუნო მოსაზრების გამოთქმა შეიძლება ამ სტამბისათვის შრიფტის შეძენის შესახებ. გავიხსენოთ ვახტანგ VI-ის შუამდგომლობა 1730 წელს საგარეო საქმეთა კოლეგიის წინაშე ქართული წიგნების ბეჭდვის ნებართვაზე. მოსკოვის სახაზინო სტამბის დირექტორი თ. პოლიკარპოვი არჩილისეული ქართული შრიფტის რაოდენობისა და მისი გამოყენების ვარგისიანობის შესახებ საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა: «В Московской типографии в прошлых годах при царе Арчиле Вахтанговиче Меретинском книги печатаны были... и ныне печатанию тех книг фундаментальных материалов имеется пунсонов стосемдесят четыре, матриц стосемдесят пять да одна форма, литер один пуд тридцат два фунта три четверти сосмухою».

მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ 1737 წლისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როცა იოსებ სამებელი სტამბის დაარსებისათვის ფიქრსა და ზრუნვას იწყებს, მოსკოვის სახაზინო სტამბაში ზემოაღნიშნული ქართული შრიფტი არსებულა. აქედან გამომდინარე, უფლება გვქონდა გვეფიქრა, რომ სწორედ ეს შრიფტი იქნა გამოყენებული ვესესვიატსკოეში ახლად დაარსებული სტამბის ასამუშავებლად. მაგრამ ასეთი

---

[1] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, 1969, გვ. 167.

დასკვნის გამოტანის საშუალებას არ გვაძლევს შემდეგი გარემოება: 1705 წელს არჩილ II-ის მიერ გამოცემული „დავითნისა“ და იოსებ სამებელის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების შრიფტი აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მოსკოვის სახაზინო სტამბაში შემორჩენილი შრიფტის გამოუყენებლობას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს. სახელდობრ კი აი რა: იგივე თ. პოლიკარპოვი საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „Можноль ими (იმ შრიფტით — ო. ქ.) печатать впредь какие книги, о том же известно для того, что еще набора в лицах не имеется. И по качеству тетратей онной набор типографии несведом».

დასაშვებია, შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ქართული შრიფტი სრულყოფილი სახით აღარ იყო შემორჩენილი. დროთა განმავლობაში იგი დაიფანტა და ეს გახდა მიზეზი მისი გამოუყენებლობისა. ასეა თუ ისე, ამ შრიფტით აწყობილი არც ერთი წიგნი ვესესვიატსკოეს სტამბაში არ დაბეჭდილა.

მოიპოვება 1737 წლის 17 ივნისით დათარიღებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ერთგვარ ნათელს ჰფენს ვესესვიატსკოეს სტამბის შრიფტის დამზადების საკითხს. მასში ვკითხულობთ: «По указу ее и. в. Академии наук, слушав поданного Новгородской епархии архиепископа грузинского монастирыя Иоанна, игумена Христофора доношения, в котором написано: желает он, чтоб соблоговолила Академия наук напечатать на российском и грузинском языках (азбуки?) пятьсот экземпляров, которое грузинского языка наборное дело он исправлять будет сам; а что на ануюазбуку бумаги коментарной издержано будет, такожде и за напечатание оной, то он в Академию наук по настоящей цене деньги заплатит, определила: «Показанные экземпляры на российском и грузинском дялектах в российской типографии печатать; а что на оное потребно ему будет какой бумаги, и ту отдавать из книжной палаты, и о том корректору Федору Степанову и книгопродавцу Кланнеру дать указы; а что какой бумаги и на печатание материалов употреблено будет, на сколько по цене, о том сметясь, в Академию наук репортовать»[1].

ცხადია, ამ დოკუმენტში მოხსენებული ქრისტეფორე, გურამიშვილი უნდა იყოს. XVIII საუკუნის 30—40-იან წლებში რუსეთში მოღვაწე სხვა ქრისტეფორეს ჩვენ არ ვიცნობთ. ამრიგად, ირკვევა, რომ

[1] Материалы для истории Академии наук, т. III, 1886, стр. 411.

1737 წლის მაის-ივნისში მას თხოვნით მიუმართავს მეცნიერებათა აკადემიისათვის ქართულ-რუსული ანბანის დაბეჭდვის შესახებ. საფიქრებელია, რომ ამ წიგნის გამოცემას თავისი პირდაპირი დანიშნულების, კერძოდ, არჩილისა და ვახტანგ VI-ის დროს სამშობლოდან ლტოლვილი ქართველების მიერ რუსული ენის შესწავლა-დაუფლების გარდა, მეორე არანაკლებ სერიოზული საფუძველიც ედო ძიზეზად. აქ მხედველობაში გვაქვს ქართული შრიფტის ჩამოსხმა-დამზადების საკითხი, რადგანაც მეცნიერებათა აკადემიის მიერ ქრისტეფორე გურამიშვილის თხოვნის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ახალი ქართული შრიფტის ჩამოსხმის გარეშე ამ წიგნის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა. როგორც ჩანს, მეცნიერებათა აკადემიას ქრისტეფორე გურამიშვილის თხოვნა დაუკმაყოფილებია. «По указу ее и. в. Академия наук, — ვკითხულობთ მეორე ოფიციალურ დოკუმენტში, — по требованию словесному Новгородской епархии архиепископа грузинского монастирыя Иоанна, игумена Христофора, определила. В словолитной палате по показанию его, отлить вновь литер грузинских, также и цветков. И о том подмастерью крестьяну Битнеру дать указ, в котором объявить, ежели он те литеры и цветки коликое число сделает, и сколько весу в них и во что ценою будет о том о всем ему в академическую канцелярию репортовать» [1].

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ორივე დოკუმენტი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის როგორც მოსკოვში დაარსებული პირველი ქართული სტამბის შრიფტის დამზადების შესახებ, ისე ქრისტეფორე გურამიშვილის ბიოგრაფიის შესავსებად. აღნიშნული დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ქრისტეფორე ასოთამწყობი ყოფილა. ამას მოწმობს შემდეგი სიტყვები: «грузинского языка наборное дело он (გურამიშვილი.—ო. კ.) исправлять будеть сам». უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქრისტეფორე გურამიშვილს დაუმზადებია ქართული შრიფტის ნახაზი და მისივე რჩევა-დარიგებით თუ ხელმძღვანელობა-მითითებებით ვინმე ბეტნერს ჩამოუსხია იგი, რადგანაც მეორე ადგილას ნათქვამია: «по показанию его (ქრ. გურამიშვილი. — ო. კ.) отлить вновь литер грузинских, также и цветков». ცხადია, ქრისტეფორე გურამიშვილისავე ხელით უნდა იყოს აწყობილ-ჩასწორებული „ანბანის“ ქართული ტექსტიც.

---

[1] Материалы для истории Академии наук, т. III, 1886, стр. 412.

ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ს. ბულიჩი ქრისტეფორე გურამიშვილისა და საერთოდ ვინმეს მიერ ქართული შრიფტის 1746 წელზე ადრე ჩამოსხმის საკითხს ერთგვარად საეჭვოდ მიიჩნევს. იგი ყურადღებას ამახვილებს ზემომოტანილ სინოდალურ საარქივო დოკუმენტში მოყვანილ სიტყვებზე «отлить вновь литер грузинских» და წერს: «Выражение «вновь» как бы указывает, что раньше подобные литеры отливались. Но подобное предположение опровергается давольно веско прошением типографского подмастерья Михаила Яковлева о пронзводстве его в факторы, поданным в Академию наук в июле 1746 г. Говоря о своих заслугах, Яковлев указывает, что он исправлял «на грузинском языке азбуку, которых при здешней типографии еще никогда не бывало» [1].

რატომ ხდის ს. ბულიჩი 1746 წლამდე ქართული შრიფტის ჩამოსხმის საკითხს საეჭვოდ? ამ წელს მ. იაკოვლევს მხოლოდ განცხადება შეუტანია მეცნიერებათა აკადემიაში ხელფასის მომატების შესახებ და მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, თუ კონკრეტულად როდის მოუხდა „ქართული ანბანის“ ანაწყობი ტექსტის სწორება. უნდა ვიფიქროთ, რომ სტამბაში თავისი მუშაობის მანძილზე მას უხდებოდა რთულ ორიგინალებზე, მათ შორის ქართულ ტექსტებსა თუ ტექსტზე მუშაობაც. იგი განცხადებაში ზოგადად წერს, რომ ვასწორებდი «остелогию, коментарии, календари и разные труднейшие табели, а особливо придворные календари из самых малейших литер, также на грузинском языке» [2].

რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მ. იაკოვლევს სწორედ 1746 წელს მოუხდა „ქართული ანბანის“ აწყობა-ჩასწორებაზე მუშაობა, როგორც ამას ს. ბულიჩი ასკვნის, და არა, ვთქვათ, 1735 — 1737 წლებში, როცა ქრისტეფორე გურამიშვილმა თავისი უშუალო პრაქტიკული მონაწილეობით ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში? მ. იაკოვლევის განცხადებიდან ჩვენ მიერ წამოყენებული დასკვნის გამოტანა უფრო შეიძლება, ვიდრე ს. ბულიჩისა. მასში, მართალია, ხაზგასმით არა, მაგრამ მინიშნებით

---

[1] С. К. Булич, Очерки истории языкознания в России, т. I, 1904, стр. 475.

[2] იქვე.

ნათქვამია: «А сверх означенной моей ревностной службы, довольное число в пользу и славу Академии наук учеников помянутому наборному художеству обучил, из которых уже и действительно наборщиками произведены, и отправляем ныне одни только природные российские, почти на всех европейских языках разные дела с такою же исправностью, с какою прежде бывшие иноземцы (у которых я и обучался) отправляли, включая российского и грузинского языков»[1].

შეიძლება იმ „ინოზემცებს“ შორის, რომლებიც მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდნენ, მ. იაკოვლევი ქრისტეფორე გურამიშვილსაც გულისხმობს. ეს კი, როგორც ვიცით, 1737 წელს უნდა ყოფილიყო.

დაბოლოს, მ. იაკოვლევის დამოწმებითაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო 1746 წლამდე ქართული შრიფტის ჩამოსხმის უარყოფა, მისი სარწმუნოდ მიჩნევა მაინც გაუმართლებელი იქნებოდა, რადგანაც იგი სუბიექტური ხასიათისაა და თანაც ისეთ საკითხს შეეხება, როგორიც ხელფასის მომატებაა. რა თქმა უნდა, რაოდენ პატიოსანიც უნდა ყოფილიყო მ. იაკოვლევი, მაინც შეეცდებოდა მუქ ფერებში აესახა ის სამუშაო, რომლის შესრულებაც მას უხდებოდა. ვინ იცის, მართლა მოუწია თუ არა მას „ქართული ანბანის“ სწორება?

არ ვიცით, იცნობდა თუ არა ს. ბულიჩი ზემოდასახელებულ სინოდალურ საარქივო დოკუმენტს, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ მ. იაკოვლევის განცხადების მასზე წინ დაყენება ჩვენი მხრივ უმართებულო იქნება.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული შრიფტი ქრისტეფორე გურამიშვილისა და ვინმე ბეტნერის მიერ გაცილებით ადრე იქნა ჩამოსხმული პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, ვიდრე ამას ს. ბულიჩი ფიქრობდა. ალბათ შემდეგში ეს შრიფტი შეისყიდა იოსებ სამებელმა სწორედ იმხანად დაარსებული თავისი სტამბისათვის. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ, მკვლევარ ა. აბრამიშვილის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, «По внешнему виду и украшениям (заголовочный бордюр, заставка) «Русско-грузинская азбука» полностью напоминает оформ-

---

[1] С. К. Булич, Очерки истории языкознания в России, т. I, 1904, стр. 475.

ление последующих грузинских церковно-богослужебных книг, вышедших из грузинской типографии в Москве в 1737—1744 гг.[1]

ასე გვესახება ზოგადად ქრისტეფორე გურამიშვილის შეწევნით ქართული შრიფტის ჩამოსხმისა და საერთოდ ვესვეიატსკოეს სტამბის დაარსების ისტორია.

სინოდმა მკაცრი კონტროლი დააწესა იოსებ სამებელის სტამბაზე. იგი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ქართული გამოცემების ტექსტი იმდროისათვის რუსეთში მოქმედი საეკლესიო წიგნების ზუსტი შესატყვისი ყოფილიყო. ამის უშუალო პასუხისმგებლობა თვით იოსებ სამებელს ჰქონდა დაკისრებული. იგი ვალდებული იყო გამოცემული წიგნების თითო ეგზემპლარი სინოდისათვის გაეგზავნა გასაკონტროლებლად. ჩანს, იოსებ სამებელი ყოველთვის ზუსტად ვერ ასრულებდა ამ მოთხოვნას. 1740 წლის 3 ნოემბერს სინოდს მიუღია ქართულად დაბეჭდილი „ფსალმუნის“, „სახარებისა“ და „ზატიკის“ სავალდებულო ცალები, მაგრამ რადგანაც ამ წიგნებს თან არ ახლდა ცნობა ტირაჟების შესახებ, 1741 წლის 13 იანვარს გადაწერი ალ. პატრიკეევი გაუგზავნიათ პეტერბურგში იოსებ სამებელთან საკითხის გასარკვევად. ამ უკანასკნელს გამოცემული წიგნების ტირაჟები ზეპირად არ ხსომებია. იგი შეპირებია ალ. პატრიკეევს, რომ სასწრაფოდ გამოითხოვდა მოსკოვიდან საჭირო ცნობებს და ყოველივეს უმოკლეს ხანში შეატყობინებდა სინოდს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩენილა[2].

სინოდის მიერ ორგზის შეხსენების მიუხედავად ასევე არაფერი უცნობებია იოსებ სამებელს 1744 წლის 28 თებერვლის მოთხოვნაზე იმის შესახებ, თუ „სად და ვისი ზედამხედველობით წარმოებდა და წარმოებს ქართული წიგნების ბეჭდვა, რამდენი და რა სახელწოდების წიგნები დაიბეჭდა და იბეჭდება, ვინ ჰყავთ რუსული ენის მცოდნე პირები“ და სხვა[3]. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იოსებ სამებელი იშვიათად და თანაც არაზუსტ ცნობებს აძლევს სინოდს. აქედან გამომდინარე პროფ. ს. ყუბანეიშვილს დასაშვებად მიაჩნია, რომ ზოგიერთი წიგნი სინოდის სანქციის გარეშე იქნა დაბეჭდილი[4].

---

[1] Книга, исследования и материалы; Сборник III, 1960, стр. 287.

[2] ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, 1956, გვ. 222.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 223.

ეს მოსაზრება სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს. განა სინოდის ნებართვის გარეშე არ დაიბეჭდა „ბიბლია“, რამაც მძაფრი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია რუსეთის საეკლესიო მმართველობაში? გამორიცხული არ არის, რომ სწორედ იოსებ სამებელის მხრივ სინოდის მოთხოვნებისადმი წაყრუებამ განაპირობა სტამბის დახურვა.

ვესვიატსკოეს სტამბამ 1749 წლამდე იარსება. უკანასკნელი წიგნი, რომელიც აქ გამოვიდა, ეს არის 1744 წელს დაბეჭდილი „ჟამხი“.

რა ბედი ეწია შრიფტსა და სტამბის მოწყობილობას?

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთნი ფიქრობენ, თითქოს სტამბის მთლიანი მოწყობილობა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას ჩაბარდა; მეორენი ცდილობენ დაასაბუთონ, რომ იგი საქართველოში ჩამოიტანეს და დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერს შესწირეს; მესამენი ირწმუნებიან, ვითომც სამებელის გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი სარჩო-საბადებელი, მათ შორის სტამბაც, მის ძმისწულებს — ნოვგოროდის დერევიანიცკის მონასტრის არქიმანდრიტს ექვთიმეს, ქართველ ჰუსართა პოლკის სეკუნდ-მაიორს ავთანდილსა და ელიზბარს დარჩათ მემკვიდრეობით. ეს უკანასკნელი ვერსია თვით იოსებ სამებელიდან მომდინარეობს. ჯერ კიდევ 1740 წლის 2 ოქტომბერს მას თხოვნით მიუმართავს სინოდისათვის, რომ ნება დაერთოთ“ „отдать по смерти своей, во владение родным племяникам своим Архимандриту Новгородскому Деревяницкого монастыря Ефримию или состоящим в гусарском полку князьям Афанасию и Елисею Георгиевым сочиненный его старанием на его кошт в Академии наук инструмент для печатания книг на грузинском диалекте» [1].

ეს დოკუმენტი ორმხრივაა საინტერესო. ერთი, რომ იგი ვესვიატსკოეს სტამბის საბოლოო ბედს ეხება, მეორეც, მისი დაწერილობით კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ზევით გამოთქმული მოსაზრება ქრისტეფორე გურამიშვილისა და ვინმე ბეტნერის მიერ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ჩამოსხმული ქართული შრიფტის შეძენის შესახებ. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი სიტყვები: «Сочиненный его старанием на его кошт в Академии наук инструмент для печатания книг на грузинском диалекте».

პირველი ვერსია — დახურვის შემდეგ ვესვიატსკოეს სტამბის

---

[1] Описание документов и дел, хранящихся в архиве св. правительствующего Синода, т. 17, № 285/8.

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაცემის შესახებ, ცნობილმა რუსმა მკვლევარმა ვ. სოფიკოვმა წამოაყენა. მას შემდეგში მხარი დაუჭირა პროფ. პ. გუგუშვილმა. იგი წერს: „1750 წელს ზედიზედ გარდაიცვალნენ ბაქარი და იოსებ სამებელი. სტამბაც დარჩა უპატრონოდ და უქმად. ეს სტამბა რამდენიმე წლის შემდეგ (1755 წ.) გადატანილ იქნა პეტერბურგს და მოთავსებული სამეცნიერო აკადემიაში“ [1].

მკვლევართა უმეტესობა იცავს მეორე ვერსიას — სტამბის საქართველოში ჩამოტანისა და დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრისათვის გადაცემის შესახებ. ამ ვერსიის მოთავედ ისტორიკოსი თ. ჟორდანია ითვლება. 1884 წელს იგი „ივერიაში“ წერდა: „მისგან (სამებლისაგან) დარჩენილი ქონების სიიდან ჩანს, რომ სამებელს მოსკოვიდან წამოუღია ქართული სტამბა. ასოები და დაზგები... სხვა წიგნებს შორის მას აგრეთვე თან მოჰქონდა თურმე ქართული ახბანი 101 ეგზემპლარი და ქართულად დაბეჭდილი საარქიერო კონდაკი, რომელიც გამოცემული იყო მისგან, არ ვიცით როდის. ანდერძის ძალით სტამბა და სახარება შეუწირავს ნათლისმცემლის (დავით გარეჯის) მონასტრისათვის. ერთი ვერცხლის საცეცხლური ალავერდის ეკლესიისათვის; წიგნები თავისი დისათვის და სხვა ყოველივე დახარჩენზე „სხვათა ხელი არა აქვთო“ [2].

იგივეს იმეორებს დ. კარიჭაშვილიც. იგი დასძენს: „როგორც თ. ჟორდანია მოგვითხრობს, იოსებ სამებელს უცხოვრია მოსკოვში 1750 წლამდე. ამ წელს იგი წასულა მოსკოვითგან თავის მეგობარ იოანე მანგლელთან, რომელიც ყიზლარში ცხოვრობდა და თან წაუღია თავისი სტამბა (ასოები და დაზგები). გზაში ავად გამხდარა ქ. სარატოვში და მომკვდარა 1 ენკენისთვეს. დაუმარხავთ ქ. ასტრახანში. ანდერძით იოსებ სამებელს სტამბა იოანე ნათლისმცემლის მონასტრისათვის (გარეჯის უდაბნოში) დაუტოვებია [3].

სანამ თ. ჟორდანიას ვერსიაზე ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამდეთ, მოვიყვანთ მეორე ამონაწერს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მისივე წერილიდან. „მას (სამებელს), — გადმოგვცემს თ. ჟორდანია, — ჰყოლია რუსეთში ძმის-წული ავთანდილ (იგივე ათანასე) ქო-

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 83.
[2] ჟურნალი „ივერია“, 1834, № 3, გვ. 87.
[3] დ. ქ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, 57.

ბულოვი, ანუ ხვაბულოვი ქართველთა გუსარის პოლკის სეკუნდ-მაიორი, რომელმაც ითხოვა დარჩენილი ქონება სამებლისა, შემდეგ მისი სიკვდილისა“ [1].

თ. ჟორდანიას ზემოთ მოტანილ ორ ამონაწერში თითქმის ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. ჯერ წერია, რომ იოსებ სამებელს „ანდერძის ძალით სტამბა და სახარება შეუწირავს ნათლისმცემლის (დავით გარეჯის) მონასტრისათვის. ერთი ვერცხლის საცეცხლური ალავერდის ეკლესიისათვის; წიგნები თავისი დისათვის“, შემდეგ კი ნათქვამია: იოსების ძმისწულმა ავთანდილ ქობულაშვილმა „ითხოვა დარჩენილი ქონება სამებლისაო“. თუ იოსებ სამებელმა მთელი თავისი სარჩო-საბადებელი სიცოცხლეშივე გაანაწილა პირადი სურვილისამებრ და თანაც ყოველივე ეს ანდერძით განამტკიცა, მაშინ რაღა იურიდიული უფლება ჰქონდა ავთანდილ ქობულაშვილს დაეყენებინა ბიძამისის ქონების მოთხოვნის საკითხი?! ამიტომ, ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მკვლევარის ცნობა ვსესვიატსკოეს სტამბის უკანასკნელი პერიოდის შესახებ რეალურ საფუძველს მოკლებულ, ყურმოკრულ ამბებზეა აგებული? თ. ჟორდანია ამგვარი ყაიდის მეცნიერთა რიცხვს არ ეკუთვნის. როგორც თვით „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილიდან ჩანს, მას ხელთ ჰქონია უტყუარი ძასალები, კერძოდ, იოსების გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების სია და ანდერძი. მაშ რითი უნდა აიხსნას ზემოთ მოტანილ ორ ამონაწერში გამოთქმული ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება? თ. ჟორდანიას განმარტებით, იოსებ სამებელს თავისი ქონების მხოლოდ ერთი ნაწილი გაუჩუქებია, კერძოდ სტამბა, ვერცხლის საცეცხლური, „სახარება“ და სხვა წიგნები, დანარჩენი კი ხელშეუხებლივ დაუტოვებია. ამას მოწმობს თ. ჟორდანიას მიერ თვით იოსების ანდერძიდან ამოწერილი შემდეგი სიტყვები: ყოველივე დანარჩენზე „სხვათა ხელი არა აქვთო“. ალბათ სწორედ ქონების ის ნაწილი მოითხოვა ავთანდილ ქობულაშვილმა, რომელზეც „სხვათა ხელი არ ჰქონდათ“. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი არ აღძრავდა იოსების დანატოვარი ქონების მისთვის გადაცემის საკითხს.

უნდა ვიფიქროთ, რომ იოსებ სამებელს ჯერ კიდევ 1740 წელს სინოდში შეტანილი თხოვნა თავისი გარდაცვალების შემდეგ ქონების

[1] ჟურნალი „ივერია“, 1884, № 2, გვ. 32.

ძმისწულებზე გადაცემის თაობაზე შეუცვლია. რამ გამოიწვია ეს, ძნელი სათქმელია. შეიძლება თვით სინოდმა არ დართო ნება, რადგანაც ზოგიერთი წიგნის მისი სანქციის გარეშე დაბეჭდვისა და მთელი რიგი სხვა დარღვევების გამო საერთოდ ამ სტამბის დახურვას აპირებდა. გასათვალისწინებელია მეორე გარემოებაც. ვახტანგ VI-ის გადახვეწის შემდეგ, სახელდობრ XVIII საუკუნის 50-იან წლებამდე, საქართველოში წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმე ჩაკვდა და დავიწყებას მიეცა. დასაშვებია ამის გამოც ამჯობინა იოსებ სამებელმა თავისი სტამბა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში გადმოეტანა. მაგრამ ჩვენ მაინც პირველ ვერსიას — ვ. სოფიკოვისა და პროფ. პ. გუგუშვილის მოსაზრებას ვუჭერთ მხარს. შეუძლებლად მიგვაჩნია უკვე საკმაოდ ხანდაზმულ იოსებ სამებელს იმდროინდელ რთულ სატრანსპორტო საშუალებათა პირობებში თან წაეღო მოსკოვიდან ჩრდილო კავკასიაში შრიფტი ანდა სტამბის რაიმე მოწყობილობა. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ვესვიატსკოესეული სტამბის შრიფტი ამ უკანასკნელის დახურვის შემდეგ მართლაც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა.

ერეკლე II სტამბა

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ინიციატივით მთელი რიგი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოში. დაარსდა პირველი მუდმივი ეროვნული თეატრი, გაიხსნა წიგნსაცავ-ბიბლიოთეკები, სკოლები, მრავალი ახალგაზრდა გაიგზავნა რუსეთში სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად და სხვა. ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი აგრეთვე უცხოელთა გამუდმებული შემოსევების გამო ვახტანგ VI-ისეული მივიწყებული სტამბის აღდგენის საქმეს.

1929 წელს ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი წერდა: „რადგან ერეკლე იყო უმთავრესად სტამბის მზრუნავი და მისი მეცადინეობით გაახლდა, ამიტომ ამ სტამბას მე ვუწოდებ ერეკლეს სტამბას“ [1].

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 87.

ღვაწლმოსილი მეცნიერის ეს გამონათქვამი ისტორიულ სინამდვილეზეა დამყარებული, რის გამოც უფლებას ვიტოვებთ ჩვენც ასე მოვიხსენიოთ იგი.

სინოდალური ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტით ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზისა და ერეკლე II-ის მიერ ვახტანგ VI-ისეული სტამბის აღდგენის საქმეში გარკვეული როლი ცნობილ ასოთამწყობს, იოსებ სამებელის სულიერ ძმასა და მეგობარს ქრისტეფორე გურამიშვილს შეუსრულებია. მასში ვკითხულობთ: 1746 წელს ოსეთიდან «ездил в Грузию к Антонию каталикосу игумен Христофор для установления станов книжному печатанию, а не для чего другого, что и подтверждалось представленными к делу архимандритом Пахомием письмами к нему означенного царя (Теймураза) и патриарха Каталикоса» [1].

ამ საარქივო ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევს მკვლევარი ა. აბრამიშვილი. იგი განმარტავს: «Действительно, после временного пребывания в Грузии Христофора Гурамишвили, в 1749 г. в Тбилиси была напечатана первая после вахтанговских изданий грузинская книга — Псалтырь, а за ней последовали и другие грузинские книги» [2].

მართლა მიიღო თუ არა რაიმე მონაწილეობა ქრ. გურამიშვილმა ერეკლე II-ის სტამბის აღდგენა-დაარსების საქმეში, ძნელი სათქმელია. საერთოდ გასარკვევია, ჩამოვიდა იგი ოდესმე საქართველოში სამშობლოდან წასვლის შემდეგ? სინოდალურ საარქივო დოკუმენტში მოხსენიებულ თეიმურაზ II-ისა და ანტონ კათალიკოსის მიერ არქიმანდრიტ პახომისადმი გაგზავნილ წერილებს ბევრი ძებნის მიუხედავად ვერ მივაკვლიეთ. მაგრამ, ვფიქრობთ, არც მათში უნდა ყოფილიყო გაცემული ზუსტი პასუხი ქრ. გურამიშვილის საქართველოში ჩამოსვლისა და სტამბის მოწყობის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ. ამას გვაფიქრებინებს ზემოთ დასახელებული დოკუმენტის შემდეგი ადგილი: ჩავიდა იგი (ქრისტეფორე. — ო. კ.) საქართველოში «для установления станов книжному печатанию, а не для чего другого, что и подтверждалось представленными к делу архимандритом Пахомием письмами к нему означенного царя (Теймураза) и патриарха Католикоса».

---

[1] Описание документов и дел, хранящихся в архиве... Синода, том 31, стр. 369.

[2] Книга, исследования и материалы, Сборник III, 1960, стр. 292.

ჩანს, აღნიშნული წერილებით თეიმურაზ II და ანტონ კათალიკოსი არქიმანდრიტ პახომს სთხოვდნენ გამოეგზავნა ქრ. გურამიშვილი საქართველოში სტამბის მოსაწყობად, მაგრამ თუ რა შედეგი გამოიღო ამ თხოვნამ, ამაზე მათში არაფერი არ უნდა ყოფილიყო ნათქვამი. აბა სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები: «ездил для установленія становъ книжному печатанію, а не для чего другого».

ერეკლე II-ის სტამბის შესახებ უფრო სანდო ცნობას გვაწვდის ცნობილი ისტორიკოსი პ. ორბელიანი. იგი თავის ნაშრომში „ამბავი ქართლისა“ ანუ „მცირე ქართლის ცხოვრება“, როგორც მას ხარების საყდრის დეკანოზის ძე დავითი უწოდებს, გადმოგვცემს: „მეფე-ძან კეთილ-მორწმუნემან და პატრიარქმა სათნოებისა საფუძველძან იხებეს და სურვილითა და მოიძიეს სჯულნი ქრისტესნი და სიმრთელით ღუთისმსახურებით წეს-ჩვეულებანი ქართლისანი... ესეცა შესძინეს, გაძოიძიეს დიდის ცდით და წამოიღეს სტამბა, რომელ პირველ მეფეს ვახტანგს მოეღო ვლახეთით და მის მეფობას აქეთ ქართლში აღარსად იყო. ანტონი ბატონი-შვილმა, პატრიარქმა კეთილ-მა და სარწმუნოებისა და ქრისტეს სჯულისა განმანათლებელმა იგულისძოდგინა ფრიად, შემწე ექმნა მეფე ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღავსეს წიგნითა ქართლი“[1].

მაშასადამე, 1749 წელს ერეკლე II-ის შეწევნით ანტონ კათალიკოსს აღუდგენია ვახტანგ VI-ისეული სტამბა. პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა, იყო „დავითნი“. მის თავფურცელზე ვკითხულობთ: „სადიდებელად წმიდისა, ერთ არსისა, ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, ბრძანებითა ამაღლებულისა მეფისა ჩვენისა თეიმურაზ ერეკლეს ძისათა... კურთხევითა სრულიად საქართველოისა პატრიარქის მეფის ძის ანტონი ნეტარისათა. დაიბეჭდა წიგნი ესე ფსალმუნთა წარსაგებელითა საფასეთათა ბეჭდისა ამის განმაახლებლისა კახთა მეფისა ერეკლე თეიმურაზის ძისასა. სამეფოსა ქალაქსა ტფილისს. პალატსა საპატრიარქოსა. დასაბამითგან 7147. განხორციელებითგან ღმრთის სიტყვისა 1749“ [2].

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ანტონ კათალიკოსის პირადი

---

[1] საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 158, 159.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 51.

შრომითა და ერეკლე II-ის ხარჯით აღდგენილი სტამბა ტერიტორიულად საქართველოს მღვდელმთავრის რეზიდენციაში — „პალატსა საპატრიარქოსა“ ყოფილა მოთავსებული. თვით ამ უკანასკნელს თბილისში, ანჩისხატის მონასტრის ეზოში, შენობათა მთელი კომპლექსი ჰქონია დაკავებული. პ. კარბელაშვილი წერს: „ანჩისხატის ეზოში ძველადგანვე გამართული იყო საკათალიკოზო ბინადრობა: სადგომი სახლი კათალიკოზისა სადაფით ტაძრის კრებულისა და ძოხელეთა, სტამბისა, სემინარიისა და სხვა“ [1].

ანჩისხატის უბანი და მისი შემოგარენი თავის დროზე თბილისის ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო როსტომ მეფის სასახლე, სვიმონ უფლისწულის დარბაზი, ზარაფხანა, თოფხანა და სხვა ადმინისტრაციული შენობები. იგივე პ. კარბელაშვილი გადმოგვცემს: „აქ, ანჩისხატის ტაძრის ირგვლივ მკვიდრობდნენ წარჩინებულნი თავად-აზნაურთა საგვარეულონი, ყველა მათგანს აქ საკუთარი სახლი ჰქონდა. კათალიკოს-პატრიარქნი და ქადაგნი აქ შეაჩვენებდნენ ხოლმე სარწმუნოების და მამულის მოღალატეებს! აქ ადიდებდნენ და აქებდნენ ქრისტეს ეკლესიისა და მამულის ერთგულთ-მოყვარეთა და თავდადებულთა.

ანჩისხატის ტაძრის ეზო ძველად წარმოადგენდა დიდებულს სანახაობას: აქ იყო უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი, აქ იყვნენ თავმოყრილნი საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და მგალობელნი, რომელნიც წირვა-ლოცვის შემდეგ თავისუფალ დროს ახმარდნენ ყრმათა აღზრდა-სწავლებასა, საეკლესიო წიგნთა გადაწერასა და სხვა. აქედგან ეფინებოდნენ საქართველოს ყოველ კუთხეს განსწავლულნი მღვდელნი, დიაკონნი და მეფსალმუნენი-მგალობელნი. ამიტომ ანჩისხატის ტაძარი შეიქმნა პირველი საერო სათაყვანებელი და სალოცავი მთელი ქართველობისა უკანასკნელ დრომდე. ანჩისხატის ტაძრის ირგვლივ მდებარეობდნენ წარჩინებულ თავად-აზნაურთა სახლები. აქ, ანჩისხატის უბანში ცხოვრობდნენ — ამილახვარნი, ბარათაანი, ანდრონიკაანი, ციციშვილები, ხერხეულიძენი, შალიკაშვილები, აფხაზნი, აბაშიძენნი, მუხრან-ბატონნი, თარხანიაანნი, ჩოლოყაშვილები და სხვ.“ [2].

---

[1] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში, 1902, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 7, 8.

ერეკლე II-ის სტამბის მმართველ-გამგებელი, პატრიარქი სრულიად საქართველოსი ანტონ I კათალიკოსი წარმოშობით ბაგრატიონთა დიდ საგვარეულოს ეკუთვნოდა. იგი იყო ვახტანგ VI-ის ძმის — ერთხანს ქართლის გამგებლის იესეს შვილი. ამიტომ, როგორც არაგვის ბაგრატიონების შთამომავალს, სამეფო ტახტი მას უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე თეიმურაზ II-ს. მაგრამ მეფედ აღზევებისათვის ორგზის გამაჰმადიანებელი მამისაგან განსხვავებით, ანტონმა იმთავითვე უარი თქვა პირად პატივმოყვარეობაზე. მისი ცხოვრების მიზანს ერისა და ქვეყნისათვის თავდადებით სამსახური წარმოადგენდა.

ანტონ კათალიკოსს, როგორც თავისი დროისათვის დიდად გახსწავლულ პიროვნებას, „სწამდა, რომ მეცნიერება ყოვლის შეძძლე იყო, რომ... განათლების შემწეობით შეიძლებოდა ქართველი ხალხის გამოყვანა ზნეობრივი ანარქიისაგან, რომელიც მას ხანგრძლივმა პოლიტიკურმა მონობამ დაუტოვა მემკვიდრეობით“ [1]. ამიტომაც იყო, რომ მან გარს შემოიკრიბა მაშინდელი ინტელექტუალური ძალები და ახლად აღდგენილ სტამბაში ინტენსიური საგამომცემლო საქმიანობა გააჩაღა.

ერეკლე II-ის სტამბაში 1749 წელს დაბეჭდილი „დავითხის“ გარდა 1751 წელს გამოდის „ქადაგება“ ანუ „ღვთის მეტყველება ანტონი სრულიად საქართველოისა კათალიკოზისა“ და „კონდაკი“. ამის შემდეგ, 1763 წლამდე მასში წიგნები აღარ გამოცემულა. რამ განაპირობა სტამბის უმოქმედობა ესოდენ ხანგრძლივი დროით — თითქმის მთელი 12 წლის მანძილზე?

ჩვენ მიერ ზევით დამოწმებული პ. ორბელიანის ცნობიდან გამომდინარე მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ 1749 წელს ერეკლე II-ის „საფასითა“ და ანტონ კათალიკოსის შრომაგარჯით აღდგენილი „ესე საბეჭდავი წიგნთა“ ვახტანგ VI-ისეული სტამბის ბაზაზე ყოფილა დაფუძნებული. დაზგები და საშრიფტო მეურნეობაც კი მიხეილ იმერეთის დროიდან ყოფილა შემორჩენილი, რომლებიც სიძველის გამო შეცვლას საჭიროებდნენ. პროფ. ალ. ცაგარელი წერს: „რადგან ქალაქი ეს (ტფილისი) რუევასა შიგან ყოფილა შერყვნისაგან მტერთასა, რომელთაცა მიზეზითა საქმის ამის (სტამბის) მოქმედება დაყენებული იყო მრავალჟამ, ამისთვის ნივთნი

---

[1] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1941, გვ. 67.

და შესამკობელნი სახმარნი მოძღვრის მის (უნგროვლახელის) შეცვალებულ იყვნენ და გახრწნასა მიწევნულ“ [1].

იგივეს იმეორებს მწერალი გ. ქიქოძე. ანტონმა, — გადმოგვცემს იგი, — „ერეკლე მეფეს აღადგენინა სტამბა, რომელიც პირველად თბილისში ვახტანგ VI-მ მოატანინა ვლახეთიდან ანუ რუმინიიდან და მისი რუსეთში წასვლის შემდეგ დახურული იყო“ [2]. აქედან პროფ. პ. გუგუშვილი ასკვნის: „ჩანს, ძველი სასტამბო იარაღები ისე გაცვეთილა, რომ მათი შემდეგი გამოყენება შეუძლებელი ყოფილა. აძიტომ ერეკლე II-ს ჰქონია „სურვილი ფრიადი“ ახალი სტამბის დაარსებისა“ [3].

ცხადია, მოძველებული შრიფტისა და დაზგების გამოსაცვლელად გარკვეული დრო იქნებოდა საჭირო, რაც სტამბის დროებით დახურვის მიზეზი მართლაც გახდებოდა. მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის. როგორც 1749 წლიდან სტამბის დახურვამდე და ე. წ. განახლების ანუ რეკონსტრუქციის შემდეგ დაბეჭდილი წიგნების ტექნიკური დონის შესწავლა-გაანალიზებამ დაგვარწმუნა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშრიფტო მეურნეობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა.

ერეკლე II-ის სტამბის დახურვის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, მისი მმართველ-გამგებლის ანტონ კათალიკოსის საქართველოდან განდევნა უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, ანტომ I ყოველნაირად ცდილობდა რითიმე გამოსდგომოდა თავის ქვეყანას კულტურულად ჩამორჩენილი აღმოსავლეთის მაჰმადიანური სახელმწიფოების გავლენისაგან გამოხსნისა და წინსვლა-დაწინაურების საქმეში. ამიტომ იგი თავისი დიდი წინაპრის საბა-სულხან ორბელიანის მსგავსად დასავლეთევროპული კულტურის საქართველოში შემოტანის მიზნით ახლო ურთიერთობას ამყარებს იმხანად თბილისში მყოფ რომაელ მისიონერებთან და მალე კათოლიკობასაც ღებულობს. მართლმადიდებლობისადმი ფანატიკურად განწყობილი ქართველი სამღვდელოება მთავარეპისკოპოს საბა ნინოწმინდელისა და სამეფო კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის თაოსნობით წინ აღუდგა პატრიარქის „განდგომასა სჯულისაგან“, 1755 წლის 16 დეკემბერს სამღვდელოების შთაგონებით თეიმურაზ

---

[1] А. Цагарели, Сведения о памятниках груз. письм. т. I, стр. XLII.

[2] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1941, გვ. 67.

[3] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 68.

II-მ მცხეთაში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ, 1756 წლის 4 აპრილს, გაიმართა მეორე კრება. ამჯერად ანტონმა გულწრფელად აღიარა კრებაზე თავისი „შეცოდებანი“, საჯაროდ უარყო კათოლიკობა და რუსეთში წასვლის ნება გამოითხოვა. კრებამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ყოველივე ამ ამბის მომსწრე და თვალთაჰხილველი პ. ორბელიანი გადმოგვცემს: „ხოლო წელსა 1753 (1755 წელი უნდა იყოს. — ო. კ.), ქრონიკონს უშგ, იქნა კათალიკოსი ანტონი ძე მეფისა იესესი შეცთომილი და მიიღო სარწმუნოება რომისა კათოლიკისა, რომელიცა განძევებულ იქმნა მეფისა თეიმუარზისა-გან რუსეთად“ [1].

1755 წელს მცხეთის საეკლესიო კრების მიერ შერისხული და საჰშობლოდან გაძევებული ანტონი ერთხანს მოსკოვშია და ვახტანგ VI-ის ამალის წევრებს შორის ტრიალებს, ხოლო შემდეგ პეტერბურგს მიემგზავრება. აქ იგი „წარუდგა უწმიდეს სინოდს, იმართლა თავი და დაამტკიცა თავისი მართლმადიდებლობა, რის შემდეგ 1757 წლის 8 აგვისტოს დანიშნულ იქნა მთავარეპისკოპოსად ვლადიჰირის ეპარქიისა, რომელსაც ის განაგებდა 1762 წლამდე“ [2].

ანტონ კათალიკოსის ექსორიობის პერიოდში 1749 წელს აღდგენილი ვახტანგ VI-ისეული სტამბის საქმიანობა შეფერხდა. ეს არც გასაკვირია, რადგანაც მისი მმართველ-გამგებელი რუსეთში „ინანიებდა“ ცოდვებს, ხოლო ერეკლე II-ს ქვეყნის მძიმე საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო მოცლა არ ჰქონდა წიგნების ბეჭდვა-გაჰოცემაზე ეზრუნა.

ერეკლე II არ თანაუგრძნობდა თავისი მამის, თეიმურაზის დაჰოკიდებულებას ანტონისადმი. კათალიკოსის რომაელ კაპუცინებთან დაახლოებას პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავდა, საჰშობლო ქვეყნის ევროპიზაციას უკავშირებდა. ამიტომაც იყო, რომ 1763 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლემ ანტონი ვლადიმირიდან გამოიწვია და თავის ძველ უფლებებში აღადგინა. 1763 წლის „თებერვლის გასულს, — წერს პ. კარბელაშვილი, — ჰობრძანდა რუსეთით ანტონ კათალიკოსი. ა. მარტს ერეკლე მეფემ სტაჰბა, ააჰუ-

[1] საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 282.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, 1941, გვ. 341.

შავებინა, მოვიდა თუ არა ანტონი“ [1]. ანტონ კათალიკოსის საქართველოში დაბრუნების შემდეგ მისი ექსორიობის პერიოდში დახურული სტამბა ისევ ამუშავდა, წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმე კვლავ გაცხოველდა. 1763 წლის მარტშივე უკვე გამოდის პირველი წიგნი „ლოცვანი“, რომლის თავფურცელშიც ვკითხულობთ: „სადიდებელად წმიდისა სამებისა, ჟამსა ამაღლებულისა სრულიად საქართველოსა მპყრობელისა კეთილ მსახურისა მეფისა უფლისა უფლისა ირაკლისა, ბრძანებითა და საფასეთა წარგებითა ამა მეფისათა, დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამეფოსა თვესა მარტსა, ქრისტეს აქეთ ჩღჲგ“ [2].

ეს ამონაწერი ერთი შეხედვით თითქოს ძველი საეკლესიო წიგნებისათვის დამახასიათებელ ტრაფარეტულ ცნობებს გვაწვდის გამოცემის დროისა და სხვათა შესახებ, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მასში ერეკლე II-ის სტამბის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო დეტალია შემონახული. აქედან ვგებულობთ, რომ 1763 წელს სტამბა საპატრიარქო პალატიდან ანუ ანჩისხატის მონასტრის ეზოდან სამეფო პალატაში გადაუტანიათ. თავფურცელში ამის შესახებ ხაზგასმით ნათქვამია: „დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამეფოსა“. ე. ი. დაზგებისა და საშრიფტო მეურნეობის განახლება-გამოცვლასთან ერთად შეუცვლიათ სტამბის ადგილსამყოფელიც.

1763 წელს ერეკლე II-ის სტამბის განახლებისა და მისი საპატრიარქოდან სამეფო პალატაში გადატანის შესახებ უფრო დამაჯერებელ ცნობებს გვაწვდის 1764 წელს გამოცემული მეორე წიგნი „კურთხევანი“. მის თავფურცელზე ვკითხულობთ: „დაიბეჭდა წიგნი ესე კურთხევანი სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, ეზოსა სამეუფოსა“, ხოლო ამავე წიგნის მეორე გვერდზე მოთავსებული სამების გრავიურის წარწერა გვამცნობს: „სამებაო წმინდაო. ადიდე მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განმახლებელი მეფე სრულიად საქართველოისა ირაკლი“[3]. ჩანს, წიგნის გამომცემელნი პირველ განახლებად 1749 წელს ვახტანგ VI-ისეული სტამბის აღდგენას გულისხმობდნენ, ხოლო მეორედ განახლებად ანტონ კათალიკოსის ექსორიობის დროს — 1763.

---

[1] პ. კარბელაშვილი, ქართლ-კახეთის ქრონიკები, XVIII საუკუნე, გვ. 74.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 54.

[3] იქვე, გვ. 55.

წელს სტამბის საპატრიარქო პალატიდან სამეფო ეზოში გადატანის შემდგომ პერიოდს მიიჩნევდნენ.

ამრიგად, 1763 წელს ერეკლე II-ის სტამბა ანჩისხატის მონასტრიდან იმდროინდელი ქალაქის ცენტრში, ე. წ. მეფის მოედანზე (დღევანდელი ერეკლეს მოედანი) ერეკლეს სასახლის ეზოში გადაუტანიათ. აქვე მდებარეობდა ბაზარი, რომელიც გარშემორტყმული იყო საჭვრილმანო სახელოსნოებითა და მაღაზიებით. მოედნის მშვენებას წარმოადგენდა ქარვასლები, გავლენიან ფეოდალთა აივანმოჩუქურთმებული საცხოვრებელი სახლები და სხვა.

1764 წელს ერეკლე II-ის სტამბაში იბეჭდება „კონდაკი". იგი ტექნიკური გაფორმების მხრივ აშკარად განსხვავდება წინა წლებში გამოცემული წიგნებისაგან. პირველ გვერდზე მოთავსებულია ანტონის ლექსი, რომლის კიდურწერილობა აკროსტიხულია და შემდეგნაირად იკითხება: „ირაკლი", „მეფე საქართველოისა". წიგნს ბოლოში დართული აქვს 1709 — 1723 წლებში ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემისათვის დამახასიათებელი შემდეგი სტროფი:

„ნავთსაყუდელსა მენავე, რა მივლენ განისვენებენ.
მოყვასთა თვისთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისუნებენ.
ჰირთ მყოფნი, ლხინსა შესულნი, მას აღარ მოიჩვენებენ.
რაი ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩვენებენ".

განახლებულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ე. წ. საგამომცემლო მონაცემებშიც შეინიშნება ერთგვარი ცვლილება. თუ, მაგალითად, პირველ პერიოდში ანუ სტამბის განახლებამდე დაბეჭდილი წიგნების თავფურცლებში უპირველეს ყოვლისა მოხსენებული იყო ღმერთი, შემდეგ თვით მეფეები თეიმურაზ II და ერეკლე, რომელთაც მოსდევდა ანტონ კათალიკოსი, ხოლო ბოლოს აღინიშნებოდა ვისი წარსაგებელით, სად და როდის დაიბეჭდა წიგნი, სტამბის განახლების ანუ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ეს თანამიმდევრობა შეიცვალა. თავფურცელში ახლა უკვე პირველ რიგში იხსენიებოდა თავად ერეკლე II, მისი მეცხედრე დარეჯანი, მეფის ასულნი და ძენი, ხანდახან კი რძლებიც. წიგნს დართული ჰქონდა აგრეთვე ცნობები მისი დაბეჭდვის ადგილმდებარეობის, გამართვისა და მთარგმნელ-შემდგენლის ვინაობის შესახებ [1].

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 95.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე II-ის სტამბამ მესამედ განიცადა განახლება. ეს იყო არა დაზგებისა და საშრიფტო მეურნეობის ჩვეულებრივი გადაკეთება, რასაც ადგილი ჰქონდა იმავე საუკუნის 60-იან წლებში, არამედ სტამბის მთლიანი რეკონსტრუქცია.

1763 წლის ანუ მეორედ განახლების შემდეგ, უკვე საკმაო დრო იყო გასული. ძველი სტამბა ვერც თავისი სიმძლავრითა და ვერც გამოცემული წიგნების ხარისხით ვერ აკმაყოფილებდა იმდროინდელ მოთხოვნებს. ერეკლე II-ს ახალი სტამბის მოწყობა გადაუწყვეტია, მაგრამ ადგილზე ამ საქმის ხელრიანი მცოდნე ვერ გამოუნახავს. საგონებელში ჩავარდნილი მეფისათვის ვინმე მელეტეოსს, გვარტომობით ბერძენს, უთქვამს: „საძიებელი ეგე შენი ვერა სადა იპოო, უკეთუ არა დიდსა პოლისსა შინა“ [1].

პოლისად კონსტანტინოპოლი იგულისხმება. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის აქ სომეხთა ძლიერი კოლონია არსებობდა. მძიმე საშინაო პოლიტიკური ვითარების გამო სამშობლოდან ლტოლვილ სომხებს კონსტანტინოპოლში თავიანთი სალოცავი — წმინდა გრიგოლის ეკლესია აუგიათ, ეპისკოპოს ჰოვაკიმის შემწეობით საპატრიარქოც დაუარსებიათ და ჯერ კიდევ 1567 წელს გამართულ სტამბაში საეკლესიო წიგნების ბეჭდვა დაუწყიათ. ჩანს, XVIII საუკუნის 60—70-იანი წლებისათვის სომხური წიგნების გამოცემის საქმე კონსტანტინოპოლში იმდენად განვითარებული ყოფილა, რომ მის შესახებ საქართველოში მცხოვრებ ბერძენ ეპისკოპოსსაც კი სცოდნია.

ერეკლე II-ს თავად მელეტეოსი გაუგზავნია კონსტანტინოპოლში მესტამბის ჩამოსაყვანად. ამ მოციქულობას დადებითი შედეგი გაჰყოლია. ეპისკოპოსს ხელოსანი გამოუნახავს და თან წამოუყვანია, რომელსაც ერეკლე II-ის „საფასითა და წარსაგებელითა“ განუახლებია სტამბა. „იმ ჟამებში, — ვკითხულობთ ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის დავით რექტორისეული რედაქციის ერთ-ერთ მინაწერში, — სანატრელმან ირაკლი მეორემან, სრულიად საქართველოსამან მეფემან... საფასეთა წარგებითა ტფილისს, სამეფო ტახტსა თვისსა სტამბა წიგნთა გააკეთებინა და კონსტანტინოპოლიდან მოაყვანინა ხელოვანი კაცი ვინმე განსწავლული სტამბისა“[2].

---

[1] ვ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 68.

[2] იქვე, გვ. 70.

მელეტეოსის მიერ კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანილი მოხელე ეროვნებით სომეხი ყოფილა და ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებში პოღოს ოჰანესიან ტირაცუდ იხსენიება. იგი 1782 წელს უკვე რეკონსტრუირებულ სტამბაში გამოცემულ ბროშურაში „შესხმა პირველი ახლისა ამის წიგნთსაბეჭდავისა-თვის“ თავის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ წერს: „მრავალ გზის სიტყვასა ყოფდენ ჩემთანა მოთხრობით დიდ მადლოვნისა ხელმწიფებისა და კეთილ მსახურებისა შენისათვის (ერეკლე II), შემდგომად ნიჭთა დიდ-დიდთა ქათებითა ჩემდა მომართ და აღთქმისა პირობითითა, მაიძულეს წამოსვლად. ხოლო მე თუცა პირველად არა თავს ვიდევ, რამეთუ დატევებაი მშობელთა, სახლისა და სახლეულთა და უფროსლა ბეჭდისა ჩუენისა და წიგნთ საფარდოისა ადილისა და საქმისა ჩემისა დაყენებაი — მძიმედ შემერაცხა, გარნა ღონისძიება ყვეს და მოიძიეს შუამდგომლად ნათესავისა ჩემისა ჰაოსიანთა პატრიარხი ყოვლად ღირსი ზაქარია, რომლისაცა ბრძანებითა და იძულებისა თვისცა ყ-დ ღირსიცა არხიმ. ანტონიოსისა და ბერძნისა მელიტონისა, ვითარმე თავს ვიდევ წარმოსვლაი, მსახურებისათვის დიდ-ძლიერისა შენისა...

აწ უკუემე თანამდებობისამებრ ჩემისა ვიღუაწე და თქუენი თქუენისა მიმართ ნებისა იყვან...“ ბროშურის ბოლოს მიბეჭდილია: „ტირაცუ პოღოს ოჰანისიან ჰაოსიან კონსტანტინეპოლელი... დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამეფოს ქ-ს აქეთ: ჩღპბ: (1782)[1].

პოღოს ოჰანესიანის ძირძველი გვარი სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით ასტვაცატრიანცია. დაბადებულა იგი 1742 წელს სოფელ აპუჩეხცში. პაპამისს, ასტვაცატურს, საკუთარი სტამბა ჰქონია კონსტანტინოპოლში. 1748 — 1750 წლებში, როცა იგი გარდაიცვალა, სტამბა მემკვიდრეობით მის უფროს შვილს ჰოვანესს დარჩენია.

ჰოვანესის სტამბას მალე გაუთქვამს სახელი. მართალია, ასტვაცატურის სიკვდილის შემდეგ მას სულ ოთხ წელიწადს უარსებია, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთშიც ჰოვანესს მაინც მოუსწრია შემდეგი წიგნების დაბეჭდვა: 1766 წელს „ქალწული მარიანეს ისტორია“, 1767 წელს ეფრემ ხურის „ლოცვანი“, 1768 წელს „გალობახი“, პალიტსარ მწიგნობრის „სიყვარულისა და სევდის სიმღერები“ და „სიმღერების მცირე წიგნი“. 1769 წელსაც კიდევ ორი წიგნი გამოუცია: „მცირე წალკოტი ქრისტიანობის სწავლებისა“ და „სახარება“.

[1] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 68, 69, 70.

პირველ ხანებში ჰოვანესი მამაპაპისეული გვარით — ასტვაცატურიანცით ყოფილა ცნობილი, მაგრამ შემდეგში, როცა აღიარებული მბეჭდავ-გამომცემლის სახელი მოუპოვებია, არაპიანცად გადაუკეთებია. ეს გვარი მიუღია ერეკლე II-ის მიერ კონსტანტინოპოლიდან სტამბის სარეკონსტრუქციოდ მოწვეულ პოვანესის შვილს პოღოსსაც.

1777 წელს ბალუც ვარდანთან და თავისსავე მოსახელე მანაზკერტელთან ერთად პოღოსს კონსტანტინოპოლში ახალ ყაიდაზე მოწყობილი სტამბა დაუარსებია და მდიდრულად გაფორმებული სომხური წიგნების ბეჭდვას შესდგომია. მალე იგი თურქეთის სულთანს მაჰმუდს სახელმწიფო სტამბაში მიუწვევია ოსტატ-ზედამხედველად. მისი ხელმძღვანელობით დაბეჭდილა ამ სტამბაში პირველი თურქული გაზეთი „თაგვიმი ვაგაი“ და მრავალი დასახელების წიგნი. განსაკუთრებული დამსახურებისათვის მაჰმუდს პოღოსი სპეციალური ხი'მნით „მამულ-ნშანით“ დაუჯილდოებია, რომელსაც იგი, სომხური წყაროების მიხედვით, მუდამ ქუდზე დამაგრებულს ატარებდა.

გარდაცვლილა პოღოსი 1835 წელს, 93 წლის ასაკში.

პოღოს ოჰანესის ძე არაპიანცის მიერ თბილისის სტამბის რეკონსტრუქციასა და მის შემდგომ პერიოდზე ცნობას გვაწვდის დ. ყორღანა'შვილი, რომელსაც 80-იან წლებში ერეკლე II-ის კარზე უმსახურია მუშრიბად და სტამბაშიც თანამშრომლობდა „ზედამდგომელად“. იგი აღწერს სომეხი მოხელის კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანის ისტორიას, ახლად რეკონსტრუირებული სტამბის ტექნიკურ აღჭურვილობას და დასძენს: „Царь Ираклий желая иметь в Тифлисе типографию, выписал из Константинополя мастера, который привез с собою некоторые нужные к типографии инструменты, на что он получил деньги от царя, а прочия потребности к тому: инструменты, дома, доски, свинец и бумага, были изготовлены на царском Кошть. Сверх сего, были там же некоторые инструменты оставшиеся со времен царей: Вахтанга и Теймураза II-го и самим царем Ираклием сделанные прежде того; да еще, в тоже время одним Алавердинским человеком были привезены из Москвы: некоторые типографские инструменты оставшиеся после Тифлисского Митрополита. Все сии вещи были употреблены к заведению типографии и исправя совершенно оную, напечатано было несколько церковных книг. Потом выше упомянутого мастера царь отпустил, и типография осталась в совершенной исправности» [1].

---

[1] გაზ. „ქავკაზი“, 1846, № 48, გვ. 4.

თუ რა დაჯდა სტამბის მთელი ეს რეკონსტრუქცია, ოფიციალური საარქივო დოკუმენტებით უცნობია, დ. ყორღანაშვილის გადმოცემით კი ერეკლეს მესტამბე-ხელოსნისათვის 20 000 მანეთი გადაუხდია [1]. რამდენად სწორია ეს ცნობა, ძნელი სათქმელია.

ქართველი მეფეები, მათ შორის ერეკლე II, სტამბას დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამიტომაც იყო, რომ მას ზრუნვა-პატრონობას არ აკლებდნენ. აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ერთ ფაქტს. XVIII საუკუნის 80-იან წლებში, ლეკიანობის მოძალების შედეგად, ერეკლე II-მ რეგულარული ჯარის შექმნის მიზნით შემოიღო ე. წ. „მორიგეობა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ გარკვეული დროის მანძილზე ყოველ კომლს ქუდზე კაცი უხდა გაეგზავნა მოთარეშე ლეკებისაგან ქვეყნის დასაცავად. 1748 წელს „მორიგედ“ გასვლის რიგი დასდგომია ვინმე დავით მღვდელს, მაგრამ რაკი მას სტამბაში უმსახურია, ერეკლეს იგი ამ მოვალეობისაგან გაუნთავისუფლებია. „ეს დავით მღვდელი სტამბაში განწესებულია, ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია, ამას მორიგეთ ნუ გაბოიყვანთ“. — უბრძანებია მეფეს [2].

გარკვეული ღვაწლი დასდო ერეკლე II-მ არა მარტო ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის, არამედ 1771 წელს ეჩმიაძინში პირველი სომხური სტამბის დაარსების საქმესაც. იმ დროს ჰაოსიანთა ეს უძველესი კულტურის ქვეყანა სპარსეთის მფლობელობაში შედიოდა. მას სულთანის ერთგული ალი-ჰუსეინი განაგებდა, რომელიც ერევანში იჯდა და მორჩილების ნიშნად ერეკლე II-ს ხარკს უხდიდა. სპარსთაგან აოხრებული სომეხი ხალხის ეროვნულ-სარწმუნოებრივ ინტერესებს იმხანად მარტო სამღვდელოება იცავდა. ამას მოწმობს კათალიკოს სიმონ ერევანცის ზრუნვა სტამბის დასაარსებლად. სომხეთის გამგებელ ალი-ჰუსეინს ერეკლე II-ის შემწეობით ეჩმიაძინის ახლოს მდებარე სოფლები სიმონისათვის გადაუცია სამრევლოდ. ამის შემდეგ, კეთილსასურველი პირობების შექმნის შედეგად, კათალიკოსს მადრასელი (ინდოელი) სომეხი ვაჭრის გრიგოლ მიქაელის ძე ჩაჩიკიანცის მატერიალური დახმარებით ეჩმიაძინის ეკლესიის ეზოში გრიგოლ განმანათლებლის სახელწოდების სტამბა დაუარსებია. პირველი

---

[1] გაზ. „კავკაზი“, 1846, № 48.

[2] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 102.

წიგნი, რომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა, იყო „ფოქრიქ ტაღარანი“ ანუ სულის მოსახსენებელი „მცირე ლოცვანი“.

ერეკლე II-ს არც შემდეგში მოუკლია ყურადღება ეჩმიაძინის სტამბისათვის. ზემოხსენებული დ. ყორღანაშვილის ცნობით, ქართლ-კახეთის მეფეს თავისი სტამბისათვის ორი დაზგა ჩამოუტანინებია მოსკოვიდან და აქედან ერთი სიმონ ერევანცისათვის მიუცია. იგი 1846 წელს გაზეთ „კავკაზში“ ამის შესახებ პირდაპირ წერდა: Царь Ираклий «один станок послал к Эчмиадинскому Патриарху».

დ. ყორღანაშვილი საერთოდ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ერეკლესა და სომხური სტამბის შესახებ. იმავე გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში იგი გადმოგვცემს: „А как при царе Ираклие находился я чиновником, и сначала устройства Типографии был во всех делах употреблен, и мною была она поправлена, то покойный царь Ираклий, желая о упразднении типографии, на которую было употреблено около 20.000 руб. препоручил мне оную с том, что бумага будет доставляема от него. Я употребил на исправление типографии, испорченной помянутым Священиком Романоза, учившегося у Константинопольского мастера и находящегося теперь в Имеретии, пополнил все недостатки оной. Заставил я... Романоза вырезать слова для напечатания постной триоди, также и другие образцы слова были им вырезаны; все сие было исправлено на царском коште, а как покойному царю угодно было напечатать цветную триодь, то мы вместо постной триоди, напечатали оную» [1].

აღსანიშნავია, რომ ამ ამონაწერში მოხსენიებული რომანოზი არის ერეკლეს სტამბის ცნობილი მოღვაწე რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი.

XVIII საუკუნის მიწურულისათვის ერეკლე II-ს თავისი სტამბა მარტყოფელი მღვდლის ქრისტეფორე კეკელაშვილისათვის გადაუცია კერძო საკუთრებაში. ეს გამოწვეული იყო იმ დიდი ხარჯით, რომელსაც წიგნების ბეჭდვა-გამოცემა საჭიროებდა. ცხადია, მარტოოდენ წიგნებიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად ვერ დაფარავდა ხარჯს. ამავე დროს განსაკუთრებით ართულებდა საქმეს ქაღალდის შოვნა, მერე მისი სიძვირე და ბოლოს ტრანსპორტირება. იგი ხან სპარსეთიდან შემოჰქონდათ და ხან რუსეთიდან, რაც საკმაოდ სოლიდური სახსრების გაღებას მოითხოვდა. 1791 წელს გამოცემული „სახარების“

[1] გაზეთი „კავკაზი“, 1846, № 48.

ბოლო გვერდზე ვკითხულობთ: „განმგებელი და ზედა მხედველი ბეჭდისა ამის მისის უმაღლესობის კარის ხუცესი ქრისტეფორე მარტყოფელი კეკერაშვილი შენდობას გევედრებით აღმომკითხველთა. დიაღათუ შრომა მრავალი დავჰსდევ ქაღალდსა ზედა. შენდობას ვითხოვ ამისთვის. ამად, რომელ რუსეთიდამ მოვატანინეთ ქაღალდი და სხუა და სხუა ქაღალდი მოვიდის... ამაზედ ნუ მწყევთ“ [1].

საერთოდ საქართველო ქაღალდის მხრივ ყოველთვის დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ვახტანგ VI იქამდეც კი მისულა, რომ თავის საკანონმდებლო თხზულებაში, რომელიც „დასტურლამალის“ სახელწოდებით არის ცნობილი, ქაღალდის ხარჯვაზე სპეციალური მუხლი შეუტანია. მასში ნათქვამია: „ხუთი ფურცელი ქაღალდი ყოველთა დღეთა — ჰყონდიდელსა, სამი ფურცელი — სხვათა მწიგნობართა“ [2].

საკმაოდ დიდმა ხარჯებმა, ქაღალდის შოვნის სირთულემ და მთელმა რიგმა სხვა სიძნელეებმა ერეკლე იძულებული გახადა სტამბა თავისი კარის ეკლესიის მოძღვრის, მართყოფელი ქრისტეფორე ბადრიძე-კეკერაშვილისათვის მიეცა იჯარით, მხოლოდ იმ პირობით, რომ „ყოველი მიმდინარე ხარჯი მას გაეწია და მოგების ნახევარი ხაზინაში შეეტანა“ [3]. ე. ნიკოლაძემ არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება და ფიქრობდა, თითქოს იმ დროს თბილისში ორი სტამბა არსებობდა — ერთი ერეკლე II-ისა და მეორე ქრ. კეკერაშვილისა. იგი წერდა: „ეს სტამბა არსებობდა (იგულისხმება ერეკლე II-სა) 1795 წლამდე. როდესაც სპარსელებმა დააშციეს ქალაქი თბილისი... ქართული სტამბაც მოსპეს. ამავე დროს თბილისში არსებობდა მეორე ქართული სტამბა. ის ეკუთვნოდა კეკერაშვილებს, და იყო გახსნილი მეტეხის გალავანში“ [4].

ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ერეკლე II-ისეულ სტამბას სათავეში ედგა ქრ. კეკერაშვილი, მაგრამ როგორც 1846 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა, მეორე თავკაცი დ. ყორღანაშვილი ყოფილა. თავდაპირველად ერეკლეს ორივესთვის მიუცია სტამბა იჯარით, მაგრამ შემდეგ მათ შორის რაღაც უთანხმოება ჩაძოვარდნილა და საბოლოოდ მას ქრ. კეკერაშვილი დაპატრონებია. დ. ყორღანაშვილი ყოველივე ამის შესახებ წერს: „После же напе-

---

[1] გაზეთი „კავკაზი“, 1846, გვ. 68.

[2] ივ. სურგულაძე, ძველი ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 34.

[3] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 102.

[4] ე. ნიკოლაძე, ქართული ეკლესიის ისტორია, გვ. 157.

чатания цветной триоди, я и оный Священик (იგულისხმება ქრ. კეჟერაშვილი) выпросили у царя исправленную совсемъ типографию съ темъ, чтобъ бумагу и прочия издержки употреблять нам, и из полученной нами прибыли, отдавать половину покойному царю, а половину намъ между собой разделить; но товариществу справедливости, отошолъ от него, и онъ остался въ типографии на прежнем условии» [1].

რამდენად ობიექტურია ამ შემთხვევაში დ. ყორღანაშვილი, ძნელი სათქმელია. ვინ ვერ გამოიჩინა „товариществу справедливость", ქრ. კეჟერაშვილმა თუ თავად მან, არავინ იცის. ადვილი შესაძლებელია, დღეს თუ არა ხვალ მიკვლეულ იქნეს ქრ. კეჟერაშვილის ხელით შექმნილი ასეთივე სახის დოკუმენტი, რომელშიაც ყველაფერი დ. ყორღანაშვილზე იქნება გადაბრალებული. მათ შორის მომხდარი უსიამოვნება ფულის ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი და ამიტომ დ. ყორღანაშვილის მოსაზრება ქრ. კეჟერაშვილზე სუბიექტური ხასიათისად გვეჩვენება. ასეა თუ ისე, დ. ყორღანაშვილის ჩამოცილების შემდეგ სტამბის გამგებელ-მეპატრონედ XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან მის დახურვამდე ქრ. ბადრიძე-კეჟერაშვილი ჩანს.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ სახელდობრ რომელ წელს მოხდა ერეკლე II-ის სტამბის გასხვისება, მოვიტანთ ამონაწერს 1793 წელს დაბეჭდილი „მარხვანის" ბოლოსიტყვაობიდან. მასში ქრ. კეჟერაშვილი წერს: „მებრძანა უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა ხელმწიფისა ყოვლისა საქართველოისა ირაკლი მეორისა, მე, მისსა მონასა, მისის უმაღლესობის კარის მღვდელს მარტყოფელს კეჟერაშვილს ქრისტეფორეს განმგეობაი და ზედა მხედველობაი სტამბისა, რომლისა სურვილი ფრიადი მაქუნდა. და დავბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა მხედრული დაუჯდომელი უ, და კიტაიის სიბრძნე უ, ლოცვანი ჩ, სახარება ყ, დავითნი ჩ, სამოციქულო ჩ, ჟამნი ჩ, კვალად სახარება ყ, და მარხუანი ესე ჩ. და შეწევნითა ყოვლად წმიდისა სულისათა ესე ყოველნი ზემოხსენებულნი წიგნნი დამიბეჭდავს ხარჯითა ჩემთა"[2]. აქედან ვგებულობთ, რომ ქრ. კეჟერაშვილი ერეკლე II-ის სტამბას სათავეში ჩასდგომია 1783 წელს, რადგანაც მის მიერ დაბეჭდილი პირველი წიგნის „დაუჯდომელის" გამოცემას თვითონვე 1784 წლით

[1] გაზეთი „კავკაზი", 1846, № 48.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 69.

ათარიღებს. ცხადია, დედნისა და სხვა მომზადებას ერთი წელი თუ არა, რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა.

ჩვენს მოსაზრებას ერეკლე II-ის მიერ სტამბის ქრ. კეჟერაშვილისათვის 1783 წელს გადაცემის შესახებ ნათელყოფს 1786 წელს დაბეჭდილი „სახარების“ ბოლოსიტყვაობა. „მებრძანა უკეთილ-ძსახურესისა და უმაღლესისა, — წერს მასში ქრ. კეჟერაშვილი, — ხელძღვიფისა ყოვლისა საქართველოისა ირაკლი მეორისა მიერ, მე მისსა მონასა, მისის უმაღლესობის ქარის ხუცესს, მარტყოფელს კეჟერაშვილს ქრისტეფორეს, დაბეჭდუა საღმრთოისა და სამღუდელოისა ამის სახარებისა. და აღვასრულე ბრძანებაი ფრიადითა შრომითა და საფასითა ჩემთა წარსაგებელითა. რაიმე თუ სამსა წელსა არა დავჰსცხერ ჟამითა უჟამოთ გულისმოდგინებით მუშაკობად ამისა, რომელ ვმოქონეობ“[1]. აქ საყურადღებოა ბოლო სტრიქონი: „სამსა წელსა არა დავჰსცხერ ჟამითა უჟამოთ გულისმოდგინებით მუშაკობათ ამისა, რომელ ვმოქონეობ“: ამით ქრისტეფორე კეჟერაშვილი გადმოგვცემს: სამი წელიწადია დღე და ღამ ვმუშაობ ჩემდამი დაქვემდებარებულ სტამბაშიო. თუ გავიხსენებთ, რომელ წელს ამბობს ამას, გამოდის, რომ იგი სტამბას სათავეში 1783 წელს ჩასდგომია.

ქრ. კეჟერაშვილის ხელმძღვანელობით საქმე თავდაპირველად კარგად წარიმართა, მაგრამ მალე, კერძოდ 80-იანი წლების მიწურულს, ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმემ დიდი დანაკლისი განიცადა. 1788 წლის 29 თებერვალს, სამშაბათ საღამოს, მტკვრის ნაპირას აგებულ პატარა ჯვრის ეკლესიაში გარდაიცვალა ანტონ I კათალიკოსი.

მართალია, ანტონ კათალიკოსის გარდაცვალებით ერეკლე II-ისეულ სტამბას ერთი დიდი საყრდენი კედელი გადმოენგრა, მაგრამ ის მამულიშვილური საქმე, რომელსაც ჯერ კიდევ 1709 წელს ვახტანგ VI-მ ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი, დავიწყებას როდი მიეცა. საერთოდ მისი დაარსებიდან დახურვის დღემდე ერეკლე II-ისეულ სტამბაში სულ 27 დასახელების წიგნი და ბროშურა დაიბეჭდა, აქედან 18 ქრ. კეჟერაშვილის ხელმძღვანელობით გამოიცა.

ერეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების საგამომცემლო მონაცემების შესახებ საყურადღებო ცნობას ვხვდებით პ. იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. მასში ვკითხულობთ:

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 65.

„1783 წელსა იწყეს საეკლესიო წერილთა ბეჭდვა ქ. თბილისსა. მაშინ მოახსენეს მეფესა, რათა რუსთა წესითა შემდგომად სიტყვათა: „დროსა კეთილმორწმუნისა მეფისა ირაკლი მეორისა და დედოფლისა დარეჯანისა“ დაემატოს ესეცა „და მემკვიდრისა მათისა მეფის ძის გიორგისა, სურვილისამებრ თვით მეფის ძისა და განსასვენებლად ძმათა, რომელნიც მარადის განიზრახვიდნენ მეფობის მიტაცებასა“. იწყინა ეს მეფემან და უბრძანა სტამბისა ზედამხედველსა... არღა მოახსენებდეს მას ესრეთსა უშვერსა მოხსენებასა. კათალიკოსმან ანტონი სტუქსა კეჟერაშვილი მღვდელი და აბრამ ურიათ-ყოფილი და... მბეჭდავნი წიგნთა. დაბეჭდილნი რავდენიმე დაწყებითნი ფურცელნი მოითხოვა და ბრძანა მისცენ ცეცხლსა და არღანა იქმნეს ესე. ტრიფილე არქიდიაკონსა ებრძანა კათალიკოსისა პირითა საყვედური დიდი. მოძღვარმან მეფისა ზაქარია სულხანიშვილმან მბეჭდავმავე გაბოუცხადა მას ტრიფილეს ბრალისა მიტევება გაბედისათვის ბეჭდისა და დასტამბისა რისამე, არ ნებართვისა მეფისაგან და თვით კათალიკოსისა“[1].

პ. იოსელიანის ამ ცნობაში ჩვენ საქმე გვაქვს ბატონიშვილებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებასთან, რომელიც 1799 წლიდან, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტის გულისათვის კიდევ უფრო გაღრმავდა. სტამბის მესვეურთ ერეკლეს უფროსი შვილის გიორგი XIII-ის გულის მოგების მიზნით გადაუწყვეტიათ ძოწინააღმდეგე ბანაკის — იულონისა და მის თანამზრახველთა საბაჭაროზე გამოტანა. ამას მოწმობს შემდეგი სიტყვები: გიორგისა „და განსასვენებლად ძმათა, რომელნიცა მარადის განიზრახვიდნენ მეფობისა მიტაცებასა“. მესტამბეთა განზრახვა ჩაშლილა. ერეკლე II-ს და თვით ანტონ კათალიკოსს სასტიკად აუკრძალიათ ამგვარი ცნობების ბეჭდვა, რადგანაც იგი სახელს უტეხდა სამეფო კარს. მაგრამ პ. იოსელიანის ცნობა ჩვენთვის საინტერესოა უფრო მეორე მხრივ. მასში შეინიშნება მეფე-მონარქის მიერ ბეჭდვითი სიტყვის პირადი ინტერესებისადმი დამორჩილება ანუ ე. წ. საცენზურო შეზღუდვების ჩანასახი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს პ. იოსელიანის ნათქვამიდან: მეფემა და კათალიკოსმა „დაბეჭდილნი რავდენიმე დაწყებითნი ფურ-

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ. 79.

ცელნი მოითხოვა და ბრძანა მისცენ ცეცხლსა და არღანა იქმნეს ესე". ამასვე ადასტურებს აგრეთვე მეორე ადგილი, სადაც აღნიშნულია: არქიდიაკონ ტრიფილეს გამოუცხადა „ბრალისა მიტევება გაბედვისათვის ბეჭდისა დასტამბვისა რისამე, არა ნებართვისა მეფისაგან და თვით კათალიკოსისა".

პ. იოსელიანის ზევით მოტანილ ცნობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული სტამბების ისტორიის შესწავლის საქმეში. ჩანს, ამას თავად ავტორიც გრძნობდა და იმისათვის, რომ იგი სარწმუნო გახადოს, ბოლოში დასძენს: „ერთი ესრეთი ფურცელი (რომელშიც ბატონიშვილები გიორგი XIII-ის ტახტის მოშურნეთ იყვნენ გაძოცხადებულნი.—ო. ქ.) ვნახე დავით რექტორისა წიგნებში: მომსყიდავი რავდენთმე მისთა წიგნთა. — არ ვიცი სადა მიეფარა ეს ფურცელი, დასამტკიცებლად ესრეთისა ჩემისა მოთხრობისა" [1].

1795 წელს ქართველ ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს. აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი აურაცხელი შეიარაღებული ჯარით შემოიჭრა საქართველოში. 12 სექტემბერს კრწანისში გამართულ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარი იძლია. ხიფათს გადარჩენილი, ბრძოლაწაგებული მოხუცი ერეკლე II მხლებლებმა ანანურისაკენ გაიტაცეს თავშესაფარებლად. აღა-მაჰმად-ხანმა აოხრა თბილისი, დაანგრია ეკლესია-მონასტრები, სრასასახლეები, აბანოები. მათთან ერთად ცეცხლს ძისცა 1749 წელს ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის მიერ აღდგენილი ვახტანგ VI-ისეული სტამბაც. «По прошествии же некоторого времени, — წერს დ. ყორღანაშვილი, — при разорении Ага Махмадъ Ханомъ Тифлиса, типография была сожжена — четырех образцов формы медныя были увезены въ Чанжу, одного образца, какъ то досталась здешнему жителю, который и представилъ ее царю Ираклию. Потомъ, когда царь Ираклiй возратился на Авлабаръ, приказал наниять работниковь, и разрывъ место где была типография, все найденные вещи велель отвезти къ нему. После же отказа его онъ уехал в Кахетию, я сложилъ часть этих вещей въ церкви Метехи, а некоторая остались у священника Христофора» [2].

ამრიგად, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებისას სტამბის ნაწილები ქალაქის მოსახლეობას სხვადასხვა ადგილას გადაუხახავს. ომის დამთავრების შემდეგ ერეკლე II-ს განუზრახავს სტამბის ხელ-

[1] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 79.

[2] გაზეთი „კავკაზი", 1946, № 48.

ახლა აგება, მაგრამ 1798 წელს გარდაიცვალა და წამოწყებული საქმე განუხორციელებელი დარჩა.

XVIII საუკუნის მიწურულს, კერძოდ ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს საშინაო მდგომარეობა უკიდურესად გართულდა და დაიძაბა. სამეფო ტახტის მოშურნე ბატონიშვილებს შორის აშკარა შფოთმა და მტრობამ იჩინა თავი. აღარც ანტონ I კათალიკოსი იყო ცოცხალი, რომ ეწინამძღვრა ერის კულტურული ცხოვრებისათვის. „ამ დროს ვიღას ეცალა საეკლესიო საქმეებისათვის? — წერს პ. კარბელაშვილი. — ანტონ კათალიკოსი (იგულისხმება ანტონ II, მეფე ერეკლეს ძე) განაგებდა საეკლესიო საქმეებსა როგორც კი იმ დროებას შეეფერებოდა. გაიმართა ენა-ტანიობა, ბეზღაობა, ერთმანეთის დასმენა, გაება დაუბოლოვებელი დავი-დარაბა, აიმღვრა წყალი და ადვილად იჭერდნენ ალალ-მართალ თევზს. ამ აურზაურისა გამო ანტონ II იძულებული იყო გამგზავრებულიყო პეტერბურგისაკენ 10 ივლისს 1811 წ., და აღარც მობრუნებულა სამშობლოში“[1]. ასეთი რთული ვითარების მიუხედავად ერეკლე II-ს მიერ წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა მის უფროს ვაჟს, საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XIII-ს უტვირთია. მისი ბრძანებით ქრ. კეჟერაშვილს „გარჯითა დიდითა“ კვლავ აღუდგენია სტამბა და განუახლებია „ბეჭდვაი საეკლესიო წიგნთა“. აღხიშნულის შესახებ პ. იოსელიანი წერს: „თბილისისა აოხრებისა დროსა, გაუქმდა სტამბაცა სამეფოისა პალატისა. მეფემან გიორგიმ ბრძანა განახლება მისი: კვალად იწყეს სახლისა სასტამბოისა შენება, დაიბარეს ქაღალდი ოსმალოდამ ახალციხისა გზით და სპარსეთისა საზღვრიდამ, შეუდგნენ ასოთა ჩამოსხმასა, დაზგებისა კეთებასა და ბეჭდავთა შეკრებასა. შფოთთა თფილისსა, ქართლსა და კახეთსა შინა აღდგენილთა ძმათაგან მეფისა, დაგვიანებამ ქაღალდისა, მოუცლელობამ თვით მეფისა სნეულებისა გამო, რომელიცა მოერია მას და განუძლიერდებოდა დღე ყოველ, დააბრკოლეს საქმე: სტამბა დაშთა უქმად და ბეჭდავნი უსაქმოდ. მეფემან იგდო დრო რათა შესდგომოდა საქმესა ამას და სიკვდილმან მეფისა ბოლო მოუღო წიგნთა ბეჭდვისა ჰაზრსა მისსა“[2].

---

[1] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში, 1902, გვ. 41.

[2] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 166.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ სტამბის აღდგენა გიორგი XIII-ის სიცოცხლეში დამთავრებულა. ამას მოწმობს აგრეთვე გიორგის ბიერ ქრ. კეჟერაშვილისადმი მიცემული წყალობის სიგელი, რომელშიც ნათქვამია: „აღამახმადხანმა ქალაქი თფილისი რომ დასწვა, სტამბის ქარხანაც დაეწვათ. ჩვენ სტამბა დაგვჭირდა, გიბრძანეთ და ესეც დიდი შრომით გამართე და მოგვართვი“ [1].

მართალია, გიორგი XIII აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული სტამბის აღდგენას შეესწრო, მაგრამ სპარსეთიდან ქალალდის დაგვიანებით მიღების გამო წიგნების ბეჭდვას ვეღარ ეღირსა, იგი 1799 წელს გარდაიცვალა.

პირველი წიგნი, რომელიც ახლად აღდგენილ სტამბაში დაიბეჭდა, იყო დ. ბაგრატიონის „ნარკუვევი“. მის თავფურცელში ვკითხულობთ: დაიბეჭდა „დროსა უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა გიორგი მეათსამმეტისა, მეფისა ყოვლისა... კეთილმორწმუნეთა მეფის ძეთა და ასულთასა. კურთხევითა უნეტარესისა და უწმიდესისა, ანტონი პატრიარხისასა ყოვლისა საქართველოისათა“ [2].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ წიგნში მბეჭდავ-გამომცემელთა შორის რომანოზ ზუბაშვილი და მასთან ერთად სხვა ცნობილი მესტამბეები არ იხსენიებიან. მათ ნაცვლად წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეს სხვა მოღვაწენი ჩასდგომიან სათავეში. ესენი არიან სამეფო კარის საყდრის მღვდლის ძე იოანე, მეტეხის დეკანოსის ძე იოსები და სხვები. იმავე 1800 წელს დაბეჭდილ „დაუჯდომელში“ ტექსტის ბოლოს ვკითხულობთ: „აღესრულა. დიდება ღმერთსა. ივლისს კვ. ქორონიკონს უპმ. სტამბისა ამის ნაკლებისა შემასრულებელი კარის საყდრის დავით მღვდლის ძე მესტამბე იოანე. განმგეობითა და პლაკის მჭრელობითა და დაზგის მმართველობითა: მეტეხის დეკანოზის ძის იოსებ მღვდლისათა. მწერლობითა კარის მღვდლისა ქრისტესიას ძის პანტელეიმონისათა. მუშაკნი შენდობას გევედრებით მხილველთა ამის წიგნისათა“ [3].

ერეკლე II-ის სტამბამ ფაქტიურად 1800 წლამდე იარსება. „დაუჯდომელის“ შემდეგ მასში წიგნები აღარ დაბეჭდილა.

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1900 წ., № 171.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 77.

[3] იქვე, გვ. 78.

მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბა

ვესესვიატსკოეს სტამბის დახურვის შემდეგ მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეს სათავეში უდგება თბილელი მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი. იგი ჯერ კიდევ 1724 წელს გაჰყოლია ვახტანგ VI-ს რუსეთს, მაგრამ ემიგრაციაში დიდხანს არ დარჩენილა და ისევ მალე დაბრუნებულა სამშობლოში. 1752 წელს ათანასე სვიმონ მაყაშვილთან ერთად კვლავ ჩასულა რუსეთს დიპლომატიური მისიით და ამჯერად უკვე სამუდამოდ დარჩენილა საცხოვრებლად მოსკოვში ჯვართამაღლების მონასტერში. მას, როგორც თავის დროისათვის დიდად განსწავლულსა და განათლებულ პიროვნებას, „საოხად სულისა თვისისა“ ამავე მონასტერთან დაუარსებია სტამბა და შესდგომია ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვას.

ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის დაარსების საკითხს პირველად ეპისკოპოსი ევგენი ბოლხოვიტინოვი შეეხო. 1802 წელს გამოცემულ ნაშრომში «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии» იგი წერდა: «По напечатании Библии, грузинская типография из Всесвятского села переведена была в Москву к грузинскому митрополиту Афанасию... Там она до 1770 г. занималась по временам тисканием церковных грузинских книг» [1].

ე. ბოლხოვიტინოვის ცნობას იოსებ სამებელის სტამბის ვსესვიატსკოედან მოსკოვში გადმოტანის შესახებ მცირეოდენი კორექტივის შეტანით მხარს უჭერს დ. კარიჭაშვილიც. იგი განმარტავს: „ავტორი წიგნისა „Историческое изображение Грузии“... წერს, ვითომ ვსესვიატსკოეში მყოფი ბაქარის სტამბა გადატანილი იქნა მოსკოვს ათანასე ამილახვართან... აქ უეჭველია, იგულისხმება სტამბის ის ნაწილი, რაც ბაქარმა შეიძინა იოსებ სამებელის სტამბის გასადიდებლად და შესავსებლად, როდესაც დაბადებას ბეჭდავდა. ეტყობა ათანასეს ბაქარის სტამბის ნაწილი თავისი მხრით შეუვსია და გაუმართია ახალი სტამბა“ [2].

---

[1] Евгении (Болховитинов), историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, 1802, стр. 63.

[2] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 58.

ვსესვიატსკოეს სტამბის ბოლო პერიოდის ისტორიაზე ჩვენი მოსაზრება უკვე გამოვთქვით და ამიტომ აქ ამ საკითხს აღარ შევეხებით. მხოლოდ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ე. ბოლხოვიტინოვის ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ ათანასე ამილახვარს იოსებ სამებელის სტამბა ვსესვიატსკოედან „ბიბლიის“ დაბეჭდვისთანავე გადმოუტანია მოსკოვში. გამოდის, რომ იგი ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის დაარსების თარიღად 1743 წელს თვლის, რადგანაც „ბიბლიის“ ბეჭდვა სწორედ ამ წელს დაიწყო. რა თქმა უნდა, ე. ბოლხოვიტინოვის ცნობა როგორც ვსესვიატსკოედან მოსკოვში გადატანის, ისე თვით ჯვართამაღლების სტამბის დაარსების შესახებ, სწორი არ არის, რადგანაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, „ბიბლიის“ შემდეგ, კერძოდ 1744 წელს, სამებელის სტამბაში დაიბეჭდა „ჟამნი“.

კიდევ უფრო მცდარ ცნობას გვაწვდის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაზე ისტორიკოსი ზ. ჭიჭინაძე. იგი იცავს ვლადიმირში კათალიკოს ანტონ I-ის მიერ სტამბის დაარსების საკითხს და განმარტავს, თითქოს ამ უკანასკნელის საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ათანასე ამილახვარს შეესყიდოს და მოსკოვში გადმოეტანოს [1]. რაოდენ დიდი სურვილიც უნდა ჰქონოდა ათანასე ამილახვარს, ზ. ჭიჭინაძის ნათქვამის სისრულეში მოყვანა არ შეეძლო, რადგანაც ანტონ კათალიკოსს ვლადიმირში არავითარი სტამბა არ დაუარსებია.

დღემდე დაუდგენელია აგრეთვე ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის დაარსების მეტ-ნაკლებად ზუსტი თარიღი. პლ. იოსელიანი, მაგალითად, წერს: „1761 წ. 21 დეკემბერს ათანასემ სინოდს სთხოვა ნებართვა, რომ გაეხსნა ქართული სტამბა. სინოდმა ასეთი ნება მისცა“ [2]. ამავე წლით ათარიღებს ამ სტამბის დაარსებას თ. ჟორდანიაც. იგი წერს: „1761 წელს გაიხსნა ახალი ქართული სტამბა მოსკოვში თბილელი მიტროპოლიტის ათანასეს მიერ“[3]. იგივე მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. პ. გუგუშვილიც [4].

აღნიშნული საკითხის გარკვევაში ერთგვარი სიცხადე შეაქვს ერთ-ერთ დოკუმენტს, რომელიც საკავშირო მეცნიერებათა აკადე-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, 1627—1916, გვ. 97.

[2] П. Иоселиани, Описание древностей Грузии, 1866, стр. 187.

[3] გაზეთი „ივერია“, 1884, № 3.

[4] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 56.

მიის არქივშია დაცული. მასში ნათქვამია: „1762 года декабря 9 по резолюции Академии наук велено на присланное от его высокографского сиятельства Академии наук господина президента письмо от его преосвещенства Афанасия Митрополита тифлисского (Амилахварова), представить его сиятельству, что оного просвященного намерению, чтобы на грузинском языке печатать церковные книги, академическая канцелярия всячески способствовать готова, но притом 1) формы и материалы из академии отдать невозможно, а сколько подобно, сделанного при Академии пред несколькими годами грузинского шрифта к печатанию книг недовольно, ибо ко оному надобны по препорции титульные заглавные и, по крайней мере, еще особливой сорт ссылок и для других (отличения требующих) речей. 2) Все сие никоим образом менее одного года или двух исправлено быть не может, а коштовать имеет по крайней мере от 300 до 400 рублей.3) Неотменно надлежит, для лучшего исправления сего дела, прислать сюда не сколько грузинских книг церковных, к которым бы резчик литер приматриваться и из оных потребные сорта выбрать мог, 4) Должно кому-нибудь церковную грамоту и орфографию совершенно знающему грузину обретающихся здесь в С. Петербурге комисоию дать чтобы надсматривал над вырезыванием пунцонов и подовал бы обо всем надлежащее наставление и изъяснение, дабы трудов и времени напрасно не терять. Каков же находится при Академии грузинский шрифт, со оного при том приложить пробу с тем, если найдется в неи что недостаточное или неисправное, аное бы благоволено было переправить и положить»[1].

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1762 წლის მიწურულს ათანასე ამილახვარს განცხადებით მიუმართავს მეცნიერებათა აკადემიისათვის, რათა დახმარებოდნენ მას ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვაში. ამ განცხადებას, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ. როგორც ირკვევა, მასში ძირითადად ქართული შრიფტის შეძენაზე უნდა ყოფილიყო ყურადღება გამახვილებული. აკადემიის პრეზიდენტი დადებითად ძოჰკიდებია ათანასე ამილახვრის თხოვნას და იმავე 1762 წლის 9 დეკემბერს სათანადო რეზოლუციაც წაუწერია მის განცხადებაზე.

რეზოლუციით ნათელი ხდება, რომ მეცნიერებათა აკადემიის სტამბას იმ დროისათვის ქართული შრიფტი სრულად არ ჰქონია შე-

[1] Архив АН СССР, ф. 3, опись I, дел. № 272, стр. 117.

მორჩენილი, მის შესავსებად თუ ახალი მთლიანი კომპლექტის ჩამოსასხმელად კი 1 — 2 წლის ვადა უთხოვიათ ათანასე ამილახვრისათვის. დათანხმდა თუ არა იგი ამ პირობაზე, საარქივო დოკუმენტიდან არ ჩანს, არც სხვა რაიმე სარწმუნო ოფიციალური წყარო გაგვაჩნია გადამწყრელი პასუხისათვის. სამაგიეროდ, ხელთა გვაქვს ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაში დაბეჭდილი წიგნი „დაუჯდომელი“, რომლის გამოცემის თარიღიც აღნიშნული საკითხის ირგვლივ სავარაუდო მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს. იგი დაბეჭდილია 1763 წლის 15 თებერვალს, ათანასე ამილახვრის განცხადებაზე კი პრეზიდენტის რეზოლუცია წაწერილია 1762 წლის 9 დეკემბერს. როგორც ვიცით, მეცნიერებათა აკადემია შრიფტის შევსებისა თუ ახალი მთლიანი კომპლექტის დამზადებისათვის 1 — 2 წლის ვადას თხოულობდა, ფაქტიურად კი „დაუჯდომელი“ განცხადების შეტანიდან ორი-სამი თვის გასვლის შემდეგ დაუბეჭდიათ. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ათანასე ამილახვარს მეცნიერებათა აკადემიის მიერ შეთავაზებულ ვადაზე უარი განუცხადებია.

მაშ საიდან და როგორ შეიძინა ათანასე ამილახვარმა მისთვის საჭირო ქართული შრიფტი?

ამჯერადაც კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტის ციტირება მოგვიხდება. В словолитной палате, — ნათქვამია მასში, — имеются азбуки, которые укладены в шести ящиках и, за утеснением при словолитной их поставить негде, а какие азбуки и сколько весом: 1) грузинская азбука 4 пуда 7 фунтов. 2) российская новая асентоника 11 пудов 21 фунт, 3) латинская новая асентиновка 6 пудов 31/2 фунта, 4) заморских азбук разных сортов 23 пуда 20 фунтов» [1].

მთელი ეს შრიფტი მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის 1757 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით წიგნის მაღაზიისათვის ჩაუბარებიათ შესანახად [2].

დასაშვებია, რომ მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში შემორჩენილი შრიფტი ათანასე ამილახვარს ამ საარქივო დოკუმენტში აღნიშნული შრიფტით შეუვსეს და ამით ააწყვეს სწორედ ზევით დასახელებული „დაუჯდომელი“.

ამრიგად, ჯვართამაღლების მონასტრის სტამბა დაარსებული უნდა

---

[1] Архив АН СССР, д. № 225, стр. 132.

[2] იქვე.

იყოს 1762 წლის დეკემბრის მიწურულს. მასში დაბეჭდილი პირველი წიგნი არის ჩვენ მიერ უკვე რამდენჯერმე მოხსენიებული „დაუჯდომელი“. მისი თავფურცელი გვამცნობს: „ბრძანებითა და ნება რთვითა უწმინდესისა მმართებელის სრულიად რუსეთის სინოდისათა, წარსაგებელითა და მოღვაწებითა მიტროპოლიტი ტფილისისა ათანასე ამილახვაროვისათა... დაიბეჭდა ყოვლად სახმარი სამადლობელი დაუჯდომელი გინა აკაფისტი ესე ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა, რათა გამოუცდელთა ჯერედ სტამბის მუშაკთა შრომისა ნაყოფი შეწირულ იყოს ყოველთა ქრისტიანეთა ძლიერისა მეოხისა ღვთისა დედისა და დედოფლისა მარიამისა... მკითხველო სახიერო! სულიერად სახმარ უავ შენდა წიგნი ესე და უკეთუ რამე ნაკლულევან სისრულისა არს, სულ გრძელობით იტვირთე; ვინათგან ყოველი დაწყება ძნიადი არს და სამადლობელად კეთილ მითვალვისა ამის წიგნისა, უკეთუ ნებავს უფალ, უმჯობესი იხილო“ [1].

თავფურცელში მოყვანილი სიტყვები „ყოველი დაწყება ძნიადი არს“ სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაში დაბეჭდილ პირველ წიგნად „დაუჯდომელი“ უხდა მივიჩნიოთ. ამას კიდევ უფრო ნათლად მოწმობს 1764 წელს ამავე სტამბაში გამოცემული „დავითნის“ ტექსტის ბოლოში შენიშვნის სახით მოთავსებული შემდეგი განცხადება: „ამ სტამბის გამოსაცდელად პირველ დაბეჭდილს ღმრთის მშობლის დაუჯდომელში, მეორმოცდა ექვს გვერდზე, ზეიდამ მეცამეტე და მეთოთხმეტე სტრიქონში, მეცხრამეტე იკოსის მეხუთე გიხროდენში, მწერლის შეცთომით უსწორო სიტყვა მოვიდა... ამისათვის გევედრები, მკითხველო, რათა წარიკითხო ესრეთ: „გიხაროდენ. რამეთუ შენ განახლენ უმანკოებად ცოდვათა შინა შობილნი“[2].

„დაუჯდომელის“ გარდა ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაში რვა წიგნი დაიბეჭდა. კერძოდ, 1764 წელს — „დავითნი“, 1765 წელს— „სამოციქულო“, 1766 წელს — „სახარება გამოკრებული“, 1767 წელს — „პარაკლისი“, 1768 წელს კი სამი წიგნი გამოუციათ: „დავითნი“, „ლოცვანი“ და „ჟამნი“. თითოეულ წიგნს წამძღვარებული აქვს შემდეგი სამტაეპიანი ლექსი:

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 53.

[2] იქვე, გვ. 55.

„შემზადდა სტამბა მოსკოესა, მომთხრობი ენით ქართველთა:
საფასით, ღვაწლით ტფილისის ათანასისა სართველთა;
მიტროპოლიტი მოგიძღვნი სულისა შენის სამთელთა.
სამოციქულო, დავითნის, აწ ნახავ ქამნის დამრთველთა:
ქამნი მიირთვი, მკითხველო, სრული ერცელობით, სწორიცა;
პირველ ბეჭდილის მიმსგავსი, წიგნათ ნახმარი ორიცა;
ქამთა რუსულთა მბაძავი, ლოცვათ წმიდათა კონიცა.
ეეპე კარგი იყოს, ვით ეზრახავთ. გვინდა გვემოწმოს მქონიცა.
მესტამბეთაგან შეცდომა მოითხოეს მოტევებასა;
არც ჩვენ ეზრახავთ თქვენ გამო კურთხევისაგან კლებასა;
სიყვარულითა მიღება შრომისა მოგვცემს ნებასა;
ღოცვამ ნეტამცა შეგვყაროს მერმისსა წმიდათ კრებასა“.

ეპისკოპოსი ე. ბოლხოვიტინოვი ამავე სტამბაში დაბეჭდილად თვლის აგრეთვე „საგალობლებს“, „სადღესასწაულოს“, „ძარხვანს“, „ანბანს“ და სხვ., ხოლო ზ. ჭიჭინაძე — ბაქარის იამბიკოებსა და რამდენიმე საერო ლექსს [1]. მათი ცნობები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ჩვენ მიერ დასახელებული წიგნების გარდა ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაში დაბეჭდილი სხვა გამოცემების არსებობა არ დასტურდება.

1762 — 1768 წლებში მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაში ქართული საეკლესიო წიგნების დაბეჭდვა-გამოცემის საქმეს ათანასე ამილახვართან ერთად სათავეში ედგნენ სხვა ქართველი თვალსაჩინო მოღვაწენიც. თ. ჟორდანიას ცნობით, „კორექტორად იყო ჩვენგან უკვე ცნობილი მელქისედექ კავკასიძე, ერისკაცი ევგენი ამილახვარი. გამსწორებლად საეკლესიო წიგნთა სლავიანურ ტექსტზედ — ძველ-წული ათანასესი ციციანოვი დიმიტრი... ამ სტამბიდანვე გამოვიდა დაუჯდომელი 1762 წ.“ [2]. თ. ჟორდანიას ცნობაში მთელ რიგ უზუსტობასთან ერთად დაშვებულია კურიოზული შეცდომაც. მხედველობაში გვაქვს დიმიტრი ციციშვილის ათანასე ამილახვრის ძმისშვილად აღიარება. მკვლევარს ალბათ მხედველობაში ევგენი ამილახვარი ჰყავდა. არც მელქისედექ კავკასიძის კორექტორად მუშაობა მტკიცდება რაიმე წყაროთი, შეცდომითაა მოტანილი აგრეთვე „დაუჯდომელის“ დაბეჭდვის თარიღი. სინამდვილეში ათანასესთან ერთად ამ სტამბაში ძირითად წამყვან ძალად ითვლებოდნენ აბრამ ურიათყოფილი და დიმიტრი

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 97.
[2] ჟურნალი „იველრია“, 1881 წ. № 3.

ციციშვილი — მამა შემდეგში კავკასიის მთავარმართებლის ი. ციციშვილ-ციციანოვისა. ამ სტამბაში მათი მოღვაწეობის შესახებ ცნობებს ვხვდებით 1764 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ თავფურცელ“ში. „ნებართვითა მმართებელის სრულიად რუსეთის სინოდისათა, — ვკითხულობთ მასში, — ღვაწლითა და წარსაგებელითა ტფილისის მიტროპოლიტის ათანასი ამილახვრისათა, ზედა ხედვითა თავადის დიმიტრი ციციანოვისათა. დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს... ხელითა მესტანბე აბრამ ურიაყოფილისათა“ [1].

არსებობს მოსაზრება, თითქოს ათანასე ამილახვარი და დიმიტრი ციციშვილი საგამომცემლო საქმიანობას პირველად ვესვეიატსკოეს სტამბაში გასცნობიან. უფრო მეტიც, მათ თითქოს მონაწილეობაც კი მიუღიათ „ბიბლიის“ ბეჭდვაში. პროფ. პ. გუგუშვილი წერს: „მოსკოვს ქართული დაბადების გამოცემისათვის, გარდა მოხსენებულთა, შრომობდნენ ტექნიკურ და სარედაქციო ნაწილში: ქრისტეფორე გურამიშვილი, მელქისედეკ კავკასიძე, სამეფო კარის მღვდელი ფილიპე და დავითი; „არა მცირე შრომა მიუძღვით“ კიდევ ათანასე მიტროპოლიტს (ტფილელს) და დ. ციციშვილს“ [2]. ჩვენ ხელახლა ჩავიხედეთ „ბიბლიის“ გამოცემის მასალებში და ვერსად, ვერც თვით ბაქარის წინასიტყვაობასა და ვერც ვახუშტის ბოლოსიტყვაობაში, მსგავს რაიმეს ვერ მივაკვლიეთ.

ჯვართამაღლების მონასტრის სტამბამ XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე იარსება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ მასში 1768 წელს დაბეჭდილი „ჟამნის“ შემდეგ სხვა წიგნი აღარ გამოცემულა. დახურვის მიზეზი ღრმა მოხუცებულობამდე მიღწეული ათანასე ამილახვრის გარდაცვალება უნდა ყოფილიყო.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის დახურვის შემდეგ ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეს პეტერბურგში გადაუნაცვლია. თ. ჟორდანია გადმოგვცემს: „1786 წელს გაიხსნა ქართული სტამბა ს.-პეტერბურგში, ქართველი ეპისკოპოსის გრ. ხარჭაშნელისაგან, რომელიც გამოგზავნილი იყო დასაბრუნებლადვე საქართველოშივე ვახტანგ მეფის და სხვადასხვა სამღვდელო პირთაგან საქართველოდან გაზიდული საქართველოს ეკ-

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 54.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 81.

ლესიის კუთვნილთა სიწმიდეთა და სხვა ნივთთა. დარჩენილმა საძუდამოდ რუსეთში, მან დაბეჭდა რამდენიმე წიგნი; სხვათა შორის სახარება ქართული 1789 წელს"[1]. ამავე მოსაზრებას გამოთქვამენ პროფ. ალ. ცაგარელი[2] და ისტორიკოსი ზ. ჭიჭინაძე[3].

1786 წელს პეტერბურგში ეპისკოპოს გრ. ხარჭაშნელის მიერ ქართული სტამბის დაარსების საკითხს თავიდანვე სკეპტიკურად შეხვდა ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი. იგი ჯერ კიდევ 1929 წელს წერდა: „ზღაპარს ჰგავს მოწმობა, ვითომ მეთვრამეტე საუკუნე'ში (1786 წ.) დაარსებულიყვეს პეტერბურგში ქართული სტამბა. ამ სტამბის დამაარსებლად ასახელებენ ეპისკოპოზს გრიგოლ ხარჭაშნელს, რომელსაც ჟორდანიას სიტყვით დაუბეჭდია რამდენიმე წიგნი და სხვათა შორის სახარება 1789 წელს"[4].

დ. კარიჭაშვილის მოსაზრება სწორია და მისაღები. ნოვგოროდისა და ვლადიმირის მსგავსად, არც პეტერბურგში ეპისკოპოს გრ. ხარჭაშნელის მიერ გამოცემულ რომელიმე ქართულ წიგნს მოუღწევია ჩვენამდე.

მოზდოკის სტამბა

მოსკოვში 1770 წელს ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის დახურვის შემდეგ, ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს საფუძველი ეყრება მოზდოკში. აქ სტამბის დამაარსებელი ხდება ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გაიოზ რექტორი. ამ დიდი, ახალი კულტურული წამოწყების კვალს პირველად პროფ. ალ. ხახანაშვილმა მიაკვლია[5]. მალე მოზდოკის სტამბის საკითხს შეეხო პროფ. ალ. ცაგარელიც. იგი განმარტავდა: «Сохранились также грузинские книги, напечатанные во второй половине XVIII века в г. Моздоке»[6].

---

[1] ჟურნალი „ივერია", 1884 წ., № 3.

[2] Ал. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, стр. 18.

[3] ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები, 1626—1916, გვ. 97.

[4] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 61.

[5] Ал. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, изд. III, стр. 373.

[6] Ал. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, изд. I, стр. 19.

ალ. ხახანაშვილისა და ალ. ცაგარელის მტკიცებანი მოზდოკში ქართული სტამბის არსებობის შესახებ არ გაიზიარა დ. კარიჭაშვილმა. იგი წერდა: „ალ. ხახანაშვილი კიდევ უფრო შორს მიდის და სხვა ზღაპარს გადმოგვცემს, ვითომ მოზდოკში სტამბას დროგამოშვებით ემოქმედოს 1629—1799 წლებში... პროფ. ალ. ცაგარელიც იზიარებს ამ ზღაპარს“ [1].

მართალია, დ. კარიჭაშვილის კრიტიკა 1629 წლიდან მოყოლებული 1799 წლამდე ანუ მთელი 170 წლის მანძილზე მოზდოკში ქართული სტამბის არსებობის შესახებ, ერთი მხრივ, სწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ სტამბის საერთოდ არსებობის ხელაღებით უარყოფა, როგორც ამას დ. კარიჭაშვილი აკეთებს, უმართებულოა. გაიოზ რექტორის სტამბის არსებობას ნათლად მოწმობს როგორც თვით მასში გამოცემული წიგნების თავფურცლებზე მინაბეჭდი ცნობები, ისე სხვა საარქივო მასალები.

მოზდოკში ქართული სტამბის დაარსებას გარკვეული ისტორიულ-კულტურული წინამძღვარები გააჩნდა. XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, ვახტანგ VI-ისა და ქვეყნის სხვა თავკაცთა მოსკოვს გადასახლების შედეგად, საქართველო რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოექცა. ერთი მხრივ, გარეშე მტრების — თურქეთ-ირანისა და მოშთაბარე ჰარ-ბელაქნელი ლეკების თავაშვებულმა თარეშმა, ხოლო მეორე მხრივ, დიდ ფეოდალთა შორის ამ მძიმე განკითხვის ჟამს წოდებრივ-საგვარეულო პრივილეგიების ნიადაგზე ჩამოვარდნილმა შინაურმა აღრევებმა ერთიანად შეარყია, დააძაბუნა და ძირს დასცა ქვეყნის ეკონომიური ძლიერება. მომხდურთა რბევა-აწიოკებითა და ძალდატანებითი გამაჰმადიანებით დაშინებული ხალხი იძულებული ხდება მიატოვოს მამაპაპეული სახლ-კარი და დარიალის ხეობით თავი ჩრდილო კავკასიას შეაფაროს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ლეკიანობის გაძლიერების შედეგად ქართველების აყრამ და გადასახლებამ კიდევ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. ჩრდილო კავკასიის მთელ რიგ პუნქტებში, განსაკუთრებით მოზდოკსა და ყიზლარში, საკმაოდ მოზრდილი ქართული დასახლებები წარმოიშვა. ოფიციალური საარქივო მონაცემებით ქართველების რაოდენობა 1764 წლისათვის მოზდოკის მთელი მოსახლეობის 53,5 პროცენტს შეადგენდა, 1777

[1] დ. კარიჭაშვილი, წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 62, 63.

წლისათვის — 42,2, 1785 წლისათვის — 42,6, ხოლო 1789 წელს — 30,6 პროცენტს [1].

ჩრდილო კავკასიაში დასახლების შემდეგ, მშვიდობიან პირობებში მოხვედრილი ქართველები დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ჰკიდებენ ხელს. რუსეთის სინოდის აქტიური მხარდაჭერითა და არქიმანდრიტ პახომის ინიციატივით 1745 წელს არსდება „ოსებს შორის ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისია“, რომლის შემადგენლობაშიც თითქმის მთლიანად ქართველი სასულიერო პირები შედიოდნენ. არქიეპისკოპოსი იოანე მანგლელი საკუთარი „საფასითა და წარსაგებელითა“ ყიზლარში აშენებს ქართულ ეკლესიას და აარსებს სამრევლო სასწავლებელს. ასეთივე ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელწოდებით შენდება მოზდოკში ქართველი მოსახლეობის შეწირულობით.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩრდილო კავკასიაში დასახლებული ქართველების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ ეკლესიის გარშემო შემოკრებილი შემოქმედებითი ძალების შემწეობით ჩრდილო კავკასიაში საფუძველი ეყრება თავისი დროისათვის საკმაოდ ძლიერ ქართულ ლიტერატურულ სკოლას, რომლის საქმიანობაც ძირითადად ძველი წიგნების გადაწერითა და რუსული ტექსტების ქართულად თარგმნით განისაზღვრება. ამ სკოლის წარმომადგენლებად ითვლებიან ზემოთ დასახელებული არქიმანდრიტი პახომი და არქიეპისკოპოსი იოანე მანგლელი, იღუმენი ტრიფილე, არქიმანდრიტი ანტონი, ონოფრე სავარსამიძე, იოსებ გიორგიშვილი და სხვები. 1790 წლიდან აღნიშნულ ლიტერატურულ სკოლას სათავეში უდგება გაიოზ რექტორი. იდეა მოზდოკში ქართული სტამბის დაარსების შესახებ სწორედ ამ სკოლის წევრებმა წამოაყენეს.

მოზდოკის სტამბის დაარსებაზე საყურადღებო ცნობებს ვხვდებით 1796 წელს ამავე სტამბაში საცდელად დაბეჭდილ დოკუმენტში. ეს არის ე. წ. „ზუბაშვილის წერილი გაიოზისადმი“. წერილიდან ვგებულობთ, რომ რ. ზუბაშვილი პროფესიით მესტამბე ყოფილა. ძას ეს ხელობა თბილისში, ერეკლე II-ის მიერ 1749 წელს აღდგეხილ

---

[1] Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., ვ. გამრეკელის გამოკვლევითა და წინასიტყვაობით, 1968, გვ. 43.

ვახტანგ VI-ისეულ სტამბაში შეუსწავლია და გარკვეულ დრომდე აქვე უმუშავნია. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის გამო მას, როგორც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წიგნების მბეჭდავს, თავისი ცოლ-შვილით მიუტოვებია თბილისი და სამშობლოდან ლტოლვილს მოზდოკში გაიოზ რექტორთან შეუფარებია თავი. აქ მას ამ უკანასკნელის დავალებით ქართული სტამბა მოუწყვია. ზემოდასახელებულ წერილში ნათქვამია: „ყოვლად უსამღვდელოესო გაიოზ, მწყემსო კეთილო და უფალო მწყემსთაო!.. მადლი თქვენი უხმარსა გონებასა და სიტყვასა ჩემსა.

მცველო კეთილო, წარწყმედულთა ცხოართა! აჰა, მგელთაგან შეცთომილი უხმარი მონა რომელი გახლდი მათის უმაღლესობის საქართველოს მეფის ირაკლის ერთი... უნარჩევესი მოსამსახურე. მუხთალმან სოფელმა და უპირომან გარდმომაგდო... ვითარცა ცხვარი და მომაშორა მწყალობელსა ბატონსა, მეგობართა და თვისთა, გამომტყორცა, ვითა მშვილდმან ისარი, მსწრაფლ, დაუყოვნებლად, ამ უცხოობასა შინა განმაგდო, ყოვლის ნივთისა და საზრდოსაგან ცარიელ ქმნილი. მოწყალემან ღმერთმან მიზესთა მიზეზმან იესომ სახიერმან და დედამან მისმან მარიამ, მშიერთა გამაზრდელმან, შიშველთა სამოსელმან, ჩემთვის ნუგეშად აღმოგაჩინათ და მიტვირთეთ შეცთომილი ცხოარი. ნუგეში მეცით და მარქვ მე: არა მნებავს უქმ ყოფნა შენიო. წარვედ და იქმოდე სტამბასა ჩემსა და რომელიცა საძართალ იყოს, მოგცე შენ. დავემორჩილე ბრძანებასა თქვენსა და ვიწყე მუშაკობა და აღვასრულე ბრძანება თქვენი... თუ უმეცნიერესი გონება თქვენი გაჰშინჯავს, მრავალსა ნაკლოვანებასა აღმოაჩენს ბეჭედსა ამას შინა. მაგრამ მოწყალებით შემინდევით. თვით თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მიმოწმებს, რომ რომელიც ამ ხელოვნების საკადრისი ასოს მომჭრელი იარაღი არა მქონდა. მეორე ესა, რომ ჩემნი ამხანაგნი არ იღწვიდნენ. თუმცა წერილისა ასოსა წარმომადგინელებელი იქაც მე გახლდით, მაგრამ ჩამომსხმელნი, მწერალნი, დაზგის მმართველნი, მბეჭდავნი — სხვანი გახლდნენ. და აწ ესე ყოველნი ხელოვნებანი სტამბის ამის მარტომან ვიმუშაკე და განვმართე საბეჭდავი ესე“ [1].

ამ დოკუმენტს რომ ჩვენამდე არ მოეღწია, შეგვეძლო გვეფიქრა,

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 71, 73.

თითქოს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებისას სამშობლოდან გაქცეულ რ. ზუბაშვილს მომხდურთაგან გადასამალავად თან წაუღია ერეკლესეული შრიფტის ნაწილი და ზოგიერთი მოწყობილობა, რომლებიც შემდეგ მოზდოკში ქართული სტამბის გასამართავად გამოუყენებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი დასკვნის გამოტანა სწორი არ იქნებოდა. მას შრიფტიცა და სტამბისათვის საჭირო მოწყობილობაც ადგილზევე, თავისი ხელით დაუმზადებია. „თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მიმოწმებს, რომ... ამ ხელოვნების საკადრისი ასოს მომჭრელი იარაღი არა მქონდა... ესე ყოველნი ხელოვნებანი სტამბის ამის მარტომან ვიმუშაკე და განვმართე საბეჭდავი ესე". — დასძენს გაიოზ რექტორისადმი მირთმეულ წერილში რ. ზუბაშვილი.

მოზდოკში რ. ზუბაშვილი დიდხანს არ დარჩენილა. სტამბის გამართვისთანავე მას თხოვნით მიუმართავს გაიოზისათვის გამოენახა „ბეჭდვასა შიგან განსწავლულნი კაცნი", რათა ჩაებარებინა მათთვის ახლად წამოწყებული საქმე და თვითონ სამშობლოში დაბრუნებულიყო. ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ შეეკრიბა „წიგნის მოყვარე გამოუცდელნი პირნი", რომელთაც შეასწავლიდა ხელობას. იმავე წერილში ვკითხულობთ: „ესეცა მოხსენდეს ყოვლად უსამღვდელესობასა თქვენსა: საჭირონი არს სტამბისა ამის, თუმცა მზად გასწავლებულთა მბეჭდავთა ინებებთ მოყვანასა, უმჯობესი იქნების. თუ არ ინებებთ და უსწავლელთ კაცთ განაწესებთ, ისიც ნება თქვენია:— რომ ისწავლონ რამე: მწერალმან — წერა, მბეჭდავთა — ბეჭდვა; ყოველთა თავთავისი საქმე ვასწავლო. და მე განმათავისუფლოთ. და თუ სხვას წერილს ინებებთ რასმე, საცა გახლდები, მიბრძანეთ და ჴმა გახლავარ სამსახურს შინა. დაუყოვნებლად აღვასრულებ ბრძანებასა თქვენსა, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო" [1].

უდავოა, რაოდენ წინააღმდეგიც უნდა ყოფილიყო გაიოზ რექტორი რ. ზუბაშვილის მოზდოკიდან წამოსვლისა, მისი თხოვნა კადრების აღზრდის შესახებ უნდა დაეკმაყოფილებინა, რადგანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ერთ კაცს გაუჭირდებოდა სტამბის გაძღოლა. უნდა ვიფიქროთ, რომ „ბეჭდვაში" განსწავლულ კაცთა გაძონახვა არცთუ ადვილი იქნებოდა გაიოზისათვის. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ადრევე დააარსებდა სტამბას. უფრო სავარაუდოა, რომ რ. ზუბა-

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 73.

შვილმა „ჯერეთ გამოუცდელ პირთ“ შეასწავლა ბეჭდვის საქმე და სამშობლოში წამოსვლისას სტამბაც მათ ჩააბარა.

ჩანს, რ. ზუბაშვილმა მოზდოკი 1796 წლის მიწურულს დატოვა. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ უკვე 1797 წლიდან გაიოზ რექტორის სტამბაში გამოცემულ არც ერთ წიგნში იგი აღარ იხსენიება.

რამ განაპირობა რ. ზუბაშვილის მოზდოკიდან წამოსვლის დაჩქარება? ჩვენ ხელთა გვაქვს იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ძიერ რ. ზუბაშვილისადმი მიცემული წყალობის სიგელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ დასმულ კითხვაზე. მასში ნათქვამია: „ქ. სამებისა ყოვლად წმიდისა ძალთა მეუფისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა მინდობილმან ჭეშმარიტებით მსასოებელმან და საგრელსა ქვეშე ნებისა მისისა შევრდომილმან სოლომონიან პანკრატიანმან ყოვლისა იმერეთისა და სამთავროთა მპყრობელმან ალექსანდრეს ძის ძემან მეორემან მეფეთ მეფემან სოლომონ და თახაიცხედრემან ჩემმან დადიანის ასულმან მარიამმა ეს წყალობის მტკიცე წერილი და სიგელი აღგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ზუბაშვილს ქართველს მესტამბეს, რომანოზს და შვილთა შენთა იოანეს, დავითს და ალექსანდრეს და მომავალთა სახლისა შენისათა მიზეზით აჱით და აჱა პირსა ზედა: პირველად სანატრელის პაპის ჩემის მეფის ირაკლის გაზრდილი იყავ და შენის ხელოვნების სწავლისათვის მრავალი დახარჯოდა და საქართველოს შფოთიანების მიზეზით შენის ცოლ-შვილით რუსეთს გადასულ იყავ. ჩვენ ვითარცა სალვთოსა ტფიალებისა მოსურვემან და ჩვენის ქვეყნის შემატების მზრუნველმან რადგან ჩვენს ქვეყანას ეხმარებოდი განსწავლული და ხელოვანი კაცი იყავ და პაპის ჩემის ნაამაგევი, ამისათვის ერთ-გზის და ორ-გზის წიგნი მოგწერეთ რუსეთს და წყალობა აღგითქვით და რუსეთიდან გადმოგიყვანეთ შენის ცოლ-შვილით და რავარც ჩვენს ქვეყანას შემსგავსებოდა ისე შეგინდეთ, წყალობა გიყავით და გიბოძეთ სოფელ წესს სასახლე, ერისთავის ნაქონები თავისის სახნავ-სათესით, ჭალით, წისქვილით და მარნით“ [1].

[1] ჟურნალი „მწყემსი“, 1887 წ., № 25, გვ. 7, 8.

თვის სოლომონს წერილები გაუგზავნია სამშობლოში დაბრუნების შესახებ. შეუძლებელია იმერეთის მეფის თხოვნას რ. ზუბაშვილში არ აღეძრა საქართველოში უმალვე დაბრუნების სურვილი. ასევე შეუძლებელია გაიოზ რექტორსაც არ სცოდნოდა რაიმე ამ წერილების შესახებ და სწორედ ამიტომაც ვერ გაბედა წინ გადასდგომოდა ცნობილი მესტამბის სამშობლოში დაბრუნების წადილს.

მოზდოკში გაიოზ რექტორის შეწევნითა და რ. ზუბაშვილის ხელით გამართული სტამბა მოთავსებული ყოფილა სამღვდელმთავრო პალატაში. ამას მოწმობს 1797 წელს ამ სტამბაში გამოცემული წიგნის „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლის“ უკანასკნელ გვერდზე, ტექსტის ბოლოს დართული შემდეგი ცნობა: „დაიბეჭდა ქალაქსა მოზდოკს, პალატსა შინა სამღვდელ-მთავროსა“ [1].

სად მდებარეობდა ეს სამღვდელმთავრო პალატა კონკრეტულად, სათანადო საბუთების უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია. ადვილი შესაძლებელია იგი მოთავსებული იყო წმინდა ნიკოლოზის ქართული ეკლესიის ეზოში.

მოზდოკის სტამბაში სულ ოთხი წიგნი დაიბეჭდა. აქედან ქართული წიგნის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1796 — 1800 წლებში გამოცემულ გაიოზის „გრამატიკას“, რომელსაც ბოლოში მიბეჭდილი აქვს ასეთი ცნობა: „დასასრული ღრამატიკისა. დიდება ღ-სა სრულ მყოფელსა ყ-თასა. წელსა 1789, თთუსა ოკდომბერსა 2, კრემენჩუკს“ [2]. ამ ცნობის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ დასახელებული წიგნი ქ. კრემენჩუგში იყო დაბეჭდილი. აქედან გამომდინარე ისინი აბსოლუტურად მცდარ დასკვნას აკეთებდნენ, თითქოს გაიოზ რექტორს მოზდოკზე ადრე ქართული სტამბა კრემენჩუგში ჰქონდა დაარსებული. თ. ჟორდანია წერს: 1789 წლის აგვისტოს 2-ს „არქიმანდრიტის გაიოზის ძიერ ითარგმნა კრემენჩუკს „წიგნი მისა მ. ჩ. ამბროსი მედიოლანელის ეპისკოპოზისა“. ამავე წელს დაიბეჭდა კრემენჩუკს გაიოზის გრამატიკა ხუცურად“ [3].

კრემენჩუგში ქართული სტამბის არსებობის საკითხს იცავდნენ

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 74.

[2] იქვე.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, 1967, გვ. 412.

აგრეთვე პროფ. ალ. ცაგარელი[1] და ისტორიკოსი ზ. ჭიჭინაძე[2]. მათ არამცთუ საეჭვოდ მიაჩნდათ ამ სტამბის არსებობა, არამედ გაიოზის „გრამატიკის“ გარდა მასში დაბეჭდილად თვლიდნენ კიდევ რამდენიმე წიგნს. მათ შორის იოანე აღლოუიზის ძის მიერ თარგმნილ „საცისკრო ლოცვანს“ ოსურსა და ქართულ ენებზე და ბასილიოს მაკედონელის „მცნებას“. ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი არ იზიარებს ზემოდასახელებულ მკვლევართა ამ მოსაზრებას და სრულიად სამართლიანად შენიშნავს: გაიოზ რექტორის „გრამატიკის“ ბოლოში მინაბეჭდი „დასასრული ღრამატიკისა. დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა... წელსა 1789. თთუსა ოკდომბერსა 2, კრემენჩუკს“, ნიშნავს, რომ „გაიოზს წიგნის წერა გაუთავებია 1789 წ. ქ. კრემენჩუკში. საიდან მიხვდნენ, რომ წიგნი დაბეჭდილია ქ. კრემენჩუკში, არ ვიცით. გვგონია, აქ უბრალო გაუგებრობაა. წიგნის დაწერის ადგილი და დრო დაბეჭდვის ადგილად და დროდ მიუღიათ“[3]. რაკი დ. კარიჭაშვილი სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო კატეგორიულად უარყოფდა მოზდოკში გაიოზ რექტორის მიერ ქართული სტამბის დაარსებას, ამიტომ „გრამატიკის“ დაბეჭდვის ადგილის დადგენას შემდგომი კვლევის საკითხად თვლიდა და ზემოჩამოთვლილ ისტორიკოსთა მისამართით დასძენდა: „წიგნი მცნება ვასილ ბერძენთა მეფისა არის ის წიგნი, რომელსაც სხვანაირად ტესტამენტი ეწოდება და დაბეჭდილია 1739 წელს მოსკოვში. ეს შეცდომაც რაღაც გაუგებრობაზეა დამყარებული. ასეთივე გაუგებრობის ნაყოფი უნდა იყოს მტკიცება, ვითომ გაიოსს კრემენჩუკში დაებეჭდოს ლოცვანი საცისკრონი ოსურსა და ქართულ ენებზე. ამ სახელით წიგნი არის დაბეჭდილი 1820 წ. ტფილისში. ვაი თუ ხსენებულ მკვლევარებს ეს წიგნი მიუღიათ კრემენჩუკში დაბეჭდილად გაიოზის მიერ“[4].

როგორც იტყვიან, დ. კარიჭაშვილის არგუმენტაცია კომენტარს არ საჭიროებს.

მოზდოკის ქართულმა სტამბამ 1803 წლამდე იარსება. მისი დახურვის მიზეზი გაიოზის სტავროპოლისა და პენზის ეპარქიის არქიეპისკოპოსად გადაყვანა უნდა ყოფილიყო.

---

[1] Ал. Цагарели, О грамматике литературного грузинского языка, 1873, стр. 35.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, 1627 — 1916, გვ. 101.

[3] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 62.

[4] იქვე.

მოზდოკის სტამბის დახურვით თავდება XVIII საუკუნის მიწურულისათვის რუსეთში არსებული ძველი ქართული სტამბების ისტორია.

ქუთაისის, წესისა და ანწერეთლოს სტამბები

XIX საუკუნის დამდეგიდან, ერეკლე II-ის სტამბის დახურვის შემდეგ, ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის ცენტრი თბილისის ნაცვლად ქუთაისი ხდება. მემატიანე გვამცნობს: „სამეფოჲ იმერეთისა მფარველ იქმნა წიგნთა ბეჭუდისა“.

ქუთაისში პირველი სტამბის დაარსებისა და წიგნების ბეჭდვის შესახებ ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ერთხანს აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ზ. ჭიჭინაძე, მაგალითად, ირწმუნებოდა, რომ თითქოს მას ხელთ ჰქონდა ქუთაისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნი შემდეგი მინაბეჭდით: „დაიბეჭდა ესე დაუჯდომელი სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს დროსა სოლომონ მეფისა წელსა ჩღო“-სა [1].

თუ ზ. ჭიჭინაძის ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ უფლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ 1770 წელს ქუთაისში სტამბა უკვე არსებულა, რადგანაც „ჩღო“ აღნიშნულ თარიღს ნიშნავს. მაგრამ არა გვგონია ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა რეალურ საფუძველზე იყოს დამყარებული. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ზ. ჭიჭინაძეს რომ ნამდვილად ჰქონოდა ასეთი წიგნი, უთუოდ მოიხსენიებდა, როგორ მოხვდა იგი მის ხელში. ამის შესახებ კი ცნობაში არაფერია ნათქვამი. გარდა ამისა, ისევე როგორც თბილისში, მოსკოვში, მოზდოკსა და თვით ქუთაისში დაბეჭდილ ძველ წიგნებს, მასაც ექნებოდა დართული კონკრეტული მონაცემები მესტამბეთა ვინაობის შესახებ და შეუძლებელია მათთვის მკვლევარს ყურადღება არ მიექცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ზ. ჭიჭინაძის ცნობა საეჭვოდ მიგვაჩნია.

---

[1] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული სტამბები, 1916, გვ. 102.

ქუთაისში პირველი სტამბის დაარსების შესახებ ცნობას გვაწვდის აგრეთვე პროფ. ალ. ხახანაშვილი. იგი წერს: «В конце XVIII в. в 1785 г. имеретинский царь Соломон II при содействии Романоза Зубашвили, изучавшего у Михаила, уроженца Валахии типографское дело, устроил в Кутаисе типографию для печатания церковно-богослужебных книг. В 1787 г. в Кутаисской типографии вышла первая печатная книга»[1].

პროფ. ალ. ხახანაშვილის ცნობა სოლომონ II-ის ინიციატივით რ. ზუბაშვილის მიერ ქუთაისში 1785 წელს სტამბის მოწყობაზე, ზ. ჭიჭინაძის ზემოაღნიშნული გადმოცემის მსგავსად, გაუგებრობაზეა დამყარებული. უცილობელ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს, რომ 1784 წლიდან 1789 წლამდე იმიერ საქართველოში მეფობდა არა სოლომონ II ანუ ერეკლე II-ის შვილიშვილი დავით არჩილის ძე, როგორც ეს აღნიშნული აქვს პროფ. ალ. ხახანაშვილს, არამედ დავით გიორგის ძე. ამრიგად, რადგანაც ცნობა სოლომონ II-ის 1785 წელს მეფობის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს, ცხადია, ასევე უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს მოსაზრება სოლომონ II-ის მიერ იმავე 1785 წელს სტამბის დაარსებაზე. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უხდა იყოს ის გარემოებაც, რომ 1787 წელს ქუთაისში პირველი წიგნის დაბეჭდვის რწმუნების მიუხედავად პროფ. ალ. ხახანაშვილი ამ წიგნის სახელწოდებას ვერ ასახელებს.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ალ. ხახანაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებებს ქუთაისში პირველი სტამბის დაარსებაზე არც ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი იზიარებდა. იგი წერდა: „უსაფუძვლოა თქმა ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილისა ვითომ ქრისტეფორე კეჟერაშვილი და რომანოზ ზუბაშვილი მიხეილ უნგროვლახელის ნამოწაფარნი ყოფილიყვნენ“ [2]. იმისათვის, რომ ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილის მოსაზრებათა უსაფუძვლობა კიდევ უფრო სარწმუნო გახადოს, დ. კარიჭაშვილი დასძენს: „1787 წელს რომანოზ ზუბაშვილი თბილისში იყო და 1788 წელს კიდევ დაბეჭდა ვეებერთელა წიგნი“ [3].

მართალია, დ. კარიჭაშვილი არ ასახელებს ამ „ვეებერთელა წიგნს“, რომელიც რ. ზუბაშვილს 1788 წელს თბილისში უნდა დაებე-

---

[1] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, т. III, стр. 368.

[2] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 49,

[3] იქვე, გვ. 100.

ჰდა, მაგრამ ქართული წიგნის ქრონოლოგიური კატალოგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი „ზატიკი“ უნდა ყოფილიყო, რომლის ტექსტის ბოლოშიც შემდეგი მინაბეჭდია მოთავსებული: დაიბეჭდა ესე წიგნი „ზედა მდგომარებითა და სტამბისა სახმართა ზედა გარჯითა ყორღანას შვილის დავით მუშრიბისათა. სტამბისა ამის ნაკლების შემასრულებელი ზუბა-შვილი მესტამბე რომანოზ“ [1].

უფრო მეტიც, რ. ზუბაშვილი 1795 წლამდე თბილისში, ერეკლე II-ის სტამბაში იმყოფება და მისი აქტიური მონაწილეობით იბეჭდება: 1790 წელს „დავითნი“ და „დაუჯდომელი“, 1791 წელს „ჟამნი“ და „სამოციქულო“, 1793 წელს „კონდაკი“, „მარხვანი“ და „მცირე ლოცვანი“, ხოლო 1794 — 1795 წლებში „კურთხევანი“ და „დავითნი“.

რაკი ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილის ცნობებს უარყოფდა, დ. კარიჭაშვილი ქუთაისში პირველი სტამბის დაარსების თაობაზე შემდეგნაირ მოსაზრებას გამოთქვამდა: „ნამდვილად ქუთაისში სტამბა დაარსდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც სოლომონ მეფემ დაიბარა რუსეთითგან იქ მყოფი ტფილელი მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი. ამ მესტამბემ გამართა ქუთაისში სტამბა“ [2]. დ. კარიჭაშვილისავე განმარტებით, რ. ზუბაშვილის მიერ გამართულ სტამბაში 1803 წელს პირველად დაუბეჭდიათ „საღმრთო და სამღუდელო სახარება ვნების კვირიაკისა“ [3]. დ. კარიჭაშვილის ცნობა ქუთაისში XIX საუკუნის დამდეგს სტამბის დაარსების შესახებ სინამდვილეს შეეფერება, თუმცა პირველი წიგნის სახელწოდებასა და გამოცემის წელს ზუსტად ვერც იგი განსაზღვრავს.

დ. კარიჭაშვილისებურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. პ. გუგუშვილიც. იგი წერს: „ნამდვილად ქუთაისში სტამბა დაარსა სოლომონ მეორემ, სადაც პირველად მხოლოდ 1803 წელს დაიბეჭდა წიგნი“ [4]. პროფ. პ. გუგუშვილი თავის მოსაზრებას აგებს სოლომონ II-ის მიერ ხელმოწერილ ერთ-ერთ საბუთზე, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. მსაყოველთაოს მეფემან სოლომონ გულისმოდგინე დიდითა გულისმოდგინე-

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 65, 66.

[2] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 106.

[3] იქვე.

[4] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 93.

ბითა რათამცა ქვეყანასა ჩვენსა ყოფილიყო სტამბა. და შეწევნითა ქრისტესითა ვქმენ სტამბა ქუთაისს ყოვლითა სისრულითა უნაკლულოდ, სასოვრად მეფობისა ჩემისა: და აწ დიდსა ერთგულსა და ერთსულსა ჩემსა სახლთუხუცესსა წერეთელსა დიდსა თავადსა ჩემს ზურაბს გარწმუნებ ზედა მდგომელობასა ჩემისა ამის სტამბისასა, ვითარცა უპირველესსა ნიჭსა პატივისასა. რომელიცა იყოს წესი და შესამატი მეფობისა ჩემისა და საჭირო წმინდათა ეკლესიათა მას იქმოდე. უსწავლელთა ცნობათა და წინააღმდგომთა ნებითა და ძალითა განმართვიდე. და ნაკლულოვანებასა ყოველსა აღავსებდე სიყვარულისათვის ჩემისა, რამეთუ მიზეზი კეთილისა და არა კეთილისა და ყოვლისა წესიერებისა ქედსა ზედა შენსა და... ყოველი საქმე მისი დაწყობილი სტამბასა გიბოძებთ. ყოვლისა შემძლებელმან ღმერთმან წარნგვმსართოს; წელთა ჩყბ (1803): თიბათვის Გ V 9)“ [1].

ამ საბუთიდან გამომდინარე პროფ. პ. გუგუშვილი ასკვნის: „როგორც ჩანს, სოლომონ მეორეს „დიდითა გულის მოდგინებითა რათამცა ქვეყანასა ჩვენსა ყოფილიყო სტამბა“, გამოუწერია რუსეთიდან — ერეკლე მეორის დროს ტფილისში ნამყოფი — მესტამბე ზუბაშვილი და სასტამბო იარაღები, რომლითაც გაუკეთებია სტამბა ხსენებულ რომანოზ ზუბაშვილს“ [2].

ვფიქრობთ, სოლომონ II-ის ეს საბუთი ქუთაისში სტამბის დაარსების თარიღის დასადგენად არ გამოდგება. ამ დოკუმენტით, როგორც თავად პროფ. პ. გუგუშვილიც შენიშნავს, სოლომონ II „მის ძიერ ქუთაისში „ყოვლითა სისრულითა დაარსებული სტამბის ზედამხედველობას ანდობს სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს“ [3], ხოლო ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ, თუ როდის დაარსდა თვით სტამბა, საბუთში არაფერია ნათქვამი.

ამრიგად, როგორც დ. კარიჭაშვილი, ისე პროფ. პ. გუგუშვილი ქუთაისში სტამბის დაარსების თარიღად 1803 წელს მიიჩნევენ, სტამბის გამმართველად რ. ზუბაშვილს თვლიან, ხოლო მასში დაბეჭდილ პირველ წიგნად „სახარება ვნების კვირიაკისას“ ასახელებენ [4].

---

[1] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 94.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 106; პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 94.

დღეს, როცა უკვე მოგვეპოვება მეტ-ნაკლები სისრულით შედგენილი ქართული ნაბეჭდი წიგნების კატალოგი, ზემოაღნიშნული ცხობები სარწმუნო წყაროს აღარ წარმოადგენს.

მაშ როდის დაარსდა პირველი სტამბა ქუთაისში?

ჩვენს ხელთ არის ქუთაისის სტამბაში გამოცემული წიგნი, რომლის თავფურცელზე დაბეჭდილი ტექსტი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. მასში ვკითხულობთ: „სადიდებელად წმიდისა, თანა-არსისა და განუყოფელისა, ცხოველსმყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. დროსა ყოვლად-უბრწყინვალესისა, უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა სოლომონ მეორისა, მეფისა ყოვლისა საიმერეთოისასა და კეთილ-მორწმუნისა დედოფალთ დედოფლისა მარიამ დადიანის ასულისასა. კურთხევითა ყოვლად-სამღვდელოთა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთათა. დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე ფსალმუნი მეფისა წინასწარმეტყველისა დავითისა სამეუფოსა ქალაქსა ქუთათისს, პალატსა სამეფოსა. წელსა დასაბამითგან სოფლისა პტ$ ქრისტეს აქეთ ჩპ. თვესა ნოემბერსა, რიცხვსა ზ“ [1].

ციტირებული ამონაწერი ერთდროულად ორ კითხვაზე გვაძლევს პასუხს: სტამბის დაარსებისა და მასში პირველი წიგნის დაბეჭდვის შესახებ. აქედან ვგებულობთ, რომ ქუთაისში სტამბა დაარსებულა არა 1803 წელს, არამედ უფრო ადრე, კერძოდ, 1800 წელს იგი უკვე ექსპლუატაციაშია. ამავე დროს, ამ სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნი ყოფილა არა „სალმრთო და სამღვდელო სახარება ვნების კეირიაკისა“, არამედ „დავითნი“.

კიდევ უფრო საყურადღებო ცნობებია შემონახული ქუთაისის სტამბის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დასახელებული წიგნის ბოლოსიტყვაობაში: „მებრძანა მათის უმაღლესობის ქრისტესმოყუარის ჩვენის ხელმწიფის მეორის მეფის არჩილის ძის სოლომონისაგან მე, მისსა მონასა პაიჭაძე გიორგი მესტამბეს, გულისმოდგინედ სურვილით სალმრთო ნიჭისა ამის უფასოისა მარგარიტისა—სტამბის გამართვა, და გაკეთება. და მე მორჩილ ვიქმენ, ვითა სალმრთოსა კეთილ-საქმიერებისა; და წარველ რუსეთად მოსკოვს, და რომელიც

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 77.

სახმარინი სტამბას ესაჭიროებოდა, ყოველივე სრულად და უნაკლულოდ მოვიტანე, საფასითა მისის უმაღლესობისათა; და გავაკეთე ქუთათისს, ვითა ჯერ იყო, რომელიც არიდეს ყოფილიყო იმერეთში. და პირველად დავბეჭდე სულთა განმანათლებელი წიგნი ესე ფსალმუნი ბეფისა დავითისა"[1].

აქედან ირკვევა, რომ ქუთაისში პირველი სტამბა სოლომონ II-ის დავალებით გიორგი პაიჭაძეს მოუწყვია და არა რ. ზუბაშვილს. ისე რომ საკითხი რ. ზუბაშვილის მიერ ქუთაისში პირველი სტამბის დაარსების შესახებ ერთხელ და სამუდამოდ დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას.

1800 წელს დაბეჭდილი „დავითნის" საგამომცემლო მონაცემებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სტამბა ე. წ. „ოქროს ჩარდახში" — სოლომონ II-ის სასახლეში ყოფილა მოთავსებული. იმერეთის მეფეთა ეს სარეზიდენციო ადგილსამყოფელი ძველ „ქვედა ქალაქში" იყო გაშენებული. მას გარს შემორტყმული ჰქონდა ქვიტკირის მაღალი გალავანი. გალავნის შიგნით ალაყაფის თაღოვან კარებთან სათოფურებდატანებული მოქონგურებული კოშკი იდგა. მოშორებით ასევეტილი იყო ასეთივე მეორე კოშკი. გალავნისავე სიღრმეში თაღებით შეკრულ თორმეტ სვეტზე აზიდული ორსართულიანი სასახლე, რომლის წინაც ვეება ჰადარი აღმართულიყო და ქვეშ ქვისაგან ნათალი ტახტი იდგა, ზევიდან გადაყურებდა მთელ რიონის ხეობას. სასახლის აივნიანი ზედა სართული საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო ქვედაში მოთავსებული იყო ხაზინა, მარანი და სხვა დამხმარე სათავსოები. აქვე უნდა ყოფილიყო სტამბაც.

ამ სტამბის მოწყობა-გამართვისა და პირველი წიგნის ბეჭდვის დროს გ. პაიჭაძეს მთელი რიგი სიძნელეები შეხვედრია, რომელთა დაძლევის სიმძიმეც მარტოდმარტო მას გადაუტანია. ცხადია, ერთ კაცს გაუჭირდებოდა საქმის გაძღოლა, წიგნების უნაკლოდ ბეჭდვა. მართლაც, „დავითნის" ზერელედ გადაფურცლაც კი საკმარისია, რომ უმალ შევნიშნოთ მასში გაპარული კორექტურული შეცდომები, უფერულად ნაბეჭდი ცალკეული ფურცლები და სხვა. ამ ნაკლოვანებებს თავად გ. პაიჭაძეც გრძნობდა და იმიტომაც იყო, რომ შენდობა-მოტევებას ითხოვდა მკითხველისაგან. იგი დასძენდა: „სტამბასა და ბეჭედსა ამას შინა (მკითხველი. — ო. კ.) მრავალსა ნაკლულევანებასა აღმოაჩენს. მაგრამ მიზეზიცა მქონდა: პირველ ესე, რომ ზამთარი

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 77.

ყო, და იმ ჟამად დაბეჭდვა და მუშაკობა არ იქნებოდა. მაგრამ რადგან ღვთის-მოყუარეთა იმერთა ერთა ხილვა ჰსურდათ სტამბისა, ამათმა სიყუარულმა აღარ დამაყენა. მეორედ, ვინც მუშაკნი მყუანღნენ, ყოველნივე გამოუცდელნი იყუნენ, და, მესამედ, ესე, როგორც სხუა და სხუა ოსტატნი იმყოფებიან, მე თანაშემწენი არავინ მყუანდა, და აჲ მიზეზებისათვის, გეედრები ყოველთა, მომიტეოთ ამისი ნაკლულევანება, და ლოცუა ჰყოთ, რათა შემდგომად სტამბისა ამის ნაკლულოვანებისა აღსრულებასა ღირს მყოს უფალმან მადლითა თჳენითა" [1].

ზემოთ ციტირებული ადგილები, გ. პაიჭაძის შესახებ შემონახული ცნობების გარდა, საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც გავარკვიოთ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი — როდის უხდა დაარსებულიყო ქუთაისში პირველი სტამბა.

როგორც პირადად გ. პაიჭაძე იუწყება, სტამბისათვის საჭირო მოწყობილობა მას რუსეთიდან, კერძოდ მოსკოვიდან, ჩამოუტანია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმ დროს მოსკოვში წასვლას, იქიდან სათანადო მოწყობილობის ჩამოტანასა და შემდეგ თვით სტამბის გამართვას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდებოდა, უფლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ მზადებას სტამბის დასაარსებლად XVIII საუკუნის 90-იან წლებში უნდა შედგომოდნენ. რაც შეეხება სტამბის აშუშავებას, ეს უფრო მოგვიანებით, დაახლოებით 1797—1799 წლებში უნდა მომხდარიყო, რადგან დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ამ სტამბაში 1800 წელს გამოცემული პირველი წიგნი „დავითნი", რომლის დაბეჭდვასაც კადრების ნაკლებობის, სტამბის სრულად მოუწყობლობისა და ცივი ზამთრის გამო კარგა დრო დასჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდი „დავითნის" დაბეჭდვამდე სტამბის დაარსების თარიღის ერთი-ორი წლით წინ გადაწევის შესახებ, გამართლებულია.

ამრიგად, პირველი სტამბა ქუთაისში XVIII საუკუნის მიწურულს, სახელდობრ 1797 — 1799 წლებში დაარსებულა.

კადრების ნაკლებობის მიუხედავად, სტამბის გამართვისა და წიგნების ბეჭდვის საქმეში გ. პაიჭაძე მარტო მაინც არ ყოფილა. იმ ძოღვაწეთა შორის, რომლებიც გარს ეხვივნენ მას და თაეიანთი შეწევნით

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 77.

წინ სწევდნენ საქმეს, ყურადღებას იმსახურებენ დათიკა მესხი, როსტომ ნიჟარაძე, გელათის არქიმანდრიტი ზაქარია და სხვები.

„დავითნის“ დაბეჭდვის შემდეგ გ. პაიჭაძე ქუთაისში დიდხანს არ დარჩენილა. რუსეთის სინოდის წევრს, არქიეპისკოპოს ვარლაამ დავითის ძე ქსნის ერისთავს, მიტროპოლიტ იონა გედეონის ძეს და იესე მეფის შვილიშვილს დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონს გ. პაიჭაძე მოსკოვში მიუწვევიათ, სადაც მას 1805 წელს დაუბეჭდია ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი „სადღესასწაულო“. ამ წიგნს დართული აქვს გ. პაიჭაძის შემდეგი წინასიტყვაობა: „მებრძანა უწმიდესის სინოდის ჩლენის, ვარლამ არხიეპისკოპოზისაგან, მე, პაიჭაძე გიორგი მესტამბეს, წიგნისა ამის სადღესასწაულოს დაბეჭდუა, ვინაითაგან არა იყო ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილ. მორჩილ ვექმენ ფრიადის გულის მოდგინებით. ოთხსა წელსა არა დავსცხერ შრომითა და მღვიძარებითა. თვით ანბანის მოჭრითა, გაწყობითა, ჩაკითხვითა, პლაკის ჭრითა, და ყოვლისავე სტამბისა ამისა სახმარსა განმართვითა და სრულ-ვჰყავ ძალითა ღვთისათა, და თუ რაიმე ნაკლულევახება იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ ლოცუასა ყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვის“ [1].

აღნიშნული ამონაწერი საშუალებას გვაძლევს მიახლოებით ვაინც გავარკვიოთ გ. პაიჭაძის ქუთაისიდან წასვლის თარიღი. ეს უნდა ვომხდარიყო 1801 წელს. „სადღესასწაულოს“ წინასიტყვაობაში იგი ამბობს: ამ წიგნის დაბეჭდვის გამო „ოთხსა წელსა არა დავსცხერ შრომითა და მღვიძარებითაო“. რადგანაც ვიცით, რომ ეს წიგნი 1805 წელს გამოვიდა, ხოლო მის ბეჭდვას ოთხ წელს მოუნდნენ, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გ. პაიჭაძეს 1801 წელს დაუტოვებია ქუთაისი.

გ. პაიჭაძის მოსკოვში წასვლის შემდეგ ქუთაისის სტამბას სათავეში უდგება რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც 1803 წლის ივნისში დაიბეჭდა მცირე წიგნი „სახარება ვნების კვირიაკისა“. ეს ის წიგნია, რომელიც ისტორიკოსმა დ. კარიჭაშვილმა ქუთაისში დაბეჭდილ პირველ წიგნად მიიჩნია.

როგორც ძველად გამოცემულ ყველა წიგნს, ისე „კვირიაკეს სახარებასაც“ დართული აქვს სხვადასხვა მონაცემი, რომელთა გულდას-

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 84, 85.

ძით შესწავლა საყურადღებო ცნობებს გვაწვდის და მრავალმხრივ ჰფენს ნათელს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას. „სახარების“ ტექსტის ბოლოს, მაგალითად, მიბეჭდილია: „ბრძანებითა მათის უბაღლესობისათა მოწოდებულ იქმნა რუსეთის მოსამსახურედ და გაკეთდა სტამბა ესე ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა. დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამის სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაძის გიორგისათა. სტამბისა ამის მუშაკნი გევედრებით ყოველთაგან შენდობასა“ [1].

ამ მინაბეჭდს ერთგვარი არევ-დარევა შეაქვს ჩვენ მიერ ზევით გამოთქმულ მოსაზრებათა სიზუსტეში. აქედან ვიგებთ, რომ ქუთაისის სტამბა რ. ზუბაშვილს დაუარსებია და არა გ. პაიჭაძეს. მასში პირდაპირაა ნათქვამი: „გაკეთდა სტამბა ესე ხელითა მესტამბე ზუბაშვილისათა“. გარდა ამისა, იგივე საბუთი გვამცნობს, რომ გ. პაიჭაძეს გარკვეული წვლილი გაუღია „კვირიაკეს სახარების“ ბეჭდვაში. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი ვარაუდი გ. პაიჭაძის ქუთაისიდან 1801 წელს წასვლის შესახებ სიმართლეს არ შეეფერებოდეს. ეს არც გასაკვირია, რადგან „კვირიაკეს სახარება“ 1803 წელს გამოიცა, ხოლო გ. პაიჭაძეს, მინაწერის მიხედვით, მის ბეჭდვაში, „როგორც დაზგის მმართველს“, გარკვეული მონაწილეობა მიუღია. უფრო შეტიც, მაშინ ეჭვის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული აგრეთვე „სადღესასწაულოს“ 1805 წელს მოსკოვში დაბეჭდვის საკითხი და თვით გ. პაიჭაძის სიტყვები: „ოთხსა წელსა არა დავსცხერ შრომითა და ძღვიძარებითა“. მაგრამ საქმე ასე არ არის.

მართალია, ქუთაისში პირველი სტამბის დაარსებას გ. პაიჭაძემ ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ ვფიქრობთ, მისი სრულად მოწყობა ანუ გამართვა მან ვეღარ მოასწრო. იგი წერს: „გევედრებით ყოველთა, მომიტეოთ ამისი ნაკლულევანება, და ლოცუა ჰყოთ, რათა შემდგომად სტამბისა ამის ნაკლულევანებისა აღსრულებასა ღირს ვყოს უფალმან, მადლითა თქვენითა“. ეს ნიშნავს: თუკი რაიმე ნაკლს შენიშნავთ, გთხოვთ შემინდოთ. ილოცეთ, ღმერთმა მომცეს შეძლება ამ ნაკლოვანებათა შესავსებად, სტამბის სრულად გასამართადო.

ჩვენ გვგონია, რომ თავდაპირველად რ. ზუბაშვილი გ. პაიჭაძის დასახმარებლად უნდა ყოფილიყო მოწვეული მოზდოკიდან. როგორც

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 83.

ზემოთ აღვნიშნეთ, გ. პაიჭაძე ჩიოდა: „სტამბასა და ბეჭედსა აძას შინა მრავალსა ნაკლულევანებასა აღმოაჩენს. მაგრამ მიზეზიცა მქონდა: პირველ ესე რომ ზამთარი და ყინული იყო და იმ ჟამად დაბეჭდვა და მუშაობა არ იქმნებოდა... მეორედ, ვინც მუშაკნი მყვანდსენ, ყოველნივე გამოუცდელნი იყვნენ, და, მესამედ, ეს როგორც სხუას ქვეყნებში სხუა და სხუა ოსტატნი იმყოფებიან, მე თანაშემწენი არავინ მყუანდა, და ამ მიზეზისათვის, გეევდრები ყოველთა ძმობითოთ ამისი ნაკლულევანება“. მართლაც, მარტო გ. პაიჭაძისათვის ძნელი იქნებოდა პირველად წამოწყებული ამ დიდი საქმის გაძღოლა. აძიტომ საფიქრებელია, რომ სოლომონ II-მ ყურად იღო გ. პაიჭაძის ჩივილი კადრების ნაკლებობის შესახებ და მის დასახმარებლად მოზდოკიდან რ. ზუბაშვილი მოიწვია. ცხადია, გ. პაიჭაძის მოსკოვში წასვლის შემდეგ რ. ზუბაშვილი თავისებურად მოაწყობდა სტამბას და იმ „ნაკლულევანებასაც“ გამოასწორებდა, რომელთა შესახებაც გ. პაიჭაძე გულისტკივილით აღნიშნავდა „დავითნის“ წინასიტყვაობაში. სწორედ ეს ვარემოება უნდა ჰქონოდა მხედველობაში „კვირიაკეს სახარების“ პოლოს მინაბეჭდი ტექსტის ავტორს, როცა წერდა: „გაკეთდა სტამბა ესე ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა“.

ამის შემდეგ გასარკვევი გვრჩება, მართლა მიიღო თუ არა ძოსაწილეობა „კვირიაკეს სახარების“ გამოცემაში გ. პაიჭაძემ? რა თქმა უნდა, იმის უარყოფა, რომ მას ამ მხრივ გარკვეული წვლილი აქვს გაღებული, შეუძლებელია. მაგრამ იმის თქმაც, რომ იგი ბოლომდე მონაწილეობდა „სახარების“ გამოცემაში, უმართებულო იქნება. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს შემდეგი საგულისხმო გარემოება.

როგორც ვიცით, „კვირიაკეს სახარებას“ აქვს ბოლოსიტყვაობა. სადაც ნათქვამია: „ბრძანებითა მათის უმაღლესობისათა მოწოდებულ იქმნა რუსეთით მოსამსახურეთ და გაკეთდა სტამბა ესე ხელითა ძესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა, დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამის სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაძის გიორგისათა“. არსებობს ამ ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტიც, რომელშიც სიტყვები: „დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამის სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაძის გიორგისათა“ მთლიანად ამოღებულია. შეიძლებოდა ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიგვექცია, მაგრამ საქმე ის არის, რომ იქვე „დაზგის მმართველად“ გ. პაიჭაძის ნაცვლად ზაქარია არქიმანდრიტია მოხსენიებული. „მდაბალი არხიმანდრიტი ზაქარია ლოცვას

გევედრები ყოველთა მიერ, რომელმან ვიგულისმოდგინე მუშაკობად ამისსა და განვმართე კანონთა ზედა წმიდა ესე სახარება, ყოველითა სიმკაცრითა და დაზგის მმართველობითა“ [1]. — ვკითხულობთ ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტში.

ღრმა გაანალიზების შედეგად ვრწმუნდებით, რომ ზემომოტანილ ამონაწერში არქიმანდრიტი ზაქარია ერთდროულად სტამბისა და საგამომცემლო დარგის მუშაკად მოჩანს. იგი „კანონსა ზედა წმიდა ესე სახარების“ გამმართველი ანუ ტექსტის დამდგენიც და „დაზგის მმართველიც“ ყოფილა. ამრიგად, 1803 წლისათვის მას ქილიფთართუხუცეს რიფსტომ ნიჟარაძისა და გ. პაიჭაძის თანამდებობები ჰქონია შეთავსებული.

ყოველივე ამის შემდეგ იბადება სრულიად კანონზომიერი კითხვა: თუ რაიმე კავშირი არ ჰქონდა გ. პაიჭაძეს „კვირიაკეს სახარების“ დაბეჭდვასთან, რატომ მოიხსენიეს იგი ბოლოსიტყვაობის პირველ ვარიანტში, და თუ მისი წვლილიც ერია ამ საპატიო საქმეში, მაშ რატომღა ამოიღეს მისი სახელი ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტიდან? რადგანაც ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული საბუთი არ მოგვეპოვება, აღნიშნული საკითხის ირგვლივ შეიძლება მხოლოდ ორი სხვადასხვა სახის შემდეგი სავარაუდო მოსაზრება გამოითქვას:

პირველი მოსაზრების თანახმად მიგვაჩნია, რომ გ. პაიჭაძესა და გ. ზუბაშვილს შორის თავიდანვე მწვავე უთანხმოება ჩამოვარდა პირველკაცობის თაობაზე. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელმა განხეთქილებამ. ერთმანეთს დაუპირისპირდა ერთი და იმავე საქმის ორი დიდი მცოდნე თავიანთი პირადი ინტერესებით. ამ ბრძოლაში გ. პაიჭაძემ მარცხი განიცადა და იძულებული გახდა „კვირიაკეს სახარების“ ბეჭდვისათვის თავი მიენებებინა და მოსკოვს წასულიყო. გამორიცხული არ არის, რომ ამის შემდეგ შექმნილი ვითარება რ. ზუბაშვილმა პირადი სარგებლობის მიზნით გამოიყენა და იმისათვის, რომ ისტორიაში თავისი პირველკაცობა დაემკვიდრებინა, გ. პაიჭაძის სახელი ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტიდან მთლიანად ამოიღო. ამ განზრახვის შესრულება რ. ზუბაშვილმა ნაწილობრივ მაინც შეძლო. კარგა ხანს, სანამ „დავითნს“ მიაკვლევდნენ, ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი და

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 83.

სხვა მკვლევარები ქუთაისის სტამბის დამაარსებლად მას მიიჩნევდნენ.

მეორე მოსაზრების თანახმად დასაშვებად ვთვლით, რომ რ. ზუბაშვილსა და გ. პაიჭაძეს შორის არავითარ უთანხმოებას არ ჰქონია ადგილი და ეს უკანასკნელი თავისით, პირადი მოსაზრების გამო წასულა მოსკოვს, სანამ „კვირიაკეს სახარების“ ბეჭდვას შეუდგებოდნენ. მაგრამ რადგან გ. პაიჭაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც პირველი სტამბის დამაარსებელი ქუთაისში, ამიტომ მისი სახელიც პატივისცემის ნიშნად შეიტანეს ბოლოსიტყვაობის პირველ ვარიანტში. შესაძლებელია შემდეგში ეს ფაქტი უხერხულად მიიჩნიეს და მისი სახელი ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტიდან ამოიღეს.

ჩვენ უფრო პირველ მოსაზრებას ვუჭერთ მხარს, რადგან ადვილი შესაძლებელია ზემომოყვანილი სიტყვები: „გაკეთდა სტამბა ესე ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა“ მართლა იმას კი არ გამოხატავდეს, რაც სინამდვილეში რ. ზუბაშვილმა ქუთაისის სტამბის სასარგებლოდ მოიმოქმედა, არამედ პირიქით, პირველკაცობის მიკუთვნების ცდას წარმოადგენდეს.

იმერეთის სამეფოს იმდროინდელი რთული პოლიტიკური ვითარების გამო დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების მოგვარებით გადატვირთული სოლომონ II ჯეროვან ყურადღებას ვეღარ იჩენს სტამბისადმი და ამიტომ იძულებული ხდება იგი თავის სახლთუხუცეს ზ. წერეთელს მისცეს იჯარით. ამის შესახებ სოლომონის მიერ 1803 წელს ზ. წერეთლისადმი ბოძებულ სიგელში ნათქვამია: „გარწმუნებ ზედა მდგომელობასა ჩემისა ამის სტამბისასა... რაც სტამბას ესაჭიროება ხარჯი და სხვა ყოვლიფერი, უნდა შენ ახარჯო, როდესაც ღ-თი ინებებს და სადღესასწაულო დაიბეჭდება, შენს ხარჯს უნდა გამოხვიდე. ზარალში საქმე არა მაქვს და მუშების ჯამაგირს გარდა რაც დარჩება, ნახევარი ჩემი იქნება ათასის სადღესასწაულოს ანგარიშით და სხვა მოგება, ნახევარს გარდა, შენი იქნება“ [1].

მაშასადამე, 1803 წლიდან ქუთაისის სტამბის ბატონ-პატრონი ხდება ზ. წერეთელი. რატომ გამოსწირა იგი სოლომონმა რ. ზუბა-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd, № 1205.

შვილს და სახლთუხუცესს ჩაუგდო ხელში? ეს ამ ორი მოღვაწის ეკონომიურ შესაძლებლობათა მეტნაკლებობითა და სასტამბო ხარჯების დაფარვის უნარიანობით უნდა აიხსნას და არა რ. ზუბაშვილისადმი მეფის არაკეთილსასურველი დამოკიდებულებით. ამას მოწმობს ის, რომ მოზდოკიდან ქუთაისში ჩამოსული მესტამბე სოლომონს „ვითარცა თვისტომი ახლობელი“ გულთბილად მიუღია და უხვადაც დაუჯილდოებია. მისთვის სოფელ წესში რაჭის ერისთავისეული სასახლე, ადგილ-მამული და ყმა გლეხები უჩუქებია. ჩვენ „მეფეთ მეფემან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმა დადიანის ასულმან მარიამმა... — ნათქვამია სოლომონის წყალობის სიგელში, — შენ ზუბაშვილს ქართველს მესტამბეს... წყალობა გიყავით და გიბოძეთ სოფელ წესს სასახლე, ერისთავის ნაქონები თვისის სახნავ-სათესით, ჭალით, წისქვილით და მარნით, ვენახი ბარაკონის ვენახის გვერდით: სასაფლაო ბარაკონის თავისის ტყით მიბოძებია... ამას გარდა კიდევ წყალობა გიყავ და გიბოძე იქვე გლეხი მოსახლე ცამეტი“[1].

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1800 წელს გ. პაიჭაძის ხელმადლიანობით გამართული ქუთაისის სტამბა შემდეგში თითქოს სოფელ წესში გადაიტანეს. პროფ. პ. გუგუშვილის აზრით, ეს 1807 წელს, „ფსალმუნის“ დაბეჭდვის შემდეგ უნდა მომხდარიყო. იგი წერს: „1807 წელს ქუთაისში დაიბეჭდა კიდევ „ღვთივ სულიერი წიგნი ესე ფსალმუნთა“... მალე ამის შემდეგ სტამბა ქუთაისიდან სოფელ წესს გადაუტანიათ, სადაც 1810 წელს დაიბეჭდა „საეედრებელი ღვთის მშობლისა“ [2].

სამწუხაროდ, პროფ. პ. გუგუშვილის ცნობა დღეს უკვე მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში არც სოფელ წესში სტამბის დაარსების თარიღი შეეფერება სინამდვილეს და არც მასში დაბეჭდილი პირველი წიგნის გამოცემის წელი. შეუძლებელია სტამბა 1807 წლის შემდეგ უახლოეს ხანში წესში გადატანილად მივიჩნიოთ, როცა ჩვენ ხელთა გვაქვს 1808 წელს ჯერ კიდევ ქუთაისში დაბეჭდილი წიგნი „ქამნი“, რომლის თავფურცელიც გვამცნობს: „დაიბეჭდა საღმრთო და საეკლესიო წიგნი ქამნი... სამეუფოსა ქალაქსა ქუთაისს, პა-

---

[1] ჟურნალი „მწყემსი“ 1887 წ., № 25.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 95.

ლატსა სამეფოსა; წელსა დასაბამითგან სოფლისა ჩტივ: ქრისტეს აქეთ ჩუმ თთუმსა ივლისსა“ [1].

ამრიგად, „ფსალმუნის“ დაბეჭდვის შემდეგ სტამბა ისევ ქუთაისშია, სადაც 1808 წელს გამოიცა ზემოაღნიშნული „ჟამნი“. რაც შეეხება სოფელ წესში გამოცემულ პირველ წიგნს, ამჯერად პროფ. პ. გუგუშვილის ცნობა ეჭვს არ იწვევს. ეს წიგნი მართლაც „საველრებელი ღვთის მშობლისა“ ყოფილა, მაგრამ იგი დაუბეჭდიათ არა 1810, არამედ 1809 წელს[2].

ქუთაისიდან სოფელ წესში სტამბის გადატანის შესახებ პროფ. პ. გუგუშვილისაგან განსხვავებით თავისებურ მოსაზრებას გამოთქვამს დ. კარიჭაშვილი. ხელავს რა აშკარა წინააღმდეგობას წლების მიხედვით ქუთაისსა და წესში დაბეჭდილ წიგნებს შორის, იგი ასკვნის: „1809 წ. რაღაც მიზეზით სტამბა ქუთაისითგან გადაუტანიათ სოფ. წესს, რაჭაში და იქ დაუბეჭდიათ:

1809 წ. საველრებელი ღვთის მშობლისა... ამავე წელს თუ შემდეგის 1810 წლის დამდეგს სტამბა უკანვე გადმოუტანიათ ქუთაისს და დაუბეჭდიათ:

1810 წ. ლოცვანი... ამის შემდეგ სტამბა ხელახლად გადაუტახიათ ქუთაისითგან სოფ. წესს და იქ დაუბეჭდიათ:

1811 წ. გამოკრებული სადღესასწაულო“[3].

დ. კარიჭაშვილის მოსაზრება ქუთაისიდან სტამბის სოფელ წესში გადატანის, წესიდან უკან, ქუთაისში დაბრუნებისა და შემდეგ ისევ წესში გადატანის შესახებ უმართებულოდ მიგვაჩნია. სტამბის ერთიდან მეორე ადგილას გადატან-გადმოტანა იმ დროს მთელ რიგ სიძნელეებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თუ შეიძლება ითქვას, წესის სტამბა ქუთაისის სტამბის ერთგვარ ფილიალს წარმოადგენდა.

სოფელ წესში სტამბის დაარსების შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით ამავე სტამბაში 1809 წელს გამოცემული წიგნის „საველრებელი ღვთის მშობლისა“ ტექსტის ბოლოს მოთავსებულ მინაბეჭდში. მასში ვკითხულობთ: „ყოველად სამღუდელო ნიკოლოს

---

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 107, 108.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 87.

[3] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 107, 108.

წმიდელი არხი-ეპისკოპოსი სოფრონ შემწე ექმნა სტამბისა ამის საჭიროთა ნივთთა-ზედა. ბრძანებითა მათის უმაღლესობისათა მოწოდებულ იქმნა რუსეთით მოსამსახურედ და გაკეთდა სტამბა ესე მესტამბე რომანოზ ზუბაშვილასათა. სტამბისა ამის ბეჭდვისა მმართუელი მესტამბე რომანოზის ძე დავით ზუბაშვილი“[1].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ წესში სტამბა იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის ბრძანებითა და არქიეპისკოპოს სოფრომის შემწეობით რომანოზ ზუბაშვილს მოუწყვია. რადგანაც მას უფრო დიდი საქმე — იმერეთის სამეფო სტამბის მართვა-გამგებლობა ჰქონდა დაკისრებული, ამიტომ წესში თავის მაგივრად უფროსი ვაჟი დავითი დაუტოვებია, თვითონ კი კვლავ ქუთაისში დაბრუნებულა. დავით ზუბაშვილის მიერ წესის სტამბის გამგებლობას მოწმობს ზემომოტანილი ამონაწერის შემდეგი სიტყვები: „სტამბისა ამისა ბეჭდისა მმართუელი მესტამბე რომანოზის ძე დავით ზუბაშვილი“. ამასვე ადასტურებს 1810 წელს ქუთაისის სტამბაში გამოცემული „ლოცვანი“, რომლის ტექსტის ბოლოშიც ნათქვამია: დაიბეჭდა „ხელითა ძესტაძბე რაზმაძე რომანოზ ზუბას შვილისათა“ [2]. ცხადია, ორივეგან — ქუთაისშიც და წესშიც ერთდროულად მუშაობას რ. ზუბაშვილი ვერ ძეძლებდა.

მეორე წიგნი, რომელიც 1811 წელს წესში გამოიცა, იყო „გამოკრებული სადღესასწაულო“. ამ წიგნის ბეჭდვა არქიეპისკოპოს სოფრომს დაუწყვია, მაგრამ მოულოდნელად გარდაცვლილა და წამოწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია. სოფრომის განზრახვა პრაქტიკულად სახლთუხუცეს ზ. წერეთელს განუხორციელებია. „სადღესასწაულოს“ მონაცემები გვამცნობს: „მათს ყოვლად სამღვდელოებას ნიკოლაოს-წმიდელს სოფრონიოსს ეს გამოკრებული სადღესასწაულო დაეწყო და რამდენიმე რვეული თავის ხარჯით დაებეჭდა. და აწ ჩვენ, წერეთელმან თავადმან სახლთუხუცესმან ზურაბ, ვინებეთ ამ სადღესასწაულოს შესრულება და ჩვენის საფასით დავბეჭდეთ და შევასრულეთ, მხილველთაგან ლოცვისა მოხსენებად“ [3].

რ. ზუბაშვილის მიერ მოწყობილ სოფელ წესის სტამბაში სულ

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 87.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ორი წიგნი ჩანს დაბეჭდილი: „სავედრებელი ღვთის მშობლისა“ და „გამოკრებული სადღესასწაულო“. 1810 წელს სოლომონ 11-ის ახალციხეში გახიზვნის, ხოლო იქიდან ოსმალეთში გადახვეწისა და იმერეთში შექმნილი არეულობის შედეგად წესში წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმე შეწყვეტილა.

იმავე 1810 წელს, იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქუთაისის სტამბაც დახურულა. სახლთუხუცეს ზ. წერეთელს განუზრახავს მისი აღდგენა და ამ მიზნით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაუდგამს. 1814 წელს მას თხოვნით მიუმართავს რუსეთის მმართველობისათვის სტამბის ხელახლა გახსნის თაობაზე. თხოვნაში ნათქვამი ყოფილა: „მქონდა უკახასკნელის მეფისაგან წერილით მოცემული სტამბა და სტამბის ადგილი ქუთაისში და სახლი აიღეს და საპურე დადგეს“ [1]. ეტყობა, უფრო ადრე ამ საკითხზე მას გენერალ-მაიორ ალ. ტორმასოვთან უჩივლია, რომლისგანაც 1811 წლის 3 მაისს შემდეგი პასუხი მიუღია: „დასასრულ, მმართებს მე გითხრად თქვენ თქვენის სასტამბო სახლებისათვის, რომ ღენერალ-მაიორი სიმონოვიჩი მომახსენებს მე რომ არქიმანდრიტ ზაქარიას გაუყიდია ერთი სახლი და... იარაღნი, გაქცეულა მეფესთან და მეორე სახლი დრომდის (პყრობილ არს პრავიანცისათვის), რომლისაც დაცლა და დაუყოვნებლივ უკან მოცემა თქვენის ბრწყინვალებისათვის მე ვბრძანე. და რომელიც გაუყიდნია არქიმანდრიტს, უკეთუ არა აქვს სამართალი გაყიდვისა, ჩამოართვან ის მსყიდველსა და თქვენ უკუმოქცენ“ [2].

სიმონოვიჩის ცნობა გელათის მონასტრის არქიმანდრიტ ზაქარიას მიერ სტამბის „ერთი სახლისა და იარაღის“ გაყიდვაზე, სწორი არ უნდა იყოს. არც ის უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, რომ თითქოს დავით გარეჯის ბერყოფილი, იგივე ზაქარია არქიმანდრიტი იმერეთში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო ახალციხეში გაქცეულ სოლომონ II-ს თან გაჰყოლოდეს ანდა შემდეგ მოენახულებინოს იგი. ფაქტიურად, სამეფოს გაუქმებისა და საქართველოში ერთიანი რუსული მმართველობის დამკვიდრებისთანავე ზაქარია გე-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd, № 1578.

[2] იქვე, Sd, № 1610.

ლათის მონასტერში გამოყოფილ თავის ბნელ სენაკს არ მოსცილებია, იქ გადაუტანია სამეფო პალატიდან სტამბის ყოველგვარი მოწყობილობა და ზრუნვა-პატრონობას არ აკლებდა მათ.

ეტყობა, ზ. წერეთლის თხოვნას რუსეთის ადგილობრივი მმართველი წრეები დადებითად არ მოჰკიდებიან. ამიტომ სახლთუხუცესს ქუთაისში სტამბის გახსნაზე ხელი აუღია და საჩხერეში, წერეთლების საგვარეულო მამულში, მოდინახეს ციხესთან საკუთარი „წიგნთ საბეჭდავი“ მოუწყვია.

საჩხერის ანუ საწერეთლოს სტამბა ძირითადად ქუთაისის სტამბის ბაზაზე დაარსებულა. ზაქარია არქიმანდრიტის მიერ გელათის მონასტერში გადანახული სოლომონ II-ისეული შრიფტი, დაზგა და სხვა მოწყობილობა ახლა საწერეთლოში გადაუტანიათ, ხოლო იარაღები, ტყვია და ქაღალდი მოსკოვიდან ჩამოუტანიათ. ამ ახალი სტამბის მომწყობ-გამმართველი იგივე ზაქარია ყოფილა. „სტამბის სიყვარული გჭონდათ, — წერს ზაქარია ზ. წერეთელს, — და ორას სამოცი თუმნის სტამბის იარაღები, ტყვია და ქაღალდი მოსკოვიდან მოიტანეთ და იყიდეთ და თქვენ ინებეთ საჩხერეს სტამბის გამართვა და მე მიბრძანეთ: მე თქვენის ერთგულებისა და სიყვარულისათვის ღ-თის შეწევნით გავმართე“[1].

საწერეთლოს სტამბა ზაქარია არქიმანდრიტს ჰქონია იჯარით აღებული და ის განაგებდა. ზ. წერეთლისა და მისი ვაჟის გრიგოლისადმი მიცემულ გარიგების ხელწერილში ზაქარია ამბობს: „პირობა მომირთმევია უტყუილი: თუ თქვენი სტამბა მე არ დამეშალოს თქვენგან საჩხერეს, მე არავისი ბრძანებით არას ადგილს სტამბა არ ვამუშაო, თუ ძალი ვისგანმე არ დამადგა; თუ ჩემს სახლში რამ მცირე-მცირე დავბეჭდო შენი სტამბის წინააღმდგომი და დამაყენებელი არც ის ვქნა. კიდევ ეს პირობა მომირთმევია: ჩემის შეძლებისამებრ შენი სტამბა უმუშაოდ არ მოვაცდინო; ხარჯი თქვენი იქნება და ოსტატობა ჩემი. და ჩემს სიცოცხლეში თქვენს სიყვარულსა და ერთგულებას ვეცდები და რომელიც წიგნი თქვენის ხარჯით დავბეჭდოთ, ხარჯს უნდა გამოვიდე და რაც დარჩება — ორი წილი თქვენია და ერთი წილი ჩემი იქნება. და რომელსაც წიგნს თქვენს უხარჯოთ დავბეჭ-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd, № 1547.

დავთ, ის კი საკუთრად ჩემი იქნება. და რადგან თქვენს სტამბაში დავბეჭდავდით რასმე მისის მიზეზით სარგებელიც მოგერთმევათ“ [1].

მოგვიანებით საწერეთლოს სტამბაში მუშაობას იწყებს დავით ზუბაშვილიც. თავისი დროისათვის ცნობილი ამ ორი მესტამბე-გამომცემლის შემწეობით საჩხერეში იბეჭდება: „სამოციქულო“, დიდი და მცირე ფორმატის „სახარება“ და სხვა.

ზ. წერეთლის სტამბას სულ რამდენიმე წელიწადს უარსებია. აქამდე ვიცოდით, რომ უკანასკნელი წიგნი მასში 1817 წელს დაიბეჭდა. ეს მოსაზრება დღეს უკვე უარყოფილი უნდა იქნეს. სხვიტორში, ა. წერეთლის სახლ-მუზეუმში, დაცულია „ოდიკი“, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სტამბას 1822 წლამდე უარსებია. „ოდიკის“ წარწერაში ნათქვამია: „დაიბეჭდა წმიდა ესე ოდიკი საჩხერეს ნებითა და კურთხევით ყოვლად უსამღვდელოესის საიმერეთოს არქიეპისკოპოზის და კავალერის სოფრომის მიერ წელსა ჩყკბ, იანვრის ძ.“ [2]. „ჩყკბ“ 1822 წელს აღნიშნავს.

საჩხერის სტამბის დახურვის მიზეზი დღემდე უცნობი იყო; ძაგრამ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ხელნაწერთა ინსტიტუტში შემონახულმა ანა დედოფლისა და ზაქარია არქიმანდრიტის წერილებმა ამ საიდუმლოებით მოცულ საკითხს ფარდა ახადა. როგორც მიმოწერიდან ირკვევა, ზაქარია და დიდი ქართველი პოეტის ბესიკის ძმა — ცნობილი მწიგნობარ-კალიგრაფი ოსე გაბაშვილი 1818 წლის 10 დეკემბერს დაუპატიმრებიათ და თბილისში გამოუგზავნიათ. აქ ისინი 1820 წლის 9 სექტემბერს გაუსამართლებიათ და მეორე დღესვე ბელგოროდში გადაუსახლებიათ. ამის შესახებ ზაქარია არქიმანდრიტი ანა დედოფალს ატყობინებდა: „ქუთაისს დამიბარეს. პატარა სახარებას ვბეჭდავდი წყეულს საჩხერეს. და რომ ჩავე ქუთაისს მაშინვე დამიჭირეს და ტფილისს გამომგზავნეს... მეორე დღეს სამართალში მიმცეს... სამი წელიწადი პყრობილად გახლდი. რადგან სამღვდელონი ვიყავით, ექსარხოსის სამართალში მიგვცეს და იმას უნდა განვესამართლებინეთ... და მან ექსორია გვიყო“ [3].

ზაქარიასა და ოსეს ბელგოროდს გადასახლების დროს პეტერ-

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd, № 1547.

[2] ჟურნალი „დროშა“, 1956, წ., № 10.

[3] ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, K, № 16.

ბურგში ცხოვრობდა კახეთის მოურავის იოსებ ორბელიანის ასული ანა — თანამეცხედრე იმერეთის მეფის დავით გიორგის ძისა და ტრფიალი ბესიკ გაბაშვილისა. სოლომონ II-სა და დავით გიორგის ძეს შორის ტახტისათვის ჩამოვარდნილმა სისხლიანმა ტერორმა შეიწირა ეს უკანასკნელი. სოლომონმა მოსალოდნელი შურისძიების თავიდან აცილების მიზნით დავითის ერთადერთი ვაჟი კოხსტანტინე დააპატიმრა და მუხურის ციხეში გამოამწყვდია. ანამ საიმერეთოდან გაცლა ამჯობინა და პეტერბურგს შეაფარა თავი. საიმპერატორო კარის დახმარებით მან კონსტანტინე ტყვეობიდან გამოიხსნა და პეტერბურგში დასახლდა სამუდამოდ.

დედა-შვილის ცხოვრება ამის შემდეგ მშვიდად წარიმართა. ანამ პეტერბურგში მყოფ ქართველ ემიგრანტებთან ახლო ურთიერთობა დაამყარა და მათ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაება. ბედმა კონსტანტინესაც გაუღიმა. იგი რუსეთის არმიის გენერალმაიორი გახდა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა უმაღლეს სამხედრო წრეებში.

ბელგოროდში გადასახლებული ზაქარია არქიმანდრიტი და ოსე გაბაშვილი სწორედ ანას შემწეობით შეეცადნენ პატიმრობიდან თავის გამოხსნას, მაგრამ დედოფლის თავგამოდებამ მათ ვერაფერი უშველა.

რა იყო ზაქარიასა და ოსე გაბაშვილის დაპატიმრების მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხს ისევ ლენინგრადში დაცული ზემოაღნიშნული წერილები იძლევა. აქედან ვგებულობთ, რომ ოსეს სოლომონ II-ის ბრძანებით შეუდგენია სახლთუხუცეს ზურაბსა და მის ძმებს — ქაიხოსროსა და ბერს შორის საწერეთლო მამულების გაყოფის თაობაზე გარიგების ხელწერილი. ზოგიერთ საკითხში შეუთანხმებლობის გამო სახლთუხუცესის მითითებით ოსეს საბუთში უმცროსი ძმის ბერის სახელი არ შეუტანია. საქმის კურსში მეფეც ჩაუყენებიათ და ერთობლივი გადაწყვეტილებით საბოლოო გაფორმებისათვის დოკუმენტში თავისუფალი ადგილი დაუტოვებიათ. ამით უსარგებლია ზურაბის ძმისწულს — ბერის შვილს იოანეს, ფარულად შესულა სტამბაში და დავით ზუბაშვილის დახმარებით სოლომონის მიერ დამოწმებულ საბუთში თავისი სასარგებლო ტექსტი ჩაუბეჭდია. ეს სახლთუხუცესს შეუტყვია და საჩივარი აღუძრავს, რის შედეგადაც ყალბისმქნელ იოანე წერეთელთან და დ. ზუბაშვილთან ერთად უდანაშაულო ზაქა-

რია არქიმანდრიტი, როგორც ზედამხედველ-გამგებელი სტაბისა, და ოსე გაბაშვილიც დაუპატიმრებიათ.

აი რას წერს ყოველივე ამის შესახებ ოსე გაბაშვილი ანა დედოფალს: „სანატრელმა ბატონმა მეფე სოლომონმა მიბრძანა მე დამეწერნა წყალობის წიგნი სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლისათვის, ქაიხოსროსათვის და მათის ძმის ბერის წერეთლისათვის. მაშინ სახლთუხუცესმან თავის ძმის ბერის სახელი აღარ დამაწერინა და მისი სახელის ადგილი დასაწერად დამატევებინა... და ეს ბრძანა: მიზეზი ბატონს მეფესაც მოხსენებული აქვსო და ჩემს ძმას ბერს ცოტა რამ ერთმანეთში სიტყვა გვაქვსო და ახლა ბერის სახელს ნუ დასწერო... და მე დაუტევე ადგილი დასაწერი სახელის ბერის წერეთლისა. ეს ჩემი დაწერილი დავთარი მეფეს მივართვი. წაიკითხა და ბრძანა — ბერი წერეთელი რატომ არ დაწერეო. სახლთუხუცესმა და ქაიხოსრომ მოახსენეს ერთმანეთის ძმობაში დღეს ცოტა რამ ლაპარაკი გვაქს და მოვრიგდებითო. დასაწერად ადგილი დატოვებული არის თქვენც ხედავთო და ხვალ ისევ ოსეს დავაწერინებთ ბერის სახელსო. ამგვარის სიტყვის ხელოვნებით დავთარი დააბეჭდვინეს მეფეს... იოანე წერეთელი საჩხერეს მოვიდა, არეულობა შექმნოდათ თავის ოჯახში, შფოთი და ლაპარაკი ერთმანეთში. ამ საქმისათვის ატყდა გრიგოლ წერეთელი და რაც იმერეთში ნაჩალნიკი იყო ყველას წიგნები მისწერა სახლთუხუცესის მაგივრად და შეასმინა, რომ იოსებ და ზაქარია არქიმანდრიტმა მეფის ბეჭედი მოაპრევინა და მეფის წყალობის წიგნი დასწერეს, დაბეჭდეს და ბერს წერეთელს მისცესო... მთავრობას წიგნი მოეწერა ქუთაისის ნაჩალნიკისათვის ახლავე ზაქარია არქიმანდრიტი და ოსე პროფოიერი გაბაევი აქ ქალაქს გამოგზავნეთო, ის ეშმაკის მუშა მესტამბეგიშვილი, აბ საქმის შფოთის მიზეზი და შემასმენელი დაპერილი მოიყვანეთ და იოახე ნაობახტში შეაგდეთო“ [1].

ოსეს ამ წერილიდან გამოკვეთილად არ ჩანს სახლთუხუცეს ზ. წერეთლის ძმისწულის იოანესა და მესტამბე დ. ზუბაშვილის დანაშაული. სამაგიეროდ, მთელი სიცხადით არის მხილებული მათი ყალბისმქნელობა ზაქარია არქიმანდრიტის მიერ იმავე ანასადმი გაგზავნილ წერილებში. ერთ-ერთ მათგანში იგი დედოფალს აუწყებდა: „საჩხე-

---

[1] ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, K, № 16.

რეს, ბერის წერეთლისას, სადილად წამიყვანეს. მესტამბე მოეყვანათ და მითხრეს: ამ მესტამბეს ბეჭედს ვაჭრევინებთო, ეგების ჩვენი მამული არ დაგვეკარგოსო. მე მაშინვე დაუშალე და უარი უთხარი... ცოტა ხანს შემდეგ ცარიელს, უწერელს პატარა ქაღალდზე დაბეჭდილი მომიტანეს და მაჩვენეს ბერის შვილმა იოვანემ და იმ მესტამბემ... ერთი ორი კვირა რომ გავიდა, ამ მესტამბემ ლაპარაკი დაიწყო: ზაქარია არხიმანდრიტმა მიცვალებულის მეფის სოლომონის ბეჭედი მომაჭრევინა. არც ბერი, არც ბერის სახელი, არც მათი შვილი იოახე წერეთლები არ დაასახელა, არც ახსენა. ქვეყანაში ლაპარაკი დაიწყო, სახლთუხუცესსაც და ყველა კაცს უთხრა, ბეჭედი ზაქარია არხიმანდრიტმა მომაჭრევინაო. მე არაფერი ყური მიგდია სიცრუის ლაპარაკზედ"[1].

მეფის რუსეთის სასამართლო-საკანონმდებლო ორგანოებში მოკალათებული მეჭრთამე ჩინოვნიკების მოსყიდვის შედეგად ყალბისმქნელი იოანე წერეთელი მესტამბე დავით ზუბაშვილთან ერთად გამოძიების პროცესშივე გაუნთავისუფლებიათ, სრულიად უდახაჯაულო ზაქარია და ოსე კი დაუპატიმრებიათ. „სამი წელიწადი პყრობილად გახლდით. რაღა მოგახსენოთ, ერთს წელიწადს მაინც გარეთ არ გამოვსულვართ. აღდგომის დღეს, იმ დიდს დღესასწაულზედ, ლიტანია სახლში შემოვიარეთ, ხატები დავასვენეთ სკამზედ და ისე მე და ოსემ მოუარეთ. წირვა არ მოგვასმენინეს და რომელნიცა მოჭმედნი იყვნენ ამ შფოთის, ისინი კი თავისუფლად დადიოდნენ საცა უნდოდათ". — სწერდა ანა დედოფალს ზაქარია არქიმანდრიტი[2].

ბელგოროდში გადასახლებულ ქართველ ღვთისმსახურთ პატიმრობის წლები მძიმე სულიერ ტანჯვა-წამებაში გაუტარებიათ. მათი ერთადერთი შემწე და მანუგეშებელი ანა ყოფილა. მისი შემწეობით მოუკიდიათ ხელი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ანას თხოვნით ზაქარია არქიმანდრიტს გადაუწერია ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორია, ოსეს კი — ბესიკის ლექსები და სხვა წიგნები. როგორც ეტყობა, ზაქარია და ოსე თვითოხ სთავაზობდნენ ანას შეერჩია მათთვის გადასაწერი წიგნები. 1824 წლის 26 ივნისს ოსე ანას ატყობინებდა: „თუ რამე წიგნი გაკლდეს ანუ საღ-

---

[1] ლენინგრადის აღმოსაელეთმცოდნეობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, K, № 16.

[2] იქვე.

მრთო ანუ საერო, მიბოძეთ მისის დედნითა და კარგის ქაღალდითა, გნებავს სუფთად გადაგიწერთ და თუ გნებავს ნუსხურად და თუ გნებავს თავხელათ მხედრულად. მოცლითაც გახლავართ და თავსაც კარგად შევიქცევ ჩემო ხელმწიფეო“ [1].

ანა დიდად ყოფილა დაინტერესებული ბესიკის ლექსებით. ეს გასაგებიცაა. ამიტომ მას ოსესათვის უთხოვია უპირველეს ყოვლისა პოეტის კრებულის შედგენა. აი რა უპასუხია ამაზე მას დედოფლისათვის: „ლექსები რომ გებრძანათ ბესარიონის, აქ არ მომყოლია და თუ რამ ზეპირ ვიცი, გავიხსენებ, დავსწერ და მოგართმევთ“. ოსეს ეს დაპირება შეუსრულებია. „რომელიც თქვენ წიგნები, ან წ-ის გიორგის სასწაულები, ანუ სხვათა ლექსები ძმისა ბესარიონისა გეთხოვათ, — აცნობებდა იგი ანას, — ყოველივე ერთად წარმოვგზავნე თქვენისა უმაღლესობის წინაშე“[2].

სამშობლოს მოშორებით გამოწვეულმა დარდმა, მეფის რუსეთის უსამართლო კანონმდებლობამ, ბელგოროდის შეუჩვეველმა ჰავამ, საერთოდ პატიმრის მძიმე ცხოვრებამ ზაქარიასა და ოსეს ჯანმრთელობა შეარყია. ანასადმი გაგზავნილ წერილებში ისინი უჩივიან ავადმყოფობას, სიკვდილის მოახლოების შიშს. მათი წინათგრძნობა ახდა კიდეც. 1824 წელს ზაქარია გარდაიცვალა. ამის შემდეგ ოსეს ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა. იგი ანას სწერდა: „ჩემი სულიერი მამა და მოძღვარი (ზაქარია) ჩემის სენაკის პირას არის დამარხული და ვითარცა ცოცხალს ესრეთ ვეზრახები და ეს ნუგეშინის მცემს“ [3].

ანა დედოფლისა და ოსე გაბაშვილის წერილობითი კავშირი 1826 წელს წყდება. თუ რა ბედი ეწია ამ უკანასკნელს, მათში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

საწერეთლოს სტამბის დახურვის ძირითადი მიზეზი ზაქარია არქიმანდრიტის დაპატიმრებაში უნდა ვეძიოთ.

---

[1] ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, K, № 16

[2] იქვე.

[3] იქვე.

II

ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები

ძველი ქართული ანუ ფეოდალური პერიოდის ნაბეჭდი წიგნების აბსოლუტურ უმეტესობას საეკლესიო ბიბლიურ-სქოლასტიკური ლიტერატურა წარმოადგენს. ამ გარემოებას თავისი ობიექტური მიზეზი გააჩნია. ჯერ ერთი, მონარქიულ-ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც შესაბამისი პერიოდის ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეკლესია ედგა სათავეში; მეორეც, წიგნების მკითხველ-მომხმარებელთა ძირითად მასას სასულიერო წოდება—მღვდელ-მონაზვნები და საერთოდ ეკლესიის მსახურნი შეადგენდნენ. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ბიბლიურ-ლიტურგიული წიგნები უფრო მეტი დაიბეჭდებოდა, ვიდრე საერო.

სტამბურად გამოცემამდე წიგნი ძველადაც რთულსა და შრომატევად სარედაქციო პროცესს გადიოდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით:

ცნობილია, რომ ნაბეჭდი წიგნის წყაროს ძირითადად ხელნაწერი ლიტერატურა წარმოადგენდა. მართალია, ასეთი სახის წიგნებმა უაღრესად დადებითი როლი შეასრულეს ამა თუ იმ ერის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დადებითთან ერთად მათ სერიოზული ნაკლოვანებებიც გააჩნდათ, რაც გამოწვეული იყო ამ წიგნების დამზადების წესით.

კალიგრაფ-მწიგნობარნი ხშირად უშვებდნენ უნებლიე შეცდომებს ხელნაწერების გადაწერის დროს—ტოვებდნენ სიტყვებს, წინადადებებს, არღვევდნენ მართლწერის ნორმებს და სხვა. ადგილი ჰქონდა თვითნებობის ფაქტებსაც. ზოგიერთ მათგანს პირადი მოსაზრებისა და შეხედულებისამებრ მოურიდებლად შეჰქონდა გადასაწერ ტექ-

სტში დედნის საწინააღმდეგო სწორება. ყოველივე ამის გაძო კალიგრაფ-გადამწერთაგან წარყვნილი ხელნაწერი წიგნები სავსე იყო უზუსტობებითა და უხეში შეცდომებით. ამიტომ მესტამბე-გამომცემელთა მთავარ საზრუნავს უპირველეს ყოვლისა დასაბეჭდი წიგნების დედნების წესრიგში მოყვანა — მათი ბერძნულ-სლავურ წყაროებთან შეჯერება-შედარება და შემდეგ „ქართულსა ენასა ზედა გამართვა“ ანუ ლიტერატურულ-რედაქტორული დამუშავება წარმოადგენდა.

დასაბეჭდად შერჩეული წიგნების ტექსტის ბერძნულ-სლავურთან შედარებას წინ უსწრებდა ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი საძუშაოების ჩატარება. უწინარეს ყოვლისა უნდა შეეკრიბათ ეკლესია-მოხასტრებში დაცული მათთვის საჭირო წიგნის ნუსხები, ეს კი არცთუ იოლ საქმეს წარმოადგენდა, რადგანაც ზოგიერთი მათგანის ჩაძოტანა უცხოეთში მოქმედი ქართული ეკლესია-მონასტრებიდან უხდებოდათ. ეს გარემოება არა მარტო აძნელებს, არამედ შეუძლებელსაც კი ხდის დადგინდეს, თუ რომელი ნუსხა დაედო საფუძვლად ზოგიერთი წიგნის გამოცემას.

ამის შემდეგ, დიდი წვალებით მოპოვებული ხელნაწერები ერთმანეთისთვის უნდა შეედარებინათ, დაეზუსტებინათ წარყვნილი ადგილები, გაესწორებინათ ცალკეული სიტყვები, აბზაცები, შეევსოთ ნებსით თუ უნებლიეთ გამოტოვებული თავები და ამგვარად მეტნაკლები სიზუსტით დადგენილი ტექსტი საბოლოოდ ბერძნულისათვის შეედარებინათ.

ასევე დიდი პასუხისმგებლობითა და გულისყურით უდგებოდხენ მესტამბე-გამომცემლები წიგნების მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ვახტანგ VI-ის სტამბაში 1709 წელს გამოცემული პირველივე წიგნი, რომლის სრული სახელწოდებაა „საღმრთო და სამღვდელო წმიდა სახარება“.

ხელნაწერი ნუსხებისაგან განსხვავებით, ყველა ქართული ნაბეჭდი წიგნის მსგავსად, 1709 წლის „სახარებასაც“ აქვს თავფურცელი ანუ ტიტული. იგი მთლიანად ჩასმულია ორმაგ ორნამენტულ ჩარჩოში, რომლის ზედა ნაწილში შეინიშნება 2×5 კვადრატზე ჩადგმული წვრილგრეხილ არშიაშემოვლებული, ფოთლოვან-ყვავილოვახი თავსართი წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის მედალიონისებური ხატებით.

თავსართიდან რვა-ათი პუნქტის დაშორებით დაბეჭდილია წიგნის სათაური: „საღმრთო და სამღვდელო წმიდა სახარება“. მსხვილი,

თვალში მოსახვედრი შავი, მკაფიოდ გამოკვეთილი, მაგრამ ერთმანეთში შერწყმულ-გადაჯდობილი ქარაგმული ასოები აძნელებს ტექსტის ამოკითხვას. იგი ვინმე კვალიფიცირებული ქართველი ხელოვან-გრაფიკოსის მიერ სპეციალურად ამ წიგნისათვის დამზადებული გრავირებული სათაურია და არა იმ დროისათვის ხმარებული რომელიმე შრიფტით ანაწყობი.

სათაურის შემდეგ უკვე იწყება თავფურცლის მთლიან ჩარჩოში მოთავსებული წიგნის საგამომცემლო მონაცემების ტექსტი.

მკვლევარ ქრ. შარაშიძის სამართლიანი შენიშვნით, „ვახტანგის სტამბის წიგნის თავფურცლის ტექსტის კომპოზიცია ძალიან წააგავს ჩვენი თანამედროვე წიგნის თავფურცლისას. აქ ყველაფერი აღნიშნულია სადად, მკაფიოდ და ისეთი თანამიმდევრობით, რომ მკითხველი თვალის გადავლებისთანავე აღიქვამს — რა წიგნია ეს, რომელი გამოცემაა, რომელი ხელისუფლების დროს დაბეჭდილა, ვისი ხარჯით, ვისი რედაქტორობით, რომელი სტამბის მიერ, სად და როდის"[1].

თავფურცლის შემდეგ ცალ-ცალკე გვერდებზე დაბეჭდილია ვახტანგ VI-ის, მ. იშტვანოვიჩისა და წიგნის რედაქტორის ნ. ორბელიანის ანდერძები. ამჯერადაც თვალნათლივ შეინიშნება ვახტანგის სტამბისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გრაფიკული გაფორმების მაღალი გემოვნება და კულტურა. თავსართად გამოყენებულია ექვსპუნქტიანი ორნამენტულ-ჰორიზონტალური ხაზი, ხოლო ბოლოსართად — წამახვილებული ქიმით ქვემოთ მიმართული მოზრდილი სამკუთხა შავხვეული ორნამენტი, რომლის აქეთ-იქითაც, ზედა და ქვედა კუთხეებში, ჩაბეჭდილია შედარებით მომცრო კუბიკურ-ხატოვანი ჯვრის გამოსახულებანი. თავად ანდერძების ბოლო სტრიქონები თანდათან შემცირებულია და მთლიანად ტექსტს ნავისებური ფორმა აქვს მიღებული, რაც კიდევ უფრო მეტად ესთეტიკურს ხდის წიგნის გაფორმებას.

მხატვრულ ასპექტშია გადაწყვეტილი ანდერძების დასაწყისიც. ყოველი მათგანის ტექსტის პირველი ოთხი სტრიქონი შეწევითაა აწყობილი, და თავისუფალ ადგილას ჩადგმულია შავ ფონზე თეთრი ფოთლებით შემკული პირველი სტრიქონის პირველი ასო, რომელიც სიდიდით აშკარად განსხვავდება ტექსტისეული შრიფტისაგან.

1709 წელს დაბეჭდილი „სახარება" შინაარსითაც და მხატვრულ-

[1] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 115.

ტექნიკური გაფორმებითაც ტიპიური საეკლესიო წიგნია. ამასვე ადასტურებს მისი ძირითადი ტექსტის შრიფტიც. იგი აწყობილია ორ სვეტად ნუსხურით. ფართო არეები, სვეტებისა და სტრიქონების დაშორებით, ანუ ე. წ. „დერეფნების“ დატოვებით შექმნილი საერთო თეთრი ფონი და მყისე შავი საღებავით სუფთად ნაბეჭდი, მკაფიო გამოსახულების სწორხაზოვანი შრიფტი სასიამოვნო საკითხავსა ხდის ტექსტს.

შინაარსობრივი არქიტექტონიკის მხრივ წიგნი წმინდა მოციქულების: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებების, ე. ი. ოთხი თავის, მუხლებისა და საძიებლის ანუ სარჩევისაგან შედგება. ყოველ თავს თანამიმდევრულად წინ უძღვის ცალკე, მთლიან ფურცელზე დაბეჭდილი სახარების შესაბამისი მოციქულის გრავიურა. ამასთანავე თითოეული თავის ტექსტის დასაწყისი შემკულია წმინდა ნინოს, ღუთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატებიანი, თავფურცლისეული ფოთლოვან-ყვავილოვანი თავსართით და ზემოხსენებული ანდერძების მსგავსად ტექსტში შეჭრილი პირველი ასოს მხატვრული გაფორმებით. თავებს გარდა, ამგვარადვეა გაფორმებული თითოეული მუხლის ტექსტის თავი ასოებიც. აღსანიშნავია, რომ მხატვრულობის თვალსაზრისით მათი უმეტესობა ერთმანეთის გამეორებას არ წარმოადგენს. შავ ფონს თეთრი ცვლის, ფოთლოვან ორნამენტს — ფრინველ-ცხოველების, ყვავილებისა და სხვა გამოსახულება. წიგნს ბოლოს დართული აქვს ნ. ორბელიანის მიერ შედგენილი საძიებლები. მოცემულია აგრეთვე მათი სარგებლობის წესი[1].

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: 1709 წლიდან 1722 წლამდე თბილისის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში ვხვდებით ვახტანგ VI-ის ორ სხვადასხვა პორტრეტს. პირველი ჩასმულია სწორხაზოვან ოთხკუთხედ ჩარჩოში, რომლის ზედა კუთხეში გამოსახულია ჯვარი და მარჯვნიდან მარცხნივ ჩაბეჭდილია შემდეგი წარწერა: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი: ნაყოფთაგან მუცლისა შენისა და დაესვა საყდართა შენთა“.

კომპოზიციურად პორტრეტი შემდეგნაირად ხასიათდება: ვახტანგი ზის მოჩუქურთმებულზურგიან სკამზე ჩვენგან ნახევრად პროფილში. თავზე ახურავს ბეწვშემოვლებული ქუდი, რომელზედაც შუბლის მხარეს მიმაგრებულია ფრინველის ფრთა, ხოლო ხელში უჭი-

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 9.

რავს ჯვარგამოსახული კვერთხი წინა პლანზე, მეფის ფეხებთან, დგას ყვავილებიანი ვაზა, ვახტანგის ზურგს უკან კი მოჩანს მსახური ქარქაშიანი ხმლით ხელში. პორტრეტი მთლიანად ჩასმულია დაძატებით ოთხკუთხედსავე ორნამენტიან ჩარჩოში. მეორე პორტრეტი არსებითად განსხვავდება პირველისაგან. მეფე უქუდოთაა გამოსახული და პირდაპირ გვიყურებს. აქ არ ჩანს არც ყვავილებიანი ვაზა და არც მსახური ხმლით ხელში.

„სახარების“ ბოლოს ცალკე ფურცელზე ვახტანგ VI-ის პირველი პორტრეტია დაბეჭდილი. ასეა 1709 — 1722 წლების ყველა გაძოცემაში. ეს მაუწყებელია იმ დიდი დამსახურებისა, რომელიც ვახტახგს სტამბის დაარსების საქმეში მიუძღვოდა, და არა როგორც „შესხმაი“ მეფისა. ამიტომაცაა, რომ აღნიშნულ პერიოდში დაბეჭდილ წიგნებში სხვა ვერც ერთი მეფის — ვერც გიორგი XI-ის, ვერც ქაიხოსროსა და ვერც იესეს პორტრეტებს ვერ ვხვდებით [1]. ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს იმითაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, რომ მათში გამოქვეყნებული ვახტანგის პორტრეტის შემწეობით შემოგვენახა ნაძდვილი სახე სახელოვანი მეფე-პოეტისა.

ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემული შემდეგი წიგნია „სამოციქულო“. მისი ფორმატი იგივეა, როგორიც „სახარებისა“. არც ამ ორი წიგნის თავფურცლების მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებასა და კომპოზიციაში შეიმჩნევა დიდი სხვაობა. საგამომცემლო მონაცემები აქაც „სახარებისეულ“ ორმაგ ორნამენტულ ჩარჩოშია მოთავსებული, ხოლო თავსართად ფოთლოვან-მკენარეულ არეში ჩასმული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატებიანი ცნობილი კაზმულობაა გამოყენებული. ამ და სხვა ბევრ საერთოსთან ერთად „სამოციქულოში“ არსებითი სიახლეებსაც ვხვდებით, რაც მას მხატვრულ-პოლიგრაფიული თვალსაზრისით წინა გამოცემაზე მაღლა აყენებს.

ერთ-ერთ ასეთ სიახლეს „სამოციქულოს“ თავფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილი ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი წარმოადგენს. ამ საკითხს პირველად ყურადღება ქრ. შარაშიძემ მიაქცია. მან ჯერ კიდევ 1941 წელს „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში“ გამოთქვა მოსაზრება ამ გერბის სამი ვარიანტის არსებობის

---

[1] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 122, 123.

შესახებ. პირველ ვარიანტად იგი 1709 წელს გამოცემულ „სამოციქულოში“ დაბეჭდილს თვლის, მეორედ — 1712 წლის „ვეფხისტყაოსანში“ მოთავსებულს, ხოლო მესამედ — 1722 წლის „ჟამნ'ში“ გამოყენებულს [1].

„სამოციქულოს“ თავფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილი ბაგრატიონთა გერბი, რომელიც პირველი ვარიანტის სახელითაა ცნობილი, რთული კომპოზიციით ხასიათდება. იგი ჩასმულია ფოთლოვანი ორნამენტის ოთხკუთხედ ჩარჩოში. ჩარჩოს შიგნით მოთავსებულია აეურულ-მოოქვილი ოვალური წრეხაზი, რომელიც ზედა ნაწილის ცენტრში შეკრულია ჯვრითა და სამეფო გვირგვინით. წრეხაზის მიღმა, სამეფო გვირგვინის მარცხნივ, მოჩანს შემართული ხმალი, ხოლო მარჯვნივ — სამეფო სკიპტრა.

ოვალური წრეხაზის შიგნით, შუა ადგილას, გამოსახულია ქრისტეს კვართი წარწერით: „ქ. კ.“ ერთ მხარეს მოჩანს დავით წინასწარმეტყველის შურდული წარწერით: „დ. შ.“, მეორეზე კი — დავითისავე ქნარი წარწერით: „დ. ქ.“ ეს წრეხაზი მთელი თავისი სიმძიმით ზურგზე ადგას ლომს და საგანგებო სახელურებით უჭირავს ფოთლოვანი ჩარჩოს კუთხეებში მუხლებზე დაჩოქილ ოთხ ანგელოზს.

აკად. აკ. შანიძე ბაგრატიონთა სამეფო გერბის წიგნებში მოთავსების იდეას რუმინეთში ანთიმოს ივერიელის გამოცემათა მხატვრული გაფორმების გავლენად თვლის [2]. ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძე არ იზიარებს ამ მოსაზრებას და ცდილობს მას თვითმყოფადი, ეროვნული საფუძველი მოუნახოს. იგი წერს: „ვახტანგის სტამბის წიგნებზე დართული ღერბები, სახელმწიფო ღერბებია და წიგნის გამოცემლობის საქმეს — ინიციატივას ვახტანგის სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროთ წარმოადგენს. საგამომცემლო მუშაობის ასეთი გაგება ქართულ წიგნს ანსხვავებს სხვა ხალხთა წიგნებისაგან“ [3].

მკვლევარის ამ მოსაზრებაში ერთგვარი კორექტივი უნდა შევიტანოთ. ძველ ნაბეჭდ წიგნებში გამოქვეყნებული გერბი სინამდვილეში ბაგრატიონების საგვარეულო კუთვნილებაა და არა სახელმწიფოებრივი ჰერალდიკური სიმბოლო. ამას მოწმობს უპირველეს ყოვლისა თვით გერბისავე სიმბოლიკაში ჩაქსოვილი ლეგენდა ბაგრატიონთა

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 20.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული სტამბის ისტორიისათვის. გვ. 157.

[3] შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება, 1952, გვ. 60.

დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად გამოცხადების შესახებ; აგრეთვე ზედმიწევნითი მსგავსება ვახტანგ VI-ის პირად დროშასა და ნაბეჭდი წიგნების გერბებს შორის. ს. ბარნაველის აღწერით, აღნიშნული დროშა მოხატული ყოფილა „ოქროს ვარაყითა და ფერადი წამლებით... ერთი მხრით დავით წინასწარმეტყველი და ბაგრატიონთა ღერბის ემბლემებია (ქნარი, შურდული, კომბალი, სასწორი, სკიპტრა, ხმალი, სფერო), ხოლო მეორე მხრით: კვართი და სვეტიცხოველი, აქეთ-იქით მირიან და წმ. ნინო: აგრეთვე მზე და მთვარე და ვარსკვლავები. ირგვლივ ორსავე მხარეს აქვს ვრცელი ასომთავრული ჩართული წარწერა... ხოლო ბოლოში ზის თარიღი: ჩღია, ე. ი. 1711 წელი“ [1].

ვახტანგ VI-ის დროშისა და ნაბეჭდ წიგნებში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის კომპონენტთა შორის ესოდენ მრავალმხრივ მსგავსებათა შედეგად, ს. ბარნაველი სრულიად სამართლიანად ასკვნის: „ეს მეფის პირადი დროშაა, რადგანაც მასზე ვხედავთ ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის ემბლემებს“ [2].

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი იგივე სახელმწიფო გერბი იყო, მაგრამ სწორი არ ვიქნებოდით. ვახუშტის აღწერით, სახელმწიფო გერბი ძირეულად განსხვავდებოდა ნაბეჭდ წიგნებში მოთავსებულისაგან. მასზე გამოსახული ყოფილა ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი [3].

ამრიგად, ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებში გერბის მოთავსებას თითქმის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თვით ვახტანგის პორტრეტისას. ამით გამოხატავდნენ ბაგრატიონების ღვაწლსა და დამსახურებას წიგნების გამოცემის საქმეში. ამასთანავე, იგი წარმოადგენდა ემბლემას, მარკას ანუ საფირმო ნიშანს სტამბისას.

დავუბრუნდეთ ისევ საქართველოში გერბის ბეჭდვის დაწყვიდრების წარმომავლობას. სავსებით მართალია აკად. აკ. შანიძე, როცა ქართულ წიგნებში ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის ბეჭდვას რუმინული გამოცემების გავლენით ხსნის. არ მოიპოვება ანთიმოს ივერიელის მიერ რუმინეთში დაბეჭდილი თითქმის არც ერთი წიგნი, რომელსაც გერბი არ ჰქონდეს მარკის სახით დართული. შეუძლებელია თავისი მასწავლებლის — ანთიმოს ივერიელის მიერ რუმინეთში

---

[1] ს. ბარნაველი, ქართული დროშები, 1953, გვ. 53.

[2] იქვე, გვ. 58.

[3] იქვე, გვ. 16.

დაკანონებული ეს ტრადიცია მ. იშტვანოვიჩს საქართველო'შიც არ დაენერგოს.

1709 წლის „სამოციქულოსა“ და საერთოდ ვახტანგ VI-ის წიგნებში, „სახარებისაგან“ განსხვავებით, ბაგრატიონთა გერბის გარდა ვხვდებით აგრეთვე ლექსებს, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან საგამომცემლო მონაცემებს, მესტამბეთა ბიოგრაფიებსა და სხვადასხვა სიმბოლური ნიშნების ამომხსნელ ცნობებს. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ცნობილი ბელორუსი მესტამბე-გამომცემელი ფ. გ. სკორინი ზოგიერთ თავის წიგნს წინასიტყვაობის მაგივრად ლექსებს ურთავდა[1]. ეს წესიც გერბების ბეჭდვის მსგავსად საქართველოში მ. იშტვანოვიჩის შემოტანილი უნდა იყოს. ამას მოწმობს 1710 წელს გამოცემული „კონდაკისათვის“ დართული ლექსი რუმინულ ენაზე.

„სამოციქულოს“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების ძირითად სიახლეს ორ ფერში — წითელსა და შავში ბეჭდვა წარმოადგენს. ამ მხრივ იგი პირველი წიგნია, რითაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ვახტანგ VI-ის დროინდელი, არამედ საერთოდ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

„სამოციქულოს“ მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოში წიგნების ფერებში გამოცემა ორჯერადი ბეჭდვით წარმოებდა: ჯერ იბეჭდებოდა წიგნის მთელი ტირაჟი ძირითად შავ ფერში, ხოლო შემდეგ—წითლით გამოსაყოფი ადგილები.

ბეჭდვის ხარისხი დაბალია. წითლით გამოყოფილი ტექსტუალური მასალა ზუსტად არაა თავის ადგილას მოხვედრილი: ზოგიერთი მათგანი ზევით ანდა გვერდზეა ჩაბეჭდილი, ზოგიც მომდევნო სტრიქონზეა შემჯდარი და ა. შ. არც თვით წითელი საღებავი ტოვებს სახარბიელო შთაბეჭდილებას. მას რუხი, შემრეშილი ფერი დაჰკრავს. ყოველივე ეს მესტამბე-გამომცემელთა გამოუცდელობაზე მიგვანიშნებს, რადგანაც „სამოციქულო“ ფერებში ნაბეჭდი პირველი ქართული წიგნია.

მთელ რიგ სხვა ღირსებებთან ერთად „სამოციქულო“ უხვადაა ილუსტრირებული. „სახარებაში“ მოთავსებული მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს გრავიურების მსგავსად, მასშიც ვხვდებით მთლიან ფურცლებზე ნაბეჭდ დანარჩენი მოციქულების: პავლეს, იაკობის,

[1] Е. Кацпржак, История книги, 1964, стр. 189.

პეტრესა და იოდას ესტამპებს. ისევე როგორც საეკლესიო ფრესკებსა და ხელნაწერ წიგნებში, აქაც მოციქულები თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში არიან გამოსახული. თითოეული მათგანი ზის მოჩუქურთმებულ სავარძელზე, ხელში უჭირავს გაშლილი წიგნი და საწერკალამი. პირველი სამი მოციქულის: პავლეს, იაკობისა და პეტრეს ესტამპები ჩასმულია მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს გრავიურებისათვის „სახარებაში“ გამოყენებულ სამფოთლოვან ორნამენტულ ჩარჩოში.

პავლეს გრავიურაზე სავარძლის მარჯვნივ დატანებულია პატარა ფანჯარა, რომელშიაც შეინიშნება ნუსხური ქარაგმული წარწერა. მას პირველად ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძემ მიაქცია ყურადღება და შემდეგნაირად ამოიკითხა: „ხელითა ჩემითა ცოდვილთა მთავარ დიაკონის მარკოზისათა ქორონიკონსა ჩღი (1708 წელი)“[1]. აქედან მკვლევარი ასკვნის, რომ პავლეს ესტამპის მხატვარ-გრავიორი ვინმე მთავარდიაკონი მარკოზი იყო[2].

ქრ. შარაშიძის შენიშვნით, შ. კვასხვაძეს წარწერის ამოკითხვისას დაშვებული აქვს შეცდომა[3]. „ქორონიკონსა ჩღი“ უდრის არა 1708 წელს, როგორც ამას შ. კვასხვაძე განმარტავს, არამედ 1710 წელს. აშკარა შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. რანაირად შეიძლება 1709 წელს დაბეჭდილ „სამოციქულოში“ 1710 წელს დამზადებული პავლე მოციქულის გრავიურა გამოეყენებინათ! ამრიგად, რადგანაც ესტამპზე გამოსახული წარწერა ნუსხურითაა შესრულებული, „ქორონიკონსა ჩღი“-ის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ჩღთ“ ანუ 1708 წელი.

მეოთხე მოციქულის—იოდას ესტამპი პავლეს, იაკობისა და პეტრეს ილუსტრაციებთან შედარებით რატომღაც ღარიბულადაა წარმოდგენილი. იგი მოთავსებულია სწორხაზოვან, ოთხკუთხედ, უბრალო პოლიგრაფიულ ჩარჩოში. შ. კვასხვაძე ამ ესტამპს შემდეგნაირად აღწერს: „იოდა მუთაქაზე ზის, რომელიც ოთხკუთხა მოგრძო ფორმის სკამზე დევს. იოდა დაყრდნობილია თავით მარჯვენა ხელის თითებზე. მისი ფეხის ქუსლები სავარძლის ფეხებზეა მიბჯენილი. გაშლილი წიგნი მარცხენა მუხლზე უდევს და მარცხენავე ხელით უჭირავს. მარჯვენათი კი წერს“[4].

---

[1] შ. კვასხვაძე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება, 1952, გვ. 71, 72.
[2] იქვე, გვ. 72.
[3] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 106.
[4] შ. კვასხვაძე. ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება, 1952, გვ. 82.

ამ ამონაწერში ორი აზრობრივი წინააღმდეგობა შეინიშნება. ჯერ ერთი, თუ „იოდა დაყრდნობილია თავით მარჯვენა ხელის თითებზე“, ცხადია, მას წერის საშუალება აღარ ექნებოდა. სინამდვილეში იოდას თავი კი არა აქვს დაყრდნობილი „მარჯვენა ხელის თითებზე“, არამედ კალმისტარი უჭირავს ხელში. მეორეც, ავტორი იქვე დასძენს, იოდა სკამზე ზის და ფეხის ჭუსლები სავარძლის ფეხებზე აქვს მიბჯენილიო. გამოდის, თითქოს ესტამპზე სკამიც იყოს გამოსახული და სავარძელიც. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. იოდა ზის მოჩუქურთმებულზურგიან სავარძელში და ჭუსლები მიბჯენილი აქვს ამავე სავარძლის ლომისტორებიან ფეხებზე და არა სკამისაზე.

„სამოციქულოს“ ბოლო ესტამპია „სული წმიდის მოსვლა“. გრავიურის ზედა ნაწილში გამოსახულია სავარძელზე მჯდარი ღვთის მშობელი, ქვევით მოჩანს ორნამენტიან ოვალურ ჩარჩოში მოთავსებული იესოს პორტრეტი. მარჯვნივ და მარცხნივ, მთელ სიგრძეზე, ჩამწკრივებული არიან სავარძელში მჯდომი მოციქულები, რომლებსაც ხელები ღვთისმშობლისა და მაცხოვრისაკენ აქვთ გაწვდილი.

მაღალ შეფასებას იმსახურებს აგრეთვე „სამოციქულოს“ ტექნიკური გაფორმება. გვერდები შეკრულია არაჩვეულებრივი სიზუსტით. თითოეულ მათგანში ჩატეულია 32 სტრიქონი, რომელთა შორის დატოვებული შუალედი ანუ ე. წ. „დერეფნები“ თანაბარზომიერია. წიგნი სამი მხრივ ჩამოჭრილია სწორხაზოვნად, აქვს ასოითი პაგინაცია. გვერდები მთლიანად ჩასმულია ოთხკუთხედ პოლიგრაფიულ ჩარჩოში. თავად ტექსტს, მთელი გვერდის სიგრძეზე, მიდგმული აქვს ორხაზიანი ღარის მაგვარი ჩარჩო, რომელშიც ქართული ასოებით აღნიშნულია მუხლების მაჩვენებლები.

„სამოციქულოს“, ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული წესის თანახმად, ბოლოში დართული აქვს ნ. ორბელიანის მიერ შედგენილი „საძიებლები“. ნიშანდობლივია, რომ ძირითადი ტექსტის მსგავსად ვერც აქ ეხვდებით აბზაცებს. ეს საერთო სენია ყველა ნაბეჭდი წიგნისა. აბზაცის მაგივრობას აქ თავი ასოები სწევენ, რომლებიც მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით გაცილებით დაბლა დგანან ტექსტისეულ თავ ასოებთან შედარებით. ისინი ყოველგვარი დეკორატიული სამკაულის გარეშე ტექსტის გარეთ არიან გატანილი და ჩვეულებრივი მსხვილი შრიფტით წითლად დაბეჭდილი.

„საძიებლები“ თავდება ტექსტის ქვემოთ, ფურცლის შუა ადგილას,

გამოსახული სამკუთხოვანი შავხვეულორნამენტიანი ბოლოსართით. იქვე მრგვალი მხედრული შრიფტით, წითელი საღებავით ჩაბეჭდილია: „განსრულდა“. ეს არის მნიშვნელოვანი შემთხვევა — მხედრული შრიფტის ბეჭდურად გამოყენების პირველი ცდა. მეორე გვერდზე ვხვდებით აგრეთვე ვახტანგ VI-ის პორტრეტს პირველი ვარიანტის სახით. წესით „სამოციქულო“ აქ უნდა მთავრდებოდეს, მაგრამ მოიპოვება ამ წიგნის ისეთი ცალებიც, რომელთაც დამატებული აქვთ სულხან-საბა ორბელიანის შედგენილი „საძიებელი მოწმობა“ [1]. აქაც შეინიშნება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი. სახელდობრ, მასში თავები და მუხლები აღნიშნულია არა ქართული ასოებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა „სახარებასა“ და თვით „სამოციქულოს“ „საძიებლებში“, არამედ არაბული ციფრებით. აქვეა დაბეჭდილი საბას მიერვე შედგენილი „არაბული ციფრებისა და მათი შესატყვისი ქართული ასოების ტაბულა“[2]. მხედრული შრიფტისა და არაბული ციფრების სტამბური წესით გამოყენება იმ დროისათვის ქართველი ხალხის კულტურული დაწინაურების მნიშვნელოვან გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

რუმინელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩისა და მისი ქართველი მოწაფეების ინტენსიურმა შრომამ თავისი შედეგი უმოკლეს ხანში გამოიღო. 1710 წლიდან გამოცემული წიგნები: „კონდაკი“, „ჟამნი“ და „ლოცვანი“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების დონით ბევრად მაღლა დგანან წინა პერიოდის წიგნებზე. „კონდაკს“, მაგალითად, განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო 1709 — 1710 წლების, არამედ საერთოდ ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემებს შორის. მასში უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს შრიფტების ნაირსახეობა, გვერდების დაკაბადონებისა და ბეჭდვის კულტურა.

ეს წიგნი საყურადღებოა ტექსტუალურადაც. „საერთოდ, კონდაკი შეიცავს „ჟამის წირვის“, ანუ მღვდელთმოქმედების იმ წესს, რომელსაც ქართულად მარტივად „წირვას“ (ლიტურგია) უწოდებენ.

ვახტანგის სტამბის კონდაკი ფილოთეოსის რედაქციის ლიტურგია არის. ეს რედაქცია საქართველოში მხოლოდ მე-17 საუკუნის გასულს შემოდის და თანდათანობით იკიდებს ფეხს.

---

[1] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 134.

[2] იქვე, გვ. 135.

აღსანიშნავია, რომ 1710 წლის ნაბეჭდი კონდაკი ბერძნულ წესებს ბრმად არ მისდევს. აქ რჟდ (194) გვერდზე ვკითხულობთ: „ლოცვანი ერის განტევებისა ყოველთა დღესასწაულთანი“. სათაურს იქვე, ფრჩხილებში, დართული აქვს შენიშვნა: „უწყოდეთ რომ ესე ლოცვანი არა აქვსთ ბერძენთა და რუსთა, არამედ საქართველოსა შინა თქმულ არს და ამისთვის არც ჩვენ დაუტევეთ“ [1].

ისევე როგორც ყველა მანამდე გამოცემულ წიგნს, „კონდაკსაც“ აქვს თავფურცელი. სპეციალური მრგლოვანი სასათაუროს გარდა მასში გამოყენებულია სხვადასხვა ზომის: მსხვილი, საშუალო და წვრილი ნუსხური შრიფტი.

„კონდაკის“ თავფურცელი და დანარჩენი გვერდები ჩასმულია წვრილხაზიან, ფაქიზ ორნამენტულ ჩარჩოში. წიგნი ილუსტრირებულია მოციქულებისა და მაცხოვრის ესტამპებით. ყოველი მათგანი ცალკე, მთლიან ფურცელზეა დაბეჭდილი და შემდეგ მოდის უკვე მათი შესაბამისი ტექსტი, რომლის დასასრულსაც ბოლოსართად გამოყენებულია ყვავილოვანი ვაზა. სათაურები და სტრიქონებში შეჭრილი დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოები წითელი საღებავითაა ნაბეჭდი. საერთოდ წითელი ფერი „კონდაკში“ უხვადაა გამოყენებული. ზოგჯერ არამცთუ ცალკეული სიტყვები, არამედ მთლიანი გვერდებიც კი წითლითაა ნაბეჭდი.

ტრადიციული წესის თანახმად, თავფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი. იგი თავისი კომპოზიციით ძირეულად განსხვავდება „სახარებასა“ და „სამოციქულოში“ მოთავსებული გერბებისაგან. ეს არის მეორე ვარიანტი ბაგრატიონთა გერბისა. იგი მთლიანად ჩასმულია წვრილხაზებიან ჰაეროვან ორნამენტულ ჩარჩოში. შუა ადგილას გამოსახულია პირველი ვარიანტისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მრავალწახნაგოვანი მოგრძო ჩარჩო, შემდეგი გარშემოწერილობით: „ეფუცა მეფე სიმონი ღმერთსა“. ამ მრავალწახნაგოვან ჩარჩოში გამოკვეთილია იესოს კვართი, რომელიც წილად ხვდა გოლგოთას მთაზე ქრისტეს წამებისას მცხეთელ ებრაელ ელიოზს. ჩარჩოიანი კვართი შედგმულია არა ლომის ზურგზე, როგორც ეს არის პირველ ვარიანტში, არამედ მთის წვერზე. ამასთანავე, პირველი ვარიანტის მიხედვით კუთხეებში მუხლებზე დაჩოქილი ანგელოზების ნაცვლად აქეთ-იქიდან ეს ჩარჩო უჭირავს ყალყზე შემდგარ ორ

[1] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1933, გვ. 137.

ლომს. მარჯვენა ლომის უკანა ტორებთან გამოსახულია მართლმსაჯულების სიმბოლო — სასწორი, ხოლო მარცხენასთან — გლობუსი.

ჩარჩოს ზედა კუთხეებში იქით-აქეთ გამოსახულია ყვავილოვან-ფოთლოვანი შტო. მათ შორის მოჩანს სამეფო გვირგვინი, ქვეშ—ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხმალი—სიმბოლო სამხედრო დიდებისა და სკიპტრა — სიმბოლო მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრებისა. ხმლის მხარეს გამოსახულია დავით წინასწარმეტყველის შურდული, ხოლო სკიპტრის მხარეს — დავითისავე ქნარი.

ბაგრატიონების საგვარეულო გერბის შემდეგ მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია „სამოციქულოში“ გამოყენებული „სულიწმინდის მოფენის“ ესტამპი — ზევით ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი, ქვევით თაღოვან ორნამენტულ ვიწრო ჩარჩოში გამოსახული, შემოსილი გვირგვინოსანი იესო. ღვთისმშობლისა და იესოსაგან ორივე მხრივ ჩამწკრივებული დგანან წინ ხელებგაწვდილი ექვს-ექვსი მოციქული.

„კონდაკის“ მე-20 გვერდზე მოთავსებულია ხელნაწერი წიგნებიდან საკმაოდ ცნობილი კომპოზიცია: „ქრისტე პანტოკრატორი“. ამ ესტამპზე იესო გამოსახულია მთელი სხეულით. მას მარცხენა ხელში „სახარება“ უჭირავს, ხოლო მარჯვენათი კურთხევას ავლენს.

„სულიწმინდის მოფენისა“ და „პანტოკრატორ ქრისტეს“ გარდა წიგნში ეხვდებით აგრეთვე კიდევ ერთ თემატურ კომპოზიციაზე აგებულ ესტამპს — „ჯვარცმას“. ყურადღებას იქცევს ამ ესტამპის ჩარჩოს ორიგინალობა. იგი შეკრულია თანაბარი ზომის, ერთმანეთზე მიდგმული ოთხკუთხედი ფანჯრებისაგან, რომლებშიაც გამოკვეთილია ფრთოსანი ანგელოზები, იესოს კვართი, ერთმანეთზე ჯვარედინად გადაჭდობილ-დაბორკილი ქრისტეს ხელის მტევნები, ბარძიმი, კიბე, მარწუხები და მაცხოვართან დაკავშირებული სხვადასხვა ნივთის გამოსახულებანი. ამგვარ ორიგინალურ ჩარჩოში მოთავსებულია გოლგოთაზე აღმართული ჯვარი, რომელზედაც გაკრულია ნაწამებ-გვემული ქრისტე. უკანა ფონზე მოჩანს იერუსალიმის მონასტრის კონტურები. ჯვარცმულ ქრისტეს აქეთ-იქიდან გვერდში უდგანან თავდახრილ-დამწუხრებული ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი.

წიგნის 72-ე, 114-ე და 158-ე გვერდებზე დაბეჭდილია იოანე ოქროპირის, ბასილ დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის (დილოღოსის) ილუსტრაციები. სულ ბოლო გვერდზე კი მოთავსებულია ვახტანგ VI-ის პორტრეტი. ამ წიგნში დაბეჭდილი ბაგრატიონთა საგვარეულო

გერბის მსგავსად ეს გრავიურაც ვახტანგის პორტრეტის მეორე ვარიანტს წარმოადგენს.

„სამოციქულოში“ მოთავსებული პირველი ვარიანტისაგან განსხვავებით „კონდაკში“ დაბეჭდილ მეორე ვარიანტში ვახტანგი პროფილში კი აღარ ზის, არამედ ჩვენკენ სახითაა მობრუნებული. არც ქუდი ახურავს. იგი მარჯვენა ფეხის მუხლზე უდევს. თმა და წვერ-ულვაში მოშვებული აქვს, ტანზე აცვია ყურთმაჯებიანი მდიდრული ახალუხი, მარცხენა ხელით დაყრდნობილია მარცხენავე ფეხის მუხლზე, ხოლო მარჯვენა ხელში სამეფო სკიპტრა უჭირავს.

მაღალი მხატვრულ-ტექნიკური დონის გარდა „კონდაკი“ იმითაცაა საყურადღებო, რომ იგი სახმარად მოსახერხებელი წიგნია. მისი ფორმატია 1/32-ედი. მოხდენილი, გამოკვეთილი შრიფტის წყალობით ლაღად იკითხება.

როგორც ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემული სხვა დანარჩენი წიგნების, ისე 1710 წელს დაბეჭდილი „ლოცვანის“ ტექსტი ბერძნულ წყაროებს ყოფილა შედარებულ-შეჯერებული. ამგვარი წესით გამართვის მიუხედავად, ვახტანგის სტამბისეული „ლოცვანი“ ბერძნულის იდენტურ ასლად მაინც არ ჩაითვლება. ნ. ორბელიანი ამ წიგნის წინასიტყვაობაში დასძენს: „ყამნობა და თვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირაძალების ზატიკისა და სამგზეფროს ოხითა იბაკო ისევ ჩვენი ძველი გაურიეთ“ [1]. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მესტამბე-გამომცემლებს 1710 წელს დაბეჭდილი „ლოცვანის“ ტექსტი ძირითადად ბერძნულის მიხედვით გაუმართავთ, მაგრამ ზოგიერთი რამ, სახელდობრ „ტრადიციული ქართული საგალობლები, ხელუხლებლად დაუტოვებიათ“ [2].

„ლოცვანი“ ვახტანგ VI-ის წიგნებს შორის ყველაზე მინიატურულია. მისი ფორმატია 1/64. თითოეულ გვერდში ჩატეულია 27 სტრიქონი. ტექსტი აწყობილია წვრილი, მაგრამ გამოკვეთილი ნუსხურით. ამიტომაცაა, რომ იგი თავისუფლად იკითხება. შიგადაშიგ ვხვდებით მხედრულსაც. ამ უკანასკნელითაა, მაგალითად, აწყობილი თავფურცლის ბოლო სამი სტრიქონი: დაიბეჭდა წიგნი ესე „ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელისათა“[3]. აქაც, ისევე როგორც „კონდაკში“, სათაურები, ტექსტის დასაწყისი თავი ასოები და ცალკეული ადგილები წითელი საღებავითაა ნაბეჭდი.

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 16.

[2] ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, 1954, გვ. 138.

[3] ქართული წიგნი, 1941, გვ. 16.

წიგნში გამოყენებული თავსართები და ბოლოსართები, ჩარჩოები, ხაზები და სხვა სამკაულები აშკარად განსხვავდება როგორც თემატურად, ისე კომპოზიციურ-სტილისტურად წინა გამოცემათა დეკორისაგან. თავსართად გამოყენებულია ქვედა მხრიდან ნახევრად ღია ჯარბშავშტრიხებიანი თაღოვანი ორნამენტული ჩარჩო, რომლის შიდა თავისუფალ არეში წიგნის ფორმატის შესაბამისი მსხვილი ნუსხურით წითლად ჩაბეჭდილია სახელწოდება „ლოცვანი“. იქვე, ცოტა ქვევით, ამავე ფერში მხოლოდ უფრო მომცრო შრიფტით „ლოცვანს“ მიჰყვება მეორე სტრიქონი „შუალამისანი“. ამის შემდეგ იწყება უკვე თავად ტექსტი.

თავფურცლის შემდეგ, მეორე გვერდზე, წიგნის მარკის სახით დაბეჭდილია „კონდაკში“ გამოქვეყნებული ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის მეორე ვარიანტი — ჩარჩოში ჩასმული ქრისტეს კვართი და აქეთ-იქით ყალყზე შემდგარი ორი ლომი. გერბს მოსდევს თითქმის ყველა გამოცემისათვის დართული ვახტანგის ცნობილი წინასიტყვაობა რუმინეთიდან მ. იშტვანოვიჩის ჩამოყვანისა და სტამბის დაარსების შესახებ. ამის შემდეგ, მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია გრავიურა: „ქრისტე მაკურთხეველი“.

ეს გრავიურა ამავე წიგნში მოთავსებული სხვა დანარჩენი ესტამპებისაგან არ გამოირჩევა არც კომპოზიციური და არც საშემსრულებლო სირთულით. უკანა პლანზე მოჩანს საყდარი, რომელზედაც ზის იესო. მას მარცხენა ხელში „სახარება“ უჭირავს, ხოლო მარჯვენათი კურთხევას ავლენს.

შთამაგონებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მეორე ესტამპი — „ღვთისმშობლის ტაძრად მოყვანება“. ფიგურათა მასობრიობითა და კომპოზიციური გააზრებით იგი ერთ-ერთი ყველაზე რთული ნამუშევარია ვახტანგის სტამბაში გამოცემული წიგნების ესტამპებს შორის: ცენტრში გრავირებულია კივორი, რომლის მარჯვენა მხარეს დგანან წმინდანები — ანა და იოკიმე. მათ უკან გამოსახულია შუბოსან მხლებელთა ფიგურები. კივორის წინ, ოდნავ მარცხნივ, მუხლებზე დაჩოქილი დგას იესო, რომელსაც ხელში უჭირავს მართლმადიდებლური ეკლესიის სიმბოლო—მტრედი. იესოსთან ახლოს, ხელმარცხნივ, დგას სიმეონი. იგი კურთხევას ავლენს არქიტექტურულ თაღში გამოსახული ღვთისმშობლის მიმართ.

„ლოცვანში“ დაბეჭდილია კიდევ ორი გრავიურა. ერთი წარმოად-

გენს წმინდა ბარძიმს, რომელშიაც წელამდე ჩამდგარი იესო გამოსახულია ფრთოსანი ანგელოზების თანხლებით, მეორე კი არის ვახტანგ VI-ის პორტრეტის მეორე ვარიანტი — ჩვენკენ პირდაპირ მჯდარი, უქუდო მეფე-პოეტი. ამით თავდება წიგნი.

1710 წლის „კონდაკისა“ და „ლოცვანის“ გარდა, ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა აგრეთვე დიდი და პატარა ფორმატის „ჟამნი“. ამ უკანასკნელის არსებობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს უცნობი იყო. მას პირველად ქრ. შარაშიძემ მიაკვლია.

შედარებით დიდი ფორმატის „ჟამნი“ ზუსტად „კონდაკის“ ოდენაა. ძირითადი ტექსტი დაბეჭდილია ნატიფი ნუსხურით, ზოგან გამოყენებულია მხედრულიც.

„ჟამნში“ ბევრი მხატვრულ-ტექნიკური ელემენტი „ლოცვანიდანაა“ გადმოღებული. თავსართად აქაც გამოყენებულია ქვედა მხრიდან ღია, ჰარბშავშტრიხებიანი თაღოვანი ორნამენტული ჩარჩო, რომლის შიდა თავისუფალ არეში წითელი საღებავით ჩაბეჭდილია წიგნის სათაური. წითლითაა ნაბეჭდი აგრეთვე თავი ასოები. აქვეა გამოყენებული „ლოცვანში“ დაბეჭდილი ესტამპი — „ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება“.

უნდა ითქვას, რომ „ჟამნი“ ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემულ წიგნებს შორის ყველაზე ჭარბადაა ილუსტრირებული. პირველ ესტამპად მასში დაბეჭდილია „შობა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა“. აქ თემა გაშლილია ღია ცის ქვეშ. საყდრისა და სხვა არქიტექტურულ ნაგებობათა ფონზე, შუა ადგილას გრავირებულია ტახტრევანზე მჯდომი ღვთისმშობელი, მარცხნივ დგას მსახური თუ მხევალი გრძელტარიანი საჩრდილობელით ხელში, მარჯვნივ უზურგო სავარძელში ზის ღვთისმშობლისაკენ ხელებგაწვდილი იოანე ნათლისმცემელი.

საყურადღებოა აგრეთვე მეორე ესტამპიც, რომელიც „ლაზარეს აღდგინების“ სახელწოდებითაა ცნობილი. მოქმედება აქაც ღია ცის ქვეშაა გამოტანილი. უკანა პლანზე მოჩანს ნაგებობა ბრტყელი გადახურვით, ხოლო მარჯვენა მხარეს, კუთხეში — მთის მწვერვალები. წინა პლანზე გრავირებულია წელამდე გამოსახული ლაზარე. მისგან მარცხნივ დგას იესო, რომელიც მარჯვენა ხელით კურთხევას ავლენს, ხოლო მის უკან მოჩანს მოციქულების გუნდი.

გრავირების, ამჯერად ხეზე კვეთის ოსტატობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს „ჟამნში“ მოთავსებული კიდევ ერთი ესტამპი. ეს არის

სახარება, თბილისი, 1709. იოანე მახარებლის ესტამპი.



სახარება, თბილისი, 1709. მარკოზის სახარების პირველი გვერდი თავსართით

„ქრისტეს შობა“. ესტამპის მთელ სიგრძეზე უწყვეტი, მთლიანი ხაზით გამოკვეთილია კარვის გამოსახულება. კარვის წინ, შესასვლელთან ძარჯვნივ და მარცხნივ მუხლებზე დაჩოქილები დგანან ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ღვთისმშობლის უკან მოჩანს ფეხზე მდგარი ორი მოციქული, ხოლო კარვის იქით — ამდენივე ფრთოსანი ანგელოზი. გარდა ზემოაღნიშნულისა, წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე „ჯვართამაღლების“, „სერობის“, „ხარებისა“ და სხვა თემატური ესტამპები.

წიგნი მთავრდება ტრადიციულად ვახტანგ VI-ის მეორე ვარიანტის პორტრეტით.

„ჟამნის“ მეორე გამოცემა „ლოცვანის“ ფორმატისაა. იგი ყველაზე პორტატიულია ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნებს შორის. მისი ტექსტი სიტყვასიტყვით მისდევს წინა გამოცემისას. ესეც ორ ფერშია ნაბეჭდი — წითელსა და შავში. აქაც იგივე ესტამპებია გამოყენებული, რომლებიც დაბეჭდილია წინა გამოცემაში. აღნიშნულის მიუხედავად, მცირე ფორმატის „ჟამნს“ მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს არის პირველი ქართული წიგნი, რომელიც თავიდან ბოლომდე მხედრული შრიფტითაა აწყობილი.

1711 წელს ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა ორი წიგნი: სიონის ეკლესიის მღვდელ-მონაზონის გერმანეს „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ და „დავითნი“. პირველი მათგანი მრავალმხრივაა საყურადღებო: ჯერ ერთი, იგი წარმოადგენს ქართველი კაცის მიერ დაწერილ პირველ ქართულ ნაბეჭდ ორიგინალურ წიგნს: მეორეც, ჟანრობრივად იგი დიდაქტიკურ-დამრიგებლური ხასიათისაა. რაც მკაფიოდ განასხვავებს მას ადრინდელი გამოცემებისაგან; მესამეც, დაბეჭდილია მხედრული შრიფტით. რაც მთავარია, ეს წიგნი პირველი ქართული ნაბეჭდი სასკოლო სახელმძღვანელოა. მისი დაწერის იდეას იმდროინდელი მძიმე ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად. აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სახელმწიფოთა მოძალებისა და სარწმუნოებრივი დევნა-შევიწროების შედეგად XVIII საუკუნის დამდეგიდან ქრისტიანულ-მართლმადიდებლურმა მოძღვრებამ საქართველოში ძლიერი რყევა განიცადა. გარდა იმისა, რომ ისლამის ძალდატანებითა თუ ნებით აღიარების გამო ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, თვით ამ სარწმუნოების ზოგიერთი ძირითადი დებულებაც შეიბღალა. ყოველივე ამან უკარნახა სიონის ეკლესიის მღვდელ-მონაზონს გერმანეს დაეწერა ასეთი

წიგნი „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ და ამით ხმა აღემაღლებინა ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად.

ამ წიგნის კონკრეტულმა დანიშნულებამ განსაზღვრა მისი ჟანრობრივი ხასიათიც და მწერლის თხრობის მანერაც. მასში უბრალო, როგორც თვითონ ავტორი ამბობს, „სოფლური“ ანუ ყველასათვის გასაგები ენით თანამიმდევრულად განმარტებულ-დასაბუთებულია ქრისტიანობის ყველა ძირითადი დებულება.

პროფილის თანახმად, წიგნს არ გააჩნია არავითარი მხატვრული სამკაული. ვერ შეხვდებით აქ ვერც ორნამენტულ და უბრალო სწორხაზოვან სტამბურ ჩარჩოებს, ვერც დეკორატიულ თავ ასოებს ანდა ბოლოსართებს. იგი არც საღებავების სიმრავლით გამოირჩევა. ნაბეჭდია ერთ ფერში — შავში. წიგნი დაწერილია კითხვა-მიგების ანუ დიალოგის სახით. კითხვას სვამს მოსწავლე და პასუხს იძლევა მოძღვარი. ასე მაგალითად:

მწ: წმიდა მარიამ ქალწული: ღთ
ის დედად რო-გო-რ ითქმის:

მ ძ: ღ-თის დედათ ამისთვის ითქმის რომ
ძე ღ-თისა მის გულში განხორციელდა.

„სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ არის 1709 — 1722 წლებში ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ერთადერთი წიგნი, რომელსაც არც ბაგრატიონების საგვარეულო გერბი და არც ვახტანგის პორტრეტი არა აქვს დართული.

მეორე წიგნი, რომელიც 1711 წელს დაიბეჭდა, როგორც აღვნიშნეთ, არის „დავითნი“. ადრე იგი ერთხელ 1705 წელს არჩილის მიერ მოსკოვის სახაზინო სტამბაში იყო გამოცემული. ამ გამოცემებს შორის განსხვავება ისაა, რომ 1711 წლის „დავითნი“ მხედრული შრიფტითაა ნაბეჭდი.

წიგნის „გამმართველი“ ანუ რედაქტორია სიონის დეკანოზის შვილი გაბრიელი. ტექსტი ნასწორები ჩანს 1705 წლის „დავითნის“ მიხედვით. ნაბეჭდია ერთ ფერში — შავში. იწყება იგი ფაქიზი ორნამენტით შემკულ და აჟურულ ჩარჩოში მოთავსებული ტრადიციული თავფურცლით, რომლის მეორე გვერდზედაც დაბეჭდილია ბაგრატიონების საგვარეულო გერბის მეორე ვარიანტი. მე-4 გვერდის მთლიან ფურცელზე უკვე დასტამბულია დავით წინასწარმეტყველის ესტამპი. აქ იგი გამოსახულია მოჩუქურთმებულ უზურგო სავარძელზე მჯდარი, ტანზე

აცვია ყვავილებით მოჩითული გრძელი ხალათი, ხოლო თავზე ხურავს ხუთწახნაგოვანი სამეფო გვირგვინი. მარცხენა ხელში უჭირავს გადაშლილი წიგნი, ხოლო მარჯვენაში — საწერ-კალამი.

ესტამპის უკანა პლანზე მოჩანს მარმარილოს სვეტებიანი თაღი, რომლის მორკალული ზედა ნაწილი მოჩუქურთმებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მარჯვნივ გრავირებულია არქიტექტურული შენობა, მარცხნივ — ჩუქურთმაში გამოყვანილი ეკლესიის დაგმანული კარი თუ ფანჯარა.

წიგნი დაყოფილია განყოფილებებად ანუ ე. წ. „კანონებად“. „კანონი ე“, „კანონი ზ“ და ა. შ. თითოეული განყოფილების თავსართად გამოყენებულია ზემოაღნიშნული აჟურული ორნამენტი და მათი ტექსტის პირველი სტრიქონის თავი ასოებიც დეკორატიულადაა გაფორმებული. ბოლოს მოთავსებულია ვახტანგ VI-ის პორტრეტი მეორე ვარიანტის სახით.

1711 წლის „დავითნში“ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. გარდა იმისა, რომ იგი, სიონის ეკლესიის მღვდელ-მონაზონის თქმისა არ იყოს, „საეროა“, „სოფლური“ ანუ მხედრულითაა აწყობილი, აკად. ა. შანიძის ცნობით, მასში რუმინული წიგნების გავლენით ვხვდებით ბერძნული შრიფტით დაბეჭდილ ლექსსაც — „სტრიქონები (ლექსები) ღვთიურ დავითზე“ [1], რაც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში ჩამოსხმული ყოფილა ბერძნული შრიფტი, მაშინ როდესაც მეზობელ სახელმწიფოებს. არამცთუ უცხო, არამედ თავიანთი საკუთარი შრიფტი და სტამბა არ გააჩნდათ.

1712 წელი მნიშვნელოვანი თარიღია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ამ დროს დაიბეჭდა პირველი საერო შინაარსის წიგნი, შ. რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მეორე მხრივ, ეს იყო სტამბურად გამოცემული ასევე პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები.

ამჯერად ჩვენ არც თავად პოემის ტექსტისა და არც ვახტანგის „თარგმანების“ შესახებ რაიმე მოსაზრების გამოთქმას არ ვაპირებთ: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მასზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს; და მეორეც, ჩვენი კვლევის ინტერესებს სცილდება. ამიტომ აქ მხოლოდ ამ გამოცემის ზოგიერთ მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

[1] აკ. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, გვ. 157.

წიგნის თავფურცელი ჩასმულია 1711 წლის „დავითნში“ გამოყენებულ ფაქიზ, აჟურულ ორნამენტულ ჩარჩოში, რომელიც ნახევარი სანტიმეტრის სიმაღლის ორნამენტისავე გრძივი ხაზით გაყოფილია ორ ნაწილად. ზედა ნაწილში ჩაბეჭდილია: „ვეფხის ტყაოსანი“. აწ ახალი დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა, უფლისა ვახტანგისსა. შრომითა წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა“. ქვედა ნაწილში ვკითხულობთ: „გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა. ქალაქსა ტფილისისასა ქრისტეს აქეთ ათს შვიდას და თორმეტსა დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა“ [1].

როგორც წესი, თავფურცელს მოსდევს ცალკე გვერდზე დაბეჭდილი ჯერ ფოთლოვანი, ხოლო შემდეგ აჟურული ორნამენტის ჩარჩოში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის პირველი ვარიანტი — ლომის ზურგზე შედგმული ოვალურ-მედალიონისებურ ჩარჩოში ჩასმული იესოს კვართი, რომელიც აქეთ-იქიდან ორ-ორ ფრთოსან ანგელოზს უჭირავს ხელში.

ბაგრატიონთა საგვარეულო გერბს მოსდევს წინა გამოცემებიდან გადმობეჭდილი ვახტანგ VI-ის წინასიტყვაობა.სტამბის დაარსების თაობაზე, ხოლო შემდეგ უკვე მოთავსებულია მდიდრულ ჩარჩოში ჩასმული ვახტანგისავე პორტრეტი მეორე ვარიანტის სახით. „ვეფხისტყაოსანი“ პირველი წიგნია, რომელშიაც ეს პორტრეტი სრულიად გამართლებულად ბოლოდან თავშია გადმოტანილი. ეს ნაკარნახევი უნდა იყოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით. ვახუშტის ცნობით, 1711 წლის 26 ოქტომბერს ვახტანგის ძმა — ერანის სპასალარი და ქართლის მეფე ქაიხოსრო — ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა. 1712 წლის 22 აპრილს ვახტანგი სულხან-საბა ორბელიანთან და ამალის სხვა წევრებთან ერთად ერანის სატახტო ქალაქ ისპაჰანს მიემგზავრება შაჰის მიერ ქართლის მეფედ დასამტკიცებლად. ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილის ნატვრა და ოცნება აღსრულდა. ქაიხოსროს მაგივრად ქართლის მეფობა ვახტანგმა მიიღო. ვფიქრობთ, ამ გარემოებით უნდა იყოს ნაკარნახევი მისი პორტრეტის წიგნების ბოლოდან თავში გადატანა.

„ვეფხისტყაოსანი“ 1709 წლის „სახარებისა“ და „სამოციქულოს“ ზომისაა. მისი ფორმატია $^1/_8$. შრიფტი 1711 წლის „დავითნისეული“ მხედრულია. ნაბეჭდია ორ ფერში — წითელსა და შავში.

---

1 ქართული წიგნი, 1941, გვ. 11.

პოემის ტექსტი იწყება ვახტანგის პორტრეტის მომდევნო გვერდიდან. თავსართი წარმოადგენს 1710 წლის „ლოცვანისა“ და „ჟამნის“ პირველ გამოცემაში გამოყენებულ ქვედა მხრიდან ღიათაღიან ორნამენტულ ჩარჩოს, რომლის შიდა, თავისუფალ არეში წითლით ჩაბეჭდილია სათაური. წითლითვეა ნაბეჭდი აგრეთვე ყოველი სტროფის პირველი სიტყვა. ამგვარადვეა გაფორმებული დანარჩენი თავებიც[1]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი აღნუსხულია ქართული ასოებით გვერდებად და რვეულებად[2]. წიგნის დასასრულს მოთავსებულია ვახტანგ VI-ის ცნობილი „თარგმანები“ ანუ კომენტარები.

1713 — 1720 წლები, უფრო სწორად, „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის შემდეგი ხანა ქართული წიგნის ისტორიაში დაცემის პერიოდად ითვლება. ერანის შაჰის მიერ ვახტანგ VI-ის ისპაჰანში გაძახებისა და ქართლში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების შედეგად წიგნების ბეჭდვის საქმე თანდათან ფერხდება. ამას მოწმობს ასეთი ფაქტი: თუ 1710 — 1711 წლებში ცალ-ცალკე სამ-სამი, ხოლო 1712 წელს ორი დასახელების წიგნი გამოიცა, შემდეგში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. 1713 წელს, მაგალითად, სულ ერთი დასახელების წიგნი დაიბეჭდა. ეს იყო „კურთხევანი“.

1713 წელს გამოცემული „კურთხევანი“ თავისი არქიტექტონიკით თითქმის არაფრით არ განსხვავდება ძველი ნაბეჭდი წიგნებისაგან. აქაც ვხვდებით ორნამენტულ ჩარჩოში მოთავსებულ იმავე კომპოზიციის თავფურცელს, რომელსაც კვიპრიანე სამთავნელის წინასიტყვაობა მოსდევს. ამის შემდეგ კი დაბეჭდილია ვახტანგ VI-ის პორტრეტი მეორე ვარიანტის სახით და მეორე ვარიანტისავე ბაგრატიონების საგვარეულო გერბი.

„კურთხევანის“ ტექსტი აწყობილია ნუსხური შრიფტით, ყოველ ახალ კურთხევას ანუ ლოცვას თავსართად აქვს „ვეფხისტყაოსნიდან“ უკვე კარგად ცნობილი თაღოვანი ღია ორნამენტული ჩარჩო, რომლის შიდა თავისუფალ არეში წითელი საღებავით ჩაბეჭდილია სათაურები. ბეჭდვის კულტურა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. წითელი საღებავი ზუსტად არაა მოხვედრილი თავის ადგილზე.

1713 წლის შემდეგ პოლიტიკური ვითარება ქართლში კიდევ უფ-

---

[1] ეს თავსართი და წითელი საღებავი გამოყენებულია 1937 წლის კ. ჰიპინაძისეული გამოცემის „ვეფხისტყაოსანში“.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 22.

რო გართულდა და დაიძაბა. სტამბა დატოვეს ძველმა მოღვაწეებმა. არ ჩანს ნ. ორბელიანი, მიქელი და სხვა. მართალია, სტამბას არსებობა არ შეუწყვეტია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ 1714 — 1715 წლებში მასში არც ერთი წიგნი არ დაბეჭდილა. ამ მხრივ ერთგვარი გამოცოცხლება 1716 წლიდან იწყება. ორი წლის იძულებითი შესვენების შემდეგ გამოდის „დავითნი“.

1716 წელს დაბეჭდილი „დავითნი“ მეოთხე გამოცემას წარმოადგენს. იგი ტექსტით, შრიფტით, ანაწყობის ზომით, თავფურცლით, ვახტანგის პორტრეტით, ბაგრატიონთა საგვარეულო გერბით, დავით წინასწარმეტყველის ესტამპითა და საერთოდ მთელი თავისი მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით ზედმიწევნით წააგავს წინა გამოცემებს, რის გამოც მისი შედარებით მეტ-ნაკლები დეტალური აღწერა ახალს არაფერს მოგვცემს.

ყურადღებას იქცევს მხოლოდ „დავითნის“ საგამომცემლო მონაცემები. მათში მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაზე. კერძოდ, აქედან ვგებულობთ, რომ 1713 წლის შემდეგ ვახტანგ VI-ის სტამბიდან წასული სიონის დეკანოზის შვილის მიქელის მაგივრად 1716 წლიდან მისი ადგილი გიორგი მხატვარს დაუკავებია, ხოლო ნ. ორბელიანისა — გარსევანს, ყოფილ მღვდელ გაბრიელს.

1717 წელს ვახტანგის სტამბაში გიორგი მხატვრისა და გაბრიელის „შრომითა ნაღვაწითა“ კვლავ ორი წიგნი იბეჭდება: „ჟამნი“ და „ლოცვანი“.

„ჟამნის“ თავფურცელში ვკითხულობთ: „აწ მეორედ დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულის დიდისა მეფისა უფლისა უფლისა ვახტანგისა“ [1]. აქ მოცემული ცნობა „ჟამნის“ დაბეჭდვის შესახებ სწორი არ არის. ჩვენ ვიცით, რომ 1710 წელს იგი ორჯერ გამოიცა: მინიატურული ფორმატის, რომლის ტექსტიც აწყობილია მხედრული შრიფტით, და შედარებით დიდი ფორმატის — ნუსხური შრიფტით. ამრიგად, 1717 წელს დაბეჭდილი „ჟამნი“ მესამე გამოცემაა და არა მეორე, როგორც ეს თავფურცელშია ხაზგასმული. ეს შეუსაბამობა ან უნებლიე შეცდომით უნდა იყოს გამოწვეული, ანდა 1710 წელს დაბეჭდილი ორივე „ჟამნი“ მესტამბე-გამომცემლებს სრულიად შეგნებულად ერთ გამოცემად აქვთ ჩათვლილი.

1 ქართული წიგნი, 1941, გვ. 26.

1717 წლის „ჟამნი“ 1710 წლის ნუსხურით დაბეჭდილის ხელახალ გამოცემას წარმოადგენს [1].

ტექსტთან ერთად შრიფტი, თავფურცელი, ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, ღვთაებრივ სიუჟეტებზე აგებული გრავიურები: „ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება“, „ხარება“, „ლაზარეს აღდგინება“ და სხვა — თითქმის ყველაფერი, თვით წიგნის ფორმატიც კი 1710 წლის გამოცემიდან არის აღებული.

ასეთივე დიდი მსგავსებაა 1717 და 1710 წლებში დაბეჭდილ „ლოცვანს“ შორის. პირველი გამოცემის ტექსტი უცვლელადაა გადმობეჭდილი მეორეში. ერთნაირია აგრეთვე თავფურცლების, ვახტანგ VI-ის პორტრეტის, ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის ჩარჩოები და თვით ვარიანტებიც კი. 1710 წლის „ჟამნიდანაა“ გადმოღებული იესოს ესტამპიც. დანარჩენ გრავიურებს, თავსა და ბოლოკაზმულობებს 1717 წლის გამოცემებში ვერ ვხვდებით.

საერთოდ ნიშანდობლივია, რომ 1713 წლის შემდეგ გამოცემული წიგნები, სახელდობრ 1716 წლის „დავითნი“ და 1717 წლის „ჟამნი“, მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების დონით ვერ უტოლდებიან წინა გამოცემებს. ეს, რა თქმა უნდა, ქართლის იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებითა და მესტამბე-გამომცემელთა თაობების ცვლით აიხსნება. 1720 წლიდან ამ მხრივ საქმის ერთგვარი გამოსწორება-გაუმჯობესება შეინიშნება. ამას მოწმობს „კურთხევა ეკლესიისას“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმება.

დღემდე ამ წიგნის ერთადერთი ცალი და ისიც ნაკლულოვანი სახითაა მოღწეული. იგი უთავფურცლოა. დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში. 1713 წელს გამოცემული „კურთხევანის“ მსგავსად 1720 წელს დაბეჭდილი „კურთხევა ეკლესიისაც“ ლოცვების კრებულს წარმოადგენს. იგი აწყობილია ნუსხური შრიფტით. ნაბეჭდია ორ ფერში — წითელსა და შავში.

წიგნში ორი ესტამპია: „სამების ხატისა“ და „კურთხევისა“. პირველი მოთავსებულია ორნამენტულ ჩარჩოში და დაბეჭდილია მეორე გვერდზე, ხოლო მეორე — 26-ე გვერდზე. მათ შორის გამოირჩევა „სამება“. იგი ჩასმულია არაჩვეულებრივად მდიდრულ, მრავალი

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 26.

სახის ორნამენტულ ჩარჩოში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ესტამპზე გამოსახული შამა ღმერთის, ძე ღმერთისა და მტრედის სახით წარმოდგენილი სულიწმიდას ფიგურები, რომელთა ქვევითაც დგას 1705 წელს მოსკოვში გამოცემული „დავითნისეული“ ყვავილებიანი ვაზა, ზემოაღნიშნულ ჩარჩოში კი არ არის მოთავსებული. არამედ ძვირფას ხალიჩაზეა ოსტატის მიერ ამოქარგული.

ასევე მდიდრულ, ოთხმაგი ორნამენტის ჩარჩოშია ჩასმული ვახტანგ VI-ის პორტრეტი მეორე ვარიანტის სახით და ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი — ყალყზე შემდგარი ორი ლომის გამოსახულებით. წიგნში უხვადაა გამოყენებული ყვავილოვან-მცენარეული ოთხკუთხედი ბოლოსართები და სხვა კაზმულობანი.

1720 წელს დაიბეჭდა აგრეთვე მეორე წიგნი „პარაკლიტონი“, რომელიც საღვთისმსახურო საგალობელთა კრებულს წარმოადგენს[1]. მისი თავფურცელი ძვირფას აჟურულ ორნამენტის ჩარჩოშია მოთავსებული. 1711 წლის გამოცემათა თანახმად თავფურცლის შემდეგ ვახტანგ VI-ის პორტრეტი უნდა მოდიოდეს, მაგრამ ეს ტრადიცია დარღვეულია. იგი ძველი წესის მიხედვით წიგნის ბოლოს არის მოთავსებული, მის ადგილას კი დაბეჭდილია წინასიტყვაობა, რომლის ქვემოთაც გამოსახულია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი პირველი ვარიანტის სახით. მეორე გვერდზე ძვირფას, მოოქვილ ჩარჩოში ჩასმული სამების ხატია დაბეჭდილი. წიგნში ეხვდებით აგრეთვე ყვავილოვან-ფოთლოვან, მოჩითულ-მოჩუქურთმებულ თავსართებს, სხვადასხვა სახის კაზმულობებს.

„პარაკლიტონის“ ფორმატი 1709 წელს გამოცემული „სახარების“ ზომისა, ე. ი. 1/8. აწყობილია იგი ორ სვეტად ნუსხური შრიფტით. სვეტებს შორის დატოვებული გრძივი „დერეფანი“ სილამაზეს მატებს წიგნს. სათაურები და დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოები წითელი საღებავითაა ნაბეჭდი.

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ვახტანგ VI-ის მიერ ირანულიდან თარგმნილ „ქმნულების ცოდნის წიგნს“, რომელიც სხვაგვარად „აიათის“ სახელწოდებითაა ცნობილი. იგი 1721 წელს გამოიცა და წარმოადგენს პირველ ქართულ მეცნიერულ წიგნს. თავისი შინაარსით მას სახელმძღვანელოს დანიშნულე-

---

1 ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 162.

ბაც აქვს. „ქმნულების ცოდნის წიგნი“ აწყობილია მხედრული შრიფტით. გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ თავფურცელი და სათაურები, რომლებიც ნუსხურითაა წარმოდგენილი. წიგნი ნაბეჭდია შავ ფერში.

ჩვენი აზრით, ეს წიგნი მნიშვნელოვანია არა იმდენად ბეჭდვის, რამდენადაც აწყობა-დაკაბადონების მხრივ. მასში ვხვდებით ოსტატურად შესრულებულ ისეთ რთულ პოლიგრაფიულ პროცესს, როგორიცაა ე. წ. „ტექსტით შემოწყობილი გრავიურები“.

საინტერესოდაა, მაგალითად, შეკრული 28-ე გვერდი. ისევე, როგორც სხვა დანარჩენ გვერდებში, აქაც ჩატეულია 20 სტრიქონი, რომელთა სიგანე 6 კვადრატია. მე-13, 14, 15, 16, 17 და მე-18 სტრიქონები მარჯვენა მხრიდან ჩამოჭრილია 2½ კვადრატზე, ხოლო ბოლო ორი სტრიქონი, პირველი შვიდი სტრიქონის მსგავსად, კვლავ აწყობილია 6 კვადრატზე. ჩამოჭრის შედეგად ტექსტის შუაში დარჩენილ თავისუფალ ადგილას მოთავსებულია პერპენდიკულარული ხაზებით ხუთად გაყოფილი წრეხაზი.

ასეთსავე ნახაზს ვხვდებით 52-ე გვერდზე. აქაც მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და მე-15 სტრიქონები აწყობილია 3 კვადრატზე, დანარჩენი— 1-დან 8-მდე და ბოლო 5 სტრიქონი — 6 კვადრატზე. ამგვარი წყობის შედეგად შუაში, 28-ე გვერდის მსგავსად, დატოვებულია ოთხკუთხედი თავისუფალი ადგილი, სადაც მოთავსებულია გორგლისებურად ერთმანეთში გადახლართული წრეხაზები. ამგვარი „ტექსტით შემოწყობილი გრავიურები“ ანუ ასტრონომიულ-გეომეტრიული ნახაზებია მოთავსებული 84-ე, 86-ე და 87-ე გვერდებზე.

წიგნში წარმოდგენილი წრეხაზები ზოგი წითლითაა გამოსახული და ზოგიც ჩვეულებრივი შავი საღებავით. წრეხაზებსა და მათში გავლებულ პერპენდიკულარულ ხაზებზე ძალზე წვრილი ასოებით გამოსახულია წარწერები: „მზის გვამი“, „გამსრულებელი“, „მსგავსური“, „მზის ცის სახე“ და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ეს ტექსტებიც ზოგიერთი წითლითაა გამოსახული. წრეხაზები იმდენად ზუსტადაა შეკრულ-შემოხაზული, ხოლო წარწერები მკაფიოდ გამოკვეთილი, რომ ისინი სინგურით უნდა იყოს შესრულებული და არა ჩაბეჭდილი. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ხეზე წრეხაზების ზუსტი გრავირება, ანდა ესოდენ წვრილი წარწერების გამოსახვა. ბეჭდვაში საღებავი გაიგლისებოდა და ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი გახდებოდა.

„აიათი“ ანუ „ქმნულების ცოდნის წიგნი“ საინტერესოა აკინძვის მხრივაც. მე-18 და მე-19 გვერდებს შორის ჩაკრულია ერთი სუფთა ფურცელი, რომლის წინა გვერდი მთლიანად თავისუფალია, ხოლო უკანაზე გამოსახულია სინგურით შესრულებული ერთმანეთში ჩამჯდარი ორი წრეხაზი. ეს ერთადერთი წიგნია ძველ ბეჭდურ გამოცემებს შორის, რომელშიაც გამოყენებულია აკინძვის ისეთი ხერხი, როგორიცაა „ჩაკვრა“.

უკანასკნელი წიგნი, რომელიც ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა, არის „ჟამნი“. მისი ძირითადი ტექსტი 1717 წლის „ჟამნის“ მსგავსად სიტყვასიტყვით ემთხვევა წინა — 1710 წლის პირველ ანუ პორტატიულ მხედრულ გამოცემას. საერთოდ, 1710, 1717 და 1722 წლების გამოცემები ფორმატით, ანაწყობი ტექსტის ზომით, ესტამპების შინაარსითა და რაოდენობით ერთმანეთის გამეორებას წარმოადგენენ. 1722 წლის „ჟამნში“ წითელი ფერიც კი ზუსტად წინა ორი გამოცემის მიხედვითაა გამოყენებული. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ბოლო გამოცემას დართული არა აქვს ვახტანგ VI-ის პორტრეტი. ამასთანავე, მასში მოთავსებულია კომპოზიციურად ერთგვარად სახეშეცვლილი ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, რომელიც მესამე ვარიანტის სახელითაა ცნობილი [1]. სხვა რაიმე არსებით განსხვავებას აღნიშნულ გამოცემებს შორის ვერ ვხვდებით.

* * *

XVIII საუკუნის 30 — 40-იან წლებში ქართული წიგნის ბეჭდვის საქმემ თბილისიდან მოსკოვის ახლოს, დაბა ვესესვიატსკოეში, ბაქარისა და იოსებ სამებელის ინიციატივით დაარსებულ სტამბაში გადაინაცვლა.

1737 წელს აქ იბეჭდება ქართული წიგნი „დავითნი“. თბილისის გამოცემების მსგავსად მასაც აქვს თავფურცელი, რომელიც ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში. ზედა შემკრავი ხაზი ფართოა, გვერდითა კი უფრო წვრილი. ქვედა შემკრავი ხაზი ჩარჩოს არ გააჩნია. „დავითნისა“ და საერთოდ ვესესვიატსკოეში გამოცემული წიგნების თავფურცლები კომპოზიციურად ერთნაირია და ზედმიწევნით წააგვანან თბილისის

[1] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 117.

სტამბისას. მასში აღნიშნულია: ვისი მეფობის დროს დაიბეჭდა ესა თუ ის წიგნი, ვისი ნებართვით, ვისი თაოსნობით, ვისი ხარჯით, სად და როდის.

თავფურცლის შემდეგ, ახალ გვერდზე დაბეჭდილია თბილისის სტამბის წიგნებიდან ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის მეორე ვარიანტი, რომელიც მოთავსებულია სამ-მაგ მდიდრულ ორნამენტულ ჩარჩოში. 1712 წელს თბილისში გამოცემული „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართული ვახტანგის პორტრეტის მსგავსად ჩარჩოს შუაგულში გრავირებული გერბი ხალიჩაზე ამოქარგულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გერბის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს მრავალწახნაგოვან, უბრალო ხაზებისაგან შეკრულ ჩარჩოში ჩასმული იესოს კვართი, რომელიც აქეთ-იქიდან ყალყზე შემდგარ ორ ლომს წინა ტორებით უჭირავს. ეფიქრობთ, ზემოაღნიშნული მთლიანი ჩარჩო, რომელიც ხალიჩის ფონს ქმნის, და ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი ერთ მთლიან გრავიურას არ უნდა წარმოადგენდეს. ისინი ცალ-ცალკე დამზადებულად მოჩანს. ჩარჩო მხატვარ-გრავიორის სტილისტიკური ნიშნებით ძალზე წააგავს 1720 წელს თბილისში გამოცემული „კურთხევა ეკლესიისას“ მე-6 გვერდზე დაბეჭდილი ესტამპის ჩარჩოს, ხოლო ბაგრატიონების საგვარეულო გერბი — 1711 წლის „დავითნის“ გერბს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ 1737 წელს ვესვიატსკოეში დაბეჭდილ „დავითნში“ გამოყენებული ჩარჩოსა და ბაგრატიონთა გერბის გრავიურა, ისევე როგორც სხვა ესტამპები, თბილისიდან უნდა იყოს წაღებული ანდა რუსეთში დამზადებული ვახტანგის სტამბის რომელიმე ყოფილი მხატვარ-გრავიორის მიერ.

გერბის შემდეგ, ახალი ფურცლიდან იწყება იოსებ სამებელის წინასიტყვაობა. მას წინ უძღვის ხშირბუჩქიანი თაესართი. ბუჩქის შუაგულში ჩასმულია მედალიონისებური ოვალური წრე. რომელშიაც გამოსახულია ზურგიან ტახტრევანზე ჩამომჯდარი შემოსილი იესო. გრავიურაზე ამოკვეთილია ასოები „Uc — Xp“, ანუ იესო ქრისტე. ჩანს, ეს გრავიურა ქართველებს იმ დროს მოსკოვში არსებული რომელიღაც რუსული სტამბიდან აქვთ ნათხოვარ-შესყიდული ანდა მათი შეკვეთით ვიღაც უცხო გრაფიკოსის მიერაა დამზადებული.

„დავითნისათვის“ წამძღვარებული იოსებ სამებელის წინასიტყვაობის ბოლოსართად გამოყენებულია ცნობილი ყვავილებიანი ვაზა. ამა-

ვე წიგნის 50-ე გვერდზე დაბეჭდილია დავით წინასწარმეტყველის ესტამპი. აღსანიშნავია, რომ მასსა და 1712 წელს თბილისში გამოცემულ „დავითნში“ მოთავსებულ დავით წინასწარმეტყველის ესტამპს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ვპოულობთ. ამიტომ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 1737 წელს ვესვიატსკოეში გამოცემულ „დავითნში“ დაბეჭდილი ებრაელთა სახელოვანი წინაპრის პორტრეტი 1712 წლის „დავითნში“ გამოქვეყნებული ესტამპია და იგი ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის გრავიურასთან ერთად თბილისიდანაა წაღებული 1724 წელს.

1712 წლის „დავითნის“ მსგავსად აქაც თავი ასოები დეკორატიულადაა გაფორმებული. ყოველი ახალი ტექსტის დასაწყისში პირველი ხუთი სტრიქონი შეჭრილია ორი კვადრატით და თავისუფალ ადგილას შედგმულია ოთხკუთხედი ჩარჩო, რომელშიაც ხან გუმბათიანი ეკლესიის წინ დაჩოქილი მოხუცია გამოსახული, ხან მცენარეულ-ყვავილოვანი ფონი და ა. შ. ამავე ჩარჩოში შედარებით თავისუფალ ადგილას გრავირებულია თავი ასო.

უნდა ითქვას, რომ 1737 წლის „დავითნი“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით თბილისში გამოცემულ წიგნებთან შედარებით ერთგვარად ღარიბულად გამოიყურება. ეს არც გასაკვირია, რადგანაც იგი წარმოადგენს პირველ ცდას უცხოეთში მოხვედრილი ბედუკუღმართი ქართველებისა.

1738 წელს ვესვიატსკოეს სტამბაში იბეჭდება უკვე მეორე წიგნი „ზატიკი“. ეს ამ წიგნის პირველი გამოცემაა, ადრე იგი არასოდეს ყოფილა დაბეჭდილი. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის 30 — 40-იანი წლებისათვის „ზატიკი“ მთლიანად არ ყოფილა თარგმნილი. ამიტომ ქრ. გურამიშვილს შეუკრებია ამ წიგნის მანამდე არსებული ნუსხები, ერთმანეთისათვის შეუდარებია, ერთი მთლიანი დედანი შეუდგენია და რაც გამოტოვებული ყოფილა, არჩილ მეორის ასულის დარეჯანის კარის მღვდლის გიორგისათვის უთარგმნინებია რუსულიდან, ხოლო ქართულად ხუცესმონაზონ დავით ხოსაშვილისათვის „გაუმართვინებია“.

1737 წლის „დავითნის“ მსგავსად „ზატიკის“ თავფურცლის თავსართად გამოყენებულია იგივე ხშირბუჩქიანი ყვავილოვანი ორნამენტი, რომლის შუა გულშიაც ჩასმულია ოვალურ-მედალიონისებურ ჩარჩოში მოთავსებული იესოს ხატი. ზედმიწევნით მსგავსებას ვხვდებით „ზატიკისა“ და თბილისის სტამბაში გამოცემული წიგნების ბოლოსართებს

შორისაც. ყვავილებიანი ვაზა, ტექსტის ბოლო სტრიქონების ნავისებური წყობა და ა. შ. ჩვენს ზემოგამოთქმულ მოსაზრებას ეჭვმიუტანელსა ხდის.

„ზატიკი" დაბეჭდილია ორ ფერში — შავსა და წითელში. ცალკეული გვერდებიც მთლიანად წითელ ფერშია ნაბეჭდი, შავით თითო-ოროლა სტრიქონია გამორეული. აღსანიშნავია, რომ „ზატიკი" პირველი ქართული წიგნია, რომლის პაგინაციაც არაბული ციფრებითაა შესრულებული.

1739 წელს ვესვიატსკოეს სტამბაში იბეჭდება ბასილი მაკედონელის „ტესტამენტი". როგორც მისი საგამომცემლო მონაცემებიდან ირკვევა, ალექსანდრე არჩილის ძეს იგი ორიგინალიდან კი არ უთარგმნია, არამედ რუსულიდან.

მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებისა და პოლიგრაფიული დონის თვალსაზრისით „ტესტამენტი" ვესვიატსკოეს სტამბაში გამოცემულ სხვა წიგნებთან შედარებით ღარიბულად გამოიყურება. ძირითადი ტექსტისაგან სათაურები გამოყოფილია უფრო მსხვილი შრიფტით. ნაბეჭდია მხოლოდ შავ ფერში. თავ და ბოლოსართებად გამოყენებულია ბურბუშელას მსგავსი ხვეული გრძივი ორნამენტი, ერთმანეთის მიყოლებით ჰორიზონტალურად ასხმული ანგელოზების საოცრად მინიატურული პორტრეტები. წიგნის დასასრულს, ტექსტის ქვეშ, დაბეჭდილია ცნობილი ყვავილებიანი ვაზა.

1739 წელს „ტესტამენტის" გარდა ვესვიატსკოეში დაიბეჭდა აგრეთვე თეოფანე პროკოპოვიჩის წიგნი „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელთა შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთა, ეგრეთვე მოკლე თარგმანი შჯულისა, ათთა მცნებათა, ვედრება უფლისა, აღსარება სარწმუნოებისა და ცხრანი ნეტარებანი". იგი არჩილ II-ის ასულის დარეჯანის მოლარეთუხუცესს გაბრიელ ჩხეიძეს უთარგმნია რუსულიდან ქართულად [1].

„ტესტამენტის" მსგავსად თ. პროკოპოვიჩის „პირველი სასწავლო ყრმათა..." მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით არ ბრწყინავს. ვერც პოლიგრაფიული თვალსაზრისით დგას სათანადო სიმაღლეზე. თაეფურცელი დაკაბადონებულია უბრალოდ, ყოველგვარი ჩარჩოებისა და სხვა სახის სამკაულების გარეშე. თავსართად გამოყენებულია ჩვეულებრივი

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 37.

12-პუნქტიანი ორნამენტული ჰორიზონტალური ხაზი და ერთმანეთის მიყოლებით ასხმული ანგელოზების მინიატურული პორტრეტები, ბოლოსართად კი — კვლავ ყვავილებიანი ვაზა.

ძირითადი ტექსტი აწყობილია ნუსხურით. აქ თავსართად გამოყენებულია 1737 წლის „დავითნისა“ და 1738 წლის „ზატიკის“ მსგავსი გრავიურა — ხშირბუჩქოვან-ყვავილოვან ორნამენტში ჩასმული იესოს ხატი. განსხვავება ამ გრავიურებს შორის ის არის, რომ თ. პროკოპოვიჩის წიგნის თავსართი წარმოადგენს მხოლოდ ბუჩქს, ყვავილების გარეშე; ამასთანავე, ბუჩქის შუაგულში მოთავსებულ მედალიონისებურ ჩარჩოში იესო გამოსახულია არა მთლიანი ტანით, არამედ წელამდე. ყოველივე ამის გამო, თ. პროკოპოვიჩის წიგნში გამოყენებულ თავსართს მეორე ვარიანტს ვუწოდებთ, ხოლო „დავითნსა“ და „ზატიკში“ დაბეჭდილს — პირველს.

მესამე წიგნი, რომელიც იმავე 1739 წელს დაიბეჭდა ვესესვიატსკოეში, არის „სახარება“, ისტორიკოსი დ. ბაქრაძე კი მას რატომღაც 1737 თუ 1738 წლების გამოცემად თვლის.

„სახარების“ ძირითადი ტექსტი, საძიებლის გარდა, სიტყვასიტყვით მისდევს თბილისის სტამბაში პირველად დაბეჭდილ „სახარებისას“. ეს მოწმობს, რომ 1739 წლის „სახარება“ 1709 წელს დაბეჭდილის ხელახალ გამოცემას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ეჭვმიუტანელსა ხდის წიგნისათვის წამძღვარებული იოსებ სამებელის წინასიტყვაობა, სადაც ნათქვამია: „დაიბეჭდა წმიდა ესე სახარება ჩვენს პირველს სტამბის სახარებაზე, თვინიერ მისის საძიებელისა, ხოლო საძიებელი რუსული ვამჯობინეთ, ადვილად პოვნისა და მიხდომის თვის“ [1]. ციტატაში ნათქვამი „ჩვენს პირველს სტამბის სახარებაზე“ 1709 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილ „სახარებას“ ნიშნავს.

წიგნის პირველი გვერდი დათმობილი აქვს თავფურცელს. აქ თავსართად გამოყენებულია ჩვენთვის უკვე ცნობილი ხშირფოთლოვან-ყვავილებიანი ბუჩქი, რომლის შუაგულშიაც გამოსახულია მედალიო-

---

1 ქართული წიგნი, 1941, გვ. 39.

ნისებურ ოვალურ ჩარჩოში ტახტრევანზე მჯდარი იესო მთელი ტანით. თავფურცლის შემდეგ, ახალ გვერდზე, დაბეჭდილია ბაგრატიონთა გერბი ყალყზე შემდგარი ორი ლომით.

თვით წიგნის ძირითადი ტექსტი აწყობილია ნუსხურით და მოთავსებულია ორხაზოვან უბრალო პოლიგრაფიულ ჩარჩოში. ნაბეჭდია ორ ფერში — შავსა და წითელში. თავი ასოები გაფორმებულია დეკორატიულად.

ვსესვიატსკოეში დაბეჭდილი „სახარება“, ისევე როგორც 1709 წელს თბილისში გამოცემული, ოთხი თავისაგან შედგება. თითოეულ მათგანს წინ უძღვის მთლიან ფურცელზე დაბეჭდილი შესაბამისი მოციქულის ესტამპი, რომელიც 1709 წლის „სახარებაში“ მოთავსებული მოციქულების პორტრეტების ასლს წარმოადგენს. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ისინი საქართველოდან იყოს წაღებული 1724 წელს.

1739 წლის „სახარება“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის თქმა პოლიგრაფიული დონის შესახებ არ შეგვიძლია. ჩარჩოსათვის გამოყენებული ხაზები დაგრეხილ-დაბრეცილია, ზოგან გამორჩენილია წითელი საღებავით ჩასაბეჭდი ადგილები და სხვა.

ვსესვიატსკოეში გამოცემულ წიგნებს შორის მაღალმხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით გამოირჩევა 1741 წელს დაბეჭდილი „მარხვანი“. ეს წიგნი მანამდე სტამბურად არც ერთხელ არ ყოფილა გამოცემული. მისი ტექსტი რუსულთან შედარება-შეჯერების მიხედვითაა ნასწორები.

განსაკუთრებით მდიდრულადაა გაფორმებული „მარხვანის“ თავფურცელი. ზევით თავსართის სახით დაბეჭდილია ყვავილოვან-ხშირფოთლოვანი ბუჩქი შუაში ტახტრევანზე მჯდარი იესოს გამოსახულებით. რაც შეეხება თავფურცლის ტექსტს, ანუ საგამომცემლო მონაცემებს, იგი მოთავსებულია ზამბარისმაგვარი ორნამენტის ოთხკუთხედ ჩარჩოში. ამ ორნამენტული ხაზების შეერთების ოთხსავე კუთხეში გაბოსახულია ანგელოზების თავები.

თავფურცლის მომდევნო თავისუფალ გვერდზე ტრადიციული წესის თანახმად დაბეჭდილია ხალიჩისმაგვარ მდიდრულ ჩარჩოში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი ყალყზე შემდგარი ორი ლომის გამოსახულებით.

„მარხვანი“ დაყოფილია თავებად. ერთის თავსართად გამოყენებუ-

ლია ამავე წიგნის თავფურცლის კაზმულობა — ხშირფოთლოვანი ბუჩქის შუაგულში მოთავსებული მედალიონისებური ჩარჩო იესოს ხატით. აქ მაცხოვარი გამოსახულია არა მთლიანი ტანით, არამედ წელს ზევით. მას მარცხენა ხელში წიგნი უჭირავს, მარჯვენათი კი კურთხევას აცლენს. მეორე თავსართს წარმოადგენს 1711 წელს თბილისში დაბეჭდილი მცირე ფორმატის „ჟამნში“ გამოყენებული „სერობის“ მსგავსი გრავიურა. კომპოზიციურად იგი შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი: გაშლილ სუფრას უსხედან ბიბლიური ღვთისმსახურნი, შუაში მოჩანს იესო. მაგიდაზე დგას თუნგი, ბარძიმ-ფეშხუმი, ჯამი, აქვე დევს გახსნილი დანა. 1711 წლის „ჟამნის“ გრავიურასა და „მარხვანის“ თავსართის შორის მხოლოდ სიუჟეტური მსგავსება შეინიშნება. მესამე თავსართად დაბეჭდილია „ჯვარცმა“ — გოლგოთას მთაზე ჯვარზე გაკრული იესო და სხვა.

ტექსტი აწყობილია ორ სვეტად. შრიფტი მაღალი, სწორხაზოვანი ნუსხურია.

ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ფერების საოცრად გაბედული მონაცვლეობა. წიგნში უხვადაა გამოყენებული წითელი საღებავი. წითლითაა ნაბეჭდი, მაგალითად, სათაურები, დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოები, სტრიქონები, აბზაცები. ვხვდებით აგრეთვე წითლით ნაბეჭდ მთლიან გვერდებს, რომელთა სტრიქონების ყოველი წინა ასო შავი საღებავითაა გამოსახული. ფერების ასეთი ჰარმონიული მონაცვლეობა წიგნს მხატვრულად ძალზე ემოციურსა ხდის.

1743 წელს ვსესვიატსკოეში იბეჭდება „ბიბლია“. იგი 1711 — 1712 წლებში თბილისში დასტამბულ ამავე წიგნთან შედარებით უფრო სრული გამოცემაა.

1743 წლის „ბიბლია“ არქიტექტონიკის მხრივ არაფრით არ განსხვავდება ძველი ნაბეჭდი წიგნებისაგან. პირველი გვერდი დათმობილი აქვს თავფურცელს. აქ მოთავსებული საგამომცემლო მონაცემებით ვგებულობთ იმ მესტამბეთა ვინაობას, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს „ბიბლიის“ ბეჭდვაში. ესენი ყოფილან დარეჯანის კარის ეკლესიის მღვდლები ფილიპე და დავითი, ხოლო მოთავეობა ანუ საერთო ხელმძღვანელობა ქრ. გურამიშვილს ჰქონია დაკისრებული [1].

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 44.

თავფურცელზევე, საგამომცემლო მონაცემების ქვეშ, დაბეჭდილია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი ორი ლომის გამოსახულებით. მთლიანად თავფურცელი საგამომცემლო მონაცემებითა და გერბით მოთავსებულია ორმაგ სწორხაზოვან პოლიგრაფიულ ჩარჩოში. შემდეგ მოდის ბაქარის წინასიტყვაობა, რომლის თავსართადაც გამოყენებულია ხშირფოთლოვან ბუჩქში ჩასმული მედალიონისებური წრე იესოს წელამდე გამოსახულებით. ესაა ამ გრავიურის მეორე ვარიანტი.

წიგნს აქვს აგრეთვე ვახუშტის ბოლოსიტყვაობა.

1743 წლის „ბიბლია“ 1711 — 1712 წლების ვახტანგისეულ გამოცემას მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით არაფრით ჩამოუვარდება. პირიქით, სხვადასხვა სახის პოლიგრაფიული სამკაული აქ უფრო ჭარბადაა გამოყენებული.

ყურადღებას იპყრობს თავი ასოების მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება. სხვა ძველი ნაბეჭდი წიგნების მსგავსად ისინი ოთხკუთხედ ჩარჩოშია მოთავსებული და ტექსტში შეჭრით შედგმული. ჩარჩოს შიდა ფონი, რომელზედაც გამოსახულია თავი ასოები, სხვადასხვანაირია. ბევრი მათგანი ადრე გამოცემულ წიგნებშია გამოყენებული: გუმბათიანი ეკლესია, რომლის წინაც მოჩანს მუხლებზე დაჩოქილი მლოცავი, დავით წინასწარმეტყველი სამეფო გვირგვინითა და სკიპტრით ხელში, ჩარჩოს ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახული მზე, ქვედა მარცხენა კუთხეში კი — მუხლებზე დაჩოქილი მლოცავი მზისკენ ხელებგაწვდილი, იესოს ხატი და სხვა.

წიგნში გამოყენებულია აგრეთვე სხვადასხვა სახის ბოლოსართები. ყვავილებიანი ვაზის გარდა აქ ვხვდებით ფოთლოვან-მცენარეულ სამკაულებს, ხვეულორნამენტიან ხაზებს, ყვავილების გირლანდებს და ა. შ.

378-ე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს ილუსტრაციებს, რომლებიც სიუჟეტურად ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მათ შორის უნდა გამოიყოს დავით წინასწარმეტყველის ესტამპი. ფორმატით იგი აქ წარმოდგენილ გრავიურებს შორის ყველაზე დიდია და ძალზე წააგავს 1717 წელს თბილისში გამოცემული „დავითნის“ ცნობილ ესტამპს. დავითი ზის უზურგო სკამზე. მარცხენა ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს, მარჯვენაში — საწერ-კალამი. უკანა ფონზე მოჩანს ეკლესიის დაგმანული კარი თუ ფანჯარა და მეორე მხარეს — ლირა. ეს უკანასკნელი დეტალი რომ არა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ 1743 წლის „ბიბლიაში“ გამოყენებული იყო 1717 წელს „დავითნში“ დაბეჭდილი და-

ვით წინასწარმეტყველის ესტამპი. ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, რომ თბილისის „დავითნის“ ესტამპში ლირას მაგივრად არქიტექტურული ნაგებობაა გამოსახული. მაგრამ ეს ფაქტი სრულიადაც არ გამორიცხავს, რომ „ბიბლიის“ დავით წინასწარმეტყველის ესტამპი ქართველი ოსტატის მიერ იყოს დამზადებული.

„ბიბლიის“ ტექსტი აწყობილია ნუსხურით ორ სვეტად. ყოველ გვერდში დაკაბადონებულია 55 სტრიქონი. წიგნი დაბეჭდილია ერთ ფერში.

1743 წელსვე დაუბეჭდიათ ვსესვიატსკოეში „ჟამნი“. ეს წიგნი ადრე, ჯერ კიდევ თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში რამდენჯერმეა გამოცემული. ეს გამოწვეული უნდა იყოს ადრე დაბეჭდილი ტირაჟების სიმცირითა და ამ წიგნზე დიდი მოთხოვნით. საყურადღებოა, რომ ყველა გამოცემა, მათ შორის 1743 წლისაც, ტექსტუალურად 1710 წლის „ჟამნის“ განმეორებას წარმოადგენს. სამაგიეროდ, მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მხრივ წინა გამოცემებსა და 1743 წელს დაბეჭდილ „ჟამნს“ შორის არსებითი განსხვავება შეინიშნება. ამ მხრივ ეს უკანასკნელი ძალზე დაბალ დონეზე დგას.

ვსესვიატსკოეში დაბეჭდილი წიგნებიდან ცალკე უნდა გამოიყოს იოანე დამასკელის „გარდმოცემა უცილობელი მართლ მადიდებლისა სარწმუნოებისა“, სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“ და „ლოცვა ახლად თარგმნილი რუსულისაგან“, რომელსაც ავტორი არა ჰყავს. ამ წიგნებმა ჩვენამდე უთავფურცლებოდ მოაღწიეს და ამიტომ მათი გამოცემის თარიღები დღემდე დაუდგენელია. აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ჩვენ მიერ 1888 წლის გაზეთ „ივერიაში“ მიკვლეული ერთი საყურადღებო ცნობა. ეს არის „სია ხელ-ნაწერებისა, რომელიც შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებასა“ ბ-მა მ. დ. ალექსი-მესხიშვილმა“. მასში ნათქვამია: „იოანე დამასკელის თხზულებანი, ნაბეჭდი. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „დაიბეჭდა წიგნი ესე იოანე დამასკელის დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე ვსნბ, ქრისტეს აქეთ ჩღმდ, ქორონიკონსა ულა, თვესა კც. მდაბალი ამათ მბეჭდავი ზედა მდგომელი უღირსი მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე“ [1].

მ. დ. ალექსი-მესხიშვილის მიერ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეწირული სტამბურად ნაბეჭდი იოანე დამასკელის უსათაურო

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1888, № 238.

თხზულების ზემოციტირებული წინასიტყვაობა სინამდვილეში უნდა იყოს ამავე ავტორის „გარდმოცემა უცილობელი მართლ მადიდებლისა სარწმუნოებისა“ თავფურცელი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ აღნიშნული წიგნის გარდა სხვა რაიმე ნაშრომი იოანე დამასკელისა არამცთუ ვესესვიატსკოეს, არამედ არც ერთ ძველ ქართულ სტამბაში არ დაბეჭდილა.

ჩანს, მ. დ. ალექსი-მესხიშვილს, რომელიც შთამომავალი უნდა იყოს ამ გვარის წარმომადგენელი ცნობილი მესტამბე-გამომცემლებისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს ი. დამასკელის „გარდმოცემა უცილობელი მართლ მადიდებლისა სარწმუნოებისა“ სრული ცალი, რომლის თავფურცელშიაც მოცემული ყოფილა ამ წიგნის დაბეჭდვის თარიღი: „დაიბეჭდა წიგნი ესე იოანე დამასკელის დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს... ქრისტეს აქეთ ჩღმდ, ქრონიკონსა ულა, თვესა კც“. აქედან ირკვევა, რომ ი. დამასკელის „გარდმოცემა უცილობელი მართლ მადიდებლისა სარწმუნოებისა“ დაუბეჭდავთ 1744 წლის 28 მაისს.

ზემოდასახელებულ ორ წიგნთან შედარებით „გარდმოცემა უცილობელი მართლ მადიდებლისა სარწმუნოებისა“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მხრივ გაცილებით უკეთაა გამოცემული. თავსართად გამოყენებულია ხშირფოთლოვან-ყვავილოვანი ბუჩქი შუაში იესოს ხატით. ამ თავსართს ვხედებით ვესესვიატსკოეს თითქმის ყველა გამოცემაში, მაგრამ განსხვავება მათსა და ი. დამასკელის წიგნს შორის ის არის, რომ ამ უკანასკნელის თავსართი მოთავსებულია ბურბუშელას-მაგვარი ხვეული ორნამენტის ოთხკუთხედ ჩარჩოში.

ძირითადი ტექსტი აწყობილია ნუსხურით. თვალში გვხვდება თავსა, ბოლოსა და გვერდებზე ჰარბად დატოვებული არეები. ტექსტი რომ სხვა ზომაზე ყოფილიყო აწყობილი, მაშინ ქაღალდის ეკონომიაც იქნებოდა გაწეული და ესთეტიკურობის თვალსაზრისითაც უფრო მოიგებდა. თავი ასოები დეკორატიულადაა გაფორმებული. წიგნი დაბეჭდილია ორ ფერში — წითელსა და შავში.

კვლავ დაუდგენელი რჩება სტეფანე იავორსკის ნაშრომის „კლდე სარწმუნოებისა“ გამოცემის თარიღი. ასევე არ ვიცით მისი მთარგმნელის ვინაობა. ალ. ცაგარელის ცნობით, იგი თითქოს ვახუშტის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. საიდან, როგორ?! მკვლევარი ამ თავის მოსაზრებას ვერ ასაბუთებს. როგორც ირკვევა, ეს წიგნი ს. იავორსკის იმავე

სახელწოდების ნაშრომის სრულ თარგმანს არ წარმოადგენს. „ქართულ წიგნში“ ამის შესახებ ნათქვამია: „1705 წლის გამოცემასთან შედარებამ გვიჩვენა, რომ წინამდებარე გამოცემა (ქართული) წარმოადგენს იავორსკის კაპიტალური ნაშრომის თარგმანის ნაწილს“ [1].

წიგნი მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისითაც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ტექსტი აწყობილია ნუსხურით ორ სვეტად. თავსართად გამოყენებულია იგივე სამკაული, რომელიც დაბეჭდილია ი. დამასკელის „გარდმოცემა უცილობელი მართლ მადიდებლისა სარწმუნოებისაში“, — ხშირფოთლოვან-ყვავილოვან ჩარჩოში მოთავსებული იესოს ხატი.

დაბოლოს კიდევ ერთი უთარიღო წიგნის შესახებ. ეს არის „ლოცვა ახლად თარგმნილი“. მისი მთარგმნელისა და რედაქტორის ვინაობის განსაზღვრისათვის ყურადღებას იქცევს ტექსტის წინ არსებული შემდეგი ცნობა: „რუსულისაგან ქართულად თარგმნილი ბატონის შვილის ალექსანდრესაგან. წირვაზედ სათქმელი და მარილ ზავებული ყაფლანის შვილის ტფილელ მიტროპოლიტის ნიკოლოზისაგან, ამას ყოველნი იტყვიან, რომელთაც ენებოს, ერის კაცნიცა“ [2].

აქედან ვგებულობთ, რომ წიგნის მთარგმნელი ყოფილა ალექსანდრე არჩილის ძე, ხოლო რედაქტორ-გამმართველი ანუ „მარილ მზავებელი“ — თბილისის სტამბის ცნობილი მოღვაწე საბა-სულხან ორბელიანის ძმა ნიკოლოზი.

ამრიგად, კვლავ საძებნი რჩება „ახლად თარგმნილი ლოცვანის“ დაბეჭდვის თარიღი.

ტექსტი იწყება პირველივე გვერდიდან. აწყობილია წვრილი ნუსხურით, სათაური გამოყოფილია მსხვილი შრიფტით და ჩასმულია უბრალო ჩარჩოში.

ნაბეჭდია წიგნი მარტო შავ ფერში.

* * *

ერეკლე II-ის სტამბის წიგნები დიდადაა დავალებული ვახტანგ VI-ისა და ვესესვიატსკოეს გამოცემებისაგან არა მარტო თემატურად, არამედ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მხრივაც. პირველ რიგში ეს შეინიშნება ამ წიგნების ვახტანგისეულ გამოცემებთან

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 48.

[2] იქვე.

შედარებისას. მსგავსება-წამბაძველობას ვხედავთ როგორც ერთი და იმავე სახელწოდების წიგნების გარეგნულ სახეში ანუ ფორმატის ერთგვაროვნებაში, ასევე წვრილმან დეტალებშიც კი, კერძოდ, სათაურსა და ტექსტის დაწყებას შორის მანძილის დაცვაში, არეების სიდიდეში, თავი ასოების ჩასაბეჭდად დატოვებულ სტრიქონთა რაოდენობის შეჯრაში და ა. შ. უფრო მეტიც, როგორც ქვევით დავინახავთ, ერეკლესეულ წიგნებში ხშირად გამოყენებულია ვახტანგის სტამბიდან გადარჩენილი მოციქულთა ესტამპები, სხვადასხვა სახის გრავიურები და მთელი რიგი პოლიგრაფიული მასალები.

აღნიშნულის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თუ წიგნების რედაქტირებისა და ლიტერატურული დამუშავების დონით ერეკლესეული სტამბის გამოცემები არამცთუ რაიმეთი ჩამოუვარდებიან თბილისისა და ვსესვიატსკოეს წიგნებს, არამედ ზოგიერთი მათგანი ამ მხრივ მაღლაც კი დგას, რაც თავისი დროის დიდი განმანათლებლის ანტონ 1-ის დამსახურებას უნდა მიეწეროს, ამას ვერ ვიტყვით მათ მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებასა და განსაკუთრებით პოლიგრაფიულ დონეზე. ამ მიმართებით რაიმე სიახლეს ვერ ვხვდებით. ყოველივე ეს პირველ რიგში კადრების ნაკლებობითა და მასალების უქონლობით უნდა აიხსნას.

ერეკლე II-ის სტამბაში, ისევე როგორც ვსესვიატსკოეში, პირველად „დავითნი“ დაიბეჭდა. ეს იყო 1749 წელს. ტექსტი აწყობილია წინა გამოცემის მიხედვით. რაიმე არსებითი სხვაობა მათ შორის არ შეინიშნება. იგივე უნდა ითქვას წიგნის არქიტექტონიკაზე. იწყება იგი ტრადიციული თავფურცლით, რომელიც მოთავსებულია წვრილხაზოვან ვარსკვლავებიან ჩარჩოში. თავსართად გამოყენებულია სამფოთლა ყვავილების ზოლისა და ანგელოზების თავებისაგან კომბინირებული თაღოვანი ჩარჩო, რომლის შიდა თავისუფალ არეშიც ჩაბეჭდილია მსხვილი შრიფტით წიგნის სახელწოდება.

თავფურცლის უკანა მხარეს მოთავსებულია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი ყალყზე შემდგარი ორი ლომის გამოსახულებით. 27-დან 32-ე გვერდამდე დაბეჭდილია სავარჯიშოები „სასწავლებლისა კაცთასა, რომელსა ენებოს სწავლა საღმრთოსა წერილისა“ [1]. ამ სათაურის ქვეშ გამოსახულია მრგლოვანი და ნუსხური ასოები ოთხ ჯგუფად, მარცვალთა 12 ჯგუფი და ქარაგმების ნიმუშები.

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 51.

სავარჯიშოები ამით როდი მთავრდება. ქარაგმების შემდეგ კვლავ დაბეჭდილია თაღოვანი ყვავილებიანი ჩარჩო, რომლის შიგნითაც მოთავსებულია სათაური: „ციფრი, რომელ არს რიცხვი ელენთა და ლათინთა, ხოლო ჩვენ უწოდეთ ნულა“. ამჯერად უკვე მოცემულია არაბული ციფრები 1-დან 1000-მდე.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე დავით წინასწარმეტყველის ცნობილი პორტრეტი. ამის შემდეგ ახალი გვერდიდან უკვე იწყება თვით „დავითნის“ ტექსტი, რომლის თავსართადაც გამოყენებულია ხშირი, ბრტყელფოთლოვანი ყვავილების ბუჩქებში ჩასმული წელსზევით გამოსახული იესოს ხატი.

1749 წლის „დავითნსა“ და ამავე წიგნის ადრინდელ გამოცემათა შორის არსებული არქიტექტურული მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ მესტამბეები ამ წიგნის დაბეჭდვისას ერთნაირი ტრადიციული წესით ხელმძღვანელობდნენ,—თუ თავფურცლის შემდეგ რა უნდა მოეთავსებინათ, შემდეგ რა, და ასე მიყოლებით. გარდა ამისა, ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული წამბაძველობა შეინიშნება სამკაულთა შერჩევაშიც. წვრილხაზიან-ვარსკვლავებიან ჩარჩოს, რომელშიაც მოთავსებულია „დავითნის“ თავფურცელი, სამფოთლა-ყვავილებიან ორნამენტულ ხაზებს და ანგელოზების თაევბს ძალზე ხშირად ვხვდებით 1737 — 1744 წლებში ვსესვიატსკოეში გამოცემულ წიგნებში.

როგორც ვიცით, ბაგრატიონების საგვარეულო გერბის ბეჭდვის ისტორია ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნებიდან იღებს სათავეს და გაგრძელებას ვსესვიატსკოეში პოულობს. ამ ტრადიციისათვის არც ერეკლე II-ის სტამბის მოღვაწეთ უღალატიათ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ ვახტანგის სტამბის წიგნებში ეს გერბი სამი ვარიანტით არის წარმოდგენილი, ვსესვიატსკოესა და ერეკლე II-ის სტამბების გამოცემებში მხოლოდ ერთი — მესამე ვარიანტის სახით ვხვდებით.

ერეკლე II-ის სტამბის „დავითნში“ დაბეჭდილი ბაგრატიონთა გერბი ზედმიწევნით ჰგავს ვსესვიატსკოეს წიგნებისას არა მარტო კომპოზიციურად, არამედ დეტალებშიაც კი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ზევით ჩამოთვლილ პოლიგრაფიულ კაზმულობებთან ერთად ის ან რუსეთიდან უნდა იყოს ჩამოტანილი ვსესვიატსკოეს სტამბის დახურვის შემდეგ, ანდა იქაური წიგნების გავლენით ქართველმა მხატვარ-გრავიორმა შექმნა თბილისში ერეკლე II-ის დავალებით.

XVIII საუკუნის რუსულ გრაფიკული სკოლის გავლენა ეტყობა

1749 წლის „დავითნში“ მოთავსებულ დავით წინასწარმეტყველის ესტამპსა და ხშირ, ბრტყელფოთლოვან ბუჩქში მოთავსებულ იესოს ხატს. ამაზე მიგვანიშნებს რუსული მხატვრობისათვის დამახასიათებელი ყვავილ-ფოთლების გამოსახვის თავისებური, დამახასიათებელი მანერა.

ერეკლესეული „დავითნის“ ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებად. ეს უკანასკნელი აღნუსხულია არაბული ციფრებით. წიგნი აწყობილია წვრილი ნუსხური შრიფტით და დაბეჭდილია მხოლოდ ერთ ფერში — შავში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1751 წელს დაბეჭდილი მეორე წიგნი — ანტონ I კათალიკოსის „ქადაგება“. იგი წარმოადგენს პირველ ორიგინალურ ნაწარმოებს ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს შორის.

დღეისათვის ჩვენამდე ანტონის „ქადაგების“ მხოლოდ ერთი ეგზემპლარია მოღწეული და ისიც დეფექტური — უთავფურცლო. მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით ეს წიგნი ბევრად ჩამორჩება 1749 წლის „დავითნს“. მასში ვერ ვხვდებით სამკაულებს, ესტამპებს, გრავიურებსა და ა. შ.

1751 წელს ანტონ I-ის „ქადაგების“ შემდეგ ერეკლე II-ის სტამბაში იბეჭდება „კონდაკი“. ეს ამ წიგნის მეორე გამოცემაა, პირველად იგი 1710 წელს თბილისში დაუსტამბავთ. მისი რედაქტორი ცნობილი მწიგნობარი სიონის დიაკვანი გერმანე იყო. ამ უკანასკნელს „კონდაკის“ სასტამბო დედანი ძველი ქართული ნუსხების მიხედვით გაუმართავს და იგი ბერძნულ-რუსული წყაროებისათვის არ შეუდარებია. 1751 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“ ამ მხრივ უფრო სრულყოფილ გამოცემას წარმოადგენს. მასში თავმოყრილია „მწუხრისა და ღამისთევის ანუ ცისკრის ლოცვები“, რომლებიც რუსული დედნის მიხედვითაა გასწორებულ-გამართული.

როგორც 1710 წლის „კონდაკი“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით თბილისის სტამბის მშვენებას წარმოადგენს, ასევე ამ წიგნის 1751 წლის გამოცემა შეიძლება ერეკლე II-ის სტამბის ეტალონად ჩაითვალოს. იგი მდიდრულადაა გაფორმებული. თავფურცლის ზედა კაზმულობა წარმოადგენს ბრტყელფოთლა-ყვავილოვან ბუჩქს, რომლის შუა ალაგას, მორკალულ ფრთლებს შორის, გამოსახულია ჯვარი. თავფურცლის ტექსტი ანუ საგამომცემლო მონაცემები მო-

თავსებულია გირჩებიან წვრილხაზიან ჩარჩოში. აქ ყურადღებას იპყრობს სტრიქონს გარეთ გატანილი წითლით გამოსახული თავი ასოები და ერთმანეთის მონაცვლეობით წითლითა და შავით ნაბეჭდი სტრიქონები.

თავფურცლის უკანა მხარეს მოთავსებულია ერეკლე II-ის წიგნებისათვის დამახასიათებელი ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი ყალყზე შემდგარი ორი ლომის კომპოზიციით. ტექსტი იწყება მესამე გვერდიდან. აქ თავსართად გამოყენებულია ხშირი, ბრტყელფოთლება ყვავილებიანი ბუჩქი, რომელშიაც ჩასმულია მედალიონი იესოს გამოსახულებით. კომპოზიცია მარტივია. იესო მოჩანს მთლიანი ტანით. იგი ზის ტახტრევანზე, მარცხენა ხელში წიგნი უჭირავს, მარჯვენათი კი კურთხევას ავლენს. ეს არის ვესვიატსკოეს წიგნებიდან გადმოღებული თავსართი. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ „კონდაკში“ ყვავილფოთლების მოხაზულობა უფრო ნაზია და ჰაეროვანი.

წიგნი დაყოფილია თავებად და მუხლებად. ფოთლოვან-ყვავილოვან ბუჩქში მოთავსებული იესოს ხატის გარდა, თავსართად გამოყენებულია აგრეთვე 1749 წლის „დავითნისეული“ სამკაული—სამფოთლოვანი ყვავილების ზოლითა და ანგელოზების თავებით კომბინირებული თაღოვანი ჩარჩო, რომლის კამარის ქვეშაც თავისუფალ ადგილას ჩაბეჭდილია ამა თუ იმ თავის ან მუხლის სათაური მსხვილი შრიფტითა და წითელი საღებავით, ხოლო თავი ასოები გამოსახულია შავით.

თავსართადვეა გამოყენებული აგრეთვე ე. წ. „ჯვარცმის“ კომპოზიცია. მთლიანი ფურცლის ნახევარი დათმობილი აქვს სწორ, წვრილხაზოვან, ოთხკუთხედ ჩარჩოს, რომლის შიგნითაც გრავირებულია მრგვალი წრე. ჩარჩოსა და წრეს შორის დარჩენილი გარეთა თავისუფალი ადგილი დაფარულია შავი ფონით და მასზე თეთრად გამოსახულია ფოთლოვან-მცენარეული. შიგ წრეში მოჩანს ჯვარზე გაკრული ქრისტე. ამ გრავიურის ქვევით დაბეჭდილია სამფოთლოვანი ყვავილების ზოლითა და ანგელოზების თავებით კომბინირებული თაღოვანი ჩარჩო წითლით გამოსახული სათაურით. თავფურცლისაგან განსხვავებით თავი ასოები ოთხკუთხედ დეკორატიულ ჩარჩოშია მოთავსებული და ტექსტშია შეჭრილი. სათაურების მსგავსად ესეც წითელი საღებავითაა ნაბეჭდი.

წიგნი ილუსტრირებულია აგრეთვე ესტამპებითა და გრავიურებით. 62-ე გვერდზე წითელ ფერში დაბეჭდილია ჩუქურთმიანი ფეშხუმის

გრავიურა, ხოლო 72-ე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს იოანე ოქროპირის პორტრეტს, რომელიც პირველად 1710 წელს თბილისში გამოცემულ „სამოციქულოში“ გამოქვეყნდა.

ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოდასახელებულ ორივე წიგნში — 1710 წლის „სამოციქულოსა“ და 1751 წლის „კონდაკში“ ერთი და იგივე — ვახტანგ VI-ის სტამბისეული იოანე ოქროპირის ესტამპია გამოყენებული? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გასაცემად რაიმე ხელმოსაკიდებელი მასალა არ უნდა არსებობდეს.

იოანე ოქროპირის პორტრეტთან ერთად „კონდაკში“ ვხვდებით წმინდა ბასილის ესტამპს და „სამების“ ხატს მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდას გამოსახულებით. ბასილის ესტამპი იმდენად ჰგავს 1710 წელს ვახტანგის სტამბაში გამოცემულ „კონდაკში“ მოთავსებულ ამავე წმინდანის პორტრეტს, რომ ეს გარემოება ამჯერადაც მხოლოდ ორივე წიგნში ერთი და იმავე ესტამპის გამოყენებით შეიძლება აიხსნას.

ბევრი რამ აქვს საერთო „კონდაკში“ დაბეჭდილ „სამების“ ხატს 1720 წლის თბილისის სტამბის „კურთხევანში“ გამოქვეყნებულ ამგვარსავე ესტამპთან. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ამ უკანასკნელში იგი გაცილებით უფრო მდიდრულ, სამმაგ ორნამენტულ ჩარჩოშია მოთავსებული, ვიდრე „კონდაკში“. ეს გარემოება სრულიადაც არ გვაძლევს უფლებას ამ ესტამპების ერთი და იგივეობა უარვყოთ. როგორც ვახტანგ VI-ისეული წიგნების გარჩევისას აღვნიშნეთ, „ეკლესიის კურთხევისათვის“ ესტამპი და ჩარჩო ცალ-ცალკე უნდა იყოს დამზადებული, რადგანაც ზუსტად ასეთსავე ჩარჩოშია ჩასმული 1712 წელს „ვეფხისტყაოსანში“ დაბეჭდილი ვახტანგ VI-ის პორტრეტი. წიგნი აწყობილია ნუსხური შრიფტით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ერეკლე II-ის სტამბაში მეორედ გამოცემული „დავითნი“. ეს არის ამ წიგნის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ცალი და ისიც დეფექტური. მას არც თავფურცელი გააჩნია და პირველ 33 გვერდთან ერთად აკლია ბოლო ნაწილიც. 1929 წელს ისტორიკოს დ. კარიჭაშვილს აუნუსხავს უკანასკნელ ფურცელზე ამოუკითხავს წიგნის დაბეჭდვის თარიღი — 1763 წელი. დღეს ციფრები აღარ იკითხება. ამიტომ, რამდენად სწო-

რია დ. კარიჭაშვილის ცნობა, ამის გადამოწმება ვერ მოხერხდა. ის კი, რომ „დავითნი“ ერეკლეს სტამბის არსებობის პირველ ხანებში ორჯერ გამოიცა, ეჭვს გარეშეა. ამას მოწმობს 1764 წელს დაბეჭდილ „კურთხევანში“ შემონახული შემდეგი ცნობა: „დროსა ამას, ბრძანებითა მისისა, მის კეთილმსახურებისა მეფისა ჩუენისა ირაკლისათა განახლდა რა და წარმოდგა ბეჭედი სტამბის ამის... დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი, მეორედ კონდაკი, მესამედ კვალად ფსალმუნი, და ეგრეთვე მცირედნი რომელნიმე სახმარად ეკლესიისა ჩვენ ქართველთასა“ [1].

„დავითნის“ ჩვენამდე დეფექტური სახით მოღწევამ გაართულა არა მარტო მისი გამოცემის თარიღის დადგენა, არამედ აგრეთვე ამ წიგნის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების ღირსებაზე სრულყოფილი აზრის შექმნა. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ტექსტი აწყობილია საშუალო ზომის ნუსხურით. ამასთანავე, წიგნი დაყოფილია რვეულებად და თითოეული მათგანი აღნუსხულია ქართული ასოებით. ასოითი პაგინაცია აქვს გვერდებსაც.

1763 წელს „დავითნის“ გარდა ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა აგრეთვე მეორე წიგნი — „ლოცვანი“, რომელიც სხვადასხვა ლოცვების კრებულს წარმოადგენს. კერძოდ, მასში შეტანილია „ლოცვა ზიარებისა“, „ძლევისათვის და შეწევნისა მხედრობათა“, „დიდი შეგვიწყალენ“, „პარაკლისი“ და „მშვიდობანი მიცვალებულთა“. ჩამოთვლილ ლოცვათაგან ზოგიერთი ადრე სხვა საეკლესიო საგალობელთა კრებულებში იყო დაბეჭდილი, 1763 წელს კი ისინი შეუკრებიათ და პირველად გამოუციათ ერთად.

წიგნს აქვს თავფურცელი. იგი ჩასმულია სადა ორნამენტების უბრალო პოლიგრაფიულ ჩარჩოში. მასში ვერ ვხვდებით ვერც ბაგრატიონების საგვარეულო გერბს და ვერც სხვა რამ ესტამპებსა და გრავიურებს. ნაკლებადაა წარმოდგენილი თავსართები და ბოლოსართები. ამ წიგნის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების დონეზე მეტყველებს ის, რომ მას სათაურიც კი არ გააჩნია.

ერეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს შორის ყურადღებას იქცევს 1764 წლის „კურთხევანის“ გამოცემის ისტორია. ამ წიგნისათვის დართულ მესტამბეთა ანდერძში ნათქვამია: „ოდეს მეფობდა საქართველოსა შინა კურთხევით მოხსენებული მეფე ვახტანგ, დროსა მას

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 55.

გამართულ იყო წიგნი ესე, რომელ არს კურთხევანი, ყოვლად სამღვდელოსა სამთავნელ ეპისკოპოსისა კვიპრიანესაგან, ბერძულსა კურთხევანსა ზედა, ვითა დედანი კურთხევაისა ამის მოუთხრობდა, და დაბეჭდილ იყოცა. და აწ, დროსა ამას, ბრძანებითა მისისა მის კეთილმსახურებისა მეფისა ჩუენისა ირაკლისათა გუეებრძანა ბეჭდვაი კურთხევანისა, და ვიწყეთ რა ვითა დედანსა ეწერა, და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა, იხილა უწმიდესობამან სანატრელისა მამათ მთავრისა ჩუენისა ანტონისამან, რომელ გარეგან ღრამმატიკისა, კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუენი და დედანიცა, რომელსა ზედ ესწერდით; და მოახსენა ძმასა თვისსა და მეფესა ირაკლის, და ამისათვის ებრძანა მისის მეფობისა უმაღლესობისაგან და მისის უწმიდესობისაგან მათის უწმიდესობის გლახაკს ბერს იღუმენს მხატვრის ძეს მიხაილს. და გაიმართა კანონსა ზედა ღრამმატიკისასა, და დაბეჭდილ იქნა რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლებოდა“ [1].

ამ ამონაწერში დასახელებული „კურთხევანი“, რომელიც 1764 წლის გამოცემისათვის დედნად გამოუყენებიათ, არის 1713 წელს თბილისის სტამბაში „ყამსა ბატონის შვილის უფლისა სვიმონის საქართველოს გამგებლობისასა“ დაბეჭდილი ამავე სახელწოდების წიგნი, სამთავნელ ეპისკოპოს კვიპრიანესა და არქიმანდრიტ სერგიოზის შეწევნით ბერძნულ დედანთან შედარებულ-შეჯერებული. როგორც ჩანს, მთარგმნელ-შემდარებლებს წიგნის საბეჭდად მომზადებისას მთავარი ყურადღება ბერძნული წყაროს ქართულად ზუსტად გადმოღებაზე გაუმახვილებიათ და ტექსტის სტილისტურ-გრამატიკული გამართვისათვის ჯეროვანი ყურადღება ვეღარ მიუქცევიათ. ამიტომ წიგნში ისეთი უხეში შეცდომები გაპარულა, რომ ანტონ კათალიკოსს საქმეში თვით ერეკლე II-ს ჩარევაც კი დასჭირვებია. დაბეჭდილი გვერდები გადაუყრიათ და მიხეილ ბერის მიერ სტილისტურ-გრამატიკულად გასწორებულ-გამართული 1713 წელს გამოცემული დედანი ხელახლა აუწყვიათ.

ამრიგად, 1764 წლის „კურთხევანის“ გამოცემას დედნად 1713 წელს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ამავე სახელწოდების წიგნი დასდებია.

„კურთხევანის“ თავფურცელი სამფოთლა ყვავილებიან ჩარჩოშია

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 56.

მოთავსებული, რომლის მეორე, უკანა თავისუფალ მხარესაც დაბეჭდილია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი მედალიონში ჩასმული იესოს კვართითა და ორი ლომის გამოსახულებით.

პირველი გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს ანტონ კათალიკოსის აკროსტიხულ ლექსს, რომლის კიდურწერილობა შემდეგნაირად იკითხება: „ირაკლი, მეფე საქართველოისი“. ლექსის შემდეგ, მეორე გვერდზე „სამების“ ხატია წარწერით: „სამებაო წმინდაო. ადიდე მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განმაახლებელი მეფე სრულიად საქართველოისა ირაკლი“.

წიგნს ბოლოში თითქმის უცვლელად დართული აქვს 1713 წელს თბილისში გამოცემული „მარხვანიდან“ გადმობეჭდილი ერთტაეპიანი ლექსი მენავისა და მბეჭდავთა შესახებ.

1764 წლის „კურთხევანის“ ტექსტი აწყობილია საშუალო ზომის ნუსხური შრიფტით. ზოგიერთ ალაგას გარეულია შედარებით უფრო წვრილიც. ამასთან, წიგნი დაყოფილია რვეულებად და თითოეული მათგანი აღნუსხულია ქართული ასოებით. ასოითი პაგინაცია აქვს გვერდებსაც.

1768 წელს იბეჭდება პრაქტიკული დანიშნულების წიგნი „ეპისკოპოსთა მიმართ“. იგი წარმოადგენს ე. წ. დებულებას, რომელშიაც დაწვრილებით ჩამოთვლილია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა უფლება-მოვალეობანი, მოცემულია სამღვდელმონაზვნო ცხოვრების წესები და სხვა. ამ დებულებას ბოლოს ხელს აწერენ ანუ ამტკიცებენ ერეკლე II და ანტონ კათალიკოსი.

პრაქტიკული დანიშნულების მიუხედავად, „ეპისკოპოსთა მიმართ“ 1763 წელს გამოცემულ „დავითნთან“ და „კურთხევანთან“ შედარებით მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით უფრო მაღლა დგას. წიგნი უთავფურცლოა. პირველი აუნუსხავი ფურცლის უკანა გვერდზე დაბეჭდილია სამების ხატი, რომელიც მოთავსებულია გირჩებიან, სამფოთლა ყვავილებიან და ვარსკვლავებიან სამმაგ ჩარჩოში. მომდევნო გვერდიდან უკვე იწყება ტექსტი. აქ თავსართად გამოყენებულია ანგელოზების მინიატურული თავებისაგან შეკრული თაღიანი ჩარჩო, რომლის კამარის ქვეშაც მსხვილი შრიფტით ჩაბეჭდილია წიგნის სათაური: „ეპისკოპოსთა მიმართ“.

მხატვრულადაა გაფორმებული აგრეთვე ბოლო ორი გვერდიც, რომლებიც ჩასმულია სამფოთლა ყვავილებიან ორნამენტულ ჩარჩოში.

ტექსტი ბოლოვდება ნავისებურად. წიგნი აწყობილია ნუსხური შრიფტით. თავი ასოები შეჭრილია ტექსტში და ჩაბეჭდილია მსხვილი შრიფტით ყოველგვარი დეკორატიული გაფორმების გარეშე.

1768 წლიდან ანუ „ეპისკოპოსთა მიმართვის“ გამოცემის შემდეგ ერეკლე II-ის სტამბაში წიგნები კარგა ხანს აღარ დაბეჭდილა. 1772 წელს გამოდის „პარაკლიტონი“ ანუ „სავედრებელი“. ეს წიგნი პირველად 1720 წელს დაიბეჭდა თბილისის სტამბაში, მაგრამ ამ ორ გამოცემას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

1772 წლის „პარაკლიტონი“ სრულიადაც არ წარმოადგენს წინა გამოცემის გამეორებას. იგი შედგენილი და გამართულია ანტონ კათალიკოსის მიერ ვლადიმირში ექსორიობისას. წიგნი ძირითადად აგებულია რუსულ წყაროებზე.

წიგნში ცალკე თავად შეტანილია „შაბათსა სერობისად გალობანი წმიდისა ღმრთის მშობლისანი“. ამ თავს გაკეთებული აქვს თავისივე პაგინაცია 1-დან 115 გვერდამდე. აღსანიშნავია, რომ ასეთივე თავი არ სებობს 1720 წლის „პარაკლიტონშიც“. როგორც ირკვევა, ამ უკანასკნელიდან გადაუბეჭდიათ იგი 1772 წლის გამოცემაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში ზოგიერთი სტილისტურ-ლიტერატურული სწორებები შეუტანიათ.

წიგნის თავფურცელი ჩასმულია ორმაგ პოლიგრაფიულ ჩარჩოში. ერთის ორნამენტს წარმოადგენს სამფოთლა ყვავილები, ხოლო მეორისას — ანგელოზების თავები. თავსამკაულად გამოყენებულია ბრტყელფოთლება ყვავილების ბუჩქი, შუა ზედა არეში ჯვრის გამოსახულებით. თავსართის ქვეშ მსხვილი წითელი შრიფტით დაბეჭდილია სათაური, რომლის თავსა და ბოლოშიც წითლითვე გამოსახულია თითო ანგელოზის თავი. თავფურცელში მოთავსებული საგამომცემლო მონაცემები წიგნის დაბეჭდვის ადგილის, თარიღისა და სხვ. შესახებ ერთმანეთისაგან გამოყოფილია კვლავ სამფოთლა ყვავილებიანი ხაზით.

თავფურცლის უკანა გვერდზე დაბეჭდილია 1720 წელს „ეკლესიის კურთხევანში“ გამოყენებული ვახტანგ VI-ის სტამბისეული ესტამპი — მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდას გამოსახულებით.

სრულიად ახალი გრავიურაა გამოყენებული ტექსტის დასაწყისის თავსართად. იგი წარმოადგენს ამავე წიგნის თავფურცელზე დაბეჭდილ ზემოაღნიშნულ ბრტყელფოთლა ყვავილების ბუჩქს, რომელშიაც

ჩადგმულია მედალიონისებურ ჩარჩოში მოთავსებული იესოს გამოსახულება მთლიანი ტანით. აქ იგი შემოსილია, მარცხენა ხელში თავისივე სიმაღლის ჯვარი უჭირავს და ოდნავ გვერდზეა გადახრილი. მარჯვენა ხელი კი ჩაჰიდებული აქვს ერთ-ერთი მოციქულისათვის.

ამავე წიგნში ვხვდებით აგრეთვე ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემული პირველი წიგნის — 1709 წლის „სახარების“ მეორე თავსართსაც — ფოთლოვან-ყვავილოვან ჩარჩოს, რომელშიაც მოთავსებულია წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის მედალიონისებური ხატები. ამ გრავიურაზე ხატების ვინაობათა ამოსაცნობად გაკეთებული ქართული წარწერები მიგვანიშნებს, რომ იგი ვახტანგის სტამბიდან უნდა იყოს შემორჩენილი.

თავსართებითაა შემკული ქვეთავებიც, მაგრამ მათი მხატვრული გაფორმებისათვის ამჯერად გამოყენებულია ანგელოზების მინიატურული თავებისა და სამფოთლა ყვავილების თაღოვანი ჩარჩოები. აქვე ბოლოსართებად ვხვდებით 1705 წლის „დავითნისეულ“ ყვავილებიან ვაზას, ტექსტის ნავისებურ დაბოლოებას და სხვა.

თავსართების ქვეშ მოთავსებული სათაურები ყველგან აწყობილია მსხვილი შრიფტით და დაბეჭდილია წითელ ფერში. თავი ასოები როგორც სხვაგან, ისე აქაც ტექსტშია შეჭრილი და დეკორატიულადაა გაფორმებული. ზოგიერთი მათგანი წითლითაა ნაბეჭდი.

ტექსტი აწყობილია ორ სვეტად ნუსხური შრიფტით.

1783 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ, ერეკლე II-ის სტამბაში პირველ წიგნად იბეჭდება „კონდაკი“. იგი უფრო ადრე, კერძოდ, 1751 წელს გამოიცა ამავე სტამბაში. ბოლო ანუ 1783 წლის გამოცემას სწორედ 1751 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“ უდევს საფუძვლად, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ იგი ხელუხლებლად, სიტყვასიტყვით გადაიბეჭდა. პირიქით, 1751 წლის გამოცემაში ცნობილ მწიგნობარ ტრიფილეს რუსულ „კონდაკთან“ შედარების შედეგად საგრძნობი სწორებები შეუტანია და ამგვარად გამართული დედანი დაუბეჭდიათ 1783 წელს.

1772 წლის „პარაკლიტონის“ მსგავსად „კონდაკიც“ მხატვრულ-ტექნიკურად კარგადაა გაფორმებული. წიგნის ყოველი გვერდი ჩასმულია გირჩებიან ორნამენტულ ჩარჩოში. თავსართად გამოყენებულია ჯვარზე გაკრული იესოს გრავიურა, რომელსაც მარცხენა მხრიდან უდგას ღვთისმშობელი, ხოლო მარჯვნიდან — იოანე ნათლისმცემელი.

ორივე მათგანს ხელები გაწვდილი აქვს ქრისტესაკენ. ზუსტად ასეთივე გრავიურაა დაბეჭდილი ვახტანგის სტამბაში გამოცემულ მცირე ფორმატის „ჟამნში“. ამიტომ „კონდაკში“ გამოყენებული „ჯვარცმა“ ან „ჟამნის“ მიხედვითაა დამზადებული, ანდა იგივე გრავიურა ხელახლაა დაბეჭდილი. ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ გრავიურა წიგნის ფორმატთან შედარებით დისპროპორციულია. ტექსტის ანაწყობის ზომაა დაახლოებით 6 კვადრატი და 2 პუნქტი, გრავიურისა კი — $3^1/_2$ კვადრატი. თავსართი რომ სპეციალურად „კონდაკისათვის“ ყოფილიყო დამზადებული, ასეთი შეუსაბამობა გრავიურისა და ანაწყობის ზომებს შორის არ იქნებოდა.

მეორე თავსართად გამოყენებულია ბრტყელფოთლა ყვავილების ბუჩქი იესოს მედალიონისებური ხატით. აქ მას მარცხენა ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი კურთხევას ავლენს.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე იოანე ოქროპირისა და წმინდა ბასილის ისეთივე ესტამპები, როგორებსაც ვხვდებით ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემულ „კონდაკში“. ასევე ითქმის მამა ღმერთის, ძე ღმერთის, სულიწმიდის ერთობლივი გამოსახულებისა და 1720 წლის „ეკლესიის კურთხევის“ ამავე კომპოზიციის ესტამპზე. ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნულ გამოცემებში ერთი და იგივე ესტამპებია გამოყენებული.

ტექსტი აწყობილია ნუსხური შრიფტით და დაბეჭდილია ორ ფერში — წითელსა და შავში.

გვერდები აღნუსხულია ასოითი პაგინაციით.

1783-სა თუ 1784 წლებში ერეკლე II-ის სტამბაში იბეჭდება „დაუჯდომელი“. ეს არის ქრისტეფორე კეჟერაშვილის მიერ პირველად გამოცემული წიგნი. ჩვენამდე ამ წიგნის ოთხმა გვერდმა მოაღწია. დეფექტურობის მიუხედავად „დაუჯდომელის“ მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე მაინც შეიძლება ერთგვარი სავარაუდო მოსაზრების გამოთქმა. ვფიქრობთ, რომ იგი ამ მხრივ ბევრად დაბლა არ უნდა მდგარიყო ერეკლე II-ის სტამბის ისეთ გამოცემებზე, როგორიცაა „პარაკლიტონი“ და „კონდაკი“. ამას მოწმობს ბეჭდვის საკმაოდ მაღალი კულტურა და სწორხაზოვან ორმაგ ჩარჩოში ჩასმული ოთხივე ზემოხსენებული გვერდი. ამასვე ადასტურებს მე-3 გვერდზე წიგნის სათაურის ქვეშ მიბეჭდილი ვარსკვლავებიანი ორნამენტული ხაზი და სხვა.

როგორც ჩვენამდე მოღწეული ოთხი გვერდიდან ცხადი ხდება, წიგნი აწყობილი ყოფილა მხედრული შრიფტით, ქრ. შარაშიძე კი რატომღაც ნუსხურს ასახელებს [1]. ამასვე მოწმობს 1793 წლის „მარხვანის“ ბოლოსიტყვაობაში ქრ. კეჟერაშვილის ცნობა: „დაიბეჭდა შრომითა საფასითა ჩემითა მხედრული დაუჯდომელი“ [2].

ამრიგად, 1783 — 1784 წლების „დაუჯდომელი“ არის ერეკლე II-ის სტამბაში მხედრულით დაბეჭდილი პირველი წიგნი.

მხედრული შრიფტითვე დაიბეჭდა აგრეთვე გაიოზ რექტორის მიერ თარგმნილი „კიტაიის სიბრძნე“ ანუ „სწავლა ქვეყანასა ზედა ბედნიერად ცხოვრებისა“. იგი ქართლის მეფის ქაიხოსროს ასულის ანას რჩევით ყოფილა თარგმნილი. მე-5 გვერდზე გაიოზი აღწერს ამ წიგნის თარგმნის ისტორიას და მადლობას უხდის მეფის ასულს გონიერული რჩევისათვის.

მე-11 გვერდზე სათაურის სახით გამოტანილია: „წინა სიტყვაობა თავთა ამის წიგნისათა“. აქ ჩამოთვლილია ის თავები, რომლებისგანაც შედგება წიგნი. ფაქტიურად იგი წარმოადგენს სარჩევს. ამის შემდეგ იწყება ძირითადი ტექსტი. თავსართად გამოყენებულია უბრალო ორნამენტული თაღიანი ჩარჩო, რომლის კამარის ქვეშაც ჩაბეჭდილია წიგნის სათაური. ტექსტიცა და სათაურებიც აწყობილია ერთნაირი შრიფტით — ხატოვანი მოგრძო მხედრულით. ყოველ გვერდზე, ტექსტის მაღლა, დაბეჭდილია სამფოთლიანი ყვავილის შტო, ერთმანეთის მიმართ ზურგშექცეული ორი ნახევარმთვარე, მზე, კვლავ ორი ნახევარმთვარე და სამფოთლა ყვავილის შტო. ტექსტი ნაბეჭდია ერთ ფერში — შავში. გვერდებს აქვს ორმაგი პაგინაცია: ნუსხური და არაბული.

1784 წელს „დაუჯდომელისა“ და „კიტაიის სიბრძნის“ გარდა იბეჭდება აგრეთვე „კურთხევანი“ და „ლოცვანი“, რომლებიც თავიანთი მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით ამ სტამბაში გამოცემული სხვა წიგნებისაგან არ გამოირჩევიან.

„კურთხევანის“ ტექსტი მხატვრის ძე იღუმენ მიხეილის მიერ ერეკლე II-ის დავალებით საგანგებოდ გამართულ 1764 წლის ამავე სახელწოდების წიგნის პირველ გამოცემას სიტყვასიტყვით ემთხვევა. ფორმატითაც ზუსტად ერთნაირია. თავფურცელიც ჩასმულია ისეთსავე ორ-

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 69.

[2] იქვე.

თი პირი წულმა: შეაერთებ ცთომილნი სანამდი რომ
ეარსებულია მალლა საფეროებზე საფეროებ
ითი შებმულისაკენ ვიდა ის ეასწორება ეასწორე
ულს ცვიტს ხუნკ მუშტაკონ კ რა რომ საფერო
ებითი შებმულზე მალალ საფეროებისაკენ წა
ვ კ ხუნკ შაკლონ რომ საკლობა ეამოცანადე
ულის შეიქნას: ჸშისთვის რომ ცთომილთ აბრუნე
ბულის ზეკთი პირი წულმა შარსულნი არიან: კ ქვ
ედთი პირი სეკუნდმა შარსულნი არიან:
ჸშ ორის სახიკნ ცხადსახილველნი საცნობელია:

ქმნულობის ცოდნის წიგნი, თბილისი, 1721. ტექსტში ჩართული კლიშეებით დაკა-
ბადონებული გვერდი.



ზატიკი, თბილისი, 1788, ტიტულის მეორე გვერდზე დაბეჭდილი ესტამპი.

ნამენტულ ჩარჩოში, როგორშიაც 1764 წლის გამოცემაა. უკანა გვერდზე ამჯერადაც ბაგრატიონების საგვარეულო გერბია დაბეჭდილი.

პირველი გამოცემის განმეორებას წარმოადგენს დანარჩენი გვერდებიც: ბაგრატიონების გერბს მოსდევს ანტონ კათალიკოსის აკროსტიხული ლექსი, რომლის კიდურწერილობაც შემდეგნაირად იკითხება: „ირაკლი, მეფე საქართველოისი“. შემდეგ დაბეჭდილია „სამების“ ხატი ისევ ძველი წარწერით: „სამებაო წმიდაო ადიდე მარად მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განმაახლებელი მეფე სრულიად საქართველოისა ირაკლი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ იწყება ტექსტი, რომელიც ნუსხურითაა დაბეჭდილი შავ ფერში.

1784 წელს გამოცემულ წიგნებს შორის ყველაზე ბოლოს „ლოცვანი“ დაბეჭდილა. მისი გამმართველ-რედაქტორი იღუმენი ტრიფილე ყოფილა. ამ უკანასკნელს ხელთ ჰქონია იოანე მანგლელის მიერ ბერძნულ-რუსულ წყაროებთან შედარებულ-შეჯერებული „ლოცვანის“ ნუსხა. გამოსაცემად მომზადებისას იგი ტრიფილეს ბერძნულ-რუსულ ორიგინალებთან ხელახლა შეუდარებია და ზოგიერთი არსებითი სწორება შეუტანია.

„კურთხევანის“ მსგავსად „ლოცვანის“ თავფურცელიც მოთავსებულია უბრალო ორნამენტულ ჩარჩოში, მეორე გვერდზე კი დაბეჭდილია ერეკლეს სტამბის წიგნებისათვის საკმაოდ დამახასიათებელი „სამების“ ხატი. სხვა რაიმე პოლიგრაფიულ სამკაულს ამ წიგნში ვერ ვხვდებით.

1786 წელს ერეკლეს სტამბაში ერთადერთი წიგნი იბეჭდება. ეს არის „სახარება“. მისი ტექსტი ნასწორები ჩანს 1709 და 1739 წლების გამოცემების მიხედვით. ზოგიერთი გრამატიკული ცვლილება შეუტანია და კორექტურა გაუკეთებია იოანე ოსეს ძეს.

როგორც ყველა ადრე დაბეჭდილი „სახარება“, ისე 1786 წლის გამოცემაც სადად და უბრალოდაა გაფორმებული. თავფურცელი ჩასმულია ჩვეულებრივ გირჩებიან ორნამენტულ ჩარჩოში. მეორე გვერდზე დაბეჭდილია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი ყალყზე შემდგარი ორი ლომის გამოსახულებით. ტექსტი იწყება მესამე გვერდიდან, რომლის სათაურიც მოთავსებულია სამფოთლიანი ყვავილის ორნამენტულ თაღოვან ჩარჩოში შედარებით მსხვილი ნუსხური შრიფტით.

წიგნში გვხვდება აგრეთვე საქმეში გაუწაფავი მხატვარ-გრავიო-

რის მიერ დამზადებული მახარობლებისა და მაცხოვრის ესტამპები, ბოლოსართების სახით: ყვავილებიანი ვაზა, ანგელოზების თავები, უბრალო ხაზები და ა. შ.

1782 წლიდან კონსტანტინოპოლელი ოსტატის პოღოს არაპიანის მიერ განახლებულ ერეკლეს სტამბაში კარგა ხანს წიგნები ორ ფერში — წითელსა და შავში აღარ დაბეჭდილა. ამ მივიწყებული ტრადიციის განახლების პირველ ცდას წარმოადგენს 1788 წელს დაბეჭდილი „ზატიკი“.

ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა 1738 წელს ვსესვიატსკოეში. 1788 წელს მისი ტექსტი იოანე ქსიფილიოსს ერეკლეს დავალებით ბერძნული წყაროსათვის შეუჯერებია, მაგრამ მათ შორის რაიმე განსხვავება ვერ უნახავს. ამ ბერძნულთან შედარებული ტექსტისათვის ბოლოს ძველ ქართულ ნუსხებში შემონახული „კონდაკისა“ და „იკოსნის“ ზოგიერთი მუხლი დაუმატებიათ.

წიგნის თავფურცელზე თავსართის სახით დაბეჭდილია ორფოთლა ყვავილებიანი თაღიანი ჩარჩო, რომლის კამარის ქვეშაც წითელი საღებავით გამოსახულია სათაური. წითლითვეა დაბეჭდილი ზოგჯერ ტექსტის შიგნით შეჭრილი, ზოგჯერ კი სტრიქონებს გარეთ გამოტანილი თავი ასოები, ცალკეული სიტყვები, სტრიქონები და აბზაცები.

1788 წელსვე იბეჭდება მეორე წიგნი „კუ8რექსი ძლევისათვის და შეწევნისა მხედრობისათა“. ეს პატარა ბროშურა, რომლის მოცულობა ცამეტ გვერდს არ აღემატება, ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსითა და დანიშნულებით. იგი სამხედრო თემაზე დაწერილი პირველი ქართული წიგნია. ბროშურას არ გააჩნია თავფურცელი. პირველი გვერდის თავსართად გამოყენებულია ბრტყელფოთლებიანი ყვავილების ბუჩქი, რომლის ზედა შუა ნაწილში გამოსახულია ჯვარი. სხვა რაიმე მხატვრულ-ტექნიკურ სამკაულს მასში ვერ ვხვდებით.

1790 წელს კვლავ იბეჭდება „დაუჯდომელი“. ეს არის ყველაზე პატარა ფორმატის წიგნი ერეკლე II-ის სტამბის გამოცემებს შორის. იგი უთავფურცლოა. ტექსტი იწყება პირველსავე გვერდიდან, რომლის თავსართადაც გამოყენებულია ბურბუშელასმაგვარი ხვეული ორნამენტული ხაზი. მის ქვეშ ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული შრიფტით დაბეჭდილია სათაური „დაუჯდომელი“.

წიგნში ვხვდებით ორ ესტამპს. ტექსტის წინ ჩაკრულ ფურცელზე

გამოსახულია ხარების კომპოზიციური რიტუალი, ხოლო 57-ე გვერდზე — ღვთისმშობლის მინიატურული პორტრეტი.

ტექსტი აწყობილია მხედრული შრიფტით. თითოეული გვერდი ჩასმულია ორმაგ სწორსაზოვან პოლიგრაფიულ ჩარჩოში. ყოველ გვერდში დაკაბადონებულია 12 სტრიქონი.

ყურადღებას იქცევს წიგნის ბოლოს დართული ცნობები თვეებსა და დღესასწაულებზე. აღნიშნულის შესახებ ქრ. კეკელიძე წერს: „თვის დამდეგი და დღესასწაულების ცნობა ბოლოს მე გავაკეთე, ვაჭართ საცნობლად, ქრისტიანნი უცხოს ქვეყანაში რომ მგზავრობენ. თუ გარგოთ ვისმე რამე ცხონებას მიბრძანებდეთ“ [1].

„დაუჯდომელის“ ცნობები თვეებისა და დღესასწაულების შესახებ სტაბურად ნაბეჭდ ერთგვარ პირველ ქართულ კალენდარს წარმოადგენს.

1791 წელს ერეკლე II-ის სტამბაში სულ რაღაც რვა თვის განმავლობაში სამი საკმაოდ მოზრდილი წიგნი იბეჭდება: „სამოციქულო“, „ჟამნი“ და „სახარება“.

„სამოციქულოს“ ტექსტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იოანე ოსეს ძის მიერ ზოგიერთ გრამატიკულ-ორთოგრაფიული ხასიათის სწორებებს, თითქმის უცვლელადაა გადმობეჭდილი 1710 წელს ვახტანგის მიერ გამოცემულ ამავე სახელწოდების წიგნიდან. ბევრი რამ აქვთ საერთო მათ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მხრივაც.

წიგნი იწყება თავფურცლით, რომლის კაზმულობადაც გამოყენებულია ბრტყელფოთლა ყვავილების ბუჩქი. მის შემდეგ მოდის ორ ფერში — შავსა და წითელში ნაბეჭდი საგამომცემლო მონაცემები, რომლებიც მოთავსებულია სამფოთლიანი ყვავილების ორნამენტულ ოთხკუთხედ ჩარჩოში. თავფურცლის უკანა მხარეს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაბეჭდილია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი. უნდა ითქვას, რომ მისი ავტორი ოსტატობის მხრივ ვერანაირად ვერ გაუტოლდება ვახტანგის წიგნებში გამოქვეყნებული ამავე გერბის მხატვარ-გრავიორს. უხეშად ამოკვეთილი ანგელოზების თავები და მოდუნებულ რიტმში გამოსახული ლომების ფიგურები 1791 წლის „სამოციქულოს“ ბაგრატიონთა გერბს ვახტანგისეულ გერბთან შედარებით ღირებულებას უკარგავს.

---

[1] ქართული წიგნი, 1941. გვ. 66.

წიგნის მესამე გვერდზე, ანუ თავფურცლისა და ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის შემდეგ, მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია იესოს ესტამპი. აქ იგი გამოსახულია კვართის ამარა, ღრუბლებზე შემდგარი და მზის სხივებით გაცისკროვნებული. ქვევით მოჩანან ერთმანეთზე მიყრილი აბჯროსანი მეომრები. ეს ესტამპი მთლიანად მოთავსებულია შავ ფონზე თეთრად გამოსახული ყვავილების ორნამენტულ ჩარჩოში. საყურადღებოა, რომ ეს ესტამპი „სამოციქულოზე“ ადრე არც ერთ სხვა წიგნში არ ყოფილა დაბეჭდილი.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე სხვა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი ესტამპები, სახელდობრ იაკობის, იოდას, პავლესა და მარკოზის. ოთხივე ესტამპი წვრილმან დეტალებშიც კი ზუსტად ემთხვევა 1710 წელს გამოცემულ „სამოციქულოში“ დაბეჭდილ იმავე მოციქულების გრავიურებს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ 1791 წლის „სამოციქულოში“ გამოქვეყნებულია ვახტანგ VI-ის სტამბიდან შემორჩენილი ზემოაღნიშნულ მოციქულთა ესტამპები.

აქვე დაბეჭდილია აგრეთვე ერთ მთლიან ესტამპად შეკრული, ფანჯრებისმაგვარ საშუალო ზომის ოთხკუთხედ ჩარჩოებში მოთავსებული სხვადასხვა თემაზე აგებული გამოსახულებანი. ერთ ჩარჩო-ფანჯარაში გრავირებულია იესო წელს ზევით, მეორეში — კვართი, მესამეში — იესოსავე ხელის მტევანი კურთხევის გამოვლენისას და ა. შ.

ტექსტი აწყობილია ნუსხური შრიფტით, თავი ასოები გაფორმებულია მხატვრულად. ჩარჩოს ფონად ზოგჯერ გამოყენებულია ვახტანგის სტამბისეული, ამავე დანიშნულებისათვის დამზადებული ყვავილოვან-მცენარეული გამოსახულებანი, უფრო ხშირად კი — ვესვიატსკოესეული კომპოზიციები: გუმბათიანი ეკლესია, რომლის წინაც მოჩანს ჩვენკენ პროფილში მდგარი მლოცავი, მუხლებზე დაჩოქილი მოხუცი მზისკენ გაწვდილი ხელებით, დავით წინასწარმეტყველი სამეფო სკიპტრით ხელში და სხვა. ჩანს, დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოების ერთი ნაწილი ვახტანგის დროიდან უნდა იყოს შემორჩენილი, ხოლო მეორე — რუსეთის ქართული სტამბებიდან ჩამოტანილი.

ესტამპებისა და დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოების გარდა, 1791 წლის „სამოციქულოში“ ვხვდებით აგრეთვე ვახტანგ VI-ისა და ვესვიატსკოესეულ თავსართს — ფოთლოვან-ყვავილოვან ბუჩქებში ჩასმულ წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდე-

ბულის ხატებიან გრავიურასა და ცნობილ ბოლოსართს — ყვავილებიან ვაზას.

საერთოდ, წიგნი მხატვრულ-ტექნიკური თვალსაზრისით მდიდრულადაა გაფორმებული. ამ მხრივ ერეკლეს სტამბის გამოცემათაგან ბევრი ვერ გაუტოლდება მას. განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის წიგნს წითლად ნაბეჭდი სათაურები, თავი ასოები, ცალკეული სიტყვები, სტრიქონები და მთლიანი აბზაცები.

ქრონოლოგიურად „სამოციქულოს“ შემდეგ „ყამნია“ დაბეჭდილი. ტექსტი ზუსტად ვახტანგისა და ერეკლეს წინა გამოცემათაგანაა გადმობეჭდილი. წიგნის პირველი გვერდი ორადაა გაყოფილი. ზედა ნაწილში გამოსახულია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, ხოლო ქვედაზე მოთავსებულია წითელსა და შავ ფერში ნაბეჭდი საგამომცემლო მონაცემები. ამავე გვერდის უკანა მხარეს დაბეჭდილია „სამების“ ხატი.

ტექსტი იწყება მეხამე გვერდიდან. აქაც თავსართად გამოყენებულია ბრტყელფოთლებიანი ყვავილების ბუჩქი, რომლის ზედა შუა ალაგას გამოსახულია ჯვარი. თავი ასოები დეკორატიული გაფორმების გარეშე, უბრალოდ, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული შრიფტითაა წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი სტრიქონებშია შეჭრილი, ხოლო ნაწილი ტექსტის გარეთაა გატანილი. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ერეკლეს სტამბის წიგნებში მხატვრულ-დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოები იშვიათად გვხვდება.

აღნიშნულის გარდა „ყამნში“ ვხვდებით სხვა კომპოზიციის თავსართსაც — ორმაგხაზოვან უბრალო ორნამენტულ თაღიან ჩარჩოს, რომლის კამარის ქვეშაც წითელი საღებავით ჩაბეჭდილია ამა თუ იმ თავის სათაური.

წიგნის ძირითადი ტექსტი აწყობილია ნუსხური შრიფტით. ზოგიერთი გვერდი ჩასმულია უბრალო ორმაგ სწორხაზოვან ჩარჩოში. ტექსტის ბოლოს 19 გვერდი დათმობილი აქვს კალენდარს.

უკანასკნელი წიგნი, რომელიც 1791 წელს დაიბეჭდა, არის „სახარება“. იგი ამ წიგნის ადრინდელი გამოცემის გამეორებას წარმოადგენს. მათ შორის ტექსტუალური ანდა მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მხრივ რაიმე განსხვავება არ შეინიშნება. აქაც საგამომცემლო მონაცემების თავსართად გამოყენებულია ხშირფოთლოვანი ყვავილების ბუჩ-

ქში მოთავსებული „ვედრების“ ხატებიანი გრავიურა. თავფურცლის უკანა მხარეს ისევ დაბეჭდილია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი და ა. შ.

1709 წელს გამოცემული „სახარებით“ დაკანონებული წესის თანახმად, ტექსტი აწყობილია ორ სვეტად.

ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს შორის იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი, რომელიც რამდენჯერმე არ იყოს გამოცემული. „დავითნი“, მაგალითად, დაიბეჭდა 8-ჯერ, „სახარება“ — 6-ჯერ და ა. შ. ძნელად შეხვდებით ისეთ წიგნს, რომელიც მხოლოდ ერთხელ ანდა ორჯერ იყოს გამოცემული. აი სწორედ ამ იშვიათ გამოცემათა რიცხვს მიეკუთვნება 1793 წელს დაბეჭდილი „მარხვანი“.

პირველად ეს წიგნი 1741 წელს გამოიცა ვსესვიატსკოეს სტამბაში. შოსალოდნელი იყო, რომ ერეკლესეული ტექსტი 1741 წლის „მარხვანის“ უცვლელი გამეორება იქნებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. ამ გამოცემათა ტექსტები შინაარსობრივადაც და სტილისტურ-ლიტერატურული დამუშავების ხარისხითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამას მოწმობს მათი მოცულობაც: 1741 წელს დაბეჭდილი „მარხვანი“ შეიცავს 776 გვერდს, ხოლო 1793 წლისა — 647-ს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც პირველ გამოცემაში შეტანილია მარხვის დროს საგალობელი ოთხი ლოცვა, ხოლო მეორეში — სამი.

1793 წლის „მარხვანის“ დედნად გამოყენებულია ძველი ქართული ნუსხა, რომელიც „ღრამატიკასა კანონსა ზედა“ არქიმანდრიტ ტრიფილეს გაუმართავს. მასვე გაუკეთებია ამ წიგნის კორექტურა.

წიგნის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, ხოლო შემდეგი ფურცელი დათმობილი აქვს თავფურცელს, რომელიც ჩასმულია ბურბუშელისმაგვარ ხვეული ორნამენტის ჩარჩოში. აქვე თავსართად გამოყენებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ბუჩქი შიგ ჩასმული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის მედალიონისებური ხატებით.

თავფურცლის უკანა მხარეს დაბეჭდილია ორმაგ ჩარჩოში მოთავსებული იესოს ესტამპი. აქ იგი გამოსახულია მსხვილ პლანში წელს ზევით. მარცხენა ხელში უჭირავს გადაშლილი წიგნი, ხოლო მარჯვენათი კურთხევას ავლენს. აღსანიშნავია, რომ იესოს ამგვარი გამოსახულება, მხოლოდ ფოთლოვან-ყვავილოვან ბუჩქში ჩასმული, გამოყენებულია მომდევნო ახალი თავის სამკაულად.

წიგნში ვხვდებით აგრეთვე სხვადასხვა სახის ესტამპებსა და გრავიურებს: „სერობას“, „ჯვარცმას“, „ფარისეველსა და მეზვრეს“ და ა. შ. აქედან საყურადღებოა უკანასკნელი—„ფარისეველი და მეზვრე“. ზუსტად ეს ესტამპი დაბეჭდილია 1741 წლის ვესვიატსკოესეულ „მარხვანში“. იგი მოთავსებულია გირჩებიანი ორნამენტის ორმაგ პოლიგრაფიულ ჩარჩოში. მოქმედება წარმოებს შენობაში. უკანა პლანზე მოჩანს ჩუქურთმიანი ორი სვეტი, რომელთა შორისაც დატანებულია დარკინული თაღიანი ფანჯარა. მარცხენა მხარეს გრავირებულია მდიდრული ფარდებჩამოფარებული შემოსასვლელი კარი. წინა პლანზე სხვადასხვა ფერის ფილაქნით მოპირკეთებულ იატაკზე მუხლებზე დაჩოქილი დგას ფეხშიშველი ფარისეველი, რომელსაც მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული ფიცის ნიშნად, ხოლო მარცხენა — განზე გაშვერილი. ფარისევლის უკან თავდახრილი დგას გულხელდაკრეფილი მეზვრე. ესტამპზე ნუსხური ასოებით ამოკვეთილია ორი სიტყვა „ფარისეველი“ და „მეზვრე“. ეს მოწმობს, რომ იგი ქართველი ოსტატის მიერ არის დამზადებული.

ამ ესტამპის გარდა, 1741 და 1793 წლების გამოცემებს კიდევ სხვა რამეცა აქვთ საერთო. ეს ითქმის მათ ტექნიკურ გაფორმებაზე. ორივე მათგანი აწყობილია ორ-ორ სვეტად თითქმის ერთნაირ ზომაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე წიგნი დაბეჭდილია შავსა და წითელ ფერში.

1793 წლის „მარხვანში“ ჭარბად ვხვდებით მაღალოსტატობით გრავირებულ ბოლოსართებს: ყვავილებიან ვაზას, ორნამენტულ სამკუთხედებს და ა. შ. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ტექსტის დასაწყისს მოთავსებულ ორიგინალურ ბოლოსართზე. იგი წარმოადგენს ფოთლებიანი ხის ტოტებისაგან შეკრულ გვირგვინს, რომლის შუაშიც მოჭვივლ-მოჭედილი დიდი ბეჭდის თვალის მსგავსი ნახევრად ოვალური გამოსახულებაა მოთავსებული. ყოველივე ეს ჩასმულია მდიდრული ორნამენტებით შემკულ ჩარჩოში, რომლის შიგნით ოთხსავე კუთხეში გრავირებულია გადაშლილი ვარდი. ჩარჩოცა და მასში მოთავსებული კომპოზიციური გამოსახულებაც ხეზე ამოკვეთილი ერთი მთლიანი გრავიურაა. იგი დამატებით ჩასმულია უბრალო გირჩებიან პოლიგრაფიულ ჩარჩოში. ამ სამკაულს ადრე გამოცემულ წიგნებში არ ვხვდებით. უნდა ითქვას, რომ 1793 წლის „მარხვანი“ მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მხრივ ერეკლე II-ის სტამბაში გამოცემულ საუკეთესო წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება.

1793 წელს იბეჭდება აგრეთვე „მცირე ლოცვანი“. როგორც თავად სათაურიდან ჩანს, წიგნში შეტანილია „გამოკრებით შერჩეული“ ლოცვები. ასეთი სახის წიგნები ხელნაწერის სახით საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული თავის დროისათვის საქართველოში. რომელი ნუსხა გახდა ნაბეჭდი „მცირე ლოცვანის“ დედანი, ძნელი სათქმელია, რადგანაც ამის შესახებ შემოვლითაც კი არაფერია ნათქვამი 1793 წლის გამოცემაში. სამწუხაროდ, არც სხვა რამ საარქივო საბუთი გაგვაჩნია ჯერჯერობით აღნიშნულ საკითხზე გადაჭრით პასუხის გასაცემად. ცნობილია მხოლოდ, რომ ანონიმი კალიგრაფის მიერ გადაწერილი ძველი ქართული ნუსხისათვის, რომელიც მესტამბეებს გამოსაცემად ჰქონიათ ხელთ, ქრ. კეჟერაშვილს რუსული „მცირე ლოცვების“ მიხედვით ღვთისმშობლის პარაკლისისა და სამადლობელი საგალობლები დაუმატებია, ხოლო მთლიანად დედანი „გრამატიკასა კანონსა ზედა“ ტრიფილეს გაუმართავს.

წიგნის პირველი გვერდი დათმობილი აქვს თავფურცელს, რომლის უკანა მხარესაც დაბეჭდილია „სამების“ ხატი. პირველ და მეორე თავებს შუა ჩაკრულ თავისუფალ მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია „ხარებისა“ და „ჩვილედი ღვთისმშობლის მინიატურული ხატი“. ამ ესტამპზე გრავირებულია წმინდა მარიამი, რომელსაც ხელში უჭირავს ყრმა იესო. იქვე მოჩანს ანგელოზი პირში აიაზმის შტოთი. მთლიანად ეს ესტამპი მოთავსებულია ბურბუშელისმაგვარ ხვეული ორნამენტის ჩარჩოში. „მცირე ლოცვანი“ პატარა ზომის წიგნების რიცხვს მიეკუთვნება. დაბეჭდილია იგი შავ ფერში.

1794 წლის „კურთხევანი“ ამ წიგნის მეორე გამოცემას წარმოადგენს. როგორც ძირითადი ტექსტი, ისე ზოგიერთი მინაბეჭდი ძალზე ჰგავს 1784 წელს გამოცემულ ამავე წიგნისას. თავად ანტონ კათალიკოსის ლექსიც კი, რომლის კიდურწერილობაში ნათქვამია: „ირაკლი, მეფე საქართველოისი“, სიტყვასიტყვითაა გადმოღებული პირველი გამოცემიდან.

თითქმის ერთნაირადაა გაფორმებული მათი თავფურცლები. ორივე გამოცემაში იგი ჩასმულია უბრალო, გირჩებიან პოლიგრაფიულ ჩარჩოში. ასევე ითქმის სხვა კაზმულობათა შესახებაც.

ერეკლე II-ის სტამბის უკანასკნელ გამოცემას წარმოადგენს დავით

გიორგის ძე ბაგრატიონის წიგნი „ნარკუეევი“. იგი დაბეჭდილია აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ აღდგენილ სტამბაში 1800 წელს.

ეს წიგნი მრავალმხრივაა საყურადღებო. რაც მთავარია, იგი ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილი ისტორიულ-მეცნიერული ხასიათის პირველი წიგნია. ნაშრომი დაყოფილია შემდეგ თავებად: „თვს მონარხთა სპარსეთისათა“, „თვს მონარხთა ბერძენთასა“, „თვს იმპერიისა როსიისა“, „თვს მონარხთა ჰრომისათა“, „თვს სამეუფოსა ქართლისასა“. მათ თავსართებად გამოყენებულია ანგელოზების მინიატურული თავებისაგან შეკრული თაღოვანი ჩარჩოები, რომელთა კამარის ქვეშაც ჩაპეჭდილია სათაურები.

წიგნში მოთავსებულია ერთადერთი ესტამპი — ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი ყალყზე შემდგარი ორი ლომის გამოსახულებით.

ტექსტი აწყობილია ლამაზი მხედრული შრიფტით.

* * *

ათანასე ამილახვრის მიერ მოსკოვში, ჯვართამაღლების მონასტერთან დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი ძველი ქართული წიგნები ტექსტუალურ-ლიტერატურული დამუშავებითა და მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით გაცილებით მაღლა დგანან ვესვიატსკოესა და ერეკლესეულ გამოცემებზე. ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ დიდად არც ჩამოუვარდებიან ვახტანგისას. პირიქით, ზოგიერთი მათგანი სჯობია კიდეც.

ჯვართამაღლების მონასტრისეული ძველი ქართული წიგნების გამოცემის მაღალი კულტურა თვალნათლივ ჩანს 1762 წელს აქ დაბეჭდილი „დაუჯდომელიდან“. ამავე სტამბაში გამოცემულ 1764 წლის „დავითნის“ ბოლო მინაბეჭდში ნათქვამია, რომ „დაუჯდომელი“ „ამ სტამბის გამოსაცდელად“ პირველად არის დაბეჭდილი. ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მას „გამოსაცდელობის“ არაფერი ეტყობა. ტექსტიც კარგი, გამართული ქართულითაა დაწერილი და მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებაც არ ტოვებს ურიგო შთაბეჭდილებას.

წიგნს აქვს თავფურცელი. მის თავსამკაულად გამოყენებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ბუჩქი, რომლის შუაშიც ჩასმულია ოვალურ წრეხაზში მოთავსებული წელს ზევით გამოსახული იესოს ხატი. თავფურცლის საგამომცემლო მონაცემები დაბეჭდილია სამ გვერდზე და

ჩასმულია ორფოთლა ყვავილებიან ორნამენტულ ჩარჩოში ოთხსავე კუთხეში ანგელოზების მინიატურული თავების გამოსახულებით. ბოლოსართად გამოყენებულია ჰაღისმაგვარი კაზმულობა.

მოგრძო, თხელი ნუსხური შრიფტი, სტრიქონებს შორის თანაბარზომიერი დაცილება, სუფთად ნაბეჭდი გვერდები წიგნის გამოცემის მაღალ კულტურაზე მიგვანიშნებს.

1762 წელს დაბეჭდილ „დაუჯდომელზე“ უფრო უკეთაა გამოცემული მეორე წიგნი — 1764 წლის „დავითნი“. მისი საგამომცემლო მონაცემების კაზმულობად გამოყენებულია „დაუჯდომელისავე“ თავსართი — ფოთლოვან-ყვავილოვან ბუჩქში ჩასმული იესოს ხატი. თავფურცლის შემდეგ ახალ, თავისუფალ გვერდზე შემორჩენილია დავით წინასწარმეტყველის ესტამპის ჩამონახევი. აქვეა მოთავსებული მისდამი მიძღვნილი ერთსტროფიანი ლექსი.

ტექსტი აწყობილია ნუსხური შრიფტით. წიგნს აქვს ასოითი პაგინაცია და რვეულებად დაყოფის სლავურ ასოებთან ერთად არაბული ციფრობრივი აღნუსხვა.

ათანასე ამილახვრის სტამბაში გამოცემულ წიგნებს შორის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია 1765 წელს დაბეჭდილი „სამოციქულო“. ამ წიგნის დედანი მომზადებულია წინა გამოცემების მიხედვით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ათანასეს ერთგულ თანაშემწეს დ. ციციშვილს ზოგიერთი საეჭვო ადგილი რუსულ-უცხოური წყაროებისათვის შეუდარებია და ცალკეული სწორებები შეუტანია.

წიგნის თავფურცლის ზედა კაზმულობას წარმოადგენს კომბოსტოსმაგვარი ბრტყელფოთლოვანი მცენარეული ბუჩქი, რომლის შუაშიც მუქი შავი საღებავით გამოსახულია მოზრდილი ჯვარი. თავად თავფურცლის საგამომცემლო მონაცემების ტექსტი ჩასმულია ორფურცლიანი ყვავილების ორნამენტულ ჩარჩოში.

თავსართებად გამოყენებულია აგრეთვე სხვა სახის კაზმულობანიც. ხშირფოთლოვან ბუჩქში ჩასმული ოვალური წრე, რომელშიაც გამოსახულია იესო მთელი ტანით. მას მარცხენა ხელში თავისსავე სიმაღლის ჯვარი უჭირავს, მარცხენა კი ჩაკიდებული აქვს ერთ-ერთი მოციქულისათვის. აქვეა „ვედრების“ სახით ცნობილი თავსართი — ხშირფოთლოვან-ყვავილოვან ბუჩქში მოთავსებული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატები და სხვა.

წიგნში ვხვდებით სხვადასხვა სახის ბოლოსართებს: ყვავილებიან ვაზას, ანგელოზების მინიატურულ თავებს, ტექსტის ნავისებურ დაბოლოებას და ა. შ.

ძირითადი ტექსტი იწყება მეორე გვერდიდან. იგი აწყობილია ნუსხური შრიფტით. თავი ასოები გაფორმებულია მხატვრულად. ცხადია, ზემოაღწერილი თავსართები, ბოლოსართები და თვით ეს დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოებიც ათანასე ამილახვარს ვესვიატსკოედან უნდა ჰქონდეს წაღებული.

1765 წლის „სამოციქულოში“ ვხვდებით წიგნის მხატვრულად გაფორმების ერთ საყურადღებო დეტალს. თავფურცლის მსგავსად, წიგნის ყველა გვერდი ჩასმულია ორფოთლოვან-ყვავილოვან ჩარჩოში, რომლის გარეთაც გატანილია მუხლების აღმნიშვნელი ნუსხური ასოები. აქვეა გამოტანილი მოგრძო საყურის, ბეჭდის თვლისა და სხვა ფორმის ორნამენტული სამკაულები, რომლებიც წითელი საღებავითაა დაბეჭდილი. საერთოდ წითელი ფერი ამ წიგნში უხვადაა გამოყენებული. წითლითაა ნაბეჭდი, მაგალითად, სათაურები, დეკორატიული თავი ასოები, სიტყვები, სტრიქონები და ა. შ. ყოველივე ეს წიგნს საზეიმო ელფერს აძლევს. თამამად შეიძლება იგი მაღალმხატვრული გაფორმებით ისეთ ცნობილ წიგნებს გაუტოლოთ, როგორიცაა 1710 წლის „კონდაკი“, 1711 წლის „სამოციქულო“ და სხვა.

1765 წლის „სამოციქულოს“ არც 1766 წელს დაბეჭდილი „სახარება“ ჩამოუვარდება. მისი სრული სახელწოდებაა „სახარება გამოკრებული“. სათაურიდანვე ჩანს, რომ იგი არ წარმოადგენს ახალი აღთქმის წიგნების სრულ კრებულს.

თავსართ-ბოლოსართებად აქაც გამოყენებულია წინა წიგნებში დაბეჭდილი ბრტყელფოთლოვანი მცენარეული ბუჩქი შუაში ჯვრის გაპოსახულებით, ამგვარივე ბუჩქი, მაგრამ ამჯერად უკვე შუაში იესოს ხატით და ა. შ.

ტექსტი აწყობილია ნუსხური შრიფტით და იმთავითვე „სახარებისათვის“ მომდინარე ტრადიციის მსგავსად დაბეჭდილია მხოლოდ შავ ფერში.

1767 წელს ათანასე ამილახვარი ბეჭდავს კიდევ ერთ საყურადღებო წიგნს „პარაკლისს“. პირველი გვერდი დათმობილი აქვს ოთხკუთხედ სწორხაზოვან ჩარჩოში მოთავსებულ ბრტყელფოთლა-ყვავილოვან ბუჩქს, რომელშიაც ჩასმულია დიდ ოვალურ წრეში გამოსახული იესო.

აქ იგი მთლიანი ტანითაა წარმოდგენილი. მარცხენა ხელში თავისსავე სიმაღლის ჯვარი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ჩაკიდებული აქვს ერთ-ერთი მოციქულისათვის. ამ გრავიურას ხშირად ვხვდებით ვესესვიატსკოეს წიგნებში, მაგრამ უფრო მცირე მოცულობით. მასზე ამოკვეთილი სლავური წარწერები მოწმობს, რომ იგი ათანასეს სხვა გრავიურებთან ერთად ან ვესესვიატსკოედან აქვს წამოღებული, ანდა მისი დაკვეთით რომელიმე რუსი ოსტატის მიერაა დამზადებული.

წიგნი დაყოფილია თავებად, რომლებიც შემკულია თითქმის ერთნაირი თავსართებით — ხშირფოთლოვანი ყვავილებიანი ბუჩქით, ზედა მხარეს ჯვრის გამოსახულებით. თავი ასოები დეკორატიული გაფორმების გარეშე შეჭრილია ტექსტში. ბოლოსართებად გამოყენებულია კვლავ ყვავილებიანი ვაზა, ბურბუშელასმაგვარი ხვეული ორნამენტული საზები და სხვა.

ტექსტი აწყობილია ნუსხური შრიფტით და დაბეჭდილია ორ ფერში — წითელსა და შავში. წითლითაა წარმოდგენილი სათაურები, თავი ასოები, სიტყვები, სტრიქონები და ზოგჯერ მთლიანი აბზაცებიც კი.

სხვა ძველი ქართული სტამბების მსგავსად ვალში არც ათანასე ამილახვარი რჩება და 1768 წელს ბეჭდავს „დავითნს". მისი ტექსტი წინა გამოცემების გამეორებას წარმოადგენს. ასევე ითქმის მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზეც. უბრალო ორნამენტულ ჩარჩოში მოთავსებული თავფურცლის შემდეგ, რომელსაც ორი გვერდი აქვს დათმობილი, დაბეჭდილია ქართული ანბანი მრგლოვანი და ნუსხური, აგრეთვე რიცხვები სლავურ-ქართული ასოების აღნუსხვით და არაბული ციფრებით.

წიგნი აწყობილია ნუსხური შრიფტით.

„დავითნის" მსგავსად სხვა წიგნებთან შედარებით მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით მოკრძალებულადაა გამოცემული აგრეთვე 1768 წელსვე დაბეჭდილი „ლოცვანი". წიგნის თავფურცელს არც თავსართი გააჩნია და არც სხვა რამ სამკაული. სათაურიც კი საგამომცემლო მონაცემების ტექსტში გარეული მსხვილი შრიფტითაა აწყობილი. მასში ვერც დეკორატიულად გაფორმებულ, ტექსტში შეჭრილ თავ ასოებს ვხვდებით.

წიგნს ერთგვარად პრეტენზიულს ხდის „სამების" ცნობილი ხატი და ათანასე ამილახვრის გერბი, რომელთაგანაც პირველი დაბეჭდილია თავფურცლის უკანა მხარეს, ხოლო მეორე — ტექსტის ბოლოს. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ათანასე ამილახვ-

რის გერბი. ამ გრავიურის საერთო ფონად გამოყენებულია ღვთისმსახურის გაშლილი მანტია, რომლის სამხრეებსაც მარყუჟად შემოჭერილი აქვს საბელი. მანტიის საყელოზე ჩამოცმულია მაღალი თანამდებობის ღვთისმსახურის ქუდი. ქუდის მარჯვნივ, უკანა მხრიდან, ამოშვერილია გრძელტარიანი ჯვარი, მარცხნივ კი — საეპისკოპოსო კვერთხი. მანტიის შუაგულში გრავირებულია ოვალური წრეხაზი, რომელიც ბაგრატიონთა საგვარეულო გერბისაგან განსხვავებით აქეთ-იქიდან უკანა ფეხებზე ასვეტილ ორ მარტორქას უჭირავს ფლოქვებით. წრეხაზი დაყოფილია პატარ-პატარა ოთხკუთხედ ფანჯრებად. ერთ-ერთ მათგანში გამოსახულია ცხენზე ამხედრებული დავით წინასწარმეტყველი, მეორეში — მზე, მესამეში — ადამიანის ხელის მტევანი და ა. შ. მთლიანად გერბი მოთავსებულია ორმაგ სწორხაზოვან ჩარჩოში, რომლის ირგვლივაც, შიდა მხრიდან, ნუსხურით ამოკვეთილია წარწერა: „მიტროპოლიტი. თბილისისა. ათანასი. თავადი ამილახვაროვი. ჩღდთ“.

მკვლევართა ერთი ნაწილი ამ გერბს ამილახვრების საგვარეულო კუთვნილებად თვლის. „ქართულ წიგნში“ ამის შესახებ ნათქვამია: 1768 წლის „ლოცვანში“ მოთავსებულია „ამილახვართა ღერბი — გაშლილი მანტია გვირგვინით და სხვ. გარშემო წარწერით“.[1]. ამგვარი მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. ღვთისმსახურის მანტია, ღვთისმსახურისავე ქუდი, საეპისკოპოსო კვერთხი და ბოლოს ჯვარი მიგვანიშნებს, რომ გერბი საკმაოდ მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირის კერძოდ, თბილისის ყოფილ მიტროპოლიტ ათანასეს ერთპიროვნულ კუთვნილებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე თავის დროზე რაინდობით სახელგანთქმული ამილახვრების დიდი საგვარეულოსას. ჩანს, ათანასე ამილახვარს ეს გერბი რუსეთში გამოცემული წიგნების გაცნობით სპეციალურად დაუმზადებინებია თავისი სტამბის ემბლემად. ამას მოწმობს გერბის სიმბოლური ნიშნების ამოკითხვაც. მასში საოცარი გონებამახვილობითაა შეპირობებული ათანასეს ბიოგრაფია. თუ ზემოაღნიშნული მანტია, ქუდი, კვერთხი და სხვა ათანასეს მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე მიგვანიშნებს, წრეხაზის ერთ ფანჯარაში გამოსახული, ცხენზე ამხედრებული დავით წინასწარმეტყველი მომასწავებელია იმისა, რომ იგი წარმოშობით ენათესავებოდა ებრაელთა დიდი წინაპრის შთამომავალთ — ბაგრატიონებს, ხოლო მზე აღნიშნავს, რომ ამილახვრები ბრწყინვალე წოდებას მიეკუთვნებოდნენ.

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 58.

გარკვევას საჭიროებს აგრეთვე გერბის შიგნით ამოკვეთილ წარწერაში შეტანილი თარიღი „ჩღჲთ“ ანუ 1769 წელი. რა ვარაუდითაა იგი მოტანილი, ერთი შეხედვით გაუგებარია. ეს რომ „ლოცვანის“ გამოცემის თარიღს არ უნდა წარმოადგენდეს, თითქოს ეჭვს გარეშეა, რადგანაც თავფურცელში ამის შესახებ ნათქვამია: „დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე ლოცვანი ჩღჲც“-ს ანუ 1768 წელს. იბადება კითხვა: მაშ რაღას უნდა განსაზღვრავდეს — ჩღჲთ ანუ 1769 წელი? თუ გავიხსენებთ, რომ ეს უკანასკნელი გერბთან ერთად ტექსტის ბოლოშია მოთავსებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წიგნის ბეჭდვის დამთავრების წელიწადს უნდა ნიშნავდეს. ე. ი. ჩანს, „ლოცვანის“ ბეჭდვა დაწყებულა 1768 და დამთავრებულა 1769 წელს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტერთან არსებულ ქართულ სტამბაში 1768 წელს „ლოცვანი“ კიდევ მეორედ დაუბეჭდავთ — პირველად 40 და მეორედ 800 ეგზემპლარი ტირაჟით. ასეა ფიქსირებული. კერძოდ, „ქართულ წიგნში“ [1]. ვფიქრობთ, არც ეს ცნობა უნდა იყოს სარწმუნო. გაუგებარია, რა აუცილებლობას უნდა განეპირობებინა ერთი და იმავე წიგნის ერთ წელიწადში ორჯერ გამოცემა და ისიც ჯერ 40, შემდეგ კი 800 ეგზემპლარი ტირაჟით. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე წელს დაიბეჭდა კიდევ ორი წიგნი — „დავითნი“ და „ჟამნი“, ნათელი გახდება ზემოაღნიშნული მოსაზრების უსაფუძვლობა. ოთხი წიგნის ერთდროულად გამოცემა არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1768 წელს „ლოცვანი“ მხოლოდ ერთხელ გამოიცა 800 ეგზემპლარი ტირაჟით, ხოლო რაც შეეხება მოსაზრებას მის მეორედ გამოცემაზე და ისიც 40 ცალის ოდენობით, ერთ უნებლიე შეცდომაზე უნდა იყოს დაფუძნებული. როგორც ვიცით, თავფურცელში ნათქვამია: „დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე ლოცვანი... წელსა ჩღჲც რიცხვით მ“. 800 ეგზემპლარი იმ დროისათვის არცთუ პატარა ტირაჟად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ხანგრძლივი ბეჭდვის შედეგად ზემოთ მოტანილ ციტატაში რაოდენობის აღმნიშვნელი ასო დაზიანებულა, ტექსტიდან ამოვარდნილა და შემდეგ შებრუნებულად ჩაუსვამთ. ამის გამო იგი როგორც „უ“ ისე უნდა იკითხებოდეს. ეს ასო კი ზუსტად 800 უდრის.

---

1 ქართული წიგნი, 1941, გვ. 41.

ორივე წიგნის იგივეობას მოწმობს აგრეთვე ისიც, რომ „ქართული წიგნის“ შემდგენელთა ცნობით, მეორე „ლოცვანის“ გერბის წარწერაშიაც ფიქსირებული ყოფილა „ჩღათ“, ანუ 1769 წელი. ეს ზუსტად ერთნაირი წარწერა საბოლოოდ დღის წესრიგიდან ხსნის ორი გამოცემის საკითხს.

ამრიგად, 1768 წელს ათანასე ამილახვრის სტამბაში ფაქტიურად სამი დასახელების წიგნი დაბეჭდილა: „დავითნი“, „ლოცვანი“ და „ჟამნი“. ამ უკანასკნელის ტექსტი სიტყვასიტყვით გადმოღებულია 1710 წლის გამოცემიდან. ეს თავად ათანასე ამილახვარსაც აქვს ხაზგასმით ნათქვამი ბოლო ფურცელზე დაბეჭდილ ლექსში:

„ჟამნი მიირთვი, მკითხველო, სრული ვრცელობით, სწორიცა:
პირველ ბეჭდილის მიმსგავსი, წიგნათ ნაქმარი ორიცა:
ჟამთა რუსულთა მბაძავი, ლოცვათ წმიდათა კონიცა.
ვეჰვ კარგი იყოს, ვით ეზრახავთ, გვნდა გვემოწმოს მჭონიცა“.

„ჟამნი“ იწყება თავფურცლით, რომელსაც არავითარი კაზმულობა არ გააჩნია — არც თავსართი აქვს და არც მისი საგამომცემლო მონაცემების ტექსტია ჩარჩოში მოთავსებული. მის უკანა მხარეს მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია იესოს გრავიურა. აქ იგი წარმოდგენილია შუახნის ასაკში, გრძელი, ფართო სამოსით. მარჯვენა ხელით კურთხევას ავლენს, მარცხენაში კი ფიცრებისაგან შეკრული დიდი ჯვარი უჭირავს.

იესოს გრავიურის შემდეგ, მე-3 გვერდიდან უკვე იწყება ტექსტი, რომლის თავსართადაც გამოყენებულია იგივე ბრტყელფოთლებიანი ყვავილების ბუჩქი ზედა მხარეს ჯვრის გამოსახულებით. თავი ასოები ტექსტშია შეჭრილი და დეკორის გარეშე, უბრალო მსხვილი ასოებითაა წარმოდგენილი. წიგნის სათაურები და თავი ასოები წითლითაა ნაბეჭდი. ასევე ითქმის ცალკეულ სიტყვებსა და აბზაცებზე. ზოგჯერ სტრიქონები მონაცვლეობითაა წითელსა და შავში ნაბეჭდი, რაც თავისებურ ელფერს აძლევს წიგნის მხატვრულ გაფორმებას. ტექსტის ბოლოს დაბეჭდილია ათანასე ამილახვრის ზემოაღწერილი გერბი.

მკვლევართა ერთი ნაწილი ირწმუნება, თითქოს მოსკოვის ჯვართამაღლების სტამბაში ზემოგანხილულ გამოცემათა გარდა კიდევ სხვა წიგნებიც დაბეჭდილიყოს. კერძოდ, არქიმანდრიტ ევგენის ცნობით, ამავე სტამბაში დაბეჭდილა აგრეთვე: „საგალობელნი“, „სადღესასწაულო“, „მარხვანი“, „ანბანი“ და სხვა [1]. აქ რაღაც გაუგებრობასთან

[1] Евгений, Исторические изображения Грузии, СПб. 1802. стр. 62.

გვაქვს საქმე. „საგალობელში“ შეიძლება არქიმანდრიტი ევგენი ათანასე ამილახვრის მიერ 1765 წელს გამოცემულ ამავე სახელწოდების წიგნს გულისხმობს, რაც შეეხება „ანბანს“, ჩანს, იგი მას 1796 წელს შოზდოკში გამოცემულ გაიოზ რექტორის წიგნთან აიგივებს.

არქიმანდრიტ ევგენის მსგავსად მცდარ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ზ. ჭიჭინაძე. მისი განცხადებით, ათანასეს სტამბაში დაბეჭდილა ბაქარის რამდენიმე საერო ლექსი და იამბიკოები [1]. ცხადია, ამგვარი დაუსაბუთებელი ცნობები სარწმუნო წყაროდ არ ჩაითვლება. ადვილი შესაძლებელია ათანასე ამილახვრის სტამბაში, გარდა დასახელებული წიგნებისა, მართლაც დაიბეჭდა სხვა გამოცემებიც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს იქნებოდა არა არქიმანდრიტ ევგენისა და ზ. ჭიჭინაძის მიერ დასახელებული, არამედ სულ სხვა წიგნები, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, ანდა ჯერ კიდევ მიკვლეული არ არის.

* * *

მოზდოკის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმემ მოაღწია. ესენია: „ანბანი“, „გრამატიკა“ და „განწესება შინაგანისა საქართველოსისა მართვისა“. ეს წიგნები თემატურად არსებითად განსხვავდებიან სხვა ძველი ქართული სტამბების გამოცემებისაგან. საეკლესიო მსახურების ნაცვლად მათ დანიშნულებას მასებში ცოდნა-განათლების გავრცელება წარმოადგენს, რის გამოც ისინი სასწავლო-სახელმძღვანელოების პროფილს მიეკუთვნებიან.

1796 წელს მოზდოკის სტამბაში საცდელად იბეჭდება რ. ზუბაშვილის პირადი წერილი ადრესირებული გაიოზ რექტორისადმი, ხოლო 1797 წელს უკვე გამოდის პირველი წიგნი „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა“. მისი ავტორ-შემდგენელია თვით ამ სტამბის დამაარსებელი გაიოზ რექტორი.

თემატურად ამ წიგნთან მჭიდრო კავშირი აქვს მოზდოკის სტამბაში გამოცემულ გაიოზისავე მეორე ნაშრომს — „გრამატიკას“. წიგნი დაყოფილია პარაგრაფებად. პირველ მათგანში ავტორი იძლევა გრამატიკის რაობის განსაზღვრას. იგი წერს: „ღრამმატიკა არს სწავლა თვისება-

[1] ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, 1929, გვ. 97.



ზატიკი, თბილისი, 1788. თაეფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილი ესტამპი „აღდგომა ქრისტესი".



ჰერაკლიტონი, თბილისი, 1772. წიგნის პირველი გვერდი.

თა თავს და ხმარება ასოთა", „ჰაზრისა ასოთა გამოხატვა". ამის შემდეგ მოტანილია „განყოფის" ანუ პუნქტუაციის ნიშნები და იქვე ახსნილ-განმარტებულია მათი შესატყვისი სახელწოდებანი, სახელდობრ: „ამას ეწოდების მძიმე, ამას წერტილი... ამას ორი წერტილი, ამას საკითხავი (კითხვის ნიშანი. — ო. კ.), ამას გადასატანი, ამას ფრჩხილი, ამას უბრჯგუ, ამას განსაკვირვებელი (ანუ ძახითი ნიშანი. — ო. კ.)".

„განყოფის" ნიშნების გარდა გაიოზ რექტორი იძლევა აგრეთვე ნაცვალსახელის, წინდებულებისა და ა. შ. განსაზღვრას.

როგორც პირველი წიგნი „ანბანი, ლოცვანი, საქრისტიანო სწავლა", ისე მეორე ნაშრომი „გრამატიკა" მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით სხვა წიგნებთან შედარებით ღარიბულად გამოიყურება. პირველის თავსართად წარმოდგენილია ორფოთლა ყვავილის შტო, ხოლო მეორისა — უამრავი ყვავილებითა და ბრტყელფოთლება მცენარეულით შემკული გრძელი, მდიდრული ტახტი, რომლის წინა მხარესაც მოჩანს ერთმანეთზე მიწყობილი ყვავილებისავე გვირგვინები და გირლანდები. თავსართების გარდა სხვა რაიმე პოლიგრაფიული სამკაული არ გააჩნიათ. ტექსტი ნაბეჭდია ერთ ფერში — შავში. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ მათში პირველად ვხვდებით აბზაცებს.

1801 წელს მოზდოკის სტამბაში იბეჭდება ე. წ. „განწესება შინაგანისა საქართველოისა მართვისა". მასში მოცემულია რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველოს გუბერნიებად და მაზრებად დანაწილების სტრუქტურული აღწერა. „საქართველო განაწილდების ხუთ უეზდად, — ნათქვამია მასში, — რომელთაგან სამნი არიან ქართლსა: გორისა, ლორესი და დუშეთისა, და ორნი კახეთსა შინა: თელავისა და სიღნაღის". აქვე დახასიათებულია მეფის რუსეთის მმართველობითი აპარატი და ადმინისტრაციული ორგანოები. ამის შესახებ ეკითხულობთ: „მოხელენი და სასამართლო ადგილნი მართვისათვის საქართველოსა დაინიშნებიან შემდგომნი: უპირატეს მმართებელი, მმართველი" და ა. შ. წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან შეერთების შემდგომდროინდელი საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფისა და მმართველობითი სისტემის შესასწავლად.

„ანბანისა" და „გრამატიკის" მსგავსად ეს გამოცემაც დაბეჭდილია მხედრული შრიფტით. მას არავითარი პოლიგრაფიული სამკაული არ გააჩნია.

• • •

ქუთაისის სტამბამ ათ წელიწადს იარსება (1800 — 1810) და ამ ხნის განმავლობაში სულ ექვსი წიგნი დაიბეჭდა, რომლებიც თემატურად არაფრით არ განსხვავდებიან ვახტანგ VI-ის, ვსესვიატსკოეს, ერეკლე II-ისა და სხვა ქართული სტამბების გამოცემებისაგან. სამაგიეროდ, იგივეს ვერ ვიტყვით მათ მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე. ამ მხრივ ისინი ბევრ ძველ მნიშვნელოვან გამოცემაზე მაღლა დგანან.

1800 წელს იბეჭდება „დავითნი". ეს არის ქუთაისის სტამბაში გამოცემული პირველი წიგნი. ტექსტუალურად იგი ერეკლე II-ის სტამბის 1784 წლის „დავითნის" ანალოგიურია. ამას მოწმობს თვით მისი ბოლო ფურცლის შემდეგი მინაბეჭდი: წიგნი ეს „ღრამატიკისა კანონსა ზედა შესწორებულ იქმნა ტფილისის დაბეჭდილს დავითნზედ. როგორც ის იყო ისე გავმართეთ" [1].

„დავითნი" შედგება თავფურცლის, ძირითადი ტექსტისა და მისი გამომცემლის გ. პაიჭაძის ბოლოსიტყვაობისაგან. მხატვრული გაფორმების მხრივ ყურადღებას იპყრობს წიგნის პირველივე გვერდი — თავფურცელი. აქ თავსართის სახით დაბეჭდილია ვსესვიატსკოესეულ გამოცემათა მსგავსი გრავიურა — მცენარეული ბუჩქი, მხოლოდ უფრო დიდი, ზოგიერთი ბოსტნეული კულტურისათვის დამახასიათებელი ბრტყელი, ჯამისებური ფოთლების გამოსახულებით. ამ თავსართის გრავირების მანერა უხეში და ტლანქია, ვიდრე ვსესვიატსკოეს წიგნებისა. ამიტომ მათ იგივეობაზე რაიმეს თქმა შეუძლებელია.

თავფურცლის შემდეგ, ახალ გვერდზე, ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნების ტრადიციის თანახმად, დაბეჭდილია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი მეორე ვარიანტის სახით — ორი ლომის გამოსახულებით. ამჯერადაც ოსტატ-გრავიორის ხელი ძალზე წააგავს თავსართის ავტორისას. როგორც ჩანს, ქუთაისის სტამბას თავისი მხატვარ-გრაფიკოსი ჰყოლია წიგნების გასაფორმებლად და ორივე ზემოდასახელებული გრავიურა ძველი ნიმუშების მიხედვით მის მიერ უნდა იყოს დამზადებული.

ამ უცნობ ოსტატ-ხელოსანს ეკუთვნის აგრეთვე წიგნში დაბეჭდილი დავით წინასწარმეტყველის ესტამპი. კომპოზიციური ჩანაფიქრითა და

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 78.

ფიგურალური გამოსახულებით იგი 1784 წლის ერეკლე II-ის სტამბის „დავითნში“ გამოქვეყნებულ ამავე სახელწოდების ესტამპს გვაგონებს. მაგრამ გრავირების იგივე დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც თავსართსა და ბაგრატიონთა საგვარეულო გერბში შეინიშნება, ერთი მხრივ, მათთან ნათესაურ კავშირს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ორი ესტამპის ოსტატ-ხელოსნის სხვადასხვაობას მოწმობს.

1803 წელს ქუთაისის სტამბაში ორი წიგნი გამოვიდა: „სახარება ვნების კვირიაკისა“ და „მარხვანი“.

„კვირიაკეს სახარების“ თავფურცელი და საერთოდ ამ წიგნის ყველა გვერდი მთლიანად მოთავსებულია გირჩებიან ოთხკუთხედ ჩარჩოში. თავსართად გამოყენებულია 1800 წლის „დავითნის“ კაზმულობა — ბრტყელფოთლებიანი მცენარეული ბუჩქი. საგამომცემლო მონაცემები აწყობილია სამი სხვადასხვა სახის შრიფტით — წვრილი, საშუალო და მსხვილი ნუსხურით და ერთმანეთისაგან გამოყოფილია ფიფქისმაგვარი ორნამენტული ჰორიზონტალური ხაზით. თავფურცელს მოსდევს ბაგრატიონების იგივე საგვარეულო გერბი.

წიგნის ძირითადი ტექსტი იწყება მესამე გვერდიდან. მისი თავსართია წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატებიანი მცენარეული ბუჩქი. თემატურ-კომპოზიციურად იგი 1709 წლის „სახარების“ იდენტურია, პრაქტიკულად კი ისევ იმ უცნობი ქუთაისელი მხატვრის დამზადებული ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ფოთლების თავისებური მოყვანილობა. იდენტურობის მიუხედავად, ქუთაისელ ოსტატს თავის ნამუშევარში ერთგვარი კომპოზიციური ცვლილება მაინც შეუტანია. ეს არის ღვთისმშობლის თავს ზევით გამოსახული სულიწმიდა, რომელსაც 1709 წლის „სახარებაში“ ვერ ვხვდებით.

მხატვრულადაა გაფორმებული თავი ასოებიც. ისინი მოთავსებულია მომცრო ოთხკუთხედ ჩარჩოებში, რომელთა ფონსაც წარმოადგენს სხვა ძველი ქართული სტამბების წიგნებიდან ცნობილი მოტივები: მუხლებზე დაჩოქილი მლოცავი მზისკენ გაწვდილი ხელებით, გუმბათიანი ეკლესიის წინ მდგარი მოხუცი და სხვა.

წიგნი დაბეჭდილია შავ ფერში.

„კვირიაკეს სახარების“ მსგავსადაა გაფორმებული „კურთხევანის“ თავფურცელიც. სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად გამოიყურება მეორე გვერდი. აქ ბაგრატიონების საგვარეულო გერბის მაგივრად მთლიან

ფურცელზე დაბეჭდილია ერთიანი ჩარჩო, რომელიც დაყოფილია ოთხ თანატოლ ფანჯარად. ერთ-ერთ მათგანში ჩახატულია სამეფო გვირგვინი და ჯვარი. გვირგვინის აქეთ-იქით გამოსახულია ანგელოზები; მეორე ფანჯარაში გრავირებულია მზე ადამიანის სახის გამოსახულებით, ერთმანეთზე გადაჯდობილი სკიპტრა და ხმალი; მესამეში — იესოს კვართი, დავით წინასწარმეტყველის შურდული, სასწორი და დაოთხილი ცხენი ზურგზე შედგმული ჯვრიანი გლობუსით; მეოთხეში — უკანა ფეხებზე ასვეტილი ორი ცხენი, რომელთა შუაც მოჩანს არქიტექტურული ნაგებობა. ამ გრავიურის ავტორს ბევრი დეტალი აქვს ნასესხები ბაგრატიონებისა და ათანასე ამილახვრის გერბებიდან. კერძოდ, ეს ითქმის იესოს კვართზე, დავით წინასწარმეტყველის შურდულზე, სასწორზე, ცხენებზე და ა. შ.

„მარხვანის“ თავი ასოებიც დეკორატიულადაა წარმოდგენილი.

1807 წელს ქუთაისის სტამბაში ხელახლა იბეჭდება „დავითნი“. ტექსტი უცვლელადაა გადმობეჭდილი წინა გამოცემიდან. მისი პირველი გვერდის თავსამკაული სრულიად განსხვავდება ამ სტამბაში მანამდე გამოსული წიგნების კაზმულობათაგან. იგი წარმოადგენს სწორხაზოვან ჩარჩოს, რომლის ფონიც დაფარულია შავი საღებავით. შუა ალაგას გრავირებულია თეთრი ოვალური წრეხაზი მასში ჩახატული იესოს ხატით. იგი წელამდეა გამოსახული. მარცხენა ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს, მარჯვენათი კი კურთხევას ავლენს. იესოს თავს ზევით ამოტვიფრულია წარწერა „Uc — Xp“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს გრავიურა რუსეთიდან ყოფილა ჩამოტანილი. ამასვე ადასტურებს ამ თავსართისა და ანაწყობი ტექსტის ზომების შეუფარდებლობა. თავსართი გაცილებით დიდია ანაწყობზე. იგი რომ ადგილზე დაემზადებინათ, ასეთი წუნი დაშვებული არ იქნებოდა. ჩანს, თავსართის გრავიურა ძირითადი ტექსტის აწყობა-დაკაბადონების შემდეგ, დაბეჭდვის წინ, ჩამოუტანიათ რუსეთიდან.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე დავით წინასწარმეტყველის ესტამპი. იგი ზის ჩუქურთმიან სავარძელში. თავზე სამეფო გვირგვინი ადგას, ტანთ კი საღვთისმსახურო გრძელი სამოსი აცვია. იქვე დგას მაგიდა, რომელზედაც დევს გადაშლილი წიგნი. დავითი ოდნავ წინაა წახრილი, ხელში ფრთის კალამი უჭირავს და წერს. უკანა პლანზე მოჩანს მარმარილოს სვეტები, თაღიანი აივანი და ხეები.

„დავითნი“ თავსართისა და ესტამპის გარდა შემკულია დეკორატიუ-

ლი თავი ასოებით, ყვავილების თაიგულის ბოლოსართებით, ორნამენტული ხაზებით.

ქუთაისის სტამბაში სხვა საეკლესიო წიგნების გარდა 1808 წელს დაუბეჭდიათ „ჟამნიც“. ტექსტუალური და მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით იგი არაფრით განსხვავდება ამავე სახელწოდების ძველი გამოცემებისაგან.

„ჟამნისაგან“ განსხვავებით არსებით სიახლეს ვხვდებით 1810 წელს დაბეჭდილ „ლოცვანში“. ეს ითქმის მის მხატვრულ გაფორმებაზე. იგი მიეკუთვნება იმ იშვიათი ძველი ქართული წიგნების რიცხვს, რომლებშიაც ვერ ვხვდებით ბაგრატიონთა საგვარეულო გერბს. მის ნაცვლად ტექსტის ბოლოს მარკის სახით მოთავსებულია ქუთაისის სტამბის ერთერთი თავკაცის — ზაქარია არქიმანდრიტის გერბი. იგი გარეგნულად ძალზე წააგავს ათანასე ამილახვრის წიგნების საფირმო ნიშანს. აქაც საერთო ფონად გამოყენებულია მღვდელმთავრის გაშლილი მანტია. შუაში გრავირებულია ოვალური, მედალიონისებური წრე, რომელშიც გამოსახულია ჯვარზე გაკრული ქრისტე. მთლიანად ეს მედალიონი აქეთიქიდან ფლოქვებით უჭირავს უკანა ფეხებზე ასვეტილ ორ ცხენს. ეს გრავიურაც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ქუთაისელი უცნობი მხატვრის ნამუშევრებთან.

„სამოციქულოში“ ბაგრატიონთა ნაცვლად ზაქარია არქიმანდრიტის გერბის დაბეჭდვის უპრეცედენტო ფაქტი იმ რთული პოლიტიკური ვითარებით უნდა აიხსნას, რომელშიაც მოექცა დასავლეთ საქართველო და, კერძოდ, იმერეთი XVIII საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს.

საერთოდ, „ლოცვანის“ ტექსტი გადმობეჭდილია ერეკლე II-ის სტამბის ამავე სახელწოდების წიგნის ბოლო გამოცემიდან. მათ შორის ზოგიერთი სტილისტურ-რედაქტორული სწორების გარდა სხვა რაიმე სხვაობა არ შეინიშნება.

* * *

წესში დაბეჭდილი წიგნები ძირითადად ქუთაისის სტამბის პოლიგრაფიული კაზმულობებითაა გაფორმებული. მათში არამცთუ რაიმე არსებითს, არამედ უბრალო სიახლესაც ვერ ვხვდებით.

„საველრებელი ღვთისმშობლისა“ და „გამოკრებული სადღესასწაულო“ — აი ის წიგნები, რომლებიც წესის სტამბაში დაიბეჭდა, პირვე-

ლი 1809, ხოლო მეორე 1811 წელს. „სავედრებელი“ ყველაზე პორტატიულ გამოცემას წარმოადგენს ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს შორის. იგი აწყობილია 2×2, 7 კვადრატზე სპეციალურად მისთვის ჩამოსხმული წვრილი, მაგრამ საოცრად მკაფიო გამოსახულების ნუსხური შრიფტით. ადრე ამ შრიფტით ნაბეჭდ გამოცემებს ვერ ვხვდებით.

წიგნში თავსართად გამოყენებულია ორადორი სახის კაზმულობა — ორფოთლიანი ხის შტო და ბურბუშელასმაგვარი ხვეული ორნამენტული ხაზი. სათაურები გამოყოფილია ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ოდნავ მსხვილი შრიფტით.

შედარებით უფრო უხვადაა გაფორმებული „გამოკრებული სადღესასწაულო“. მისი ფორმატია $^{1}/_{32}$. თავსართი წარმოადგენს ტექსტის ზომაზე მორგებულ სწორხაზოვან ჰორიზონტალურ ჩარჩოს. მისი ფონი მთლიანად დაფარულია შავი საღებავით, რომელზედაც თეთრით გამოსახულია მცენარის ფოთლები.

ტექსტი აწყობილია „ღვთისმშობლის სავედრებელისეული“ შრიფტით. ყოველი გვერდი ჩასმულია სწორხაზოვან პოლიგრაფიულ ჩარჩოში, თავი ასოები გაფორმებულია დეკორატიულად.

აღსანიშნავია, რომ „სავედრებელისა“ და „სადღესასწაულოს“ სახელწოდებით წესის გარდა სხვა რომელიმე სტამბაში არც ერთი წიგნი არ დაბეჭდილა.

* * *

საჩხერის ანუ საწერეთლოს სტამბის გამოცემებიდან ჯერჯერობით სამი წიგნია ცნობილი: „სამოციქულო“, დიდი და პატარა ფორმატის „სახარება“ და ერთიც „ოდიკი“. ქუთაისისა და წესის სტამბების გამოცემათაგან განსხვავებით საჩხერეში დაბეჭდილი წიგნები ბევრად უკეთესადაა გაფორმებული როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით. „სამოციქულო“, რომლის ტექსტიც უცვლელადაა გადმოტანილი ერეკლე II-ის სტამბის ამავე სახელწოდების ბოლო გამოცემიდან, დაბეჭდილია 1815 წელს. ეს არის პირველი წიგნი, რომელშიაც დარღვეულია ძველი გამოცემებისათვის დამახასიათებელი ტრადიცია — ქართველი მეფეების მოხსენიების წესი, რის შედეგადაც მის თავფურცელში სოლომონ II-ის ნაცვლად ვხვდებით რუსეთის იმ-

პერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა და იმპერატრიცა ელისაბედ ალექსის ასულის სახელებს. ცხადია, ეს გარემოება ზაქარია არქიმანდრიტის გერბის ბეჭდვის შემოღების მსგავსად XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებით უნდა აიხსნას.

წიგნი აწყობილია საშუალო ზომის ნუსხური შრიფტით. გვერდები შემკულია სხვადასხვა სახის ორნამენტული ხაზებით, ყვავილების თაიგულის ბოლოსართებითა და ა. შ. მასში ვხვდებით აგრეთვე 1810 წლის ქუთაისის „ლოცვანიდან“ ჩვენთვის უკვე ცნობილ ზაქარია არქიმანდრიტის გერბს.

„სამოციქულოს“ შემდეგ იბეჭდება კიდევ ორი წიგნი—დიდი და პატარა ფორმატის „სახარება“. ეს უკანასკნელი „ქართულ წიგნში“ შეტანილი არ არის. მან ჩვენამდე დეფექტური სახით მოაღწია. ამიტომ მისი გამოცემის ზუსტი თარიღი არ ვიცით. ამის დასადგენად საჭიროა მოვიშველიოთ ბელგოროდში გადასახლებული ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის მიმოწერა ანა დედოფალთან. ერთ-ერთი წერილით ზაქარია ანას ატყობინებდა: როცა დამიჭირეს, მაშინ „წყეულს საჩხერეს პატარა სახარებას“ ვბეჭდავდითო. როგორც ვიცით, დაპატიმრების ამბავი 1717 წლის დეკემბერში მოხდა. წიგნიც ამ დროზე ადრე არ შეიძლება იყოს გამოცემული.

რაც შეეხება დიდი ფორმატის „სახარებას“, მისი დაბეჭდვის თარიღი ცნობილია. თავფურცელში ამის შესახებ ნათქვამია: „დაიბეჭდა წიგნი ესე საღმრთო სახარება საჩხერეს... წელთა... განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩყიზ: თთუესა აპრილსა, რიცხვსა 3“ [1]. ჩანს, ორივე „სახარება“ ერთი და იმავე დროს დაბეჭდილა, რადგანაც „ჩყიზ“ 1817 წელს უდრის.

ამრიგად, ჯერ გამოუციათ დიდი ფორმატის „სახარება“ — 1717 წლის აპრილში და შემდეგ კი მცირე ფორმატისა — იმავე წლის დეკემბერში.

დიდი ფორმატის „სახარება“ 1709 წლის ვახტანგისეულის ზომისაა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესოდ გაფორმებული გამოცემაა მთელ ძველ ნაბეჭდ წიგნებს შორის. მასში თავსართად გამოყენებულია სხვადასხვა სახის მანამდე უცნობი გრავიურები. ერთ შემთხვევაში იგი წარმოადგენს ქუთაისელი მხატვრის ნამუშევრების მსგავს

1 ქართული წიგნი, 1941, გვ. 88.

ბრტყელფოთლებიან მცენარეულ ბუჩქს, რომელშიაც გამოსახულია იესოს ხატი და ანგელოზების თავები. მეორე თავსართად ვხვდებით მრავალწახნაგოვან ჩუქურთმებიან ჩარჩოს. მის მთლიან შავ ფონზე თეთრად გამოკვეთილია ოვალური წრეხაზი ახალგაზრდა იესოს პორტრეტით. მას მარცხენა ხელში გლობუსი უჭირავს, მარჯვენათი კურთხევას ავლენს.

მესამე თავსართია ქუთაისის სტამბიდან წამოღებული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატებიანი მცენარეულ-ფოთლოვანი ბუჩქი.

მეოთხე თავსართად გამოყენებულია ბებერი ხის ფესვებისმაგვარი გრეხილი ჩარჩო, რომლის შავ ფონზეც თეთრად მოჩანს მთის წვერზე შედგმული ვეება ჯვარი.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე ჯვარზე გაკრული იესოს ესტამპი. თავი ასოები გაფორმებულია დეკორატიულად. ბოლოში წიგნს დართული აქვს „საძიებელი", რომლის ტექსტიც დაბეჭდილია ორ ფერში— წითელსა და შავში.

მეორე, მცირე ფორმატის „სახარება" 1809 წელს წესში გამოცემულ „ღვთისმშობლის სავედრებელზე" ცოტა დიდია. იგი აწყობილია 2,6×4 1/2 კვადრატზე „სავედრებელისავე" წვრილი ნუსხური შრიფტით.

პირველი გვერდის მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია პავლე მოციქულის ესტამპი. მოქმედება გაშლილია სვეტებიან დარბაზში. ჩუქურთმიან სავარძელში ზის პავლე. წინ უდევს გაშლილი წიგნი და მარჯვენა ხელში ფრინველის ფრთის კალამი უჭირავს. უკანა პლანზე მოჩანს ფრთებგაშლილი ანგელოზი. ამის შემდეგ, ახალი გვერდიდან იწყება ტექსტი, რომლის თავსართადაც დაბეჭდილია მცენარეულ ბუჩქში მოთავსებული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატებიანი გრავიურა.

წიგნში პავლეს გარდა მოთავსებულია პეტრე მოციქულის ესტამპიც. აქ იგი გამოსახულია თმა და წვერულვაშმოშვებული, ტანთ გრძელი, ფართოკალთებიანი კაბა აცვია. პეტრე მუხლმოკეცილი ზის, წინ გადაშლილი წიგნი უდევს და ხელში კალამი უჭირავს, კაბის კალთიდან კი თავი აქვს გამოყოფილი ლომისსახიან ბიჭს.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იოდას ესტამპი. კომპოზიციურად იგი ზედმიწევნით წააგავს 1710 წლის ერეკლე II-ის სტამბის „სამოცი-

ქულოში“ დაბეჭდილ ამავე სახელწოდების ესტამპს. მოქმედება აქაც შენობაში წარმოებს. მარცხენა მხარეს მოჩანს ზევიდან ჩამოშვებული გრძელი, შუაში შეკეცილი მდიდრული ფარდა, უკანა პლანზე გამოსახულია ორი სვეტი და ამდენივე ფანჯარა. ცენტრში დგას ტახტრევანი, რომელზედაც ზის პეტრესავით შემოსილი იოდა. მას მუხლებზე უდევს გადაშლილი წიგნი, ხელში კი კალამი უჭირავს. თავსართად გამოყენებული ბრტყელფოთლება მცენარეული ბუჩქისა და მოციქულთა სამოსთან ერთად ფარდის გრავირების სტილისტური ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ ამ ესტამპების ავტორიც ისევ ის უცნობი მხატვარი უნდა იყოს.

წიგნის ტექსტი ამჯერადაც აწყობილია „ღვთისმშობლის საველრებელის“ წვრილი ნუსხური შრიფტით. დაბეჭდილია ორ ფერში — წითელსა და შავში. წითლითაა გამოყოფილი განსხვავებული შრიფტით აწყობილი სათაურები, დეკორატიულად გაფორმებული თავი ასოები, ცალკეული სიტყვები, სტრიქონები და ზოგჯერ მთლიანი აბზაცებიც.

III

მესტამბე-გამომცემელნი

ნიკოლოზ ორბელიანი

ნიკოლოზ ორბელიანი ვახტანგ VI-ის სტამბის მოღვაწეა. იგი იყო უმცროსი ძმა სულხან-საბა ორბელიანისა. 1736 წელს ერთ-ერთი წიგნის მინაწერში ნიკოლოზი ამბობს: „თთვის დამდეგისა განმარტებით აღწერილი სწავლება, სულხან ყოფილის საბა ორბელიანისაგან თქმული და აქა ძმისა მის, საბასივე, ეპისკოპოსისა ნიკოლოზის ხელით დაწერილი“ [1].

სულხანის მსგავსად ნიკოლოზიც ორბელიანების სამემკვიდრო მამულში — დმანისის ახლოს, სოფელ ტანძიაში დაბადებულა. თავისსავე შედგენილ ხუცური და მხედრული ასომთავრული ანბანის მინაწერში ნიკოლოზი განმარტავს: მე ეს ასოები „თხრვებულის თვალით (ე. ი. საათვალით) დავწერე, რამე თუ ვიყავ ორმოცდათექვსმეტი წლისა ამის წერაშია“[2]. ეს მინაწერი 1728 წლითაა დათარიღებული. თუკი ამ დროს იგი ორმოცდათექვსმეტი წლისა ყოფილა, მაშინ გამოდის, რომ დაბადებული უნდა იყოს 1672 წელს.

ნიკოლოზ ორბელიანს საბას მსგავსად კარგი სწავლა-განათლება მიუღია.

1705 წელს 33 წელს მიტანებული ნიკოლოზი ბერად შემდგარა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში[3]. იქ იმ პერიოდში ძლიერი ლიტერატურული სკოლა არსებობდა. ღვთისმომსახურებასთან

---

1 გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 127.

2 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 118.

3 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, 1941, გვ. 317.

ერთად აქ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი: წინამძღვარი მონასტრისა ონოფრე მაჭუტაძე, თავად სულხან-საბა ორბელიანი, გრიგოლ ვახვახიშვილი, გაბრიელ საგინაშვილი, ცნობილი გადამწერ-კალიგრაფები ხარიტონი, ზაქარია და სხვები.[1] ჰაბუკი ნიკოლოზი ბერად აღკვეცისთანავე აქტიურად ჩაბმულა გარეჯის ლიტერატურული სკოლის საქმიანობაში. ბერობაში აღუწერია მას ქართველი წმინდანების „ტროპანი“ და „კონდაკნი“ და სხვა საეკლესიო წიგნები. 1715 წელს ნიკოლოზ ორბელიანს მრავალობა მიუღია. მას ღვთისმსახურებაში იმდენად გამოუჩენია თავი, რომ მალე თბილისის მიტროპოლიტად დაუწინაურებიათ.

ნიკოლოზ ორბელიანს ბერობაშივე გაუთქვამს განათლებული და ნიჭიერი პოეტის სახელი. ამიტომაც იგი ვახტანგ VI-ს გარეჯის მონასტრიდან გამოუყვანია და იმხანად ახლად დაარსებულ თბილისის სტამბაში მიუწვევია სამუშაოდ. პირველი წიგნი, რომელიც ორბელიანის რედაქტორობით დაიბეჭდა, იყო „სახარება“.

ვახტანგ VI-ის სტამბამ სულ ცამეტი წელიწადი იარსება და ამ ხნის განმავლობაში მასში ოცდაოთხი წიგნი დაიბეჭდა. აქედან რვა წიგნის რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიანი იყო. კერძოდ, მისი რედაქტორობით გამოიცა: 1709 წელს „სახარება“ და „სამოციქულო“, 1910 წელს „ლოცვანი“ და „ჟამნი“, 1717 წელს კვლავ „ლოცვანი“, 1720 წელს „პარაკლიტონი“, 1721 წელს „ქმნულების ცოდნის წიგნი“ და 1722 წელს „ჟამნი“.

ნიკოლოზის სტამბაში მუშაობა მარტო დედნების რედაქტირებით როდი ამოიწურებოდა. მას თავისი ინიციატივით შეუდგენია და წიგნებისათვის დაურთავს აგრეთვე საძიებლები. საერთოდ, ნ. ორბელიანი შემოქმედებითად უდგებოდა წიგნების გამოცემის საკითხს და ხშირად გონივრული ცვლილებები შეჰქონდა ტექსტში. მას რედაქტირების დროს თავისი შეხედულებისამებრ შეუტანია „ჟამნის“ დედანში, მაგალითად, „ქართველ წმინდანთა ხსენების დღე“. ამის შესახებ 1717 წელს გამოცემული „ლოცვანის“ წინასიტყვაობაში იგი წერს: „ჟამნობა და თვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირაძალების ზადიკისა სამგზეფსოს ოხითა იანბიკო ისევ ჩვენი ძველი გაურიეთ“ [2].

ნ. ორბელიანის დაწერილი უნდა იყოს აგრეთვე თუ ყველა არა, ყო-

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, 1941, გვ. 317.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 25.

ველ შემთხვევაში 1711 წლამდე გამოცემულ წიგნებზე დართული რუმინელი მესტამბის მ. იშტვანოვიჩის წინასიტყვაობანი, რადგანაც ამ პერიოდში მის გარდა სხვა რედაქტორ-ლიტერატორს თბილისის სტამბაში არ უმუშავნია.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ნ. ორბელიანი ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. მან მრავალი თარგმნილი თუ ორიგინალური ნაწარმოები დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის აბო ტფილელის, ესტატე მცხეთელის, არჩილისა და ლუარსაბის „დასდებელნი", მოკლე იამბიკოებად თქმული „დიდება" ნინოსი, რაჟდენ პირველმოწამისა, ესტატე მცხეთელისა, შუშანიკისა, იოანე ზედაზნელისა, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა და სხვ. [1].

ნ. ორბელიანი „ჟამსა ქართლის აოხრებისასა" თავის ძმებთან — საბასთან და ზოსიმესთან ერთად ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში. 1724 წლის 15 ივლისს სამშობლოდან დევნილები რაჭაზე გავლით გაუდგნენ მოსკოვის გზას. იმავე წლის 31 აგვისტოს ისინი ჯვრის ციხე-სიმაგრეში დიდი პატივით მიიღო გენერალ-მაიორმა კროპოტოვმა. რამდენიმე დღის შემდეგ ჯვრიდან ვახტანგ VI-მ პეტერბურგში პეტრე I-თან წინასწარი მოლაპარაკების მიზნით გაგზავნა სულხან-საბა ორბელიანი, მისი ძმა ზოსიმე და არქიმანდრიტი არსენი.

ვახტანგ VI და მისი ამალა, მათ შორის ნ. ორბელიანიც, ჯვარში ერთი თვე დარჩნენ. აქ ემიგრანტმა ქართველებმა ვახუშტი ბატონიშვილისა და ნ. ორბელიანის თაოსნობით ფართო ლიტერატურული მუშაობა გააჩაღეს. ამ უკანასკნელის დავალებით გადაუწერიათ, მაგალითად, ი. დამასკელის წიგნი, რომლის ანდერძშიც იგი გვამცნობს: „ქართლიდამ რუსეთს მივდიოდით, მეფეს ვახტანგს ვახლდით, იქ ქართლიდამ წამოღებული დიაღ ძველი წიგნი იყო, აღარც თავი ჰქონდა და აღარც ბოლო, რაც ჩანდა ეს გადმოვაწერინე დაუკარგაობისათვის და შუაზედაც ცხრამეტი და ოცი თავი ამოგლეჯილი იყო. რომელსაც ღმერთმან ქართლის თათრისაგან გამოხსნა გაღირსოთ, ამის გათავებას ეცადენით" [2].

1726 წელს ნ. ორბელიანი რუსუდან დედოფალთან, არქიმანდრიტ იოსებთან, ბერმონაზონ გიორგისთან და სხვა ქართველებთან ერთად ასტრახანიდან მოსკოვს გადასახლდა. ნიკოლოზს არც აქ შეუწყვეტია

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, 1941, გვ. 317, 318.

[2] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, გვ. 100.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა. მას 1728 წელს გადაუწერია სულხან-საბას ნაშრომი „საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის ანუ დიალექტიკა“ („კათილორია“). ამ წიგნის მინაწერში იგი საგანგებოდ შენიშნავს: „ხელით ჩემ ცოდვილისათა მოვაცხოვილე და ნაკლული შევასრულებინე“ [1]. მანვე გადააწერინა ვინმე გ. ებიტაშვილს „მარხვანი“. ნიკოლოზს შეუდგენია აგრეთვე „კრებული“ ანუ „წესი აღსარებისა“ [2].

ღრმა მოხუცებულობისა და მძიმე პირობების მიუხედავად, ნ. ორბელიანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ გაუგდია კალამი ხელიდან. რუსეთის ცივსა და გრძელი ზამთრის ღამეებში ერთ პატარა სენაკში გამოკეტილი იჯდა და სანთლის შუქზე თავაუღებლივ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. უკანასკნელი წიგნი მას ავადმყოფობაში გადაუწერია. მის მინაწერში იგი ამბობს: „ავად ვიყავ და ვერ ვჯდებოდი, წოლით დამიწერია, ვეშურებოდი, სიკვდილს მოველოდი“ [3].

გარდაიცვალა ნიკოლოზ ორბელიანი 1735 წელს [4].

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი

მიქელი XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დამდეგის ცნობილი მოღვაწეა. იგი საზოგადოებრივ ასპარეზზე გივი ამილახვრის ძმის ნიკოლოზ კათალიკოსის შეწევნით გამოსულა. „ნიკოლოზმა, — წერს პ. კარბელაშვილი, — დიდი ამაგი დასდო ქართულს მწერლობასა: შეჰკრიბა გაფანტულნი ხელნაწერნი ერთად და შეადგინა დიდი წიგნსაცავი სვეტიცხოველის ტაძარში. მოუყარა თავი საუკეთესო მხატვართ და წიგნთა გადამწერ კაცებს და აწერინებდა მხატვრობიან საეკლესიო წიგნებსა. ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ათი

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd, № 2474.

[2] იქვე, Sd, № 1767.

[3] იქვე, Hd, № 90.

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, 1941, გვ. 317.

ცალი წიგნი იწერებოდა ერთის მოკარნახეს ანაბარად. ამა წიგნთა გადამწერთა შორის შესანიშნავი არიან—საბა და მიქელი“ [1].

მართლაც, დღემდე შემორჩენილა მიქელის მიერ გადაწერილი ე. წ. „ანჩისხატის ჟამგულანი“ და „ერისთავის დაუჯდომელი“. ამ უკანასკნელს დართული აქვს კათალიკოსისავე შემდეგი ანდერძი: „აღვაწერინე წმინდა წიგნი დაუჯდომელი მისის შედეგებითა და ზიარების ლოცვანითა, შევამკე და დავახატვინე მე ამილახვრის შვილმან კათალიკოზმან პატრონმან ნიკოლოზ... ხელითა მიქელისათა“ [2]. „ჟანგულანი“ და „დაუჯდომელი“ მინიატურებითაა შემკული, რომელთა ერთი ნაწილი სხვადასხვა ხელითაა შესრულებული. „საგანგებო შესწავლის გარეშე შეუძლებელია თქმა, რომელი მინიატურები ეკუთვნის მიქელს. რომლებიც არ უნდა იყოს მისი, — წერს ვ. ბერიძე, — იგი იმ ხანის ერთერთ საინტერესო და დამახასიათებელ მხატვრად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო როგორც კალიგრაფი, უეჭველად საუკეთესოთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს“ [3].

ჩანს, როგორც გამოჩენილი მხატვარი და კალიგრაფი მიქელი ვახტანგ VI-ს სტამბაში მიუწვევია სამუშაოდ. აქ მას მ. იშტვანოვიჩის დახმარებით შეუსწავლია წიგნების ბეჭდვა და, როცა ეს უკანასკნელი სამშობლოში დაბრუნებულა, ვახტანგს ამ სტამბის მმართველად იგი დაუნიშნავს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ თუ 1709 წლიდან გამოცემულ წიგნებში მესტამბედ მ. იშტვანოვიჩია მოხსენიებული, 1712 წლიდან მის მაგივრად უკვე მიქელის სახელს ვხვდებით. მაგალითად, 1711 წელს გამოცემული „დავითნის“ თავფურცელი გვამცნობს: დაიბეჭდა „ხელითა მესტამბე მიხეილ სტეფანეშვილის უნგროვლახელისათა“ [4]. 1712 წლის იმავე „დავითნის“ საგამომცემლო მონაცემებში კი ვკითხულობთ: „დაიბეჭდა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“ [5].

ჩვენ არ ვიცით, რითი განისაზღვრება მიქელის, როგორც მხატვრის, წვლილი სტამბურად ნაბეჭდ წიგნებში. შესაძლებელია მისი გაფორმებული იყოს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ანდა სხვა. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რომ 1711 — 1712 წლებში გამოცემული წიგნე-

---

[1] პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1904, გვ. 127, 128.

[2] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 186.

[3] იქვე.

[4] ქართული წიგნი, 1941, გვ. 19.

[5] იქვე.

ბის ტექნიკური რედაქტირება და საერთოდ მათი ბეჭდვა უშუალოდ მიქელის ანდა მისი ზედამხედველობით უნდა იყოს განხორციელებული.

ამრიგად, მიქელი პირველი ქართველია, რომელიც ეზიარა პროფესიონალი მესტამბის სახელს. მიქელთანაა დაკავშირებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. პოემის ტექსტის ბოლოს მოთავსებულია პატარა ლექსი, რომლის პირველი სტროფი ასე იკითხება:

აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა.
უცბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თზენისა.
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ მჭნელისა,
და ნაღვაწ მისის მლოცელისა მესტამბე მიქაელისა“ [1].

ვფიქრობთ, სიმბოლური უნდა იყოს, რომ შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების დაბეჭდვა პირველ ქართველ პროფესიონალ მესტამბე მიქელს ხვდა წილად.

სამწუხაროდ, მიქელს სტამბაში დიდხანს არ უმუშავია. მის მიერ დაბეჭდილი უკანასკნელი წიგნი „კურთხევანი“ 1713 წელსაა გამოცემული. რამ განაპირობა მისი ამ ახალი სამოღვაწეო ასპარეზიდან ესოდენ მალე ჩამოცილება, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია ამის მიზეზი მიქელის ღრმა მოხუცებულობა იყო.

გიორგი მხატვარი

გიორგი მხატვარი მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა. იგი შესანიშნავი გრაფიკოსი, კალიგრაფი და ამავე დროს საკმაოდ ავტორიტეტული მოღვაწე ყოფილა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გიორგის პოპულარობას ისიც მოწმობს, რომ იგი ყველგან და ყოველთვის გვარსახელისა და თანამდებობის გარეშე პირდაპირ მხატვრად იხსენიება. მისი, როგორც მესტამბის, სახელი პირველად 1716 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ საგამომცემლო მონაცემებში გვხვდება. „განსრულდა დავითი ესე თვესა ივნისსა, ქსუდ სტამბის მეურნეობასა გიორგი მხატვრისასა“. — ვკითხულობთ „დავითნის“ თავფურცელში [2]. გამორიცხული არ არის, რომ გიორგის წიგნების ბეჭდვა მიქელთან ერთად რუმინელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩისაგან შეესწავლოს.

როგორც ჩანს, მიქელის შემდეგ სტამბის გამგებლის ანუ მბეჭდავის

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 24.

თანამდებობა გიორგის მიუღია, რადგანაც 1716 წლიდან დაბეჭდილ წიგნებში მის ნაცვლად ეს უკანასკნელი იხსენიება.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ზუსტად ერთსა და იმავე წლებში მხატვრის სახელით ორი პიროვნებაა ცნობილი — ერთი, თავად გიორგი სიონის მომხატავი და მეორე, ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი გრიგოლი.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი მათ ერთ და იმავე პიროვნებად თვლის. ასეთი მოსაზრება პირველად პ. კარბელაშვილმა გამოთქვა [1]. ამასვე იმეორებს აკად. გ. ლეონიძე [2]. მკვლევართა ამ მოსაზრებას ადასტურებს „კონდაკის“ ერთ-ერთ უძველეს ნუსხაზე შემორჩენილი გადამწერის ჩვენ მიერ მიკვლეული შემდეგი ანდერძი: „ღმერთო! შეიწყალე ცოდვილი, ყოველთა კაცთა უნარჩევესი და მღვდელ-მონაზონი გ(ორგ)ი ყოფილი გრიგოლი. ამინ“ [3]. ჩანს, გრიგოლს ბერად აღკვეცის შემდეგ საერისკაცო სახელი გიორგით შეუცვლია.

გრიგოლს ანუ იგივე გიორგის, რომელიც სიონის მოხატვის შემდეგ უბრალოდ მხატვრის სახელითაც ყოფილა ცნობილი, წლების მანძილზე ანჩისხატის ტაძარში უმსახურია დეკანოზად. რადგანაც მისი ბიოგრაფიის აღდგენა მრავალმხრივაა დაკავშირებული ქართული კულტურის ამ შესანიშნავი ძეგლის ისტორიასთან, ამიტომ საჭიროდ ვთვლით ძალზე მოკლედ შევეხოთ თვით ტაძრის წარსულს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ანჩისხატის ეკლესიას „ზარის საყდარს“ უწოდებდნენ, რადგანაც ეს იყო ერთადერთი სამლოცველო თბილისში, რომელსაც „ვითარცა ტაძარსა პატრიარქისა“. არაბთა ბატონობის დროს უფლება ჰქონდა ზარების რეკვისა [4]. ხოლო მას შემდეგ, რაც შავშეთის სოფელ ანჩის საეპისკოპოსო ეკლესიიდან მცხეთაში გადატანილი ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის სახიერი ხატი 1674 წელს თბილისში ე. წ. „ზარის საყდარში“ გადმოასვენეს, იმ დროიდან ქართველთა ამ ერთ-ერთ უძველეს სალოცავს ანჩისხატის ეკლესია ეწოდა.

---

[1] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში, 1902, გვ. 43, 44.

[2] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 408.

[3] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad, № 1193.

[4] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში, 1902, გვ. 5, 6.

სამცხედან გადმოსვენებულ ღვთისმშობლის ხატს თბილისში გამოჰყოლია მღვდელი, რომელსაც სახელად პეტრე რქმევია. პ. კარბელაშვილი განმარტავს: „მღვდელი პეტრე მესხი მოჰყვა თავის ცოლშვილით სამცხედან ხელით-უქმნელის ანჩის-ხატსა... 1674 წ. კათალიკოზმა დომენტიმ მისცა ადგილი ანჩისხატის ტაძარში. იყო საყვარელი თანამოსაუბრე კათალიკოზის ნიკოლოზისა. მიიცვალა 1680 წ. ჩვენამდე მოაღწია მისმა ნაწერმა მშვენიერის ხუცურის ხელით კონდაკმა, რომელიც ეხლა ჩვენს საეკლესიო მუზეუმშია დაცული“[1].

ამ პეტრეთი იწყება მესხიშვილების საგვარეულოს ისტორია. მას ერთი შვილი ჰყოლია — იოსები, რომელსაც 1681 — 1711 წლებში დეკანოზად უმსახურია ანჩისხატის ეკლესიაში. აი სწორედ ამ იოსების შვილია ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული გრიგოლი.

ამრიგად, სიონის მხატვარი გიორგი ანუ იგივე გრიგოლი გვარად მესხიშვილი ყოფილა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია ვახტანგ VI-სთან. ამას მოწმობს შემდეგი ორი გარემოება: ერთი ის, რომ, თ. ჟორდანიას ცნობით, 1714 წელს სპარსეთში მყოფი ვახტანგის ცოლ-შვილი—დედოფალი რუსუდანი და ბაქარი მას რაჭაში გაუცილებია[2]. და მეორეც. 1724 წელს იგი რუსეთში გაჰყოლია ქართლის მეფეს. სხვა რაიმე ცნობა გიორგის შესახებ არ გაგვაჩნია.

გაბრიელ მღვდელი

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ვახტანგ VI-ის სტამბაში ორ გაბრიელს უმსახურია: სიონის დეკანოზის შვილს და მღვდელ გაბრიელს. ამ უკანასკნელის, როგორც მესტამბე-გამომცემლის შესახებ პირველ ცნობას 1716 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ თავფურცელში ვხვდებით. მასში ვკითხულობთ: გაიმართა წიგნი ესე „ხელითა გარსევან ყოფილი მღვდლის გაბრიელისათა“[3]. აქედან ჩანს, რომ იგი საგამომცემლო დარგის მუშაკი ყოფილა. „დავითნის“ გარდა მას რედაქცია გაუკეთებია აგრეთვე 1717 წელს გამოცემული „ლოცვანის“, „კურთხევა ეკლესიისა“ და 1720 წლის „ჟამნისათვის“. გაბრიელ მღვდელმა სულ

---

[1] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში, 1902, გვ. 5, 6.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 57.

[3] ქართული წიგნი, 1941, გვ. 24.

შვიდ წელიწადს იმუშავა და ამ ხნის განმავლობაში საკმაო რაოდენობის ხუთი დასახელების წიგნი გამოსცა.

გაბრიელის შესახებ ბევრი რამ არ ვიცით. ცხადია, იგი სასულიერო პირია. მისი საერისკაცო სახელი გარსევანი ყოფილა. გაბრიელად ბერობის შემდეგ იხსენიება. ბოლოს იგი მღვდლად უკურთხებიათ.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში გაბრიელის სახელით კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი ყოფილა ცნობილი. მათ შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთ წყაროში მოხსენიებული ვინმე გაბრიელ საგინაშვილი. მასში ნათქვამია: „მე უღირსი საგინაშვილი... ტფილელის ძმისწული გაბრიელი ვიყავ უდაბნოს გარესჯას ნათლისმცემლის მონასტერს მრავალ ჭთასა“ [1].

ვინ არის ამ საბუთში მოხსენიებული თბილელი მიტროპოლიტი, რომლის ძმისწულადაც გვაცნობს თავს გაბრიელი? იგი უნდა იყოს ელისე საგინაშვილი, რადგანაც XVIII საუკუნის მეორე ათწლეულში სხვა თბილელ მიტროპოლიტს არ ვიცნობთ.

ბერობაში გაბრიელს მრავალი წიგნი გადაუწერია. მათ შორის აღსანიშნავია 1707 წელს დასრულებული „კონდაკი“[2], 1704—1713 წლებში დომენტი კათალიკოსის დავალებით გადაწერილი „ქართველ წმინდანების ცხოვრებათა კრებული“[3], „საქმე მოციქულთა“ და სხვა[4]. პროფ. ვ. ბერიძე გაბრიელ საგინაშვილს, როგორც შემოქმედს, ასე ახასიათებს: „გაბრიელს, რომელიც ფრიად გაწაფული კალიგრაფი იყო, თავისებური ხელი ჰქონდა: წერდა ძლიერ დახრილი, გადაბმული, სქელხაზიანი, „წვეტიანი“ და თითქოს ცოტა მიჭყლეტილი ასოებით. მისი ნაწერი წასაკითხად ისეთი მკაფიო არაა, როგორც მაგ., ნიკოლოზ სიონის დეკანოზისა, თუმცა კი ზუსტი და ლამაზია“ [5].

გაბრიელ საგინაშვილის მონაცემები ერთი შეხედვით ძალიან წააგავს ერისკაცობაში გარსევანად სახელდებულ მესტამბე-გამომცემელ გაბრიელისას. კერძოდ, ორივე არამცთუ ერთი და იმავე პერიოდის, არამედ ზუსტად ერთი და იმავე წლების მოღვაწეა. ამასთანავე, საგინაშვილი ბერიც ყოფილა და მესტამბეც. საგულისხმოა ისიც, რომ ეს უკა-

---

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. III. 1967, გვ. 40.

[2] ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 199.

[3] იქვე, გვ. 201.

[4] იქვე, გვ. 202.

[5] იქვე.

ნასკნელი მხატვრობით ყოფილა გატაცებული, ჩვენ კი ვიცით, რომ მესტამბეებად ძირითადად მხატვრები იყვნენ. ალბათ სწორედ ამ მონაცემების გამო მიიწვია დომენტიმ გაბრიელი სტამბაში სამუშაოდ.

ასეთია ჩვენი საეარაუდო მოსაზრებანი გარსევან ყოფილი მღვდლის გაბრიელ საგინაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

იოსებ სამებელი

ი. სამებელის ცხოვრება-მოღვაწეობა, ისევე როგორც სხვა მესტამბე-გამომცემლებისა, დღემდე შეუსწავლელია.

ბიოგრაფიულ ცნობებს უმეტეს შემთხვევაში სამებელი თავადვე გვაწვდის. 1737 წელს ვესვიატსკოეს სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნის „დავითნის“ წინასიტყვაობაში იგი წერს: „მე, არქიეპისკოპოზმან და კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულის ძის თამაზის ძემან იოსებ, ვიღვაწე და მოვიყიდე საფასითა ჩემითა სტანბა ესე“ [1].

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ სამებელი წარმოშობით ქვაბულიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვაბულიძეებს დიდი ავტორიტეტი მოუპოვებიათ აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც ქართლში ორბელიანებს, ისე მათ საგვარეულოს კახეთის სამეფო კარზე მდივან-მწიგნობრის სახელო ჰქონია ბოძებული. ეს თანამდებობა სჭერია, კერძოდ, ქვაბულიძეების საგვარეულოს სახელოვან წარმომადგენელს, „ბარამ-გულიჯანიანის“ გამლექსავს, ცნობილ პოეტს ონანას.

თავისი დროისათვის ამ საკმაოდ გახმაურებული სახელის მქონე პოეტის ვინაობის შესახებ აკად. კ. კეკელიძე შემდეგნაირ ცნობას გვაწვდის: „ონანა ძე კახეთის მდივნისა და თვით მდივანი... იყო თავადიშვილი, გვარად ქობულაშვილი“ [2]. ამ ცნობაში ერთგვარი კორექტივი გვინდა შევიტანოთ. ონანას პირვანდელი ანუ ძირძველი გვარი ქვაბულიძე უნდა იყოს. ამას მოწმობს თვით ი. სამებელი, როდესაც ამბობს: მე, კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულის ძის თამაზის ძემან, დავაარსე ესე სტამბაო. ჩანს, რუსეთში გადასახლების შემდეგ ქვაბულიძეები ხვაბულოვებად ანუ ქობულოვებად დაწერილან. შემდეგში ქვაბული-

---

1 ქართული წიგნი, 1941, გვ. 35.

2 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 368.

ძე — ქობულოვებს თავიანთი გვარი ქობულაშვილებად გადაუკეთებიათ.

ონანას მსგავსად მდივან-მწიგნობრის თანამდებობა სჭერია აგრეთვე სამებელის პაპას სვიმონს და მის შვილს ანუ მამას ჩვენი მესტამბისა თამაზს. ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგი პოეტის სახელითაც ყოფილა ცნობილი [1].

საგვარეულო წარმოშობის გარდა ი. სამებელი საყურადღებო ცნობას გვაწვდის თავისი დაბადების თარიღის შესახებაც. 1734 წელს მის მიერ პეტერბურგში გადაწერილ „კონდაკს“ აშიაზე შემდეგი მინაწერი აქვს: „იესუ ქრისტე, ძეო ღ-თისაო! ადიდე საუკუნის ბერი ცოდვილი მიწა, კაცჰქმნილი სამებულ-ყოფილი იოსებ კახი, ქვაბულის ძის ძე, თამაზის ძე, რომელმან აღვწერე წიგნი ესე, პეტრე ბრუხს ქებულსა დიდებულს ქალაქში. წელი გადმევლო ორმოცდა თვრამეტი“ [2]. ცხადია, თუ 1734 წელს, როგორც თვითონ აშბობს, 58 წლის იყო, გამოდის, რომ იგი 1676 წელს დაბადებულა.

თ. ჟორდანიას გადმოცემით, XVII საუკუნის დასასრულს იოსებს შიო მღვიმის მონასტრის წინამძღვრად უმსახურია [3]. რამდენ ხანს დაჰყო მან ამ თანამდებობაზე, ამის შესახებ არ ვიცით რაიმე, ის კი ცნობილია, რომ 1696 წელს იგი უკვე სამების ეპისკოპოსად ყოფილა აოჩეული.

პერიოდი, როცა იოსებს საქართველოში მოღვაწეობა მოუხდა, აღსავსე იყო რთული პოლიტიკური ვითარებით. ქართლის სამეფოს რუსეთთან დაახლოების გამო თურქეთ-ირანის შემოსევებმა სულ უფრო მძლავრი ხასიათი მიიღო. მომხდურთაგან შევიწროებული იოსები ტოვებს სამებას და წილკნის მონასტერში გადადის სამოღვაწეოდ [4].

ვახტანგ VI-ის რუსეთში გახიზვნის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა. ოსმალთაგან წაქეზებული იმამ-ყული-ხანად წოდებული კახეთის მეფე კონსტანტინე აურაცხელი ჯარით შეიჭრა ქართლში. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. ამით ისარგებლეს უცხოელმა დამპყრობლებმა და თავად კახთა მეფე კონსტანტინესაც მოუსწრაფეს სიცოცხლე. ამის შემდეგ მთელი

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 368.

[2] საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad, № 1344.

[3] ჟურნალი „ივერია“, 1884 წ., № 32.

[4] იქვე.

აღმოსავლეთ საქართველო ოსმალთ დაიპყრეს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საგურამო და მისი შემოგარენი — მუხრანი, წილკანი, მცხეთა.

ამგვარი ვითარების გამო სამებელი იძულებული გამხდარა წილკნის საეპისკოპოსო კათედრა მიეტოვებინა და რუსეთისათვის შეეფარებინა თავი. 1731 წლის მიწურულს იგი 33 კაცის თანხლებით დარიალის ხეობის გავლით რუსეთის გზას გასდგომია. მოსკოვს ჩასვლამდე ქართველ მღვდელმთავარს დიდი გაჭირვება გამოუვლია გზაში. 1732 წლის დამდეგს ი. სამებელი ვახტანგ VI-ის დახმარებით ტყვეობიდან განთავისუფლებულა და თავისი მახლობლებით მოსკოვს ჩასულა. აქ იგი ვახტანგ VI-ს, ემიგრანტ ქართველობასა და რუსეთის ხელისუფალთ დიდი პატივით მიუღიათ, ჯამაგირი დაუნიშნიათ და საცხოვრებლად ვორონეჟის მონასტერი მიუჩენიათ.

იოსებ სამებელი მოსკოვში დიდხანს არ დარჩენილა. 1733 წელს სინოდს პეტერბურგში გაუწვევია და თავდაპირველად ჯერ ნევსკის ლავრაში ჰერცოგ მეკლენბურგ შაევერინის საფლავის მლოცველ-მწირველად დაუნიშნიათ, ხოლო შემდეგ, 1734 წლის 22 მაისს, იმპერატრიცა ანა იოვანეს ასულის ბრძანებით ნოვგოროდის მიტროპოლიტის თეოფანე პროკოპოვიჩის თანაშემწედ დაუწინაურებიათ და ამავე დროს იურიევის ანუ წმინდა გიორგის მონასტრის წინამძღოლობაც უბოძებიათ [1].

ბედმა იოსებს სამშობლოში დაბრუნება აღარ აღირსა. რუსეთში ყოფნის პერიოდში იგი აქტიურად ებმება წიგნების გადაწერაში. ამასთანავე ქრ. გურამიშვილთან ერთად ქართულ შრიფტს ასხამს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში და იქვე ბეჭდავს „რუსულ-ქართულ ანბანს“.

ეჭვს გარეშეა, ბაქარს კარგად ეცოდინებოდა სამებელისა და ქრ. გურამიშვილის ლიტერატურულ-საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. ალბათ ამის გამო იყო, რომ მან სამებელი მოსკოვში მიიწვია და ვსენვიატსკოეში ახალი ქართული კულტურის კერის — სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის საქმეს ჩაუყენა სათავეში.

იოსებ სამებელმა მთელი თავისი ძალ-ღონე და სარჩო-საბადებელი ამ სტამბას შეალია. ამიტომაცაა, რომ მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად

---

[1] ჟურნალი „იევრია“, 1884 წ., № 32.

აქ დაბეჭდილი ყოველი წიგნის საგამომცემლო მონაცემებში ხაზგასმითაა აღნიშნული მისი დამსახურება სტამბის წინაშე.

ვესესვიატსკოეს სტამბამ 1744 წლამდე იარსება. 1750 წელს 74 წელს მიღწეული იოსები ყიზლარში მიემგზავრება თავისი ძველი თანამოღვაწეების — არქიმანდრიტ პახომისა და ქრ. გურამიშვილის მოსანახულებლად. მაგრამ უკვე ჯანგატეხილმა მოხუცმა დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩააღწია. იმავე წლის სექტემბერსა თუ ოქტომბერში გზაში გარდაიცვალა.

ქრისტეფორე გურამიშვილი

ქრისტეფორე უფროსი ძმა იყო ჩვენი გამოჩენილი პოეტის დავით გურამიშვილისა. მას ისეთივე დიდი დამსახურება მიუძღვის ვესესვიატსკოეს სტამბის წინაშე, როგორც, მაგალითად, მ. იშტვანოვიჩს ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობა-გამართვის საქმეში. ქრისტეფორემ აღასრულა მოსკოველ ქართველ ემიგრანტთა ოცნება—„ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნისათვის წიგნთა საქრისტიანოთა შემატება“.

სამწუხაროდ, ქრ. გურამიშვილის საქართველოში ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდზე თითქმის არაფერი არ ვიცით. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს მისი ცხოვრების მეორე პერიოდის — მოსკოვ-პეტერბურგში გატარებული წლების შესახებ.

როდის ან რანაირად მოხვდა ქრისტეფორე რუსეთში?

იგი 1731 წლის მიწურულს გაჰყვა იოსებ სამებელს. მისი ეს გამგზავრება შემდეგნაირად წარმოგვიდგება: როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის რუსეთში გადახვეწის შემდეგ, კერძოდ XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ქართლი თურქეთ-ირანისა და მომთაბარე ლეკების გამუდმებული თავდასხმების პლაცდარმად გადაიქცა. გურამიშვილების სამკვიდრო ადგილ-სამყოფელი საგურამო ლეკების სათარეშოდ გახდა. მომხდურნი ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს, აწიოკებდნენ მოსახლეობას. სწორედ ამ დროს გაიტაცეს მათ ლამისყანიდან ქრისტეფორეს უმცროსი ძმა დავითი.

აღნიშნულ პერიოდში საგურამო-მუხრანის მიდამოებში, იმ სოფლის ეკლესიაში, რომელიც წილკნის ეპისკოპოსის ი. სამებელის სამწყ-

სოში შედიოდა, უნდა ემსახურა მღვდლად ქრ. გურამიშვილს. ლეკთა თარეშის გამო ქართლიდან ლტოლვილ იოსებს ადვილი შესაძლებელია ძმის ბედით დაშინებული ქრისტეფორეც გაჰყოლოდა რუსეთში. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იოსებ სამებელი ყველგან ქრისტეფორესთან ერთად ფიგურირებს: მოსკოვში, პეტერბურგში, ნოვგოროდსა და ვესესვიატსკოეში.

როგორც ვიცით, მოსკოვში ჩასული ი. სამებელი 1734 წელს სინოდს პეტერბურგში გაუწვევია. ამჯერადაც მას ქრისტეფორეც თან გაჰყოლია. აი სწორედ პეტერბურგში ჩასელის შემდეგ იწყება მისი მესტამბეობა. თ. ჟორდანია წერს: „იურიევის მონასტერში იოსებს თან ხლებია მღვდელ-მონაზონი ექვთიმე, მკვიდრი ძმისშვილი და ვიღაც ქრისტეფორე გურამიშვილი, ხუცეს-მონაზონი... ეს ქრისტეფორე, როგორც ეტყობა, მოჰყვა სამებელს საქართველოდგან“ [1].

1737 წელს ქრ. გურამიშვილს ი. სამებელის სახელით განცხადება შეუტანია მეცნიერებათა აკადემიაში რუსულ-ქართული ანბანის გამოცემის თაობაზე. ამ თხოვნის განხილვის შესახებ სპეციალურ ოქმში ნათქვამია: «Желает он (იგულისხმება ი. სამებელი. — ო. კ.), чтоб саблоговолила Академия наук напечатать на российском и грузинском языках (азбуки) пятьсот экземпляров, которое грузинского языка наборное дело он исправлять будет сам»[2].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ქრ. გურამიშვილი სტამბის საქმეებში ჩახედული პიროვნება ყოფილა. კერძოდ, მას ასოთამწყობობა სცოდნია. სად ან როდის შეისწავლა მან ეს ხელობა, ძნელი სათქმელია.

მეცნიერებათა აკადემიას დაუკმაყოფილებია ი. სამებელის თხოვნა. ქრისტეფორეს დახმარებით ჩამოუსხამთ ქართული შრიფტი და დაუბეჭდავთ ზემოდასახელებული ანბანი.

1736 წელს ბაქარისა და ი. სამებელის დავალებით ქრ. გურამიშვილი ვესესვიატსკოეში იწყებს სტამბის მშენებლობას და მოწყობას. ამ სტამბაში გამოცემული ყველა წიგნი ქრისტეფორეს ხელითაა დაბეჭდილი.

აღსანიშნავია, რომ ქრ. გურამიშვილი მარტო მესტამბე არ ყოფილა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე წიგნების რედაქტირებასა

---

[1] ჟურნ. „ივერია“, 1884 წ., № 32.

[2] Материалы для истории Академии наук, т. III, 1886, стр. 411.

და დედნების ლიტერატურულ დამუშავებაში. ამას ნათლად მოწმობს მისივე სიტყვები: „მე უღირსმან ზემო ხსენებულმან ქრისტეფორემ და კახეთის მეფის არჩილის ასულის დარეჯანის დეკანოზმან გიორგი ღამბარა შვილმან: და სხვათა ვიეთთა მოწმობითა და შეწევნითა, მოვიღეთ რუსული მარხვანი და, ოთხის ჩვენის ენისა. და როგორც რუსული ტიბიკონი და რიგი უჩენდა, ისე იმ რუსულს მარხვანზე ვასწორეთ და ისე შევკრიბეთ ნუსხითა“ [1].

1744 წელს „ბიბლიის“ გამოცემის თაობაზე ამტყდარი უსიამოვნების გამო ვსესვიატსკოეს სტამბა დაიხურა. ამის შემდეგ ქრისტეფორე იძულებული ხდება თავის საყვარელ საქმეს თავი დაანებოს. იმავე წელს იგი ქართველ სასულიერო პირებთან: არქიმანდრიტ პახომთან, იღუმენ ნიკოლოზთან და იერომონახ ეფრემთან ერთად ჩრდილო კავკასიაში მიემგზავრება ოსებს შორის ქრისტიანობის გასავრცელებლად.

ქრ. გურამიშვილს სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჩრდილო კავკასიაში გაუტარებია და იქვე გარდაცვლილა 1753 წლის 4 მარტს. ამას მოწმობს პროფ. აპ. როგავას მიერ პეტერბურგის ყოფილ სინოდალურ არქივში მიკვლეული დ. გურამიშვილის განცხადება გარდაცვლილი ქრისტეფორეს სარჩო-საბადებლის მისთვის გადაცემის შესახებ [2].

ქრ. გურამიშვილი დაკრძალული უნდა იყოს ასტრახანის უსპენსკის მონასტერში.

სიონის დეკანოზი ნიკოლოზი

XVIII საუკუნის ცნობილ მწიგნობარსა და კალიგრაფს ნიკოლოზ სიონის დეკანოზს ერეკლე II-ის სტამბაში საპატიო თანამდებობა სჭერია. 1749 — 1783 წლებში გამოცემულ წიგნებში იგი მესტამბეთუხუცესად იხსენიება.

ნიკოლოზი გვარად მიქაძე ყოფილა. მისი შორეული წინაპრები სამეგრელოდან ქართლში გადმოსახლებულან და აქ სასულიერო წოდება მიუღიათ [3]. ერთ-ერთი მათგანი სიონის დეკანოზად უკურთხებიათ და

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 40.

[2] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 23.

[3] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 174.

ეს საეკლესიო სახელო მათი საგვარეულოსათვის სამემკვიდრო თანამდებობად გადაქცეულა [1].

მიქაძეებს, ისევე როგორც მესხიშვილებს, მაღალაძეებს, ბარათაშვილებს და სხვა ცნობილ გვარებს, გარკვეული დამსახურება მიუძღვით ქართული კულტურის წინაშე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას ნიკოლოზის პაპა იესე იმსახურებს, რომელიც XVII საუკუნის მიწურულისათვის კარგად განათლებული მწიგნობრისა და მხატვარ-კალიგრაფის სახელით ყოფილა ცნობილი.

იესეს ბევრი შვილი ჰყოლია. მათგან მამის მსგავსად მწიგნობრობით ყველაზე მეტად გაბრიელი და ოსე ყოფილან გატაცებული.

გაბრიელს ანუ ნიკოლოზის მამას გადაუწერია „გულანი" [2]. მასვე ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები.

საგვარეულო ტრადიციისათვის არც გაბრიელისა და ოსეს შვილებს უღალატიათ. მათაც მწერლობისათვის მოუკიდიათ ხელი და გარკვეული წვლილიც შეუტანიათ ამ დიდ ეროვნულ საქმეში. ამ მხრივ ნიკოლოზთან ერთად საყურადღებოა ოსეს შვილის ზაქარიას ღვაწლი, რომელიც ისტორიაში ამბროსი ნეკრესელის სახელითაა ცნობილი.

ნიკოლოზის შესახებ საინტერესო ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის მისივე ხელნაწერების ზოგიერთი ანდერძ-მინაწერი. 1731 წლით დათარიღებულ ხელნაწერს ასეთი მინაწერი აქვს: ოდეს აღსაწერად დავჯექი „წელისა ათერთმეტისა" ვიყავიო [3]. აქედან ვგებულობთ, რომ იგი 1720 წელს დაბადებულა. ამავე მინაწერიდან ჩანს აგრეთვე, რომ ნიკოლოზს წერა ბავშვობიდანვე დაუწყია. მასში ნათქვამია: „ვინც იხილვიდეთ და წარიკითხვიდეთ, გაზდას მიბრძანებდეთ ამისათვის, რომე ყრმა ვიყავ ამის წერაში და არცა ჯერ სხვა წიგნი დამეწერა" [4]. მალე ნიკოლოზს, როგორც საუკეთესო კალიგრაფ-გადამწერს, იმდენად გაუთქვამს სახელი, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას — 23 — 26 წლის კაცს უკვე გადაწერილი ჰქონია მრავალი წიგნი [5].

პროფ. ვ. ბერიძე ნიკოლოზს როგორც კალიგრაფს შემდეგნაირად ახასიათებს: „ხელი, განსაკუთრებით ნუსხური, ნიკოლოზს მართლაც

---

[1] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 174.

[2] იქვე, გვ. 175.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 178.

გაწაფული ჰქონდა. წერდა მკაფიოდ, კალმის ძლიერი დაჭირებით, ყოველგვარი სიტლანქის გარეშე გამოჰყავდა ასოების მსხვილხაზოვანი ნაწილები; ნაწერი იმდენად თანაბარი და ზუსტია, თითქოს მანქანით შესრულებული იყოს, იმიტომ რომ ძნელი წარმოსადგენია ადამიანის ხელის ასეთი ავტომატიზაცია. მიუხედავად ამისა, ნაწერი მშრალ, „მანქანურ“ შთაბეჭდილებას არ ტოვებს...

მის მიერ გამოყენებულ ხერხთაგან უმეტესობა საერთოდ ცნობილია იმ ხანებში: მაგ. ტექსტის ჩასმა ჩარჩოებში, რომლებიც ოქროსფერი, ლურჯი და სინგურის ხაზებითაა შედგენილი; მძიმე თავსამკაულები ტექსტის დასაწყისში — შუაში კბილებიანი თაღით... განსაკუთრებით უყვარს ნიკოლოზს ტექსტის ფიგურულად გაწყობა: სტრიქონების სიგრძის კლება-მატებით მას გამოჰყავს სამკუთხედები, რომბები, წრეები, კიდევ უფრო რთული ნებისმიერი ფიგურები“ [1].

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზი თავადვე გრძნობდა, თუ რაოდენ მაღალი კალიგრაფიული ნიჭით იყო დაჯილდოებული და ეს მას ეამაყებოდა. 1780 წელს გიორგი XIII-ის დავალებით გადაწერილი „კონდაკის“ მინაწერში იგი ამბობს: „მოიხსენეთ, რომელ ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი, და ჩვენდა შემდგომად ვინც ასე მწერლობა ეცადინოს, საქებელ იყავნ“ [2]. აღნიშნულის გამო ი. ბაგრატიონი თავის „კალმასობაში“ წერს: „ამან აღწერა ერთისა კალმითა მთელი კონდაკი, სამღვდელო მსახურებაში სახმარი, რომელსა მეორე კალამი წერაში არ უხმარია, და არცა იგი კალამი ხელმეორედ გამოუჭრია“ [3].

ნიკოლოზს, როგორც მწიგნობარ-კალიგრაფს, იმდენად გაუთქვამს სახელი, რომ ანტონ კათალიკოსს იგი ახლად გახსნილ ერეკლე II-ის სტამბაში მიუწვევია სამუშაოდ.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ნიკოლოზი მოსკოვშია. როგორ მოხვდა იგი იქ, გაურკვეველია. რუსეთში ყოფნის პერიოდში მას გადაუწერია რამდენიმე თხზულება და შეუდგენია ერთიანი კრებული „მარგალიტის“ სახელწოდებით, რომელსაც ასეთი მინაწერი აქვს: „აღვწერე სრულად ლოცვანი უღირსმან სიონის დეკანოზმან ნიკოლოზ გაბრიელ დეკანოზის შვილმან. სამეუფ. ქალაქ მოსკოვს მონასტერსა ზამენცკისა-

---

[1] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 180.

[2] იქვე, გვ. 178.

[3] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 198.

სა არქიმანდრიტობასა ნიკოლოზ ქართველისასა წელთა 1753"[1]. ამავე კრებულს დართული აქვს შემდეგი ლექსი:

მოსკოვს ვიყავ წიგნსა ვწერდი, მარგალიტსა
ობოლსა მე,
ნაღვლისაგან შეწუხებულს ხელი მივყავ ჩხაბასა მე,
როდეს მესმა ხმა წასელისა ტფილისს,
წავალ ძმასთანა მე,
და იესო მიძღოდე სლვად ნიკოლაოზს
მწერალსა მე,
მშვიდობით თქვენ მოსკოველნო, ეღარ მოვალ
თქვენთანა მე,
შენდობა ყავთ ჩემ ცოდვილის. დეკანოზის
მგზავრისა მე.

მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კერძოდ 1763 წლიდან, ნიკოლოზი კვლავ ერეკლე II-ის სტამბაში იწყებს მოღვაწეობას მესტამბეთუხუცესად. მისი ამ თანამდებობაზე ყოფნისას დაიბეჭდა: 1763 წელს „დავითნი" და „ლოცვანი", 1764 წელს „კურთხევანი", 1768 წელს „ეპისკოპოსთა მიმართ", 1772 წელს „პარაკლიტიკოსი". 1783 წლიდან ნიკოლოზი უკვე სტამბაში აღარა ჩანს. მის მაგიერად მესტამბედ რ. ზუბაშვილი იხსენიება, ხოლო მესტამბეთუხუცესად — ქრ. კეჟერაშვილი.

როდის გარდაიცვალა ნიკოლოზი, დანამდვილებით არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში არა უადრეს 1779 წლისა, რადგანაც დარეჯან დედოფლის მიერ მარტვილის მონასტრისათვის შეწირული „მხატვრობიან სათთვეო წიგნის" ამ თარიღით დამოწმებულ მინაწერში იგი ცოცხლად იხსენიება.

დაკრძალული უნდა იყოს იგი სიონის ეზოში.

დეკანოზი იოანე

იოანეს სახელი მხოლოდ ერთადერთი წიგნის — 174? წელს ერეკლე II-ის სტამბაში გამოცემული „დავითნის" თავფურცელში იხსენიება. მასში ვკითხულობთ: „დაზგის მმართველი, ჯის საყდრის დეკანოზი იოანე" [2].

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1967, ტ. III, გვ. 230.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 51.

ამ ცნობიდან ვგებულობთ, რომ იოანე თბილისის ჯვრის (ჯის — ჯვრის) საყდრის დეკანოზი ყოფილა. ვიცით აგრეთვე, რომ მამამისს გარსევანი რქმევია. იოანეს მიერ გადაწერილ „თვენს“ მიწერილი აქვს: „მე, ცოდვილმან და მწერალთ უნარჩევესმან, მღვდლის გარსევანის შვილმან იოანემ აღვწერე სულთა განმანათლებელი ესე თვენი“ [1].

მესტამბეს გარდა იოანე საკმაოდ ცნობილი კალიგრაფიც ყოფილა. 1752 წელს გადაუწერია მას ანტონ კათალიკოსის „სპეკალი“ [2], 1757 წელს—მინიატურული ფორმატის „სვინაქსარი“, ხოლო 1760 წელს — ბარათაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ [3]. იმავე 1760 წელს აღუწერია მას სვიმონ ჯულფელის მიერ სომხურიდან თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი“ [4].

იოანეს მთელი თავისი ცხოვრება სიღარიბესა და გაჭირვებაში გაუტარებია. სიდუხჭირეს იქამდე მიუყვანია, რომ მას დახმარებისათვის ანტონ კათალიკოსისათვის მიუმართავს. პატრიარქსაც ხელი გაუმართავს მისთვის. 1751 წლის 11 დეკემბრით დათარიღებულ ანტონის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მწყემსმთავარმან, მაღალთა მეფეთა შარავანდედმან, კჳ-პატრიარქმან... ესე უკუნისამდე ჟამთა, ხანთა და დროთა გამოსადეგი, სამკვიდრო და საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჯვარის მამის დეკანოზს იოვანეს, ასე და ამა პირსა ზედან... შენ უსარჩოებასა და უსამწყსოებას სჩიოდით, მოხვედით კარსა დარბაზ პალატისა ჩვენისასა და სამწყსოს ბოძებას დაგვეჯენით. აწე ვისმინეთ ჯა და მოხსენება თქვენი, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, ვითაც უსარჩოვოდა უსამწყსოვო იყავ, ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქალაქში ვინც ვინ უხუცო, ეული და მოსული კაცი იყოს და ან მოვიდეს... შენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია“ [5].

როგორ წარიმართა იოანეს ცხოვრება, რა ბედი ეწია მოხუცებულობის დროს, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

---

[1] საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad, № 1475.

[2] იქვე, Ad, № 1743.

[3] იქვე, Sd, № 1162.

[4] იქვე, Ad, № 1162.

[5] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI — XIX სს.), წ. 1, 1962, გვ. 251.

მღვდელი ზაქარია

1751 წელს ერეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილი „კონდაკის“ ტექსტი ლიტერატურულ-სტილისტურად დაუმუშავებია „უღირს მღვდელ ზაქარიას“ [1], რომელსაც პროფ. დ. გვრიტიშვილი სრულიად სამართლიანად ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) მამად თვლის [2].

აკად. გ. ლეონიძის ცნობით, ზაქარია 1705 წლის ახლო ხანებში დაბადებულა. XVII საუკუნის 30-იან წლებში მას დმანისში უმსახურია მღვდლად და დეკანოზად, შემდეგ კი ორბელიანების მოძღვარი ვამხდარა [3].

ზაქარია თავისი დროისათვის დიდად განათლებული პირი იყო. ი. ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ეს იყო ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“ [4]. ზაქარიას საკუთარი საფილოსოფოსო სკოლაც ჰქონია გახსნილი, სადაც XVIII საუკუნის მთელ რიგ გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ანტონ კათალიკოსსაც უსწავლია.

1744 წლიდან ზაქარია ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს მოძღვრად დაწინაურებულა. მალე მას იმდენად დიდი გავლენა მოუპოვებია, რომ მთელი საეკლესიო მმართველობა ხელში ჩაუგდია და თვით მეფენიც კი შიშის ქვეშ დაუყენებია. განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტი შეუქმნა მას ანტონ კათალიკოსისადმი კათოლიკობის ცილის დაწამების შედეგად ამ უკანასკნელის საქართველოდან გაძევებამ. „ანტონის დაცემის შემდეგ ზაქარიას ოფიციალური მდგომარეობა უფრო განმტკიცდა,— წერს გ. ლეონიძე.— მტრების ჩამოშორების შემდეგ დიქტატორი შეუდგა ეკლესიის „გამოჯანსაღებას“. მან შემოიყარა კონსერვატორული ელემენტები სამღვდელოებისა სამოქმედოდ და ახალი ნომინალური კათალიკოსიც თვითონ გამოარჩია. ამიერიდან უზრუნველყოფილი იყო ზაქარია მოძღვრის ავტორიტეტი. მან კარიერის განმტკიცებისთანავე გახსნა საფილოსოფოსო სკოლა მეტეხში და სცადა „სიახლე“ შეეტანა საეკლესიო ლიტურგიულ გალობაში“ [5].

საეკლესიო საქმეებით დატვირთული ზაქარია მაინც პოულობდა

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 52.

[2] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1968, გვ. 271.

[3] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 292.

[4] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ნაწ. II, 1948, გვ 195.

[5] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 298.

დროს მწიგნობრულ-ლიტერატურული მუშაობისათვის. 1750 — 1751 წლებში იგი სტამბაში მიუწვევიათ რედაქტორად, მაგრამ ანტონ კათალიკოსთან ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო აქ დიდხანს არ უმოღვაწია. 1752 წლიდან მას სტამბაში უკვე ვეღარ ვხედავთ.

1762 წლიდან, თეიმურაზ II-ის გარდაცვალებისა და ერეკლეს შემწეობით სამშობლოდან დევნილი ანტონის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ზ. გაბაშვილის ცხოვრებამ გეზი იცვალა. პატრიარქის „გამართლებით“ განრისხებულმა ზაქარიამ ახლა თვით „რჯულისაგან გამდგარ“ ანტონის ერთგული მფარველის ერეკლე II-ის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა და თავად მეფეც კი მწვალებლად გამოაცხადა.

1764 წლის 5 მარტიდან საქართველოს ეკლესიას კვლავ ანტონი უდგება სათავეში, ბრძოლაწაგებული ზაქარია კი იძულებული ხდება იმერეთს შეაფაროს თავი. ერეკლე II და ანტონი ბევრს ეცადნენ ზაქარიას შემორიგებას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამის შემდეგ პატრიარქის სიმართლეში დარწმუნებულ სამღვდელოებას მოუწვევია საეკლესიო კრება და მეფის მაგინებელი ზაქარია ქართლ-კახეთიდან გაუძევებია.

თავის მართლების მიზნით ახლა ზაქარია პეტერბურგს გამგზავრებულა, მაგრამ ვერც აქ გამხდარა რაიმეს და ხელმოცარული 1771 წელს ისევ იმერეთს დაბრუნებულა. აქ იგი გელათის მონასტერში დამკვიდრებულა და ლიტერატურული საქმიანობისათვის მოუკიდია ხელი.

გარდაიცვალა ზაქარია 1783 წლის 6 თებერვალს. დასაფლავებულია გელათის ეკლესიის ეზოში.

ისაკ მცირე

ისაკის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ თითქმის არაფერი არ ვიცით. ასევე არაფერი სცოდნიათ XVIII საუკუნის მიწურულისათვისაც. ი. ბაგრატიონი წერს: „სტიხნი კატისა და თაგვთა ბრძოლათა თქმული ბერისა ვისგანმე ისაკ მცირისა, რომელიც მეფის თეიმურაზ II-ის ჟამს ყოფილა“ [1]. ცხადია, ი. ბაგრატიონისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო ისაკის გვარი, ანდა სხვა რაიმე მისი ბიოგრაფიიდან, იგი ვარ იტყოდა: „სტიხნი... თქმული ბერისა ვისგანმე ისაკ მცირისა“.

[1] საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad, № 1091, გვ. 100.

XVIII საუკუნის ამ შესანიშნავი მოღვაწის გვარის დადგენა პირველად გ. ლეონიძემ სცადა. იგი გადმოგვცემს: „ვფიქრობთ, ისაკ მცირეც ზაქარიას ახლობელი (იგულისხმება ბესიკის მამა ზ. გაბაშვილი — ო. კ.), გვარად გაბაშვილი უნდა ყოფილიყო“ [1]. თავის ამ მოსაზრებას გ. ლეონიძე კიდევ უფრო აღრმავებს და იქამდე მიდის, რომ ისაკ მცირეს ზაქარიას ძმად თვლის. „საკითხავია ვინ უნდა ყოფილიყო ბესიკის პოეტური სიტყვის პირველი გამღვიძებელი და ხელმძღვანელი? — სვამს კითხვას გ. ლეონიძე და იქვე ასეთ პასუხს იძლევა: — ამ შემთხვევაში, ცხადია, უნდა მივაკითხოთ ისევ მის ოჯახს, რომელიც საკმაო ლიტერატურული რეპუტაციით სარგებლობდა. ვიცით, რომ ზაქარიასთან ერთად ბესიკის უფროსი ძმა ოსეც პიიტიკოსი იყო, ისევე როგორც ამ ოჯახის ახლო წევრთაგან ისაკ მცირე (ჩემი აზრით, გაბაშვილი, ძმა ანუ ძმისწული ზაქარიასი), „მშვენიერი მესტიხე და ღრამატიკოსი“. უეჭველია ამათ უნდა შეეწყოთ ხელი ბესიკის პირველი პოეტური ცდებისათვის“ [2].

ისაკ მცირე გაბაშვილების საგვარეულოს წარმომადგენლად გ. ლეონიძეზე უფრო ადრე პ. კარბელაშვილმა მიიჩნია. XVIII საუკუნის საქართველოს კულტურული დონის აღწერისას იგი თავის საყურადღებო ნაშრომში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ განმარტავს: „ამ დროს წიგნთა გადამწერნი იყვნენ: დეკანოზი ნიკოლოზ მაღალაძე, დეკანოზი იოანე გარსევანიშვილი, მთავარ-დიაკონი გიორგი, ისაკ გაბაშვილი... და სხვ.“ [3].

რითი ხელმძღვანელობდნენ პ. კარბელაშვილი და გ. ლეონიძე, როცა ისაკ მცირეს გაბაშვილად, უფრო მეტიც, ზაქარიას ძმად მიიჩნევდნენ, გაუგებარია. ყოველ შემთხვევაში მკვლევარნი თავიანთი მოსაზრების დასაბუთებისათვის რაიმე წყაროს არ ასახელებენ, რისთვისაც ისაკის გაბაშვილად ხელაღებით მიჩნევა გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

ისაკის საგვარეულოზე ჩვენ შემდეგი სავარაუდო მოსაზრება გვაქვს: XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულსა და მეორე ნახევარში უცხოვრია ვინმე ისაკს, რომელსაც სიონის კანდელაკის თანამდებობა სჭერია. ი. ბაგრატიონი მის შესახებ წერს: „ისაკ ხუცეს-კანდელაკი. ეს იყო საღმრთო წერილსა შინა გამოცდილი, მოყამნეთა შორის

---

[1] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 303.

[2] იქვე, გვ. 307, 308.

[3] პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1904, გვ. 153.

ჩინებული და ხუცურისა წერასა შინაცა ქებული, მგალობლობითა სრული, რომელმანც იცოდა „ჰრელი" ვიდრე ათასამდის. ამან მრავალთა ასწავლა გალობა, აქვნდა პატივი მეფეთაგანცა და კეთილად განატარნა დღენი თვისნი" [1].

ვინ არის ეს სიონის კანდელაკი ისაკი? მესტამბე ისაკ მცირე და ეს სიონის კანდელაკი ერთი და იგივე პირი ხომ არ არის? ვფიქრობთ, რომ არა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ი. ბაგრატიონი, რომელიც თითქმის მათი თანამედროვე იყო, „კალმასობაში" მათ ცალ-ცალკე არ მოიხსენიებდა. გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ არც მთლად უსაფუძვლო იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ორ ისაკს შორის ახლო ნათესაური კავშირი არსებობდა. კერძოდ, სიონის კანდელაკი მამა იყო ცნობილი მოღვაწის ისაკ მცირესი. ამას გვაფიქრებინებს 1751 წელს ისაკ მცირეს მიერ გადაწერილი იოანე ოქროპირის „მათეს თავის" ტექსტის ბოლოს დართული გადამწერისავე შემდეგი ანდერძი: „ცოდვილი ესე სიონის კანდელაკის შვილი ისაკ მადლმან და სახარებამან მისმან აღმიძრა გულის მოდგინებად და სურვილად წიგნისა ამის" [2].

ამ ციტატიდან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ მესტამბე-გამომცემლის ისაკის მამას ანუ სიონის კანდელაკსაც სახელად ისაკი რქმევია და იმისათვის, რომ ისინი ერთმანეთისაგან განესხვავებინათ, შვილს ისაკ მცირედ იხსენიებდნენ, ხოლო მამას — ისაკ დიდად, ანდა უბრალოდ სიონის კანდელაკად.

დაბოლოს, რადგან სიონში ძირითადად მაღალაძეები და მიქაძეები ეწეოდნენ მღვდელმსახურებას, ხოლო ანჩისხატში — მესხიშვილები, გამორიცხული არ არის, რომ ისაკ მცირეც გვარად მაღალაძე ანდა მიქაძე ყოფილიყო.

დღემდე უცნობია აგრეთვე ისაკის დაბადების თარიღი. ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა ერთი წყარო, რომელიც ნათელს ჰფენს ამ დაუდგენელ საკითხს. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია არჩილ II-ისა და ვახტანგ VI-ის ლექსების კრებული, რომელსაც აქვს გადამწერის ორი მინაწერი. ჩვენს ყურადღებას იქცევს მეორე მათგანი. იგი შემდეგნაირად იკითხება: ქ. უნბ პატარა ისაკ დაიბადა ოკოდომბერს ი"[3]. ამ მინაწერში მოხსენიებული „პატარა ისაკი" ისაკ მცირე უნდა იყოს, რადგანაც იგი

---

[1] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 199.

[2] საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad, № 1385.

[3] იქვე, Sd, № 1624.

სახარება, საჩხერე, 1817. მარკოზის სახარების პირველი გვერდი თავსართით.

პარაკლიტონი, თბილისი, 1772. ბოლო გვერდი.

ასე ყოფილა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ამას მოწმობს ი. ბაგრატიონის შემდეგი სიტყვები: „მცირე ისაკ, რომელსა ქართველნი პატარა ისაკად სახელს დებენ. ეს იყო მეცნიერი კაცი და მშვენიერი მესტიხე და კარგი მწერალი, რომელმანც კეთილად განატარა ცხოვრება თვისი“ [1].

ამრიგად, ისაკ მცირე დაბადებულა „ქორონიკონსა უნბ ოქტომბერს ი“, რაც 1721 წლის 9 ოქტომბერს უდრის.

ი. ბაგრატიონის ცნობით, ისაკ მცირე განათლებული კაცი ყოფილა. ამ „მეცნიერ კაცსა და მშვენიერ მესტიხეს“ პირველდაწყებითი განათლება ზ. გაბაშვილის შეწევნით მიუღია [2].

როგორც ცნობილი მწიგნობარი და კარგი კალიგრაფი ისაკ მცირე 50-იან წლებში ერეკლეს სტამბაში იწყებს მოღვაწეობას. 1751 წელს მისი უშუალო მონაწილეობით იბეჭდება „კონდაკი“. ამ წიგნის უკანასკნელ გვერდზე ისაკის შესახებ ნათქვამია: დაიბეჭდა წიგნი ესე „ზედამხედველობითა და ქართულსა ენასა ზედა შეწყობითა, მოძღვრისა და უღირსის მღვდლის ზაქარიასითა: თანა შეწევნითა ისაკ მკირისათა“ [3].

ზ. გაბაშვილის მსგავსად ისაკ მცირესაც ერეკლეს სტამბაში დიდხანს არ უმუშავია. ამას მოწმობს ის, რომ 1751 წელს გამოცემული წიგნების შემდეგ იგი უკვე აღარ იხსენიება. მისი სტამბიდან ასე მალე წასვლის მიზეზი ანტონ კათალიკოსსა და ზ. გაბაშვილს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება უნდა ყოფილიყო. ამ უთანხმოებაში აქტიური მონაწილეობა ისაკსაც მიუღია. იგი თავისი მასწავლებლის ზ. გაბაშვილისა და საბა ნინოწმინდელის მხარეზე ყოფილა.

ისაკ მცირეს გადაწერილი აქვს მრავალი ხელნაწერი. მასვე ეკუთვნის რამდენიმე თარგმანი და ორიგინალური სატირა, რომელიც „თაგვებისა და კატის ომის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ზოგიერთი მკვლევარი „თაგვებისა და კატის ომის“ ავტორად ზ. გაბაშვილს თვლის და მას ისაკ მცირესთან აიგივებს. ასე იქცევა, მაგალითად, ნ. მაისურაძე [4]. ზ. გაბაშვილი და ისაკ მცირე რომ სხვადასხვა პირები არიან, ამას მოწმობს ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული ამონაწერი 1751 წლის ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილი „კონდაკის“ ბოლო ფურც-

---

[1] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 198.

[2] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958. გვ. 293.

[3] ქართული წიგნი, 1941 წ. გვ. 52.

[4] ნ. მაისურაძე, სადისერტაციო შრომა „ზაქარია გაბაშვილი“.

ლიდან, სადაც ზაქარია სტამბის ზედამხედველად და ტექსტის გამმართველადაა მოხსენიებული, ისაკი კი მის თანაშემწედ.

ანტონ კათალიკოსის საბოლოო გამარჯვებისა და მისი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ისაკ მცირე ზ. გაბაშვილთან ერთად სასტიკად დაუსჯიათ — თმა და წვერი გაუკრეჭიათ, ბორკილები დაუდვიათ და საპყრობილეში ჩაუკეტიათ [1].

რა ბედი ეწია ისაკს ანტონის მიერ გამოტანილი მსჯავრის შემდეგ, დანამდვილებით არ ვიცით. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პლ. იოსელიანის ერთი ცნობა: „სიონისა ტფილისს, — ვკითხულობთ მასში, — ეკკლესიასთან მცხოვრები მოკვდა (ლაპარაკია ვინმე ისაკზე. — ო. კ.) 1799 წელსა. მეფემან გიორგიმ თავის ხარჯით დაასაფლავა იგი მუნვე" [2]. გამორიცხული არ არის, რომ ამ ამონაწერში მოხსენიებული ისაკი ჩვენთვის ნაცნობი მესტამბე ისაკ მცირე იყო.

მღვდელი დავითი

დავითს ერეკლე II-ის სამეფო კარის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში უმსახურია მღვდლად. იგი გვარად ჩუბინიძე ყოფილა. პროფ. ვ. ბერიძე მის შესახებ წერს: „დავითი... მღვდელი იყო, იმავე დროს, სტამბის საქმის მცოდნეც: როცა 1782 წელს ერეკლე II-მ თბილისის სტამბა განაახლა, დავითი მის ხელმძღვანელად დანიშნეს, 1784 წელს კი ერეკლეს კარის საყდარში განაწესეს" [3].

არ გვეგულება მეორე ისეთი მოღვაწე, რომელსაც დავითზე მეტხანს ემუშაოს ერეკლეს სტამბაში. მან 1772 წლიდან დაიწყო აქ მოღვაწეობა და 1795 წლამდე ანუ სტამბის დახურვამდე მისი უშუალო გარჯითა და შეწევნით დაიბეჭდა: 1772 წელს „პარაკლიტიკოსი", 1783 წელს „კონდაკი", 1786 წელს „სახარება", 1788 წელს „ზატიკი", 1791 წელს „ჟამნი", „სამოციქულო", „სახარება", 1793 წელს „კონდაკი", „მცირე ლოცვანი", 1794 წელს „კურთხევანი" და 1795 „დავითნი".

---

[1] ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის მე-18 საუკუნეში, 1941, გვ. 18.

[2] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, გვ. 260.

[3] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 228.

დავითს თავდაპირველად „დაზგის მმართველად“ ანუ მბეჭდავად დაუწყია მუშაობა, მაგრამ მალე „პლაკის მჭრელის“ თანამდებობაც შეუთავსებია. 1788 წელს გამოცემული „ზატიკის“ ტექსტის ბოლოს ნათქვამია: „დაიბეჭდა წმიდა ესე ზადიკი... პლაკის მჭრელობით და დაზგის-მმართველობით კარის საყდრის ხუცის დავით უღირსისათა“ [1].

საყურადღებოა, რომ დავითი ზოგიერთ წიგნში „დაზგის მმართველისა“ და „პლაკის მჭრელის“ გარდა მწერლადაცაა მოხსენიებული. მაგალითად, 1786 წელს გამოცემული „სახარების“ მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „დაიბეჭდა... მწერლობითა კარის ეკლესიის ხუცის დავით უღირსისათა“ [2]. ეს მოწმობს, რომ დავითი შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი გადაწერილი უნდა იყოს პ. ორბელიანის „ისტორია“, რომლის ანდერძშიაც ნათქვამია: „სრულ იქმნა ძალითა ღ-თისათა წიგნი ესე „მცირე ქართლის ცხოვრება“ ხელითა ხარების საყდრის დეკანოზის ძის დავითისათა“ [3].

მოგვეპოვება ზოგიერთი ცნობა დავითის პირადი ცხოვრებიდანაც. მას ორი შვილი ჰყოლია — იესე და ნიკოლოზი. პირველი მამა იყო ცნობილი ქართველი მეცნიერის დ. ჩუბინაშვილისა, ხოლო მეორე — გამოჩენილი მკვლევარი და მთარგმნელი. იესეც მამის კვალს გაჰყოლია. სამოღვაწეოდ მღვდელთმსახურება აურჩევია. მას გახსნილი ჰქონია საკუთარი სასწავლებელი, სადაც ქართული ენის კითხვასა და ხატოვნად წერას ასწავლიდა. პლ. იოსელიანი იგონებს: „ამას (იგულისხმება იესე ჩუბინიძე. — ო. კ.) აქვნდა მუნ სასწავლებელი სადაცა მეც ვსწავლობდი ქართულსა კითხვასა და წერასა ხარისა ბეჭისა ძვალზედ დროთა ჩვეულებისა გამო. 1817 წელს გაუქმდა სასწავლებელი ესე და გადაგვიყვანეს სემინარიასა, რომელიცა გაიხსნა მასვე წელსა 1 ოქტომბერსა ექსარხოსმან თეოფილაქტე“ [4].

დავითი, ეტყობა, მომსწრე ყოფილა 1795 წელს კრწანისში დატრიალებული ტრაგედიისა. მას საკუთარი თვალით უნახავს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება და სტამბის დანგრევა.

გარდაიცვალა დავითი 1810 წლის 15 მარტს [5].

---

1 ქართული წიგნი, 1941, გვ. 66.

2 იქვე, გვ. 65.

3 საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd, № 2304.

4 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, 1936, გვ. 261.

5 ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 228.

ტრიფილე

ტრიფილე XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწეა. გვარად იგი ჩერქეზიშვილი ყოფილა [1].

საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ ჩერქეზიშვილები წარმოშობით კახეთიდან, კერძოდ, სოფელ ვეჯინიდან არიან. ცნობილი გერმანელი მოგზაურის გულდენშტედტის გადმოცემით, ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი 1772 წელს ერეკლე II-ს თუშეთის მოურავად დაუნიშნავს [2]. ტრიფილე ვეჯინელი ჩერქეზიშვილების შთამომავალია.

ტრიფილე ანტონ კათალიკოსის აღზრდილია. თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო დისციპლინების გარდა მას კარგად სცოდნია აგრეთვე ბერძნული, რუსული და სომხური ენები. ი. ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ეს (ტრიფილე. — ო. კ.) იყო სწავლული ფილოსოფიასა ხელოვნებასა შინა და კარგი ღრამატიკოსი, საღმრთო წერილსა შინა ზედმიწევნული... მწერალი უცხო და ჩქარი, რომელ ოდეს მოიცალის ეკლესიის მსახურებისაგან, არა დაუტოვებდის საღმრთოთა წერილთა და ისტორიათა წერასა, რომელმანც გადასწერნა წიგნნი ვიდრე ხუთასსა ზედა უმეტესნი“ [3].

ტრიფილე იმდენად შესანიშნავი კალიგრაფი იყო, რომ შემდეგი თაობის მოღვაწენი მის მიერ გადანუსხულიდან ამჯობინებდნენ ამა თუ იმ ძეგლის გადაწერას. მაგრამ ტრიფილე მარტო კალიგრაფ-გადამწერი როდი იყო, იგი იმ დროისათვის გამოჩენილ პოეტადაც ითვლებოდა. მონაზვნობის დროს მას დაუწერია ხუთტაეპიანი შაირი (სვინაქსარი) „ათორმეტთა თვეთა პროლოღია“. მასვე ეკუთვნის აგრეთვე ერეკლე II-სადმი დაბადების დღეს მიძღვნილი ლექსი და სხვ. [4].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ტრიფილე ტონს აძლევდა არა მარტო ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების მაჯისცემას, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. იგი გარეული ყოფილა, მაგალითად, ზ. გაბაშვილსა და ანტონ კათალიკოსს შორის ჩამოვარდნილ ბრძოლაში. როგორც ცნობილია, ამ ბრძოლის პირველი ნახევარი ზაქარიას გამარჯვებით დამთავრ-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1968, გვ. 271.

[2] გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, გვ. 263.

[3] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 193.

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 75.

და. დამარცხებულმა ანტონმა თავი რუსეთს შეაფარა. ამ დროს მას თან ხლებია ტრიფილეც. თავისი სურვილით გაჰყვა იგი ანტონს, თუ საეკლესიო კრების მიერ ისიც მსჯავრდადებულ იქნა პატრიარქთან ერთად, სარწმუნო წყაროების ნაკლებობის გამო ამის დადგენა ვერ მოხერხდა. ის კი ირკვევა, რომ 1761 წელს იგი უკვე ვლადიმირშია და ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. იქ უთარგმნია მას „თევნი“ [1].

ვლადიმირში გატარებულ წლებს კეთილსასურველი გავლენა მოუხდენია ტრიფილეზე. მას იმდენად კარგად შეუსწავლია რუსული, რომ 1769 — 1771 წლებში თარჯიმნად ხლებია მოსკოვში დიპლომატიური მისიით გაგზავნილ ანტონ კათალიკოსს. რუსეთს გზად მიმავალნი ერთხანს ასტრახანში შეჩერებულან. აქ ტრიფილეს „მოცლითა ყოფნის“ გამო გადაუწერია თავისი მასწავლებლის ცნობილი ნაშრომი „კატეხიზმო“. საერთოდ ტრიფილე ანტონის პირად გადამწერად მოჩანს. მასვე გადაუნუსხავს კათალიკოსის „საუნჯე“ და სხვა ნაწარმოებები [2].

1763 წელს ექსორიობიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ანტონმა ანჩისხატის მონასტერთან საეკლესიო სასამართლო ანუ დიკასტერია დააარსა. მისი წევრები ყოფილან: თავად კათალიკოსი, სამთაეროსა და გორის ეპისკოპოსი, რუისის მიტროპოლიტი, ნინოწმინდელი, თბილელი მიტროპოლიტი, მანგლისის ეპისკოპოსი და სხვები. დიკასტერიას თავისი მდივანიც ჰყოლია, რომელიც „მწიგნობარ მთავრად“ ხან კი „მწიგნობარ წინამძღვრად“ იწოდება. მდივნობა „სასულიერო ხასიათის სახელოდ ითვლებოდა, რომელსაც ძირითადად დიკასტერიის საბუთების წარმოება ევალებოდა“ [3]. ერთი ხანობა ეს თანამდებობა ტრიფილეს სჭერია [4].

1783 წელს ტრიფილე თავს ანებებს დიკასტერიის მდივნობას და მუშაობას იწყებს ერეკლე II-ის სტამბაში. აქ მისთვის მთარგმნელ-რედაქტორის მოვალეობა დაუკისრებიათ.

სულ ტრიფილეს უშუალო მონაწილეობით შვიდი წიგნი დაბეჭდილა: 1783 წელს „კონდაკი“, 1784 წელს ზემოდასახელებული „ლოცვა-

---

[1] საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd. № 348.

[2] თ. ქორდანია, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 322.

[3] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში, 1970, გვ. 194.

[4] იქვე.

ნი“, 1791 წელს „ჟამნი“, 1793 წელს „კონდაკი“, „მარხვანი“, „მცირე ლოცვანი“ და 1794 წელს „კურთხევანი“.

ეკლესიის წინაშე გარკვეული დამსახურებისათვის ანტონ II-ს ტრიფილესათვის მცხეთის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტობა უბოძებია [1]. 1801 წლით დათარიღებულ შიო მღვიმის საბუთებში იგი ამ თანამდებობით იხსენიება [2].

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ტრიფილეს მწუხარებაში გაუტარებია. იგი ორივე თვალით დაბრმავებულა. ამის მიუხედავად მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ღვთისმსახურება. ი. ბაგრატიონი გადმოგვცემს: „მოხუცებულობითა იქმნა ბრმა, გარნა ყოველთა დღესასწაულებათა შორის თვით ზეპირ უკანანახებდის დასდებელთა მის დღისათა, ვინაითგან აქვნდა ჩვეულება ესგვარ მსახურებისა ეკკლესიებთა“ [3].

გარდაიცვალა ტრიფილე ღრმად მოხუცებული. პლ. იოსელიანი გვაუწყებს: „ტრიფილე აღმწერელი წიგნთა, წინამძღვარი ჯვარისა მონასტრისა, არაგვის გალმა პირის-პირ მცხეთისა მოკვდა 1818 წელსა“ [4].

იოანე ოსეს ძე

იოანე სახელგანთქმული კალიგრაფ-გადამწერების მიქაძეების საგვარეულოს თვალსაჩინო წარმომადგენელია. მამამისი ოსე იასეს ძე დიდად განსაწვლულ-განათლებული პიროვნება ყოფილა. 1750 წელს მას თეიმურაზ II-ის დავალებით შეუდგენია სამართლის წიგნების ანბანური საძიებლები და გადაუნუსხავს მრავალი წიგნი [5]. სხვა რომ არა იყოს რა, ოსეს ავტორიტეტს ისიც მოწმობს, რომ მისი შვილები გვარის გარეშე, პირდაპირ მამის სახელით იხსენიებიან. ოსეს უფროსი ძმა, გამოჩენილი მემუარისტი და პოეტი იესე ბარათაშვილი, იგონებს: „მამაჩემი იყო სიონის დეკანოზის იესეს შვილი (ცნობილი მესტამბე

---

[1] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 193.

[2] შ. მღვიმის მონასტრის საბუთები, № 30.

[3] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 193.

[4] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, 1936, გვ. 259.

[5] ლ. მენაბდე, ლიტერატურული კერები ძველ საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 174.

ნიკოლოზ სიონის დეკანოზის ძე ოსეს ძმისწულია—ო. კ.) და ფრიად კეთილისა კაცისა შვილი და თვით მღვდელი წმიდისა სიონისა ეკლესიისა; დიდად მეცნიერი საღვთისმეტყველოთა წიგნთა და აგრეთვე საფილოსოფოსოთაცა"[1].

ოსე იასეს ძე დაბადებულა 1698 წელს. იგი ჯერ უბრალო მღვდელი ყოფილა, შემდეგ კი სიონის დეკანოზად და „სატფილელოს სახლთუხუცესად" დაწინაურებულა. მას ნათელმირონობა და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ქართლ-კახეთის სამეფო კართან. კერძოდ, ოსეს მონათლული ყოფილა ერეკლე II-ის დის ანას ვაჟი მამუკა[2].

როგორც ირკვევა, ოსეს ცოლად ჰყოლია აზნაურ გოგიბედაშვილის ქალი. იესე წერს: „დედაჩემი იყო დაბისაგან მცირისა კერძო აზნაურთა შვილთა ასული, გარნა კეთილისა გოგიბედაშვილისა"[3]. მათ სულ ექვსი შვილი შესძენიათ. აქედან ოსე 1750 წელს დაბადებულა. „ქორონიკონს 438 (1750) იოანე ჩემი ძმა დაიბადა",—გადმოგვცემს იესე[4]. 1767 წელს მას ჯვარი დაუწერია ჯვრის მონასტრის დეკანოზის ძმისწულზე. ქორწილის მოთავე და ალამდარი იესე ყოფილა. იგი წერს: „ქორონიკონს 455, იანვარს, ქრისტეს აქეთ 1767 ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან იოანე ჩემს ძმას ცოლი მოვგვარე და დავაქორწილე"[5].

წლის თავზე — 1768 წელს იოანეს ვაჟი შესძენია, რომლისთვისაც სახელად მიქელი დაურქმევიათ[6]. ახლად ჯვარდაწერილი იოანე და იესე ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მალე მათ შორის მამის გარდაცვალების შემდეგ უთანხმოება ჩამოვარდნილა და ძმები გაყრილან.

იოანე მამის მსგავსად ღვთისმსახურებას გაჰყოლია და სიონის დეკანოზობამდე მიუღწევია. მას იმ დროის კვალობაზე იმდენად კარგი სწავლა-განათლება მიუღია, რომ მალე ცნობილი მთარგმნელ-გადამწერი გამხდარა. ის თხზავდა ორიგინალურ შრომებსაც.

1755 წელს თბილისში გაიხსნა სემინარია. მას დროგამოშვებით ხელმძღვანელობას უწევდნენ ანტონ კათალიკოსი და ფ. ყაითმაზაშვილი. ერთხანს მისი რექტორი იყო იოანე ოსეს ძე მიქაძეც.

---

[1] ა. იოსელიანი, იასე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 2.
[2] იქვე, გვ. 8.
[3] იქვე, გვ. 2.
[4] იქვე, გვ. 14.
[5] იქვე, გვ. 46.
[6] იქვე.

დიდი ღვაწლი დასდო იოანემ აგრეთვე ქართული წიგნების ბეჭდვის საქმესაც. იგი წელთა მანძილზე მუშაობდა ერეკლეს სტამბაში რედაქტორ-კორექტორად. 1783 წელს გამოცემული „კონდაკის“ ტექსტის ბოლოს ნათქვამია: დაიბეჭდა წიგნი ესე „ღრამატიკისა კანონსა ზედა განმართვითა და პრობის მართვითა უღირსის ხუცის ოსეს ძის იოანესითა“ [1]. ასევე იხსენიება იგი 1784 წელს „ლოცვანის“, 1786 წელს „სახარების“, 1788 წელს „ზატიკისა“ და 1791 წელს დაბეჭდილ „სამოციქულოს“ საგამომცემლო მონაცემებში.

გარდაიცვალა იოანე 1801 წელს.

შიო ტუსიშვილი

ტუსიშვილები არაგვის ხეობის თავადები იყვნენ. შიო იმათი შთამომავალია. მისი ოჯახური წრის შესახებ ცოტა რამ ვიცით. ცნობილია, რომ თავის დროისათვის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და თავკაცი საბა ნინოწმინდელი მისი ძმა იყო.

შიოს წლების მანძილზე მოლარეთუხუცესის თანამდებობა სჭერია თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს კარზე. 1760 წელს ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებული დიდი ელჩობა გაიგზავნა რუსეთს დიპლომატიური მისიით, რომელსაც თავად თეიმურაზ II ედგა სათავეში. ამ ელჩობის წევრი ყოფილა შ. ტუსიშვილიც.

1760 წლის 2 ივნისს რუსეთს მიმავალი თეიმურაზ II თავისი ამალით ყიზლარს ჩასულა. აქ იგი კარანტინის მომიზეზებით ერთი თვე დაუკავებიათ. თეიმურაზი გრძნობდა, რომ „რუსეთში მას გულღიად ვერ ხვდებოდნენ, მოსალოდნელი იყო მისი გამგზავრების დაყოვნება. ამასთან, როგორც ჩანს, შეფერხების მიზეზად ვახტანგის მემკვიდრეთა პოზიციაც მიუჩნევია“ [2]. მეფეს წინასწარ განუჭვრიტავს შექმნილი რთული სიტუაცია და გადაუწყვეტია ყიზლარიდან პეტერბურგს თავისი კაცის გაგზავნა ქართლის ტახტის პრეტენდენტთა ინტრიგების ჩასაშლელად და იმპერატორთან აუდენციის მისაღწევად.

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 62.

[2] ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, 1968, გვ. 60.

ამ მიზნით მას თავისი ერთგული მოლარეთუხუცესი შ. ტუსიშვილი გაუგზავნია პეტერბურგს ნათესაების მონახულების საბაბით. მეფეს შიოსათვის თან გაუტანებია სპეციალური წერილები ბაქარის ქვრივ ანა დედოფალთან და რუსეთის სამსახურში მყოფ მაღალი თანამდებობის ქართველებთან. ამ წერილებით ცხადი ხდება, რომ თეიმურაზი ცდილობდა ეამებინა ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებისათვის, რათა ხელი არ შეეშალათ მისთვის პეტერბურგში ჩასვლისას რუსეთთან დიპლომატიურ მოლაპარაკებაში [1].

შ. ტუსიშვილი ყიზლარიდან პეტერბურგს 1760 წლის 11 ივნისს გამგზავრებულა. 17 ივნისს იგი უკვე ასტრახანში ჩასულა, ხოლო 22 ივნისს — პეტერბურგს [2]. შეასრულა თუ არა შიომ თეიმურაზის დანაბარები — ჩააბარა თუ არა მან ადრესატებს მეფის წერილები, არ ვიცით, მაგრამ ეს კი ცხადი ხდება, რომ 1760 წლის 11 აგვისტოს შიოს მოუხერხებია კანცლერ მ. ვორონცოვის ნახვა, რომლისთვისაც უთხოვია თეიმურაზ II-ის და იმპერატორის პირისპირ შეხვედრის დაჩქარება [3].

ჩანს, შ. ტუსიშვილის არაოფიციალურ დიპლომატიურ მისიას პეტერბურგში დადებითი შედეგი გამოუღია. ამას მოწმობს ის, რომ თეიმურაზისათვის გამგზავრების ვიზა მიუციათ. 1761 წლის თებერვლის მიწურულს იგი თავისი ამალით ყიზლარიდან მოსკოვს ჩასულა, ხოლო 19 მარტს უკვე პეტერბურგში ყოფილა.

შიოს ერთპიროვნულ ელჩობას მეორე დადებითი შედეგიც მოჰყვა. ეტყობა, მას საერთო ენა გამოუნახავს ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებთან და განაწყენებულ სხვა ემიგრანტ ქართველებთან, რადგანაც ოფიციალური საბუთებით ირკვევა, რომ მოსკოვს ჩასული თეიმურაზ მეფე ბაქარის ძმას გიორგის მოუნახულებია და რუსეთს გადასახლებულ თანამემამულეებთან ერთად შემდეგში პეტერბურგში გაუცილებია.

ქართველთა ელჩობის პეტერბურგს ჩასვლა საბედისწერო გამოდგა თეიმურაზისათვის. იგი იქ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა [4].

შ. ტუსიშვილისა და ქართლის მეფის ამალის სხვა თავკაცთა ინიციატივით თეიმურაზი საქართველოში წამოუსვენებიათ. დიდი სიცხეების

---

[1] ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, 1968, გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 64.

[3] იქვე, გვ. 65.

[4] იქვე, გვ. 114.

გამო ცხედრის სამშობლოში ჩატანა შეუძლებელი გამხდარა და ამიტომ 1762 წლის 27 მაისს მეფის ნეშტი ასტრახანის მიძინების კათედრალურ ტაძარში ვახტანგ VI-ის გვერდით დაუსაფლავებიათ.

ამის შემდეგ ქართველი ელჩების ერთი ნაწილი, მათ შორის შ. ტუსიშვილიც, სამშობლოში დაბრუნებულა. დაინტერესებულ პირებს ათასგვარი ჭორი გაუვრცელებიათ საქართველოში თეიმურაზის გარდაცვალების შესახებ. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ მეფის დაღუპვა მთლიანად ამალის წევრებისათვის დაუბრალებიათ [1].

ამის გამო ერეკლე II განრისხებულა ელჩებზე. მაგრამ შემდეგში გულდამშვიდებით გარკვეულა საქმის სინამდვილეში და ბევრისათვის „დანაშაული შეუნდვია". შ. ტუსიშვილი ერეკლეს სრულიად გაუმართლებია და დასჯის მაგივრად თავის სტამბაში მიუწვევია სამუშაოდ. 1783 წელს მისი მონაწილეობით იბეჭდება „კონდაკი", ხოლო 1784 წელს — „ლოცვანი".

აბრამ ურიაყოფილი

აბრამის ნამდვილი გვარის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. პ. იოსელიანის ცნობით, იგი გვარად მოუსტვინაშვილი ყოფილა. „აბრამ, გვარით ურიათყოფილი, — წერს მკვლევარი, — მოუსტვინაშვილად წოდებული, მბეჭდავი წიგნთა... დიდი მლოცველი და მემარხულე, და მღვდელი განკრძალული იდგა მარტყოფს" [2].

ურიაყოფილი რომ აბრამის ნამდვილი გვარი არ არის, ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ არც პ. იოსელიანის ცნობა უნდა იყოს სწორი მისი მოუსტვინაშვილად მიჩნევის შესახებ. ვფიქრობთ, ასეთი გვარი იმ დროს საქართველოში ოფიციალურად საერთოდ არ არსებობდა. შესაძლებელია მოუსტვინაშვილი აბრამის ანდა მისი წინაპრისათვის ზედმეტად შერქმეული გვარია და არა ნამდვილი.

აბრამი ეროვნებით ქართველი ებრაელი უნდა ყოფილიყო. ჩანს, შემდეგში იგი ქრისტიანად მონათლულა, რის შედეგადაც მისთვის ზედ-

---

[1] ვ. მაკარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, 1968, გვ. 135.

[2] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, 1936, გვ. 260.

მეტ სახელად ურიაყოფილი შეურქმევიათ. ნამდვილი გვარის დასადგენად ყურადღებას იქცევს ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია: „მე, სალუყაზანაშვილი აბრამა ვახტანგ მეფის დროს დიაკვანი ვიყავი და სტამბაში ვებარე“ [1]. ცხადია, ამ დოკუმენტში მოხსენიებული სალუყაზანაშვილი არის ურიაყოფილად წოდებული ჩვენთვის საინტერესო პირი, რადგანაც სტამბის საქმის მცოდნე სხვა აბრამს, გარდა სალუყაზანაშვილისა, ისტორია არ იცნობს.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ აბრამს ერთხანს მაღალი საეკლესიო თანამდებობები ჰქერია. 1749 წელს შ. ტუსიშვილის ძმას საბა ნინოწმინდელს იგი სვიმონ ორბელიშვილის ნაცვლად გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დაუნიშნავს. აქ აბრამი დიდხანს არ დარჩენილა. აკად. გ. ჩუბინაშვილი მას ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად 1754 წლამდე თელის [2]. ჩვენი აზრით, ეს სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგანაც ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით ჯერ კიდევ 1752 წელს აღნიშნული მონასტრის წინამძღვრად ზენონი იხსენიება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აბრამს გარეჯი მიუტოვებია არა 1754 წელს, არამედ არა უგვიანეს 1752 წლისა.

აბრამის შემდეგი ცხოვრების გზა ბურუსითაა მოცული. 60-იან წლებში იგი მოსკოვშია. შესაძლებელია 1761 წელს თეიმურაზ II-ს გაჰყვა რუსეთში როგორც ელჩი და ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მეფის ამალის სხვა წევრების მსგავსად ისიც მოსკოვში დარჩა საცხოვრებლად. იქ იგი ათანასე ამილახვარს შეჰკედლებია და ჯვართამაღლების მონასტერთან დაარსებულ სტამბაში დაუწყია მუშაობა. მისი ხელით დაბეჭდილა ამ სტამბაში, მაგალითად, „დავითნი“.

რამდენ ხანს დარჩა აბრამი მოსკოვში, ცნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში 80-იანი წლებისათვის მას ისევ საქართველოში ეხედავთ. სამშობლოში დაბრუნებული აბრამი ერეკლე II-ს კარგად ჰიუღია. იგი მას თავისი ეკლესიის მღვდლად გაუმწესებია.

როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნების ბეჭდვაში გამოცდილი აბრამი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს ერეკლეს სტამბაში „დაზგის მმართველად“. გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: რითი უნდა აიხსნას, რომ ისეთ მესტამბეს, როგორიც აბრამი იყო,

---

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd № 85, 72.

2 მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 179.

თავისი სიცოცხლის ხანგრძლივ მანძილზე სულ ორი წიგნის გამოცემაში აქვს მონაწილეობა მიღებული — 1764 წელს მოსკოვის „დავითნსა“ და 1786 წელს თბილისის „სახარების“ დაბეჭდვაში.

ცხოვრების უკანასკნელი წლები აბრამს მარტყოფში გაუტარებია [1].

რომანოზ ზუბაშვილი

რ. ზუბაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიაში. იგი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ერეკლე II-ის, მოზდოკის, ქუთაისისა და სოფელ წესის სტამბების აღდგენა-დაარსებისა. ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, რომ რომანოზი ორ გვარსახელს ატარებდა — რაზმაძე-ზუბაშვილს. აქედან გამომდინარე ადრე უმართებულო მოსაზრება გვქონდა გამოთქმული. რადგანაც მთელ რიგ ძველად გამოცემულ წიგნებში სიტყვა „ზუბაშვილი“ დეფიზითაა წარმოდგენილი („ზუბა-შვილი“), ვფიქრობდით. რომ რომანოზის ნამდვილი გვარია რაზმაძე, ხოლო ზუბაშვილი მამის სახელიდანაა ნაწარმოები და აღნიშნავს, თუ ვისი შვილი იყო რომანოზ რაზმაძე. ბოლოს ვასკვნიდით, რომ მამამისს ზუბა ერქვა სახელად [2]. ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს 1784 წელს დაბეჭდილი „დაუჯდომელის“ ფრაგმენტი. მასში შემორჩენილია ასეთი ცნობა: „აღსრულდა. დიდება ღმერთსა... ხელითა მესტამბე ზუბაშვილი, ღვთისია მოურავის ძის რომანოზისათა“ [3]. ამ ამონაწერით ირკვევა, რომ რომანოზის მამას ზუბა კი არა რქმევია, როგორც ამას ადრე ვფიქრობდით, არამედ ღვთისო, ანუ ღვთისავარი. აქედანვე ვგებულობთ, რომ იგი მოურავი ყოფილა, მაგრამ ვისი, ეს კი არ ჩანს. ამრიგად, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ზუბაშვილი“ არცთუ ისე შორეული წინაპრის, ვინმე ზუბა ანუ ზუბალა რაზმაძიდან მომდინარე შტოს საგვარეულო სახელია.

რომანოზი სასულიერო პირია. წიგნების ბეჭდვის ხელოვნებას კონსტანტინოპოლიდან მოწვეულ სომეხ მესტამბე პ. არაპიანთან დაუფლებია. მას სტამბაში მთელი ორი წელი უმსახურია და ამ ხნის განმავლობაში დაუბეჭდია: 1786 წელს „სახარება“, 1788 წელს „ზატიკი“, 1790

---

1 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, 1936, გვ. 347.

2 ო. კასრაძე, კრიტიკული ნარკვევები, 1968, გვ. 32.

3 საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad, № 1314.

წელს „დაუჯდომელი“, 1791 წელს „ჟამნი“, „სამოციქულო“ და „სახარება“, 1793 წელს „კონდაკი“, „მარხვანი“, „მცირე ლოცვანი“ და ა. შ.

1795 წელს თბილისის აოხრებისა და სტამბის დანგრევის შედეგად რომანოზი თავისი ცოლ-შვილით მოზდოკს გაქცეულა და გაიოზ რექტორთან შეუფარებია თავი. აქ იგი აარსებს სტამბას და 1796 — 1797 წლებში სოლომონ II-ის მიწვევით სამშობლოში ბრუნდება. იმერეთის მეფეს მესტამბე გულთბილად მიუღია და უხვადაც დაუმწყალობებია. სოფელ წესში მისთვის როსტომ ერისთავის სასახლე, ბარაკონის ეკლესიის გასწვრივ სახნავ-სათესი მიწები და რამდენიმე ყმა უჩუქებია [1].

სოლომონ II-ის მიერ მიცემული წყალობის სიგელიდან ირკვევა, რომ რომანოზს სამი შვილი ჰყოლია: იოანე, დავითი და ალექსანდრე. როგორც ვიცით, დავითი მამის კვალს გაჰყოლია და ისიც მესტამბე გამხდარა.

რ. ზუბაშვილს იმერეთში ჩამოსვლის შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიუღია ქუთაისის სტამბის გამართვის საქმეში და გ. პაიჭაძის მოსკოვში გადასვლის შემდეგ თვითონ ჩადგომია სათავეში წიგნების ბეჭდვას. მისი ხელმძღვანელობით გამოუციათ 1803 წელს „კურთხევანი“ და „სახარება ენების კვირიაკისა“, 1807 წელს — „დავითნი“ და 1808 წელს — „ჟამნი“.

მალე რომანოზი სტამბას აარსებს სოფელს წესშიაც, სადაც 1809 წელს ბეჭდავს „ღვთისმშობლის სავედრებელს“, ხოლო 1810 წელს — „ლოცვანს“. მას განზრახული ჰქონია მესამე წიგნის — „გამოკრებული სადღესასწაულოს“ დაბეჭდვაც, მაგრამ აღარ დასცალდა. 1811 წელს გარდაცვლილა [2].

დასაფლავებულია რომანოზი სოფელ წესს ბარაკონის ეკლესიის ეზოში.

ქრისტეფორე კექელაშვილი

ქ. კექელაშვილი ძველი თაობის პროფესიონალ მესტამბეთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ფასდაუდებელი ღვაწლი და ამაგი დასდეს ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის განვითარების საქმეს. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე XVIII საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა და როგორც გამოჩენილმა მესტამბე-გამომცემელმა უმალვე

---

[1] ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი № 1139.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 86.

მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. ამას მოწმობს 1784 წელს დაბეჭდილი „კიტაიის სიბრძნის“ ტექსტის ბოლოს დართული მესტამბეთა შემდეგი ანდერძი: „შენდობას ვითხოვთ. ახალი მოსწავლენი ვიყავით. მოძღვარსა ჩვენსა და მასწავლებელს მისის უმაღლესობის კარის ხუცესს ქრისტესიას შენდობა უბრძანეთ“ [1].

ქრისტეფორეს წინაპართა ძირძველი გვარი ბადრიძე ყოფილა, რომლის სახლიკაცებიც საისტორიო საბუთებში აზნაურებად იხსენიებიან. ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი უმემკვიდროდ გადაშენებულ მარტყოფელ კეჟერაანთ ნამამულარში დასახლებულა და გვართან ერთად აზნაურობის ხარისხიც დაუკარგავს. 1798 წელს გიორგი XIII-ის მიერ ქრისტეფორესადმი მიცემულ წყალობის სიგელში ნათქვამია: „პირველად აზნაურიშვილები ყოფილიყავით გვაროვნებით ბადრიძე. ერთი თქვენი გვარისა მარტყოფს მოსულიყო, საგლეხოს კეჟერაანთ ბეითალმანს მამულზედ დასახლებულიყო და გაგლეხკაცებულიყო“ [2].

ქრისტეფორე ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის სამეფო კარზე დიდად დაახლოებული ყოფილა. ერთი ხანობა მას სამეფო კარის ეკლესიის მღვდლად უმსახურია. როგორც განათლებულსა და დამწერლობის კარგ მცოდნეს, იმდენად გამოუჩენია თავი, რომ ერეკლეს იგი იერუსალიმში გაუგზავნია წიგნების ბეჭდვის საქმის შესასწავლად. დაოსტატების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული სტამბის მმართველ-გამგებლად დაუნიშნავთ. გიორგი XIII-ის ზემოდასახელებულ სიგელში ამის შესახებ ვკითხულობთ: „შერმედ წახველ აღთქმის ქვეყანასა, მესტამბეობა მიგეღო. მოხველ, საქართველო საღმრთო წიგნებისაგან ნაკლებად იყო და თოთხმეტი ათასი საღმრთო წიგნი დაგვიბეჭდე“ [3].

იერუსალიმიდან დაბრუნებული ქრისტეფორე ერეკლეს სტამბას იჯარით იღებს. ამის შემდეგ წიგნების ბეჭდვის საქმე საგრძნობლად გამოცოცხლდა და წინ წავიდა. მის ხელში სტამბამ 1795 წლამდე იარსება და ამ ხნის განმავლობაში დაიბეჭდა: „დაუჯდომელი“, „ლოცვანი“ „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“, „ჟამნი“ და სხვ.

ერეკლე II კეთილად ყოფილა განწყობილი ქრისტეფორეს მიმართ. თავის მხრივ ეს უკანასკნელიც ერთგულად ემსახურებოდა მწყალობელ მეფეს. იგი თან ხლებია ერეკლეს თურქთაგან ერევნის განთავისუფლე-

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 64.

[2] გაზ. „ივერია“, 1900 წ., № 171.

[3] იქვე.

ბისათვის ბრძოლაში [1]. ორმოცი დღე-ღამის განმავლობაში გვერდიდან არ მოშორებია ქრისტეფორე მეტეხში „საოფლისაგან“ ავად გამხდარ მეფეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქრისტეფორემ აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების ჟამს ტყვედ წაყვანილ ქართველთა სამშობლოში დასაბრუნებლად. გიორგი XIII-ის წყალობის სიგელში ნათქვამია: „შემდგომ აღამაჰმადხან მოვიდა, ტფილისი დასწვა და ტყვენი მრავალნი დაატყვევნა და ამ ტყვეთაგან ბევრნი განჯის ხანსა ჰყვანდნენ ტყვედ... შენ და მისკარბაში იოსებ გაგგზავნეთ განჯის ციხეში ხანთან. იქაც დიდად გაისარჯე. გულ-უშიშრად სახლები და დუქნები დაგვგვლო და სადაც დამალული ტყვე ჰყოლიათ, ისიც გეპოვა და სამ და თად შვიდასი ტყვე გამოგეყვანათ განჯის ციხიდან“ [2].

ქრისტეფორეს ერთგულება და თავდადება ერეკლესადმი თვალნათლივ გამოვლინდა ამ უკანასკნელის გარდაცვალებისას. უნდა ითქვას, რომ ს. ლეონიძისა და ქ. კეჟერაშვილის მსგავსად არც ერთ მოღვაწეს არ განუცდია ესოდენ მწარედ სახელოვანი მეფის სიკვდილი. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მცხეთაში სახადი მძვინვარებდა, ქრისტეფორე არ შეუშინდა ძლიერ სენს, მარტოდმარტო, ფეხდაფეხ შეჰყვა მცხეთაში და უჭირისუფლა ერეკლეს. აი როგორ აღწერს გიორგი XIII ამ ამბავს თავის სიგელში: „ვითარცა არს სოფლის ჩვეულება, კურთხეული მამა ჩვენი თელავს მიიცვალა. მცხეთას უნდა მიგვესვენებინა. მცხეთაში დიდი ჭირი იყო, სვრა. შენ დაუღალავი შეიქმენ, თავი გამოიმეტე, მოგვახსენე, რომ მე შევყვებიო. იახელ თანა და ქართლიდამ დიაღ მრავალი ხალხი ახლდა თან, მაგრამ შენს მეტი არავინ შეჰყოლია, ვინც შიგ არ იყვნენ მცხეთელთ მეტი ჭირიანები, იქ საფლავს მიუდექი და ემსახურე... აღდგომის დღეს, წირვის უკან სამთაროს გამოსულიყავ და წესისამებრ მართებული აღაპი გადაგეხადა“ [3].

ასევე ერთგულად ემსახურებოდა ქრისტეფორე საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XIII-ს. როგორც ცნობილია, ერეკლე II-ს თბილისში სპილენძის დამმუშავებელი ქარხანა ჰქონდა დაარსებული, რომელშიაც ხელოსნებად ძირითადად ბერძნები მუშაობდნენ. გიორგის მეფობისას ქალაქში ჭირი გაჩენილა. შეშინებული ბერძნები თბილისიდან გახიზნულან. ქრისტეფორეს კარგად სცოდნია ბერძნული. მას სა-

---

[1] გაზ. „ივერია“, 1900, № 171.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ერთო ენა გამოუნახავს შემოფანტულ ოსტატებთან და ქარხანა აუმუშავებია [1]. აღნიშნული და სხვა მრავალი დამსახურებისათვის გიორგის ქრისტეფორესათვის ნამდვილი გვარი დაუბრუნებია, აზნაურობა უბოძებია და უწინდელ მამა-პაპათა სამემკვიდროში — სოფელ ნორიოში დაუსახლებია. სიგელში წერია: „ნაცვლად ამ სამსახურისა შენისა წყალობა გიყავით... ჩვენ ისევ აზნაურშვილობა და ბადრიძეობა განგიახლეთ და გიბოძეთ. კიდევ გიბოძეთ ზემო ნორიოს ხუთი საკომლო ბეითალმანი მამული... თვისის ნავენახრებით, სახნავით, სათესით, წყლით, წისქვილით, მთით, ბარით, და თვისის სამართლიანის საზღვრებით" [2].

1798 წელს ქრისტეფორე კვლავ თბილისშია და აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული სტამბის აღდგენა-განახლებაზე ზრუნავს.

დასაფლავებული უნდა იყოს ქრისტეფორე ნორიოს ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში.

იოანე მანგლელი

იოანე მანგლელი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა. მისი ნამდვილი გვარი სააკაძე ყოფილა [3], მანგლელობა კი მანგლისის ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ მიუღია. ერთხანს მას დერბენტსა, ასტრახანსა და ყიზლარში უმოღვაწია. ქართველებით ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ ამ უკანასკნელ პუნქტში მას თავისი ხარჯით ეკლესიაც კი აუგია ჯვრის სახელწოდებით. მოიპოვება ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ იოანეს დამსახურებას ოსებსა და ჩრდილო კავკასიის მთიელებს შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში იოანე მანგლელი საქართველოშია და როგორც ბერძნულ-რუსული ენების კარგი მცოდნე ერეკლე II-ის სტამბაში იწყებს მუშაობას მთარგმნელად. მას მოუმზადებია დასაბეჭდად 1784 წელს გამოცემული „ლოცვანის" ტექსტი. ამ წიგნის უკანასკნელ გვერდზე ვკითხულობთ: „კანონი და ლოცვანი ესე წმიდისა ზიარებისა ბერძულსა და რუსულსა ზედა შემოწმებულ იქმნა ყოვლად სამღ..

---

[1] გაზ. „იერია", 1900, № 171.

[2] იქვე.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 560.



ვდელოისა ნეტარისა მანგლელისა იოანეს მიერ და კვალად მასვე ბერძულსა და რუსულსა ზედა შემოწ'ებულ და გამართულ იქმნა“ [1].

1784 წელს გამოცემული „ლოცვანის“ გარდა იოანე მანგლელს სხვა რომელიმე წიგნის ბეჭდვაში მონაწილეობა არ მიუღია.

ზაქარია არქიმანდრიტი

ქუთაისის სტამბამ დაარსების პირველსავე ხანებში თაობათა ერთგვარი ცვლა განიცადა. 1800 წელს, „დავითნის“ დაბეჭდვის შემდეგ, სტამბიდან წავიდნენ რ. ნიჟარაძე, დ. მესხი და მათ ნაცვლად მოვიდნენ ზ. წერეთელი, რ. ზუბაშვილი და ზაქარია არქიმანდრიტი.

ზაქარია გვარად გურგენიძე ყოფილა. დ. კარიჭაშვილი წერს: „საჩხერეში 1817 წელს დაბეჭდილ სახარების ერთ ცალზე ყოფილა წარწერა, რომლის მიხედვით ზაქარია ყოფილა გოდოგნელი აზნაური გურგენიძე“ [2]. ამ ცნობას სარწმუნოს ხდის გელათის არქიმანდრიტის ნიკოლოზის მიერ 1835 წლის 27 ნოემბერს ქუთაისის სტამბის თაობაზე სინოდისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათი. მასში ნათქვამია, რომ ზაქარიას შემდეგ სტამბის მოწყობილობა გადავიდა „განკარგულებაში შინაძმის მისისა, აწ უკვე მიცვალებულის გიორგი გურგენიძისა, რომელმაცა მოიხმარა იგი თავისის სასარგებლოდ“.

ქუთაისის სტამბაში მოღვაწეობის დაწყებამდე გაცილებით ადრე, როგორც ვიცით, ზაქარია გარეჯის მონასტერში ყოფილა ბერად აღკვეცილი. 1815 წელს საჩხერეში გამოცემულ „სამოციქულოს“ მინაბეჭდში ვკითხულობთ: „სტამბისა ამისა ყოვლითურთ მმართველი და ზედამდგომელი საქართველოს მრავალ-მთის გარეჯის ბერი გენათის არხიმანდრიტი ზაქარია“ [3].

როდის ან როგორ მოხვდა ზაქარია გარეჯიდან ქუთაისში, ამის შესახებ რაიმე ოფიციალური საბუთი არ გაგვაჩნია. შეიძლება იგი უთანაგრძნობდა ზ. გაბაშვილს ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ ბრძოლაში და „ვითარცა სულიერი ძმა“ ანდა მოწაფე თან გაჰყოლა მას 1767 წელს ჯერ რუსეთში, შემდეგ კი ქუთაისში.

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 64.

[2] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 111.

[3] ქართული წიგნი, 1941, გვ. 88.

გარეჯელი ბერი ქუთაისში პატივით მიუღიათ და მალე გელათის არქიმანდრიტად დაუწინაურებიათ. ქ მას ღვთისმსახურებასთან ერთად ხელი მიუყვია საეკლესიო წიგნებისადაწერისათვის [1]. ალბათ ამიტომ იყო, რომ 1803 წლიდან ქუთაისის სტამბაში მიიწვიეს „გამგებელ-ზედამხედველად“ და საბეჭდი წიგნების „კანონსა ზედა გამმართველად“. მისი აქტიური თანამშრომლობით იბეჭდება ამ სტამბაში „კურთხევანი“, „სახარება ვნების კვირიაკისა“, „დავითი“, „ჟამნი“ და „ლოცვანი“.

1815 წლიდან ზ. წერეთელს ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ ზაქარია დაუყოლიებია და ქუთაისიდან ახლად დაარსებულ საჩხერეს სტამბაში გადუყვანია. აღნიშნულის შესახებ 1817 წელს ამ სტამბაში გამოცემული „სახარების“ მინაბეჭდში ნათქვამია: „მაღალ-ბრწყინვალეო თავადო, წერეთელო ზურაბ, მოწყალეო ქრისტეფორე! მე უკუვე: რაოდან მთხოვდა ღმრთის მსახურება თქვენი, მსახურებასა შევუდეგ ბრწყინვალებისა თქვენისა, ვითა სუროდა საღვთოს სულსა შენსა. წმიდა ესე სახარება დავბეჭდე მრავლითა შრომითა და სხვათაცა წიგნთა და წიგნაკთა შინა ნაშრომთა ჩემთა სახელი შენი არ სწერე. ვსასოებ კაცთმოყვარისა ღმრთისაგან, რათა უზადოთა კეთილმოქმედებითა შენითა წინა ცხოველთასა აღიწერო სამარადისოდ. ღმრთის მსახურებისა თქვენისა მლოცველი მდაბალი არქიმანდრიტი ზაქარია“ [2].

საჩხერეს სტამბაში ზაქარიას მუშაობა დიდხანს არ დასცალდა. 1818 წლის უსიამოვნო შემთხვევის შედეგად იგი დაუპატიმრებიათ და ოსე გაბაშვილთან ერთად ბელგოროდში გადაუსახლებიათ, სადაც იგი 1824 წელს გარდაცვლილა.

---

[1] ლ. მენაბდე, ძველი ქართული ლიტერატურის კერები, ტ. I, ნაკვეთი II, 1962, გვ. 544.

[2] ქართული წიგნი, 1941, გვ. 89.

ძველ ქართულ სასტამბო ტერმინთა და ცნებათა განმარტება

ახალი დაბეჭდილი — პირველი გამოცემა. „საღმრთო და სამღვდელო სახარება. აწ ახალი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა“ („სახარება“, 1709 წ., თავფურცელი).

ბეჭედი — კლიშე. „უფალო! დაიცავ ორთავე შინა ცხოვრებითა... ბატონის შვილი ვახტანგ, მომღები ბეჭდისა ამის“ (1710 წ. გამოცემული „კონდაკის“ ბოლო გვერდზე დაბეჭდილი, ხეზე ამოკვეთილი, კლიშირებული ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის წარწერა).

ბეჭდისა და დღევანდელი კლიშეს იგივეობას ადასტურებს აგრეთვე მეორე წარწერა: „ჩვენ ძირმდგომობით ღვთივ გვირგვინოსანმან, მეფეთაგან აღმოცენებულმან ძის ძემან მეფის ვახტანგისამან და ძემან ლევანისამან, ბატონის შვილმან ვახტანგ მრავიხვენ ესე ბეჭედი ოდიკისა“ (1707 წელს დაბეჭდილ „ოდიკზე“ გამოსახული „იესოს საფლავად დადების“ კლიშეს წარწერა). ე. ი. „მოვიხვენ ესე ბეჭედი ოდიკისა“ ნიშნავს: „მოვიპოვე „იესოს საფლავად დადების“ დასაბეჭდი კლიშეო.

ბეჭდის იგავი — ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის სიმბოლიკის ახსნა (ქრ. შარაშიძე). როგორც ვიცით, 1709 წლის „სამოციქულოში“ მოთავსებული ბაგრატიონთა გერბი შედგება კომპოზიციურად სხვადასხვა სიმბოლური ნიშნებისაგან, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობის ახსნის მიზნით ქვეშ მიწერილი აქვთ ასოები. მაგალითად, დავით წინასწარმეტყველის შურდულის ქვეშ ამოკვეთილია „დშ“, დავითის ქნარის ქვეშ — „დქ“ და ა. შ. ამ სიმბოლოთა ახსნას ეწოდება „ბეჭდის იგავი“.

გამართვა — რედაქტირება. „გაიმართა წმიდაჲ ესე („სახარება“. — ო. კ.) ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონისა ორბელის შვილისათა“ („სახარება“, 1709 წ., თავფურცელი).

„გამართვის“ ანუ რედაქტირების მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე მეორე სიტყვა — „სწორება“. ნ. ორბელიანი იმავე „სახარების“ წინასიტყვაობაში ამბობს: „ხელით წერაში ჩვენი საღმრთონი წერილნი განრყვნელიყო და მე დედის ძმის წულსა ამა მეფეთასა (იგულისხმებიან გიორგი XI და ვახტანგ VI. — ო. კ.) და მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძეს ცოდვილს მღვდელ მონაზონს ნიკოლოზს მებრძანა წიგნების გასწორება. და ვერ ურჩ ვექმენ. და ეს წმინდა სახარება დიდის ჭირთა ბერძენთა დაბეჭდის სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ ნაკლები გავმართე“.

გამმართველი კანონსა ზედა ღრამატიკისა — დედნის ქართულ ენაზე გამსწორებელი, სტილისტი, იგივე რედაქტორი. „ებრძანა მისის მეფობის უმაღლესობისაგან და მისის უწმიდესობისაგან მათის უწმიდესობის გლახაკს ბერს იღუმენს მხატვრის ძეს მიხეილს და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამატიკისასა“ („კურთხევანი“, 1764 წ., მესტამბეთა ანდერძი).

გამოკრება — შერჩევით შეკრება. „მე ცოდვილმა და ორკერძოვე სულით და ხორცით უძლურმა ხუცეს მონაზონმან და მოსამსახურემან ქალაქის სიონისა ღეთის მშო-

ბელმან და მღოცველმან ამათ ზემოხსენებულთა პატრონთამან, ცოდვილმან გერმანემ, ვიღვაწე მცირე რამ საღვაწი და აღვსწერე სარწმუნოება, ჩვენთა სარწმუნოებათაგან შემოკლებით გამოკრებული და მცირედი რამ სწავლა შეიდის საიდუმლოსი არა თუ ყოველი ძალი საიდუმლოსი აღვწერე“ („სწავლა თუ ვითარ მართებს მოქღვარსა სწავლება მოწაფისა“, 1710 წ., გერმანე ხუცეს-მონაზონის წინასიტყვაობა).

გამოწვლილვა — ზედმიწევნითი, დაწვრილებითი გამოძებნა. „ჩვენ, სურვილთა საღრმთოთა აღძრულმან სანატრელმან და ყოვლად წმიდამ მან კათალიკოზ პატრიარქმან ყოვლისა საქართველოსამან, უფალმან დომენტიმ გამოიწვლილე ეკლესიისა კურთხევა, რომელიც წმიდათა მამათა ჩვენთა მთარგმნელთაგან ჰეშმარიტად და სწორად გადმოეღოთ“ („კურთხევა ეკლესიისა“, 1719 — 1720 წწ., დომენტი კათალიკოსის წინასიტყვაობა).

გამრჯელი სტამბის სახმართა ზედა — რამდენიმე პროფესიის (ასოთაწყობა, ბეჭდვა, კინძვა და სხვ.) მცოდნე სტამბის კვალიფიციური მუშაკი. დაიბეჭდა წიგნი ესე „სტამბის სახმართა ზედა გარჯითა მარკოზის ძისა ზაქარიასითა“ („კურთხევანი“, 1764 წ., მესტამბეთა ანდერძი).

განრყვნა (წარყვნა) — გადამწერ-კალიგრაფთაგან ხელნაწერში ნებისმიერი ადგილების შეტანა და გამოკლება. „ჟამთა ვითარებისაგან სჭართველოსა ქეყანასა შინა მწერალთა მიერ განრყვნილ იყო და წინა უკმო მეტნაკლული განწესება კანონისა და გალობისა ეწერათა“ („კონდაკი“, 1751 წ., ბოლო გვერდი).

ზანდუკი ანბანური — ანბანის მიხედვით შედგენილი წიგნის სარჩევი. ასეთი ზანდუკი ანუ სარჩევი, მაგალითად, დართული აქვს 1741 წელს რომში დაბეჭდილ „საქრისტიანო მოძღვრებას“.

ზედა მდგომი სტამბისა და ბეჭდისა — სტამბის მუშაობაზე თვალყურის მდევნებელი, პასუხისმგებელი პირი. „პირველი ესე სასწაულო ყრმათათვის დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს მის დიდებულის ბატონის შვილის დარეჯანის სასახლეში სტამბისა და ბეჭდის ზედა მდგომი მდაბალი თქვენი მოსამსახურე მღვდელმონაზონი ქრისტეფორე“ („პირველ სასწავლო ყრმათა“, 1739 წ., ბოლოსიტყვაობა).

ზედა მხედველი — ზემდეგი. დაიბეჭდა წიგნი ესე „ზედა მხედველობითა და ქართულსა ზედა შეწყობითა, მოძღვრისა და უღირსის მღვდლის ზაქარიასათა“ („კონდაკი“, 1751 წ., უკანასკნელი გვერდი).

ზედმდეგი — მეთვალყურე, თადარიგის დამჭერი. „და მივეცით (იგულისხმება „ბიბლია“. — ო. კ.) საბეჭდავსა შინა, დაბასა სვესვენწკას, მდივანს კაკაბიძეს, რომელიც ზედმდეგ იყო და მუშაობდა ამას შინა ბეჭდვად სიმართლით შემსრულებლად, ვითა არს განმართული ყოელადვე“ („ბიბლია“, 1743 წ., ვახუშტის ბოლოსიტყვაობა).

თარგმანი — უცხო ტექსტის მშობლიურ ენაზე გადმოღება. წიგნი ესე „სპარსულისაგან ქართულად თარგმნილი მეფეთ მეფის ვახტანგისაგან“ („ქმნულობის ცოდნის წიგნი“, 1721 წ., თაფურცელი).

თარგმანი — კომენტარის, განმარტების, შენიშვნის, გამოკვლევის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. 1712 წელს დაბეჭდილი „ეფხისტყაოსნისათვის“ დართულ ვახტანგის გამოკვლევას ასეთი სათაური აქვს: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონის შვილის გამგებლის პატრონის ვახტანგისა“.

მაახლი — განმაახლებელი. „დაიბეჭდა წიგნი ესე საღმრთოსა მსახურებისა ბეჭდისა ამის მაახლისა ირაკლი, კახთა მეფისათა“ („კონდაკი“, 1751 წ., თავფურცელი).

მეორე დაბეჭდილი — მეორედ გამოცემული. „დავითნი აწ მეორე დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა“ („დავითნი“, 1711 წ., თავფურცელი).

მესტამბეთ უხუცესი — სტამბის მუშაკთა (მესტამბეთა) უფროსი, პირველი კაცი სტამბაში, იხ. წინამძღვარი. „დავითნი დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისს, მესტამბეთა უხუცესობითა სიონის დეკანოზის ნიკოლაოზისათა“ („დავითნი“, 1763 წ., ტექსტის ბოლო).

მეტნაკლული — იხ. განრყვნა (წარყვნა).

მეურნე სტამბისა — სასტამბო მასალებისა და იარაღების შემნახველ-გამგებელი. „განსრულდა დავითნი ესე ... სტამბის მეურნეობასა გიორგი მხატვრისასა“ („დავითნი“, 1716 წ., თავფურცელი).

მმართველი დაზგისა — დაზგაზე მომუშავე ოსტატი ანუ მბეჭდავი. „დაზგის მმართველი ჯ-ის საყდრის დეკანოზი იოანე“ („დავითნი“, 1749 წ., თავფურცელი).

მმართველი პრობისა — პრობა, იხ. ნატვიფრი პრობა. მართვა, საბას განმარტებით, „მრუდის გასწორება“, ე. ი. პრობის მმართველი — საცდელი, სასინჯი ანაბეჭდის გამსწორებელი — კორექტორი. დაიბეჭდა წიგნი ესე „პრობის მართვითა უღირსის ხუცის ოსეს ძის იოანესითა“ („კონდაკი“, 1783 წ., ტექსტის ბოლო).

მომმუშაკებელ-წარმომადგინებელი — შემქმნელი, დამამზადებელი. „მომმუშაკებელი და წარმომადგინებელი ასოსა ამის სიონის დეკანოზი ნიკოლაოს“ („კონდაკი“, 1751 წ., უკანასკნელი გვერდი).

მჩხრეკავი — შემმოწმებელი, შემდარებელი, იხ. „ღრამატიკისა კანონსა ზედა გამრიგებელი“. ესე ქართული „ზატიკი“ „რუსული ზადიკიდამ გადმოვათარგმნინე ბატონის შვილის დარეჯანის კარის მღვდელს გიორგის: და მისგან ნათარგმნს ხუცეს-მონაზონი ხოსაშვილი დავით დიდის გულს მოდგინებით და გამოძიებით ჩვენს ენაზედ ასწორებდა და სიმრთელეს სცდილობდა. და საგალობლის საძილისპიროს წინწილს არქიმანდრიტი „გერმანე სჩხრეკდა და ასწორებდა“ („ზატიკი“, 1738 წ., ქრ. გურამიშვილის ბოლოსიტყვაობა).

მწერალი — კალიგრაფი. „ღრამატიკისა ყანონსა ზედა“ თარგმნილ-გასწორებული ტექსტის გადამწერი. დაიბეჭდა წიგნი ესე „მწერლობითა მამაცის შვილის პეტრესითა და კარის დიაკონის გიორგისათა“ („ლოცვანი“, 1784 წ., უკანასკნელი გვერდი).

ნაკლულევანი — არასრული, დეფექტური, შეცდომებიანი. „მკითხველო სახიერო! სულიერად სახმარ ყავ შენდა წიგნი ესე და უკეთუ რამე ნაკლულევან სისრულისა არს, სულგრძელობით იტვირთე“ („დაუჯდომელი“, 1762 წ., თავფურცელი).

ნატვიფრი პრობა — საცდელი (სასინჯი) ანაბეჭდი. პრობა (ლათ. პრობო) — ცდა, გასინჯვა. აჰა, „მოვართვი უსამღვდელოესობასა თქვენსა და იხილეთ წინამდებარე წერილი ესე ნატვიფრი პრობა“ (1796 წ., რ. ზუბაშვილის მიერ გაიოზ რექტორისათვის მირთმეული წერილი).

ორღანო — იარაღი. „ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილეებიან: ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინა მძღოლი ვარ, უნდო მონა თქვენი“ („სახარება“, 1709 წ., მ. იშტვანოვიჩის წინასიტყვაობა).

პირველი სტამბის სახარება—1709 წელს პირველად დაბეჭდილი სახარება. „დაიბეჭდა წმიდაჲ ესე სახარება ჩვენს პირველს სტამბის სახარებაზე“ („სახარება“, 1739 წ., ი. სამებელის წინასიტყვაობა).

პლაკის მჭრელი — საბას განმარტებით, პლაკი „ელინთა ენაა“ და ფიცარს ნიშნავს. ე. ი. პლაკის მჭრელი — ხეზე მჭრელი, გრავიორი.

რვეული—სასტამბო თაბახი „მათს ყოვლად სამღვდელოებას ნიკოლაოს — წმიდელს სოფრონიოსს ეს გამოკრებული სადღესასწაულო დაეწყო და რამდენიმე რვეული თავისი ხარჯით დაებეჭდა“ („გამოკრებული სადღესასწაულო“, 1811 წ., ტექსტის ბოლო).

საბეჭდავი — სტამბა. „შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მმართებელთა სინოდთა. საფასეთა და წარსაგებელითა არქიეპისკოპოზის იოსებისათა, გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა საღმრთო წმიდაჲ ესე ზადიკი“ („ზატიკი“, 1738 წ., თაფურცელი).

საფასე — განძი, სახსარი. „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნისა მეფისა პატრონისა არჩილისა და დიდად სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე პატრონის ლევანისა და ძმა ყოვლისა წესიერებით შეპურვილისა მეფის ქაიხოსროსი, განათლებული ვახტანგ, ფრიადისა ჭირითა და მრავალთა საფასეთა მოძიღო სტამბა“, („ლოცვანი“, 1717 წ., ნ. ორბელიანის წინასიტყვაობა).

საძიებელი — სარჩევი, შინაარსი. იხ. ანბანური ზანდუკი. „ეს საძიებელი არც ერთ ენაში არ იყო, სიადვილისა და ადრე პოვნისათვის ახლა მე გავაკეთე. და თუ გულის ხმაჲ ყოფთ, დიაღ ადვილია. თავისა და მუხლების ანგარიში ნაპირზე უსხეთს და სხვა ნიშნები შიგ ჩართულია. და საძიებელი სწორედ იქ მიასწავებს და მას მიჰყევით“ („სახარება“, 1709 წ., ნ. ორბელიანის წინასიტყვაობა).

სოფლური სიტყვა — ფართო მასებისათვის გასაგები მხედრული შრიფტით აწყობილი წიგნი. „გლოცავ გლახაკი ბერი გერმანე, ყრმანო ახლად მოსწავლენო, რათა იკითხვიდეთ და ზეპირად დაისწავიდეთ. ამისთვის დავწერე საეროსა და სოფლურის სიტყვითა, რომ სიტყვისათვის მსწრაფლ ზედ მიიწიგნეთ და მტკიცედ დაიდოთ გონებასა“ („სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, 1710 წ., გერმანე ხუცეს-მონაზონის წინასიტყვაობა).

შემოწმება — შედარება, შეჯერება, „მას ჟამსა, ოდეს განაგებდა საქართველოს ბატონის შვილი უფალი სეიმონ, ამათ მიერ მებრძანა მე სამთავნელს კვიპრიანეს ბერძულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებათა შემოწმება“ („კურთხევანი“ 1713 წ., კვიპრიანე სამთავნელის წინასიტყვაობა).

ჩამკითხველი — „ღრამატიკისა კანონსა ზედა“ გამართული დედნის ამომკითხველი, კორექტორი.

ჩამომსხმელი — „ასოს წარმომადგინებლის“ დამხმარე. თხევადი ლითონისაგან მატრიცების საშუალებით შრიფტის პრაქტიკულად დამამზადებელი.

წარსაგებელი—ხარჯი. დაიბეჭდა წიგნი ესე „ღაწლითა და წარსაგებელითა ტფილისის მიტროპოლიტის ათანასი ამილახვრისათა“ („დავითნი“, 1764 წ., თაფურცელი).

წინამძღვარი — ხელმძღვანელი, გამგე, ზედა მდგომელი. იხ. მესტამბეთ უხუცესი. გაიმართა ესე „დაბადება“ „და მივეცით საბეჭდავსა შინა, დაბასა სვეტიცხოველსა, წინამძღვარს და მღვდელ მონაზონს გურამიშვილს ქრისტეფორეს“ („ბიბლია“, 1743 წ., ვახუშტის ბოლოსიტყვაობა).

შინაარსი

წინათქმა 3

I. ქართული სტამბები 9

პირველი ქართული სტამბა 9
ვახტანგ VI სტამბა
ესესვიატსკოეს სტამბა 46
ერეკლე II სტამბა 71
მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბა 92
მოზდოკის სტამბა 99
ქუთაისის, წესისა და საწერეთლოს სტამბები 107

II. ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები 129

III. მესტამბე-გამომცემელნი 202

ნიკოლოზ ორბელიანი 202
ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი 205
გიორგი მხატვარი 207
გაბრიელ მღვდელი 209
იოსებ სამებელი 211
ქრისტეფორე გურამიშვილი 214
სიონის დეკანოზი ნიკოლოზი 216
დეკანოზი იოანე 219
მღვდელი ზაქარია 221
ისაკ მცირე 222
მღვდელი დავითი 226
ტრიფილე 228
იოანე ოსეს ძე 230
შიო ტუსიშვილი 232
აბრამ ურიაყოფილი 234
რომანოზ ზუბაშვილი 236
ქრისტეფორე კეკერაშვილი 237
იოანე მანგლელი 240
ზაქარია არქიმანდრიტი 241

ძველ ქართულ სასტამბო ტერმინთა და ცნებათა განმარტება 243